საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სამეცნიერო-პოპულარული სერია

„ათინათი“

გ. გიორგაძე

ათასი ღვთაების ქვეყანა

(ხეთები და ხეთური ცივილიზაცია)

„მეცნიერება“

თბილისი

1988

წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს— ხეთებს, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულში ცხოვრობდნენ მცირე აზიის (ანატოლიის) ცენტრალურ ნაწილში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე).

ნარკვევში მოთხრობილია ხეთების აღმოჩენის ისტორია, განხილულია ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბების საკითხი, ხეთების სამეფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპები, ხეთების რელიგიურ შეხედულებათა სისტემა, ხეთური კულტურის საკითხები. საუბარია უძველეს ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ კონტაქტებზე, რომლებსაც ადგილი უნდა ჰქონოდათ ძველ მცირე აზიასა და სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომთა შორის.

ნაშრომი გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, ი. გ ა გ ო შ ი ძ ე.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ი ნ ა ძ ე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. კ ი კ ნ ა ძ ე

ბ $\frac{0503010000}{М\ 607(06)-88}$ 246—89

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1988

ISBN 5—520—00496—X

წინათქმა

„ათასი ღვთაების ქვეყანა“ პირობითი, ჩვენ მიერ შემოთავაზებული. სახელწოდებაა ცენტრალურ მცირე აზიაში (ანატოლიაში) ოდესღაც არსებული, ფართოდ განთქმული ხათის ქვეყნისა. მისი ბინადარნი ცნობილი იყვნენ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, როგორც ხეთები. ხეთურად შედგენილ ტექსტებში არაერთგზისაა ნახსენები, ზოგჯერ კი ჩამოთვლილი, ეს „ათასი ღვთაება“ — მთელი ხეთური პანთეონი, თუმცა ჩამოთვლილ ღვთაებათა რაოდენობა როდია ზუსტად „ათასი“.

ამჟამად იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არაფერი სმენოდეს ხეთების უძველესი სახელმწიფოსა და მისი შემქმნელი ხალხის შესახებ, არ წაეკითხოს პოპულარული სტატია, წიგნი თუ ენციკლოპედიური ცნობარი ხეთების ისტორიის, ხეთური ენის, რელიგიის, კულტურისა და, საერთოდ, უძველესი მცირე აზიის შთამბეჭდავ ცივილიზაციათა შესახებ.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხეთებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება: ხეთების სამეფო იყო ერთ-ერთი უძველესი ადრეკლასობრივი სახელმწიფო — გარდასულ ძველაღმოსავლურ საზოგადოებათაგან ხეთური საზოგადოება გამოირჩეოდა თვითმყოფობით, თავისებურებებით. ხეთურმა ენამ კი მთელი გადატრიალება შეიტანა თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში...

ხეთებისადმი ინტერესი განუზომლად დიდია საქართველოში. ზოგადმეცნიერულ ინტერესს ჩვენში აღრმავებს ის, რომ ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა და მთელი საუკუნეები იარსება ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების მეზობლად (სამხრეთ-დასავლეთიდან). მცირეაზიულ, განსაკუთრებით, ხეთურ, სამყაროსთან ქართველური ტომების ისტორიული, ენობრივი და კულტურული უტყუარი კონტაქტების გამოვლენა ბევრ სიახლეს შეიტანს ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში, რისთვისაც ახლა იღვწიან ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები.

ერთგვარად გასაკვირიცაა, ჩვენში რომ დღემდე ქართულ ენაზე არ შეიქმნა წიგნი, რომელშიც თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით სამეცნიერო-პოპულარული ფორმით იქნებოდა მოღხრობილი ხეთური საზოგადოების ისტორიის ძირითადი მომენტები (ამის შესაძლებლობა კი საქართველოში კარგა ხანია არსებობს).

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა სწორედ ასეთი წიგნის შექმნისა. ავტორი შეეცადა განეზოგადებინა თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთელ ხეთოლოგთა მეცნიერული დასკვნები და დაკვირვებანი ისე, რომ წიგნი გამხდარიყო მკითხველთა ფართო წრეებისთვის მისაწვდომი. ამ მიზანს ემსახურება ხეთური ტექსტებიდან ცალკეული ადგილების მოყვანაც — ამით ავტორს სურს თვით ხეთების ხმა მიაწვდინოს თანამედროვე მკითხველს, აგრძნობინოს მას ამ ხმის თავისებურებანი, ხოლო ბევრ შემთხვევაში ტექსტებიდან თვითონ გამოიტანოს სათანადო დასკვნა.

როგორც თითქმის ყოველი პირველი ცდის დროს, ვფიქრობთ, ჩვენც არ ვიქნებით დაზღვეული ცალკეული ხარვეზისაგან, რომელთა გამოსავლენად ველით მკითხველის პირუთვნელ კრიტიკას. სამართლიან შენიშვნებს ავტორი სიამოვნებით გაითვალისწინებს, მით უმეტეს, რომ მკითხველთან შეხვედრა ავტორს ჩაფიქრებული აქვს მომავალშიც.

I

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲖᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲣᲥᲣᲠᲔᲑᲘ

თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი — ანატოლია (ბერძნ. Ἀνατολή სიტყვასიტყვით „მზის ამოსვლა; აღმოსავლეთი"; თურქ. Anadolu) კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ანტიკურ ხანაში მას უწოდებდნენ „მცირე აზიას" — მისი მოხაზულობა და რელიეფი ძლიერ წააგავდა „დიდი აზიისას (სინამდვილეში კი ასეთი შედარება ნაწილობრივად სწორია, რადგანაც იმხანად უცნობი იყო „დიდი აზიის" ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები).

ეს არის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობის ტომთა თუ ხალხთა შერევა-შეჯვარედინება. სწორედ აქ მოხდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ე. წ. „ნეოლითური რევოლუცია", როდესაც ძვ. წ. VII—VI ათასწლეულებში, თანამედროვე ჩათალ-ჰუიუქისა და ჰაჩილარის მიდამოებში (კონიის ზეგანზე) ჩამოყალიბდა მაღალგანვითარებული ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ დიდ მცირეაზიულ ცივილიზაციას. ძველაღმოსავლურ ხანაში (ძვ. წ. III—I ათასწლეულებში) მცირე აზიაში არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ისინი თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან ისე, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მოეღწია ჩვენს ეპოქამდე.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად უძველესი ხანებიდანვე დაწინაურდა ანატოლიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ ძალად გადაიქცა არა მარტო მცირე აზიაში, არამედ მაშინდელ ახლო აღმოსავლეთშიც. ეს იყო ᲰᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ანუ ᲮᲐᲗᲘ, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა და მცირე აზიის ძველ ისტორიაში, სხვა მეზობელ პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, მთელი ეპოქა შექმნა.

ხეთების სახელმწიფოს წარმოქმნამდე კი ანატოლიამ ისტორიული განვითარების თავისებური გზა განვლო, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

ანატოლიის გეოგრაფიული მდებარეობა

ანატოლიას ამჟამად ბუნებრივი კონტრასტების ქვეყანას უწოდებენ, რაც სავსებით შეეფერება სინამდვილეს. როგორც ვარაუდობენ, ამ ქვეყნის უძველესი ბუნებრივი პირობები დიდად არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული მისი თანამედროვე ბუნებრივი პირობებისაგან.

განსაკუთრებით მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა შიდა ანატოლიასა, ერთი მხრივ, და ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის, მეორე მხრივ. თუკი შიდა ანატოლია, რომელიც მოიცავს ანტიკური ხანის კაპადოკიის, ლიკაონიის, გალატიისა და ფრიგიის ტერიტორიას, წარმოადგენს ერთგვაროვან მაღალ პლატოთა და აზიური ვრცელი სტეპების სამყაროს, ჩრდილოეთი და სამხრეთი მცირე აზია არის მხარე მაღალი მთაგრეხილებისა (შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ — პონტო, სამხრეთში — ლიკიისა და კილიკიის ტავროსის მთიანი სისტემა, რომელიც აღმოსავლეთით უერთდება სომხეთის ზეგანს). აღნიშნული მთები ეშვება ზღვებში, ქმნის რა ხშირი ტყეებით დაფარულ ხევებს. მკვეთრად გამოირჩევა აგრეთვე დასავლეთი ანატოლია, სადაც გვხვდება როგორც აზიური სტეპები, ასევე მთაველიანი ლანდშაფტები.

მცირე აზიის რელიეფის თავისებურებამ განაპირობა რამდენიმე ლოკალური კულტურული რაიონის (ცენტრალურის, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ა. შ.) წარმოქმნა. სპეციალისტები მათ ორ დიდ კულტურულ მხარედ — დასავლეთანატოლიურ და აღმოსავლეთანატოლიურ კულტურულ ოლქებად ყოფენ.

ზემოაღწერილი რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, უპირველეს ყოვლისა, მეცხოველეობის განვითარებისათვის. მიწათმოქმედება კი შეიძლებოდა განვითარებულიყო მხოლოდ დაბლობ ადგილებსა და მდინარეების ხეობებში. არქეოლოგიური მასალები და სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების მონაცემები მართლაც ადასტურებენ, რომ უძველეს მცირე აზიაში მეცხოველეობა, ისევე როგორც მიწათმოქმედება, საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა.

ანატოლიის დიდი ნაწილი (ეგეოსის, ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროები) სუბტროპიკული კლიმატის ზონაში მდებარეობს. ზღვებისაგან იზოლირებული შიდა რაიონების კლიმატი კი კონტინენტურია. როგორც ვარაუდობენ, ასეთი კლიმატური პირობები ერთ-ერთი

ზელისშემწყობი გარემოება უნდა ყოფილიყო ადამიანთა საზოგადოების დაწინაურებისა და გავრცელებისათვის დედამიწის ამ რაიონში.

ანატოლიის თითქმის ყველა მდინარე, რომლებიც თავიანთი წყლის მარაგით ვერ შეედრებიან წყალუხვ მდინარეებს — ნილოსს ან ევფრატსა და ტიგროსს, სათავეს იღებს მთებში და სწრაფად მიედინება ღრმა ქვიან კალაპოტში. ზაფხულობით მდინარეების წყალი მნიშვნელოვნად იკლებს, ხოლო ზოგიერთი პატარა მდინარე საერთოდ ქრება შემოდგომამდე. ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ ძველ მცირე აზიაში მდინარეებს სათანადოდ ვერ იყენებდნენ ვერც მორწყვისათვის და ვერც ნაოსნობისათვის. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ განვითარდა ანატოლიაში ირიგაცია — ხელოვნური მორწყვის სისტემა, რომელიც მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მაღალ დონეზე ავიდა. ზღვის სანაპიროზე მდებარე რაიონებში ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო განვითარებული ზღვაოსნობა (განსაკუთრებით, ანატოლიის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე).

ანატოლიაში ძველთაგანვე ორი ძირითადი მცენარეული ზონა უნდა არსებულიყო: ზღვისპირა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტყეები მარადმწვანე თუ სხვა ჯიშის მცენარეებით, და შიდა ზონა, სადაც ახლა მცენარეთა შედარებითი ნაკლებობაა. ვარაუდობენ, რომ თვით ცენტრალური ანატოლიაც დაფარული უნდა ყოფილიყო ტყეებით. მცირე აზია უძველესი დროიდანვე ასევე იყო ცნობილი მრავალფეროვანი ცხოველთა სამყაროთი, რაც დასტურდება წერილობითი წყაროების მონაცემებით, სადაც გვხვდება მცენარეებისა თუ ცხოველების უთვალავი სახელწოდება.

მცირე აზია მდიდარი იყო წიაღისეული სიმდიდრეებით. აქ დიდი რაოდენობით იყო ლითონის საბადოები, განსაკუთრებით სპილენძისა და ვერცხლისა, რომელთა მოპოვება უძველესი დროიდანვე წარმოებდა. უფრო გვიან, განსაკუთრებით კი ძვ. წ. III—II ათასწლეულებში, აქ დიდად განვითარდა ლითონების დამუშავება (მათ შორის — რკინისა).

დაახლოებით ასეთ ბუნებრივ პირობებში უნდა განვითარებულიყო მცირე აზიის საზოგადოება ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში. გეოგრაფიულმა გარემომ სათანადო გავლენა იქონია ანატოლიის ისტორიული განვითარების მსვლელობაზე, მან გარკვეული როლი ითამაშა ამ განვითარების თავისებურებათა განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში. მცირე აზიის გადაქცევას ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერად უდავოდ შეუწყო ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ: წარმოადგენდა რა უდიდეს ნახევარკუნძულს, ანატოლია უძველესი ეპოქიდან იყო წინა აზიის, ეგეოსის სამყაროსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის დამაკავშირებელი; იგი ერთგვარი ხიდი იყო ცივილიზებულ აღ-

მოსავლეთსა და იმდროინდელ დასავლეთს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ამ რეგიონთა ურთიერთკავშირების პროცესში ასრულებდა ტროა (ჰელესპონტის ანუ დარდანელის სრუტის აზიურ სანაპიროზე მდგარი), სადაც აშკარად ვლინდებოდა ბალკანეთისა და ანატოლიის ნახევარკუნძულთა ტომების ინტენსიური ურთიერთობანი.

„ნეოლითური რევოლუცია“ ანატოლიაში: ჩათალ-ჰუიუქი, ჰაჩილარი

მცირე აზიას ახლა ადამიანის განსახლების ერთ-ერთ უძველეს რეგიონად თვლიან. ადამიანებს აქ ქვედა პალეოლითის ხანიდან უცხოვრიათ, ადამიანი ვითარდებოდა ანატოლიაში შუა და ზედა პალეოლითშიც. თავდაპირველად მას მდინარის ხეობებსა და ზღვის სანაპიროების ახლოს უცხოვრია, მოგვიანებით კი მთიან რაიონებშიც გადასახლებულა.

ნეოლითის ეპოქაში ანატოლიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ძალზედ საყურადღებო ძვრები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთოდ კაცობრიობის პროგრესისათვის. ანატოლიაში, კონიის ზეგანზე, სადაც ამჟამად მდებარეობენ ჩათალ-ჰუიუქი და ჰაჩილარი, არქეოლოგებმა (ჯ. მელარტის ხელმძღვანელობით) აღმოაჩინეს ქალაქური ტიპის ნეოლითური დასახლებანი მოხატული სალოცავებითა და განვითარებული ადრესამიწათმოქმედო კულტურით. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უძველეს დასახლებებს არქეოლოგები ათარიღებენ ძველი წელთაღრიცხვის 7000—5600 (ჩათალ-ჰუიუქი) და 5700—5600 (ჰაჩილარი) წლებით.

ამ ადგილებში არსებობდა ხელსაყრელი პირობები საქონლის მოშინაურებისათვის, ცალკეულ სამიწათმოქმედო კულტურათა ჩამოყალიბებისათვის, რაც მიგვანიშნებს აღნიშნული ხანის ანატოლიაში შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებაზე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სამეურნეო დიფერენციაციის ფორმით.

ამ პერიოდში განხორციელდა გადასვლა მიმთვისებლურ (შემგროვებლურ) ეკონომიკიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე, რაც მანიშნებელი იყო „ნეოლითური რევოლუციის“ დაწყებისა. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია, რომელიც შედის „ნახევარმთვარის ნაყოფიერ მიწებში“, გადაიქცა მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს ცენტრად, სადაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა მთელი წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია.

ჩათალ-ჰუიუქისა და ჰაჩილარის მცხოვრებთა მეურნეობა დაფუძნებული იყო მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე: მოჰყავდათ ემერი,

სპელტა, ქერი, ბარდა, ცერცველა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურა, მისდევდნენ ცხვრებისა და ზოგიერთი რქოსანი საქონლის მო-შენებას. ამ აღრესამიწათმოქმედო დასახლებათა განვითარება აღი-ნიშნება იმით, რომ მათმა მცხოვრებლებმა იცოდნენ მოპოვება და და-მუშავება ობსიდიანისა, რომლის საბადოები იმყოფებოდა ჩათალ-ჰუი-უქის მახლობლად. დასახლებათა მცხოვრებნი იცნობდნენ, აგრეთვე, სხვა ადგილობრივ მინერალებს, მაგალითად, სპილენძსა და ტყვიას. მათგან ამზადებდნენ მძივებს, საყურეებსა და სხვა მცირე ზომის სამ-კაულს.

ზემოაღნიშნულ დასახლებათა მცხოვრებლებს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ ახლომდებარე რაიონებთან (ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან, ჩრდილოეთ სირიასთან, დასავლეთ ანატოლიასთან, კვიპროსთან), სადაც აგზავნიდნენ ობსიდიანს, სანაცვლოდ კი იღებ-დნენ კაჟს, ნიჟარებს, სხვადასხვა ძვირფას ქვას.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში წარმოიშვა და განვითარდა ად-გილობრივი კერამიკა. ჩაისახა ანატოლიური ნეოლითური ხელოვნება და გაჩნდა ადგილობრივი ნეოლითური რელიგია (მარტო ჩათალ-ჰუიუქში იპოვეს 40-მდე ტაძარი-სალოცავი). უკვე ძერწავდნენ მთავარ ღვთაებათა პირველ ქანდაკებებს ანთროპომორფული იერით. კულტ-მსახურებისათვის შექმნილი სალოცავები შედიოდნენ სხვადასხვა და-ნიშნულების ნაგებობათა კომპლექსებში.

საცხოვრებელ სახლებსა და ტაძრებს აგებდნენ ფორმირებუ-ლი ალიზისაგან. სამშენებლო ობიექტთა ნარჩენები ძალზედ მოგვაგო-ნებენ გამაგრებულ დასახლებებს. „გვიანნეოლითურ" ჰაჩილარში და-სახლებას უკვე გარს ერტყა თავდაცვითი თიხატკეპნილი კედლები. სი-მაგრეთა შიგნით კი მოთავსებული იყო მარცვალსაცავები, სამეთუნეო სახელოსნოები და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. ასეთი „სიმაგრე-ნი" წარმოადგენდნენ იმ ციხე-სიმაგრეთა პროტოტიპებს, რომლებიც მოგვიანებით არსებობდნენ ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ჩათალ-ჰუიუქისა და ჰაჩი-ლარის დასახლებებში უკვე მომხდარი იყო „ნეოლითური რევოლუ-ცია". რომელიც თანდათან მთელ მცირე აზიას უნდა მოსდებოდა. ეს „რევოლუცია" მოახდინა რომელიღაც ადგილობრივმა ეთნოსმა, რომლის ვინაობა ახლა, ალბათ, არც შეიძლება დადგინდეს. შესაძ-ლოა, იგი მოგვიანო ხანების ანატოლიის მკვიდრთა ერთ-ერთი წინა-პარიც იყო. მაგრამ რომლისა? ცენტრალურ ანატოლიაში მოგვიანე-ბით მცხოვრებ არაინდოევროპელი ხათებისა (პროტოხეთებისა). იქვე ასევე მოგვიანებით მობინადრე ინდოევროპელი ტომებისა (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, არ გამოირიცხება ამ ეთნოსის

გაიგივება წინარე ინდოევროპული ენის მატარებელ ეთნიკურ ერთეულთანაც კი, თუმცა ამ ვარაუდის დამამტკიცებელი მყარი არგუმენტები ჯერჯერობით ვერ გამოინახა), თუ ჩვენთვის სრულიად უცნობი ეთნოსისა? ამჟამად შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ მხოლოდ შემდეგი: ჩათალ-ჰუიუქისა და ჰაჩილარის მიდამოებში ჩამოყალიბებულმა მაღალგანვითარებულმა ადრესამიწათმოქმედო კულტურამ საფუძველი ჩაუყარა მოგვიანო ხანების დიდ მცირეაზიულ ცივილიზაციას, რომელსაც განეკუთვნებოდა ხეთური საზოგადოებაც.

II

ცენტრალური ანატოლია ისტორიის გარიჟრაჟზე

ახალი ძვრები ცენტრალურ მცირე აზიაში

„ნეოლითური რევოლუციის“ მომდევნო პერიოდი, განსაკუთრებით, ძვ. წ. IV—III ათასწლეულები, აღინიშნა საყურადღებო ძვრებით ანატოლიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლითონთა მნიშვნელობის ზრდამ და, საერთოდ, მეტალურგიის განვითარებამ ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც არსებობდა ლითონთა (სპილენძის, ვერცხლის, რკინის) უმდიდრესი საბადოები, დიდად დააჩქარა ამ რაიონთა წინსვლა. გაჩნდა ბრინჯაო—სპილენძის შენადნობი კალასთან. ყოველივე ეს უკვე ახალი „რევოლუციის“ მაუწყებელი იყო.

მომრავლდა ქალაქური ტიპის დასახლებანი, რომელთა ნაწილი მასიური კედლებით იყო გამაგრებული. სწორედ ამ ტიპის დასახლებათა ადგილას მოგვიანებით წარმოიშვნენ პატარა ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთა მმართველებს ურთიერთშორის უნდა ჰქონოდათ ბრძოლა ჰეგემონობისათვის.

III ათასწლეულის შუა ხანებიდან ცენტრალური ანატოლია საგრძნობლად იყო დაწინაურებული როგორც ეკონომიკურად, ასევე კულტურულად. აქ მცხოვრებ ტომთა ეკონომიკა ეყრდნობოდა ძირითადად სოფლის მეურნეობას, მაგრამ მათი ძლიერების მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო ლითონების მოპოვება და დამუშავება. აღნიშნული დროის მონოქრომული კერამიკა ხელით ნაკეთია (გარედან წითლად, ხოლო შიგნიდან — შავად გაპრიალებული). მასთან ერთად არსებობდა აგრეთვე ხელით ნაძერწი შავი და ნაცრისფერი კერამიკაც მრავალნაირი მოხატულობით. დიდი გემოვნებითა და ოსტატობითაა დამზადებული ლითონის — ბრინჯაოს, სპილენძის, ვერცხლის, ოქროს ცალკეული ნივთები. დახვეწილია ქვისგან გაკეთებული საგნები. საცხოვრებელი ბინები სწორკუთხოვანია და აგებულია თიხის აგურებით ქვის საძირკველზე. ხელოვნების ნიმუშები წარმოდგენილია სტილიზებული ცხოველების (ირმების, ხარის) ფიგურებით. აშკარად ჩანს,

რომ ცენტრალურ ანატოლიაში მდებარე გამაგრებული პუნქტები (ბოღაზქოის, ალიშარ- და ალაჯა-ჰუიუქის, ჰას-ჰუიუქისა და სხვა ადგილას) III ათასწლეულის მეორე ნახევარში წარმოადგენდნენ აქ მცხოვრებ ტომთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს.

აღნიშნული ეპოქისათვის ცენტრალურ ანატოლიას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა მთელს მცირე აზიაში. მას გააჩნდა არა მარტო ბრინჯაოს ხანის ეკონომიკისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები, არამედ მათი გადასამუშავებელი ტექნოლოგიაც. ანატოლია უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახლო აღმოსავლეთში, მისი გავლენა ვრცელდებოდა სამხრეთ მესოპოტამიამდე და, შესაძლოა ეგვიპტემდე, ისევე როგორც კავკასიამდე.

სარგონ დიდი (აკადელი) და მცირე აზია

შუამდინარეთის მმართველთათვის ანატოლიასთან ურთიერთობების დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: შუამდინარეთი ღარიბი იყო ლითონებით, ანატოლია კი ლითონებით უმდიდრეს მხარეს წარმოადგენდა, თუმცა აკლდა ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი ლითონი — კალა. აქედან გამომდინარე, თავიდანვე გამოიკვეთა ამ ორი მხარის ურთიერთობათა ძირითადი პირობები: ანატოლიაში კალის შეტანა გულისხმობდა მცირე აზიიდან ლითონების, განსაკუთრებით, სპილენძის გამოტანას. სწორედ ამას უნდა გამოეწვია შუამდინარელ ვაჭართა დაუოკებელი ინტერესი მცირე აზიისაკენ, რაც დასრულდა იმით, რომ დაახლოებით ძვ. წ. 2300 წლისათვის, როდესაც აქადის სახელმწიფო უკვე ითვლებოდა ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებად მთელს შუამდინარეთში, ანატოლიაში უნდა გაჩენილიყო აქადელ ვაჭართა პირველი ფაქტორიები (კოლონიები).

აღნიშნული პერიოდის ანატოლიაში შექმნილი რეალური ვითარების გამოძახილი შემორჩენილია გაცილებით მოგვიანო ხანებში (დაახლოებით ძვ. წ. XIV ს.) აქადურ ენაზე შედგენილ ერთ ტექსტში, რომელიც ცნობილია „მეფე ბრძოლისას“ (აქადურად შ ა რ თ ა მ ხ ა რ ი ს) სახელწოდებით („მეფეში“ აქ იგულისხმება აქადის ცნობილი მმართველი — სარგონ დიდი, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 2300 წლისათვის მეფობდა). ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე, ამ ტექსტის ძველხეთურმა ვერსიამაც. ამ ორი ტექსტის მონაცემთა შეჯერება შემდეგნაირად გადმოსცემს ანატოლიაში შექმნილ იმდროინდელ ვითარებას:

სარგონ დიდის მეფობის დროს მცირე აზიაში, კერძოდ, ბურუშხანდაში (ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, პირობით ათავსებენ

ტუზის ტბის მიდამოებში, შესაძლოა, მის აღმოსავლეთით), უკვე მოღვაწეობდნენ აქადელი ვაჭრები (მაშასადამე, მათი აქ გამოჩენა სავარაუდოა უფრო ადრეც). ეს უკანასკნელნი შეუვიწროებია ბურუშხანდის მმართველს (მეფეს) ნურ-დაგალს (ხეთური წყაროს მიხედვით, ნურ-დახის). ეს გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ბურუშხანდაში მყოფ აქადელ ვაჭრებს დახმარებისათვის მიემართათ სარგონისთვის. აქადის მეფემ თავის მხრივ მიმართა მებრძოლებს, რომლებთანაც ერთად გზას გაუდგა ბურუშხანდისკენ: „თქვენ, მებრძოლნო, მისმინეთ! სიტყვებს, რომლებითაც ქალღმერთმა იშთარმა მე მომმართა, თქვენ გაგანდობთ: მე დავიპყრობ ქვეყანას, საითაც მივემგზავრები“ (შემდეგ ტექსტში აღწერილია, თუ რაოდენ მდიდარია ეს ქვეყანა). ლაშქარი სარგონის ირღვევა შემოკრბა. სარგონმა ხარი და 7 ცხვარი შესწირა მდ. ევფრატს, რომელიც მას, ანატოლიაში მიმავალს, უნდა გადაელახა. სარგონს გადაულახავს ეს მდინარე, რაც მოგვიანო ხანის ერთი ხეთური ტექსტითაც მტკიცდება.

ღვთაება ენლილი ნურ-დახის, ბურუშხანდის მეფეს, გამოეცხადა სიზმარში და ამცნო, სარგონი, მამაცი მეფე, შენთან საბრძოლველად მოდისო, მაგრამ შენ ღმერთებმა გადმოგცეს იარაღი, ქარიშხლის ძალისა და საშინელი დარტყმისაო... (აქ ტექსტი დაზიანებულია). ენლილის გაფრთხილებას შედეგი არ მოჰყოლია, ნურ-დახი სარგონს, როგორც ჩანს, დაუმარცხებია. ბურუშხანდაში იგი სამ წელსა და ხუთთვეს დარჩენილა, შემდეგ კი აქადისაკენ გზას გასდგომია...

აქადელ ვაჭართა პოზიციები სარგონს საიმედოდ უნდა გაემაგრებინა, რაც უდავოდ გაახანგრძლივებდა ანატოლიაში აქადელ ვაჭართა მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც, შესაძლოა, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე გაგრძელდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის მცირე აზიაში დიდი სავაჭრო საქმიანობის მესვეურებად უკვე ასურელი ვაჭრები გვევლინებიან.

„კაპადოკიური“ ფირფიტები.
უცხოელი ვაჭრები ცენტრალურ ანატოლიაში

თუ უძველესი ხანის მცირე აზიის საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი სურათის აღდგენა ხერხდება ძირითადად არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის მეცნიერთა განკარგულებაშია უკვე წერილობითი წყაროები. ამ პერიოდის ცენტრალური ანატოლიის საზოგადოების ისტორია, რომელიც წინ უსწრებს ხეთურ ხანას, ამჟამად შეისწავლება უმთავრესად ე. წ. „კაპადოკიური“ ფირფიტების მიხედვით. ესენია ლურსმული დამ-

წერლობით შედგენილი ტექსტები, რომლებსაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პოულობდნენ კაპადოკიაში, რის გამოც მათ „კაპადოკიური“ უწოდეს. მათი წარმოშობის ძირითადი ადგილია ქიულთეფე (თანამედროვე კაისერის ახლოს), სადაც ძველი მცირეაზიული ქალაქი ქ ა ნ ი შ ი (ხეთური წყაროების, ქ ა ნ ე ს ი, ანუ ნ ე ს ა) მდებარეობდა. 1891 წ. ცნობილმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. გოლენიშჩევმა გამოაქვეყნა კაისერიში შეძენილი რამდენიმე ათეული „კაპადოკიური“ ფირფიტა და პირველმა ზუსტად განსაზღვრა ამ წარწერების ენა, როგორც აქადური ენის ძველასურული დიალექტი. ბ. ჰროზნის გათხრებმა ქიულთეფეში (1925 წ.) ათასობით ახალი ასეთი ფირფიტა შეაძინა მეცნიერებას. ასეთივე ტექსტები იპოვეს აგრეთვე ალიშარ-ჰუიუქსა და ბოღაზქოიში. „კაპადოკიური“ ფირფიტების რიცხვი ამჟამად რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს და ეხება ძვ. წ. XIX—XVIII საუკუნეებს. ბევრი მათგანი გამოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც (ლენინგრადელი ასირიოლოგის ნინელ იანკოვსკაიას მიერ).

„კაპადოკიური“ ლურსმული ტექსტების დიდი ნაწილი ასახავს აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვადასხვა ადგილას არსებული უცხოქვეყნების სავაჭრო გაერთიანებათა საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ არა მარტო აღმოსავლელი (ასურელი), არამედ დასავლელი სემიტები — ამორეელები (ე. ი. სირიისა და, საერთოდ, ევფრატის დასავლეთით მცხოვრები სემიტები). ეს არის ოფიციალური თუ კერძო საქმიანი მიმოწერა, სამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა დოკუმენტი. ამავე დროს ამ ფირფიტების ერთი ნაწილი ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარესაც.

„კაპადოკიური“ ფირფიტების მონაცემები ადასტურებენ (და მათ მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალაც), რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალურ მცირე აზიაში საგრძნობლად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. მარცვლეული კულტურებიდან მოსახლეობას ძირითადად მოჰყავდა ხორბალი და ქერი, აშენებდა ვაზს, ამზადებდა სხვადასხვა ხარისხის ზეთს და ა. შ. სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდა მესაქონლეობა. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში მრავლადაა საუბარი წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსან საქონელზე (ცხვრებზე, თხებზე, ხარებზე, ძროხებზე). ტრანსპორტირებისათვის ფართოდ იყენებდნენ სახედრებს. ადგილობრივი მოსახლეობა იცნობდა ცხენს.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში კიდევ უფრო მაღალ დონეზე იყო ასული მეტალურგია. მზადდებოდა სპილენძისა და ბრინჯაოს უამრავი ჭურჭელი და საომარი იარაღი. გაიზარდა იშვიათი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის მოპოვება. არსებობდა ვერცხლისა და

სპილენძის სხვადასხვა ხარისხი. იცნობდნენ ლითონ ამუთუმს, რომელიც, როგორც ახლა დაბეჯითებით ვარაუდობენ, რკინა იყო, მეტეორიტული, ან მიწიერი. იგი 40-ჯერ იყო ძვირი ვერცხლზე; ხოლო ოქროზე — 5-ჯერ (რკინის მადნის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა-ყოფილიყო ა შ ი უ მ). ადგილობრივი ხელისუფლება სასტიკად კრძალავდა ამ ლითონის გატანას სხვა ქვეყნებში, რის გამოც იგი უცხოელ ვაჭართა მხრიდან კონტრაბანდის ობიექტი ხდებოდა. ცენტრალური მცირე აზიის მოსახლეობა ამუშავებდა ძვირფას ქვებსაც. საკრძნობლად დაწინაურდა ხელოსნობა.

ქვეყნის სიმდიდრეებმა, განსაკუთრებით კი ლითონებმა, კვლავ მიიზიდეს უცხოელი ვაჭრები — დასავლელი და აღმოსავლელი სემიტები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ამჯერად ასურელ ვაჭრებს ეკავათ (ამ ხანებში კი უკვე ასურეთი განიცდიდა პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას). ვაჭრობის უკეთ წარმართვის მიზნით ისინი ცენტრალურ ანატოლიაში აარსებდნენ ორი ტიპის სავაჭრო დასახლებებს: ერთ მათგანს ერქვა ქ ა რ უ მ ი (სიტყვასიტყვით, „ნავსაყუდელი"), რომელსაც ქალაქ-სახელმწიფოში საქალაქო თემის ტიპის ავტონომიური მმართველობის უფლება ჰქონდა. მეორე სახის სავაჭრო დასახლება კი ცნობილი იყო ვ ა ბ ა რ თ უ მ ი ს (სიტყვასიტყვით, „უბანი") სახელით. უცხო სავაჭრო თემთა საორგანიზაციო ცენტრი ქანიშის ქარუმი იყო. ასეთი სავაჭრო დასახლებანი ცენტრალური მცირე აზიის თითქმის ყველა მთავარ ქალაქ-სახელმწიფოში არსებობდნენ და ადგილობრივ მმართველებს ემორჩილებოდნენ.

უცხო სავაჭრო კოლონიათა ამოცანა იყო, უპირველეს ყოვლისა, მცირე აზიიდან ლითონების გამოზიდვის ორგანიზაცია, რასაც წარმატებით ართმევდნენ თავს სემიტი ვაჭრები. ლითონების სანაცვლოდ უცხოელ ვაჭრებს ანატოლიაში შეჰქონდათ დიდი რაოდენობით ქალა, შუამდინარული შალისა და ხელის ქსოვილები. სავაჭრო საქონლის გადატანა ხდებოდა სახედართა ქარავნებით.

სავაჭრო ოპერაციებში ჩაერთვნენ ადგილობრივი ვაჭრები. მთელი აღმოსავლეთი ანატოლია სავაჭრო გზებით დაისერა. ვაჭრობა ფართოდ გასცილდა მცირე აზიის საზღვრებს.

ქალაქ-სახელმწიფოები ცენტრალურ ანატოლიაში: ქანიში (ნეშა), ხათუში, ჰუშარი

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალური მცირე აზიის სამეურნეო ცხოვრებასა და ტექნიკაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა სათანადო ცვლილებანი გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერ-

თობათა სფეროშიც. სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული ადგილობრივ მოსახლეობაში. კაპადოკიის და, საერთოდ, აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულიდან ჩამოყალიბებული იყო „ქალაქ-სახელმწიფოს" ტიპის პოლიტიკური გაერთიანებები. „კაპადოკიურ" ფირფიტებში დასახელებულია შემდეგი ქალაქ-სახელმწიფოები: ქანიში (ნეშა), ხათუში (თანამედროვე ბოღაზქოის მიდამოებში), ბურუშ-ხათუმი (იგივე ბურუშხანდა), ქუშარი, ზალფა, დურხუმითი, ამქუვა, ვაშხანა, ვახშუშანა, შალახშუვა და სხვანი (ბევრი მათგანის ადგილ-მდებარეობა დაუზუსტებელია).

ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში ედგა „მეფე" (აქადურად რ უ ბ ა უ) ან „დედოფალი" (აქადურად რ უ ბ ა თ უ). ჰქონდა თავისი „სასახლე" (აქადურად ე ქ ა ლ ლ უ) ტაძრითურთ. პოლიტიკურ საქმეთა გარდა, „სასახლეში" იხილებოდა, აგრეთვე, სამართლებრივი, ადმინისტრაციული თუ სხვა ხასიათის საქმენი.

სამეფო კარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „დიდებულები". ესენი იყვნენ სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევდა. მათ შორის აღსანიშნავია „კიბის მოძღვარი", „მთავარი მეღვინეთუხუცესი" და სხვა. სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ „მჭედელთა უფროსი", „უფროსი მებაღე", „უფროსი შეცხენე" და ა. შ. „კიბის მოძღვარი" ქალაქ-სახელმწიფოში უზენაესი მოსამართლის (მეფის მოადგილის) ფუნქციებს განაგებდა. ზოგჯერ იგი სამეფო ტახტზეც ადიოდა.

ანატოლიის ქალაქ-სახელმწიფოებში, ძირითადად, სამეფო კარზე, იხმარებოდა ლურსმული დამწერლობის ლოკალური ვარიანტი — ძველი აქადური ლურსმული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ასურელმა ვაჭრებმა გაავრცელეს ცენტრალურ ანატოლიაში, სადაც ლურსმული დამწერლობის სხვა ვარიანტს (მაგალითად, ისეთს, რომელსაც მოგვიანებით ხმარობდნენ ხეთები) ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. ადგილობრივთა მიერ ამ დამწერლობით შედგენილი ტექსტების ენა არ იყო რომელიმე ავტოქტონური ეთნოსის ენა. იგი იყო აქადური ენის ძველი ასურული დიალექტი, ასურელი ვაჭრები რომ მცირე აზიაში ხმარობდნენ (ალბათ, ყოველდღიურადაც). ამიტომაცაა, რომ ჩვენამდე არ მოაღწია ადგილობრივთა ენაზე (და ადგილობრივი დამწერლობით) შედგენილმა არცერთმა დოკუმენტმა. როგორც ჩანს, ადგილობრივ მცხოვრებთა ენას ზემოაღნიშნული დამწერლობა არ მიესადაგებოდა. რის გამოც ამჯობინებდნენ თავიანთი ტექსტების შედგენისას ეხმარათ აქადური ენის ძველი ასურული დიალექტი.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანვე ცენტრალური მცირე აზიის ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დიდი ბრძოლა იყო გა-

მართული ჰეგემონობისათვის. პირველ ხანებში იგი ბურუშხანდას (ბურუშხათუმის) სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მისი მმართველი ანატოლიის დანარჩენ „მთავრებს“ შორის „დიდ მეფედ“ ითვლებოდა.

ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება იყო აგრეთვე ქანიში (ნეშა). ჩვენთვის საინტერესო ხანაში იგი გადაიქცა დიდ ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ანატოლიის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ქანიში განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ე. წ. „ქიულთეფე-ქანიშ II ფენის“ დროს (დაახლოებით ძვ. წ. XIX ს.), როდესაც სავაჭრო კოლონიები აღმავლობას განიცდიდნენ მთელს ანატოლიაში. ამ პერიოდის ქანიშის მმართველთაგან ცნობილია ლაბარშა, ინარი და მისი ძე ვარშამა. უკანასკნელი ორი მმართველი ბრძოლებს აწარმოებდა მეზობელი რაიონების დამორჩილებისათვის.

ცენტრალური ანატოლიის პოლიტიკურ ერთეულთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ხათუში, რომელიც მოგვიანებით დიდი სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქუშარი (მდებარეობდა სადღაც ქანიშის მახლობლად).

ქუშარის (ქუსარას) პირველ მმართველთაგან ჩვენთვის ცნობილი არიან ფითხანა და მისი ძე ანითა (დაახლოებით ძვ. წ. 1790—1750 წწ.). ფითხანას დროს, როცა ანითა „კიბის მოძღვარი“ იყო, იწყება მეზობელი რაიონების დაპყრობა. ანითას სახელით შედგენილი ტექსტიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მოგვიანო ხანის (ძვ. წ. XIV—XIII სს.) რედაქციით ხეთურ ენაზე*, ვგებულობთ, რომ „ქუსარას მეფემ“ (შესაძლოა, მამამისმა) ილაშქრა ქ. ნესაში (ქანიშში), აიღო იგი ღამით და თავის სამფლობელოს შეუერთა.

ანითამ, რომელსაც თავისი მმართველობის დასაწყისში წყაროებში უბრალოდ „მეფეს“ უწოდებდნენ, დაიმორჩილა მეზობელი რაიონები, დაამარცხა ხათის მეფე ფიუსთი და ხათუსა (ხათუში) მიწას-

---

* დღეისათვის დაუდგენელია „ანითას ტექსტის“ დედნის შედგენის დრო და ენა. ტექსტი ხეთურ ენაზე, შესაძლოა, არსებობდა „ძველი სამეფოს“ დროიდან (ძვ. წ. XVII ს-ის შუა ხანებიდან), როდესაც ხეთმა მწერლებმა დაიწყეს ტექსტების შედგენა ხეთურ და აქადურ ენებზე ხეთური ლურსმული დამწერლობის გამოყენებით (განსაკუთრებით, ხათუსილი I-ის დროიდან). ეჭვს რჩეული დედნის არსებობა ხეთურ ენაზე ძვ. წ. XVIII ს-ის შუა ხანებისთვის, ანითას დროსვე, როდესაც საერთოდ არ დგებოდა ტექსტები ხეთურად და არც ხეთური ლურსმული დამწერლობა არსებობდა (ამ დროისათვის ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივი მმართველები, მათ შორის, ანითა, ხმარობდნენ „კაპადოკიური“ ფირფიტების დამწერლობას, რომლითაც ადგენდნენ ტექსტებს აქადური ენის ძველ ასურულ დიალექტზე). დასაშვებია, რომ ანითას საქმიანობის ამსახველი ტექსტი ანითას დროსვე ყოფილიყო შედგენილი აქადურ ენაზე, საიდანაც მოგვიანებით ხეთებს უნდა ეთარგმნათ ხეთურად.

თან გაასწორა. ფურუსხანდას (ბურუშხანდას) მმართველი მას უბრძოლველად ჩაბარდა, მიართვა რა ანითას რკინის ტახტი და კვერთხი (ეს იმხანად ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა, რადგან რკინა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძვირად ფასობდა). ამის შემდეგ ანითა უკვე განიხილებოდა როგორც „დიდი მეფე". თავის რეზიდენციად მან აირჩია ნესა, სადაც ციხე-სიმაგრენი და ტაძრები ააგო.

ანითას დროს (მოიცავს ე. წ. „ქიულთეფე-ქანიშ IB" პერიოდს) ცენტრალურ მცირე აზიაში შეიქმნა საკმაოდ ძლიერი ქუსარას სამეფო, რომელიც რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფოს აერთიანებდა. იგი იყო ჩვენთვის ცნობილი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება, ხეთების სამეფოს შექმნამდე რომ არსებობდა ადრეული ხანის ცენტრალურ მცირე აზიაში.

ანითას დაპყრობებთან ერთად იწყება უცხო სავაჭრო კოლონიათა (ფაქტორიების) გაქრობა მთელს ანატოლიაში. ამ მოვლენის მიზეზი გაურკვეველია, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით დასაშვებია, რომ ანითას მიერ გატარებულ პოლიტიკას უცხოელ ვაჭართა მიმართ საგრძნობლად უნდა დაესუსტებინა ამ უკანასკნელთა პოზიციები ანატოლიაში, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა უცხოელ ვაჭართა დაბრუნება თავ-თავიანთ ქვეყნებში. როგორც სხვანი ვარაუდობენ, აღნიშნული მოვლენა კავშირში უნდა იყოს, უმეტესწილად, პოლიტიკურ და ეთნიკურ ცვლილებებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ არა მარტო ანატოლიაში, არამედ ჩრდილოეთ შუამდინარეთშიც: ხურიტების პოლიტიკური ძლიერების ზრდის შემდეგ ასურეთი აღმოჩნდა სრულიად მოწყვეტილი თავისი სავაჭრო კოლონიებისაგან ანატოლიაში. მალე დაეცა თვით ასურეთის ძლიერებაც. კალის იმპორტის მოულოდნელმა შეწყვეტამ კი ლამის კატასტროფულად იმოქმედა ანატოლიაზე — დაეცა ბრინჯაოს წარმოება, ოდესღაც ძლიერი ქალაქ-სახელმწიფოები დაკნინდნენ და დიდხანს წელში ვეღარ გასწორდნენ.

მაგრამ კალის გარეშე ხომ შეუძლებელი იყო ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება. სხვა მიზეზებთან ერთად, მოგვიანებით ამანაც გამოიწვია ბრძოლა იმ რაიონებისთვის, რომლებიც კონტროლს უწევდნენ აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზებს. ეს კი უკვე ახლად წარმოქმნილი ხეთების სამეფოს დროს მოხდა, რაზედაც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

III

ცენტრალური ანატოლიის უძველესი ბინადარნი

ცენტრალური მცირე აზიის ადრეული, წინახეთური ხანის მოსახლეობასთან დაკავშირებით ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოსილი. მართალია, მეცნიერებს ახლა გააჩნიათ აღნიშნული პერიოდის მდიდარი არქეოლოგიური მასალა, მაგრამ მარტო არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეუძლებელია განისაზღვროს ჩვენთვის საინტერესო ხანისა და რეგიონის მატერიალური კულტურის შემქმნელი ეთნოსის (თუ ეთნოსების) ვინაობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ირიბ ცნობებს გვაწვდიან წერილობითი წყაროები — „კაპადოკიური" ფირფიტები და უფრო მოგვიანო პერიოდის ხეთური ტექსტები. ამ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე საშუალება გვეძლევა მხოლოდ მიახლოებით, სავარაუდოდ აღვადგინოთ ცენტრალური ანატოლიის ეთნიკური შემადგენლობის სურათი. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის იგი შემდეგნაირად გამოიყურება.

ხათები (პროტოხეთები)

ცენტრალური ანატოლიის ერთ-ერთ უძველეს, ავტოქთონურ ეთნოსად მეცნიერთა უმრავლესობა დღეისათვის მიიჩნევს ხ ა თ ი ს ტომებს, ხათებს (ზოგჯერ მათ უწოდებენ პროტოხეთებსაც, ე. ი. ხეთებამდელ მცხოვრებლებს). „ხათი" იყო ამ ტომთა მთავარი ქალაქისა და მთელი ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი. იგივე სიტყვა საფუძვლად უნდა დასდებოდა ხათების დედაქალაქის მეორე სახელწოდებას — ხ ა თ უ შ ს, რომელიც თანამედროვე თურქული სოფლის — ბოღაზქოის ადგილას მდებარეობდა. ხათის ქვეყნის ძირითადი ეთნოსის თვითსახელწოდებამ ჩვენამდე არ მოაღწია, თუმცა ახლა საეჭვოც არ უნდა იყოს, რომ იგი ტერმინ „ხათთან" იქნებოდა დაკავშირებული. ამ ეთნოსის ენის აღმნიშვნელადაც იგივე „ხათი" ყოფილა გამოყენებული, რაც კარგად ჩანს ხეთური ტექსტებიდან. რომლებშიც ზმნისართის ფორმაში ასახულია თვით სახელწოდება ამ ენისა: „ხათილი",

ე. ი. „ხათურად“, „ხათურ ენაზე“. იგივე „ხათილი“ უნდა ეხმარათ ზედსართავი სახელისათვის — „ხათური“.

ხათური ენის ინტენსიურმა შესწავლამ უკანასკნელ წლებში თითქოს ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა საკითხში, რომელიც მსოფლიოს ენათა ჯგუფებთან ამ ენის დამოკიდებულებას ეხება. როგორც საბოლოოდ დადასტურდა, იგი არ განეკუთვნება არც ინდოევროპულ, არც სემიტურ ენებს. გამოჩენილი ხეთოლოგის, ე. ფორერის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი ხათური ენის ნათესაობის შესახებ ჩრდილოკავკასიურ ენებთან ახლა თითქოს მტკიცდება ხათური ტექსტების რაოდენობის ზრდისა და შესწავლის წყალობით, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიური ენების რეკონსტრუქციათა დახმარებით. ყოველივე ეს აახლოებს ხათური ენის მატარებელი ეთნოსის ვინაობის საკითხის საბოლოოდ გარკვევასაც. თუკი ხათების სახით საქმე მართლაც გვექნება ჩრდილოდასავლურ-კავკასიური ეთნოსის მონათესავე ტომებთან, მაშინ ანატოლიაში მათი ავტოქთონობის, ძირძველი ბინადრობის. საკითხი კარდინალურ გადასინჯვას მოითხოვს: დასაშვები იქნება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ანატოლიაში უძველეს ხანებში მათი გადასახლების შესაძლებლობა. საკითხის ასეთნაირად დაყენება. ბუნებრივია, დაკავშირებული იქნება ცენტრალურ ანატოლიაში ავტოქთონური მოსახლეობის გარკვევის საკითხთან. რაც მომავლის საქმეა. ამჯერად კი სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმად ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ხათები ცენტრალური ანატოლიის ძირითადი ბინადარნი იყვნენ და მათ განეკუთვნებოდათ ბოღაზქოის ადრეული ფენების, ალაჯა-ჰუიუქის I—II, ალიშარ-ჰუიუქის III-ისა და ჰოროზთეფეს ფენების მაღალი კულტურა.

როგორც აღვნიშნეთ, ენობრივი მასალის მიხედვით ხათურ ენასა და, შესაბამისად, ხათურ ეთნოსს, უკავშირებენ ჩრდილოდასავლურ-კავკასიურ ენათა ჯგუფებთან და, მაშასადამე, კავკასიური წარმოშობის ტომებთან. ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ ენათმეცნიერს (განსაკუთრებით, ვ. ივანოვს) მოჰყავს კიდეც ათეულობით ხათურ-ჩრდილოდასავლურ-კავკასიური ენობრივი პარალელი, თუმცა მათი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მოკლებულია სათანადო დამაჯერებლობას. ამავე დროს, ვარაუდობენ, რომ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ანტიკურ ხანებში მოსახლე ზოგიერთი ტომი, მაგალითად, ხალიბები, რომელნიც ცნობილი იყვნენ რკინის დამზადებით, განსახილველი არიან როგორც ხათები, საბოლოო ჯამში კი, როგორც ჩრდილოდასავლურ-კავკასიური წოდგმის ტომები (ვ. ივანოვი), რითაც სრულიადაც არ ეწევა ანგარიში სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას ხალიბების, როგორც ერთ-ერთი ქართვე-

ლური ტომის შესახებ. შესაძლოა, ხალიბების სახელწოდება მართლაც დასაკავშირებელია ხათურ სიტყვასთან „ხაბალქი, ხაფალქი“, რაც „რკინას“ ნიშნავს (იხ. ქვემოთაც). ხათებისაგან ეს სიტყვა, როგორც ვარაუდობენ, უნდა ესესხათ ბერძნებს, რომლებმაც ჩვენთვის საინტერესო ტომებს დაარქვეს „ხალიბები“ — „რკინის მკეთებელნი“ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გამო, ე. ი. მათ მიერ რკინის დამზადების გამო. მაგრამ ეს სრულიადაც არ ადასტურებს ხალიბების უტყუარად გამოცხადებას ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ერთ-ერთ ტომად, რადგან ადრეული ხანებიდანვე ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით) ბინადრობდნენ დასავლურ-ქართველური წარმოშობის ტომები. ამ უკანასკნელთა, და, საერთოდ, ქართველურ ტომთა გაიგივება ხათებთან გამორიცხულია, თუმცა მათ შორის გარკვეული შორეული კონტაქტების არსებობის დაშვება სავსებით შესაძლებელია.

ხათური ენისა და ეთნოსის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოკავკასიურ სამყაროსთან ენობრივი კავშირების ძიებით არ იქნება მთლად გამართლებული, რადგან ასეთ შემთხვევაში სრულიად იქნება უგულებელყოფილი სამხრეთ ამიერკავკასიასთან, სახელდობრ, ქართველურ ენებთან და ქართველურ ეთნოსებთან კონტაქტების არსებობა. ხათური და ქართველური ენების ურთიერთშედარება კი ჯერჯერობით არავის მოუხდენია და არავინ იცის ამ მიმართულებით კვლევა-ძიება რა შედეგს გამოიღებს. საყურადღებოა ზოგიერთი აქამდე გამოვლენილი ფაქტი, მაგალითად, ხათური წარმომავლობის სუფიქსი -ილ თითქმის სრულიად იდენტურია იმავე დანიშნულების ქართველური -ელ სუფიქსისა (შდრ. ხათური „ნერიქაილ“ და ქართული „ნერიქელი“; ხათური „ხათუშაილ“ და ქართული „ხათუშელი“ და სხვა). ხათურ-ქართველური ენობრივი პარალელების გამოვლენა (ამ მხრივ ყურადსაღებია. მაგალითად, ხათური „თეთ“ ქართული „დიდის“ მნიშვნელობით, ხათური „შავათ“ და ქართული „ვაშლ-“; ხათური „ქარამ“ (ღვინის ჭურჭელი) და ქართული „ქვევრ-“; ხათური („ვა-)ცარ“ (ცხვარი) და ქართული „ცხვარ“ და ა. შ.) მომავლის საქმეა.

ხათებით დასახლებულ ქვეყანას უნდა ჰკავებოდა თითქმის მთელი ცენტრალური ანატოლია, განსაკუთრებით ის რაიონები, რომლებიც მოიცავდნენ მოგვიანო პერიოდის კაპადოკიასა და პონტოს. ეს არის ძირითადად თანამედროვე მდ. ყიზილ-ირმაკის (კლასიკური ხანის ჰალისის) რკალით შემოსაზღვრული ტერიტორია. იგი მოფენილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ტიპის დასახლებებით („ქვეყნებით“, „ქალაქებით“, „სოფლებით“), რომლებიც თავიანთი სახელწოდებებითვე

შემორჩენენ მოგვიანო ხანების („კაპადოკიური“ ფირფიტებისა და ხეთური ტექსტების დროინდელ) ცენტრალურ ანატოლიაში. როგორც ამ დასახლებათა სახელწოდებების ლინგვისტურმა ანალიზმა აჩვენა, აღნიშნული რაიონების ტოპონიმიკის დიდი ნაწილი ხათური წარმოშობისა იყო. ამ სახის ტოპონიმები ცენტრალურ მცირე აზიაში არსებობდნენ ხეთების სამეფოს არსებობის მთელს მანძილზე. ზოგიერთები კი — მის შემდგომაც.

ხეთურ ტექსტებში შემორჩენილი ხათური ლექსიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხათურ საზოგადოებას ადრეკლასობრივ დონემდე მიეღწევია. ხათებს ჰყოლიათ მეფე („ქათთე“) და დედოფალი („ქათთახ“), რომელნიც შესაბამის ტიტულებს ატარებდნენ — „ლაბარნა/თაბარნა“ და „თავანნანა“. უფლისწულს „თუხქანთე“ რქმევია, სამეფო ტახტს — „ხანვაშეით“. ლაშქარს და, საერთოდ, მეომრებს აღნიშნავდნენ სიტყვებით: „პაქქუ/ვაქქუ“ და „ციცინთუ“.

სამეფო კარზე მოხელეთა და სასახლის მსახურთა მთელი წყება ყოფილა: მეღვინეთუხუცესი („ვინდუქარამ“), სამეფო სკიპტრის მტარებელი („თანიშავა“), მესუფრე („ცულუვე“), მზარეული („ხანთიფშუეა“), დალაქი („თახაია“), მაცნე („ლუიცცილ“) და სხვა მრავალი.

ხათური პანთეონი მრავალ ღვთაებას („ვაშხაბ“) ითვლიდა. ესენია: მზის ღვთაება („ეშთან“), ქ. არინას მზის ქალღმერთი („ვურუშემუ“), მთვარის ღვთაება („ქაშქუ“), ქვესკნელის ქალღვთაება („ლელვანი“), სამყაროს მაცოცხლებელი ღვთაება („თელიფინუ“), რომელზედაც დამოკიდებული იყო ბუნების აღორძინება, ქვეყნის ნაყოფიერება და სიუხვე და, კიდევ არაერთი ღვთაება. ხათები მათ საპატივცემულოდ დიდ დღესასწაულებს მართავდნენ.

თუკი ბოღაზქოის, ალაჯა-ჰუიუქის, ალიშარ-ჰუიუქის და ჰოროზთეფეს ზემომითითებული ფენების კულტურა მართლაც ხათებს განეკუთვნებოდათ, მაშინ ხათური საზოგადოების კულტურის დონე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. როგორც ახლა ვარაუდობენ, ხათები დიდად უნდა ყოფილიყვნენ დაწინაურებული ლითონთა წარმოების, განსაკუთრებით, რკინის დამზადების საქმეში, რაშიც მათ პიონერებად თვლიან. როგორც ვარაუდობენ, ხათებს უნდა სცოდნოდათ არამარტო მეტეორიტული რკინის დამუშავება, არამედ მადნეული რკინის მიღებაც (რკინასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ). ალაჯა-ჰუიუქის ზემოაღნიშნულ ფენაში, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. XXI ს-ით თარიღდება, სწორედ მადნეული რკინისაგან დამზადებული სატევარი აღმოაჩინეს (ეს დაადასტურა სატევრის მეტალოგრაფიულმა ანალიზმა). რკინას ხათურად ერქვა „ხაბალქი“ („ხაფალქი“), რომელიც მოგვიანებით, როგორც ეს პირველად ვ. ივანოვმა შენიშნა,

ძველ ბერძნულ ენაშიც შესულა (ამ ხათურ სიტყვას ახლა ადარებენ ბერძნულ სიტყვებთან χάλυψ „ფოლადი“ და κηλκή „სპილენძი; რკინა“).

ხათური ეთნოსი ცენტრალურ ანატოლიაში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე ან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე უნდა არსებულიყო. ამის შემდეგ ხათები თანდათან ჰკარგავენ თავიანთ ეთნიკურ ინდივიდუალობას ისე, რომ სარბიელს უთმობენ ცენტრალურ მცირე აზიაში იმავე ხანებშივე მცხოვრებ და საკმაოდ მომძლავრებულ სხვა ეთნოსს. ესენი იყვნენ ინდოევროპული წარმოშობის ტომები. ამ ორი ეთნოსის მშვიდობიან ჭიდილში საფუძველი ჩაეყარა ახალ ეთნოსს — ხეთებს, რომელთა შესახებ ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ. ახლა კი შევეხოთ საკითხს, თუ, სახელდობრ, რომელ ინდოევროპელ ტომებთან უნდა გვქონოდა საქმე ცენტრალურ მცირე აზიაში მცხოვრები ინდოევროპელების სახით?

ინდოევროპელები. „ტუნგუსის მეტეორიტი“. ნესიტების ძირითადი კერა — ქუსარა

ინდოევროპულ ენათა ოჯახი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია, რომელსაც განეკუთვნება ისეთი ენობრივი ჯგუფები, როგორიცაა ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური), ინდოირანული, ბალტური, სლავური, კელტური, გერმანიკული, იტალიკური, ანდა ცალკეული ენები — ბერძნული, სომხური და სხვანი. ყველა ეს ენა წარმოიშვა ე. წ. წინარე (ანდა პროტო-)ინდოევროპული ენის სხვადასხვა გენეტურ დიალექტად დაშლის შედეგად.

ერთ-ერთი ადრეული ტალღა, წინარეინდოევროპული ეთნოსიდან გამოყოფილი, სწორედ ჩვენთვის საინტერესო პროტოანატოლიური ინდოევროპული ენის მატარებელი ეთნოსია. ამ ენას იმიტომ დაერქვა „ანატოლიური“, რომ ინდოევროპელთა პირველდელი საცხოვრისი ტერიტორიის ანუ წინარესამშობლოს მიტოვების შემდეგ მისი მატარებელი ეთნოსი ანატოლიაში დასახლდა. აღნიშნულმა ენამ მოგვიანებით ანატოლიაშივე განიცადა დიფერენციაცია რამდენიმე დიალექტად (და შესაბამისად, ეთნოსად), რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ხეთური ენა (და. შესაბამისად, ხეთური ეთნოსი) იყო.

ანატოლიაში მცხოვრებ ინდოევროპელებთან დაკავშირებით ბევრი რამაა ჩვენთვის ცნობილი. მაგრამ დღეისათვის დაუდგენელია ერთ-ერთი უმთავრესი — როდის და საიდან მოვიდნენ ინდოევროპელები მცირე აზიაში. ეს პრობლემა კი გადახლართულია საერთოდ ინდოევროპელთა წინარესამშობლოს დროისა და ადგილის დადგენის პრობლემასთან. ტრადიციული შეხედულებებისაგან განსხვავებით, რომლის

მიხედვით ასეთ ადგილად უნდა მივიჩნიოთ ცენტრალური ან აღმოსავლეთი ევროპა. თანამედროვეობის ორმა დიდმა ლინგვისტმა — თამაზ გამყრელიძემ და ვიაჩესლავ ივანოვმა ფუნდამენტურ ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" (თბილისი. 1984, რუსულად) წამოაყენეს ახალი მოსაზრება: ინდოევროპელთა წინარესამშობლო საძებნია წინა აზიაში, იქ, სადაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო ინდოევროპულ, სემიტურ, ქართველურ და სხვა ენათა ურთიერთკონტაქტები. ასეთ რეგიონად მათ მიაჩნიათ ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ზემო მესოპოტამიამდე (მოიცავს აღმოსავლეთ მცირე აზიასაც). ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა მკვლევრებმა აღადგინეს ინდოევროპული წინარე ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ უძველესი ინდოევროპელები, სანამ ისინი დანაწევრდებოდნენ ერთმანეთისგან ენობრივ დიალექტად. ამ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, წინარეინდოევროპულ ენას გამოყოფილი პროტოანატოლიური ინდოევროპული დიალექტის მატარებელი ტომები წინა აზიის რომელიღაც ახლომდებარე რეგიონიდან (შესაძლოა, თვით აღმოსავლეთ ანატოლიის აღმოსავლეთი პერიფერიიდან) უნდა გადასახლებულიყვნენ უფრო დასავლეთით, სადაც მათ მოგვიანებით უნდა განეცადათ დიფერენციაცია. თუკი ასეთ გადმოსახლებას მართლაც ჰქონდა ადგილი, იგი უნდა მომხდარიყო დაახლოებით ძვ. წ. IV—III ათასწლეულების მიჯნაზე (ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ძველაღმოსავლურ წყაროებში, თვით ხეთურ წყაროებშიც კი, ინდოევროპელთა, კერძოდ, ხეთების, ანატოლიაში გადმოსახლების საკითხი საერთოდ არ აისახა).

ამგვარად, მცირე აზიაში ინდოევროპელთა მოსვლის გზებისა თუ დროის საკითხი ბოლო ხანებში ძალზედ აქტუალური გახდა და მისი საბოლოოდ გადაწყვეტა მომავლის საქმეა. ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენს მეცნიერულ სამყაროში (ი. დიაკონოვის მიერ) შედარებულ იქნა ისეთ უნიკალურ მოვლენასთან, როგორიც იყო ტუნგუსის მეტეორიტი მისი დამანგრეველი ძალით. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის სამუშაო ჰიპოთეზა მართლაც „ანგრევს" ძველ შეხედულებას ინდოევროპელთა წინარესამშობლოსთან დაკავშირებით. იგი მალე, ალბათ, მეცნიერულ დებულებად იქცევა, რადგან აღნიშნული ჰიპოთეზის მომხრეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს, ხოლო თვით ჰიპოთეზას სულ უფრო მეტი დამაჯერებლობა ემატება.

ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე ინდოევროპული წარმოშობის ტომების არსებობა ცენტრალურ მცირე აზიაში წერილობითი წყაროებითაა დამტკიცებული. უფრო მეტიც. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალური ანატოლიის გარდა ინდოევროპელები გავრცელებული ყოფილან მცირე აზიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე.

„კაპადოკიური“ ლურსმული ფირფიტების მონაცემებით, ინდოევროპული წარმოშობის სახელებს ატარებდნენ ადამიანები, რომლებიც ანატოლიის სულ სხვადასხვა რაიონში მოსაქმეობდნენ. ამავე ტექსტებში აღმოჩენილია ცალკეული სიტყვებიც (**ისხიულ** „შეკავშირება; ხელშეკრულება“, **ისფანთ** „ღამე“ და სხვ.), რომლებიც ამკარად ინდოევროპული, კერძოდ, ხეთურია (უფრო ზუსტად — ნესური. ქანესური). ახლა უკვე საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება მოსაზრება, რომ აღნიშნული პერიოდისათვის დამთავრებული უნდა ყოფილიყო საერთო ანატოლიური ინდოევროპული ფუძე-ენის დანაწევრების პროცესი მის ცალკეულ დიალექტებად — ნესურად ან ქანესურად ცენტრალურ ანატოლიაში (მეცნიერებმა სწორედ ნესური ანუ ნესიტური, იგივე ქანესური დიალექტი მონათლეს როგორც „ხეთური“, რაც სრულ გაუგებრობაზე იყო დამყარებული — იხ. ქვემოთ), ლუვიურად (მცირე აზიის სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში) და ფალაურად (ანატოლიის ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთში). მოგვიანებით. სწორედ ამ დიალექტებიდან შეიქმნა სათანადო ენობრივი ერთეულები.

ახალ ტომთა კავშირების წარმოქმნის პროცესი მრავალი საუკუნე გრძელდებოდა. ამიტომ ანატოლიური წინარე ენის დიფერენციაციის დასაწყისი (რასაც ადგილი ჰქონდა თვით ანატოლიის ტერიტორიაზე) განეკუთვნება იმ ეპოქას, როდესაც მცირე აზიაში დამკვიდრებული ინდოევროპელი ტომები ცხოვრობდნენ გვაროვნული წყობილების პირობებში — დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს — III ათასწლეულის დამდეგს. ჯერჯერობით არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ის ტერიტორია, სადაც დამკვიდრდა ანატოლიური წინარე ენის მატარებელი ეთნოსი და საიდანაც გამოიყვნენ ცალკეული ტომობრივი დიალექტები (ასეთ ტერიტორიად ვარაუდობენ სამხრეთ ანატოლიას). მიახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ ნესიტი ტომების უძველესი განსახლების კერა. ეს იყო ნესიტების აღრეული პოლიტიკური გაერთიანების ადგილი — ქუსარა (ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, საძებნია ნესა/ქანესთან სადღაც ახლოს) და მისი მეზობელი ნესა (ქანესი). როგორც ჩანს, აქედან, ე. ი. თანამედროვე მდ. ყიზილ-ირმაკის შუა დინების მოსაზღვრე სანახებიდან, დაიწყო ნესიტების გავრცელება მთელს ცენტრალურ ანატოლიაში. სადაც გაბატონებული მდგომარეობა იმხანად ადგილობრივ ხათებს უნდა ჰქავებოდათ. ხათებისა და ნესიტების ურთიერთობა, როგორც ჩანს, მშვიდობიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ხათურ-ნესიტური ორენოვნება. რომელიც ემთხვევა ცენტრალურ ანატოლიაში ქალაქ-სახელმწიფოთა არსებობის ხანას (იხ. ზემოთ). მოგვიანებით, როდესაც დასრულდა ორ-

ენოვნების პროცესი, ცენტრალურ ანატოლიაში შეიქმნა სრულიად შეცვლილი ეთნო-პოლიტიკური სიტუაცია. რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

ᲰᲔᲗᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲠᲘᲢᲔᲑᲘ

ზემოგანხილული ორი ძირითადი ეთნოსის გარდა, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალურ მცირე აზიაში არსებობდნენ, აგრეთვე, სხვა ეთნიკური ჯგუფები. მართალია, ისინი არ განეკუთვნებოდნენ ანატოლიის ავტოქთონურ მოსახლეობას. მაგრამ მცირე აზიაში ძველთაგანვე ბინადრობდნენ და ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ. ესენი იყვნენ სემიტური და ხურიტული წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები.

ᲡᲔᲛᲘᲢᲣᲠᲘ ეთნიკური ელემენტი ცენტრალურ ანატოლიაში საკმაოდ ადრეული ხანებიდან ჩნდება, ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან, როდესაც ივარაუდება მცირე აზიაში აღმოსავლელი სემიტების— აქადელი ვაჭარ-კოლონისტების გადმოსახლება (იხ. ზემოთ). ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ცენტრალური მცირე აზია უკვე სხვა აღმოსავლელი სემიტებით — ასურელი ვაჭრებით იყო მოფენილი. მათ გვერდით საქმიანობდნენ სემიტი ვაჭრები დასავლეთ წინა აზიიდან — ე. წ. ამორეელები (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ სირიელები). მცირე აზიაში უნდა ჩამოსულიყვნენ ებლაელი ვაჭრები — ებლას ქვეყნის მკვიდრნი (ებლას ქალაქი-სახელმწიფო ამ ხანებისთვისაც მძლავრ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი მდებარეობდა თანამედროვე თელ-მარდიხის მიდამოებში, ალეპოს სამხრეთით დაახლოებით 40 კმ-ზე).

სემიტი ვაჭრები მცირე აზიაში ჩამოსახლებული იყვნენ თავიანთი ოჯახებითურთ, რომლებიც ანატოლიაში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქმნიდნენ ახალ ოჯახებს. სემიტი ვაჭრების რამდენიმე თაობა საქმიანობდა ცენტრალურ ანატოლიაში. ამ ხნის განმავლობაში მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთანაც. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში დადასტურებულია არაერთი ფაქტი, რომელთა თანახმად ადგილობრივი წარმოშობის ზოგიერთი პიროვნება უკვე სემიტურ სახელს ატარებდა (აისახა პირუკუ სურათიც — სემიტური წარმოშობის ადამიანებს ადგილობრივი, მცირეაზიული სახელი ერქვათ). ადგილობრივი მოსახლეობის ლექსიკაში თანდათან სემიტური წარმოშობის სიტყვებიც გაჩნდა. სემიტებმა დიდი გავლენა მოახდინეს არამარტო ადგილობრივი ვაჭრობის ორგანიზების განვითარებაზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივ ვაჭართა მომძლავრე-

ბას, არამედ ადგილობრივ რელიგიასა და კულტურაზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ლურსმული დამწერლობა ცენტრალურ ანატოლიაში სწორედ აღმოსავლელმა სემიტებმა შემოიღეს — ეს იყო ძველი აქადური ლურსმული დამწერლობის ძველი ასურული ვარიანტი, რომელსაც ხმარობდნენ როგორც სემიტი ვაჭრები, ასევე ადგილობრივ მცხოვრებთა ზედაფენები. ამ დამწერლობითა და აქადური ენის ძველასურულ დიალექტზე შედგენილია ადგილობრივ ქალაქ-სახელმწიფოთა მმართველებისა და დიდ მოხელეთა პოლიტიკური, საქმიანი თუ იურიდიული შინაარსის ტექსტები (რომელიმე ადგილობრივ ენაზე შედგენილი ტექსტი ადგილობრივი დამწერლობით დღემდე ცნობილი არ არის, რაც აუცილებლად არ უნდა იყოს იმის მანიშნებელი, რომ ასეთი დამწერლობა ადგილობრივ მოსახლეობას საერთოდ არ გააჩნდა). ანატოლიაში მცხოვრები სემიტების კულტურული გავლენა ადგილობრივ საზოგადოებაზე. შესაძლოა, გაძლიერებულიყო, სემიტი ვაჭრების საქმიანობა ანატოლიაში რომ რაღაც მიზეზთა გამო უეცრად არ შეწყვეტილიყო (იხ. ზემოთ).

ხ ურ ი ტ ულ ი (ხურიული) ეთნიკური ელემენტი ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგის ცენტრალურ ანატოლიაში გაცილებით სუსტი იყო სემიტურთან შედარებით, მაგრამ როგორც განსხვავებული ეთნიკური ერთეული იგი მაინც არსებობდა სხვა ეთნიკური ჯგუფების გვერდით. ამ დროისათვის ხურიტები საკმაოდ მომძლავრებული იყვნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, საიდანაც ისინი ცოტა უფრო მოგვიანებით იჭრებოდნენ აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიაში. „კაპადოკიური“ ფირფიტების თანახმად, ხურიტული წარმოშობის სახელების მატარებელი ადამიანები ცენტრალურ ანატოლიაში სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებული. აღნიშნული ხანისათვის ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ისეთი მძლავრი ხურიტული გავლენა მცირეაზიულ საზოგადოებაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოგვიანებით, ხეთების „ძველი სამეფოს“ ხანაში (იხ. ქვემოთ), როდესაც ხურიტების მძლავრი ნაკადის შემოღწევას აღმოსავლეთ მცირე აზიაში თან ერთვოდა ხურიტული რელიგიისა და კულტურის გავლენის გაძლიერება. მაგრამ, როგორც ჩანს, ცენტრალურ ანატოლიაზე ხურიტული სამყაროს გავლენის საწყისები უფრო ადრეულ ხანებშია საეარაუდებელი. იგი უნდა არსებულიყო „კაპადოკიური“ ფირფიტების ხანაშიც, მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ ანატოლიას უშუალოდ ემეზობლებოდა ხურიტული სამყარო.

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში დაბეჯითებით გამოთქვამენ ვარაუდს ხურიტების წარმომავლობასთან დაკავშირებით: ხურიტები წარმოშობით ჩრდილოაღმოსავლურ-კავკასიური ეთნოსის წარმომადგენლები ყოფილან (ი. დიაკონოვი). მათ ადრეულ ხანებში უნდა დაე-

ტოვებინათ კავკასია და გადმოსახლებულიყვნენ სამხრეთით, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

* *
*

დაახლოებით ამგვარად გამოიყურებოდა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დამდეგისათვის ცენტრალური მცირე აზიის ეთნიკური შემადგენლობის სურათი. დასავლეთ წინა აზიის ამ რეგიონში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ეთნიკურად სულ სხვადასხვა წარმოშობის ადამიანები: ხათები, ინდოევროპელები (ლუვიელები, ნესიტები, ფალაელები), აღმოსავლელი თუ დასავლელი სემიტები, ხურიტები, ე. ი. აღნიშნული ხანის დასავლელი წინა აზიის იმხანად ცნობილი ყველა ეთნოსის წარმომადგენლები. ამასთანავე, სრულიად არ არის გამოსარიცხი იმავე ტერიტორიაზე ეთნიკურად კიდევ სხვა წარმოშობის ადამიანთა არსებობა (განსაკუთრებით, სამხრეთ ამიერკავკასიიდან), რომლებიც შეიძლება იგულისხმებოდნენ ისეთ სახელებში, რომელთა წარმოშობა დღეისათვის გაურკვეველია (შდრ. მაგალითად, „კაპადოკიურ“ ფირფიტებში დაცული სახელწოდება მამაკაცისა „კათარზია/ქათარზია“, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ურარტული ლურსმული წყაროების „ქათარზა“ ქვეყნისა და ტომის სახელწოდებას).

IV

ხეთების აღმოჩენა და ხეთური პრობლემის გადაჭრა

„კაპადოკიური“ ფირფიტების ხანის (ძვ. წ. 1900—1750 წწ.) მომდევნო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ცენტრალური ანატოლიის ეთნიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების სურათი. ძვ. წ. 1650 წლისათვის ცენტრალურ მცირე აზიაში წარმოიშვა ხეთების სამეფო — ხათი, რომელმაც ძვ. წ. 1200 (ან ძვ. წ. 1190) წლამდე იარსება. ამის შემდეგ ხეთები ფაქტობრივად გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან. მართალია, ძვ. წ. I ათასწლეულის ძველაღმოსავლურ წყაროებში, ხოლო მოგვიანებით, ბიბლიაში, კვლავ გამოჩნდნენ „ხეთები“ — „ხათის ქვეყნის“ მცხოვრებნი, მაგრამ ამ სახელწოდებაში უკვე სხვა შინაარსი იგულისხმებოდა. ანტიკურ ხანაში აღარავის ახსოვდა ხეთების არსებობა. ახალ დროში ხეთები კვლავ აღმოაჩინეს და შესაძლებლობისამებრ აღადგინეს მათი ისტორია. ოღონდ ამას დასჭირდა თითქმის მთელი ოცი საუკუნე. თუ როგორ მოხდა ეს, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მცირე აზია — მკვლევართა და მოგზაურთა ჟურადღების ცენტრში

ანტიკური ხანის ისტორიით გატაცებულმა მკვლევრებმა ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისიდანვე თურქეთში აღმოაჩინეს ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელი ძეგლები. გასული საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა არქეოლოგმა და მოგზაურმა შ. ტექსიემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოგზაურა ანატოლიაში, მოინახულა პატარა თურქული სოფელი ბოღაზქოი და მასთან ახლოს მდებარე იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი ბარელიეფი. 1839 წ. მან პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „მცირე აზიის აღწერა“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხალხს, რომლის ძლიერებაზე მიუთითებდა ბოღაზქოის ნანგრევები, უძველეს ხანებში უნდა ეცხოვრა მცირე აზიაში.

შ. ტექსიეს შემდეგ ბოღაზქოიში ჩავიდა ინგლისელი უ. ჰამილტონი, რომელმაც აღმოაჩინა უძველესი დროის ნანგრევები სოფელ

ალაჯა-ჰუიუქში. 1859—61 წწ-ში ბოღაზქოი შეისწავლეს გერმანელებმა ჰ. ბარტმა და დ. მორდტმანმა, ხოლო 1862 წლიდან ანატოლიაში რამდენჯერმე იმოგზაურა ფრანგმა მეცნიერმა ჟორჟ პერომ. 1887 წ. მან გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ანტიკური ხელოვნების ისტორია", რომელშიც მოცემული იყო ცნობები ანატოლიაში შეგროვებული ძეგლების შესახებ. 1882 წ. კარლ ჰუმანმა, პერგამონის საკურთხევლის აღმომჩენმა, შეადგინა ბოღაზ-ქოის ნანგრევების პირველი გეგმა და ჩამოასხა იაზილიქაიას ბარელიეფების პირველი მულაჟები. 90-იან წლებში ბოღაზქოიში გაემგზავრა ბერლინის საიმპერიო მუზეუმის ექსპედიცია. ამავე ხანებში აქ ფრანგმა შანტრმა და გერმანელმა შეფერმა აღმოაჩინეს ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტების რამდენიმე ფრაგმენტი.

მიუხედავად დიდი ცდებისა და მონდომებისა, ამ მეცნიერთა და მოგზაურთაგან ვერც ერთმა სწორად ვერ განსაზღვრა ცენტრალურ ანატოლიაში აღმოჩენილი ძეგლების მნიშვნელობა, კერძოდ ის, რომ ყველა ეს ძეგლი ეკუთვნოდათ ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ხეთებს. ტექსიეს აზრით, ბოღაზქოი წარმოადგენდა ანტიკურ ქალაქ ფტერიას (ფტერის), სადაც კრეზი და კიროსი შეებრძოლნენ ერთმანეთს, ხოლო იაზილიქაიას გამოსახულებებმა მას მოაგონა ამაძონეებისა და პაფლაგონელთა შეტაკება. არც შანტრმა და შეფერმა იცოდნენ, რომ მათ მიერ ნაპოვნი ფრაგმენტები თიხის ფირფიტისა ხეთურ ენაზე იყო შედგენილი.

XIX ს-ში მართლაც არავის შეეძლო განეხილა ბოღაზქოი როგორც ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქი, ხოლო იაზილიქაია — ხეთურ ღვთაებათა პროცესია ცალკეულ მეფეთა პორტრეტებით. ამის მიზეზი იყო ის, რომ XIX ს-ის ბოლოსათვის, როდესაც ყურადღება მიაქციეს ბიბლიის მონაცემებს „ხეთების შესახებ", ხეთების ქვეყანას სპეციალისტები ათავსებდნენ არა ანატოლიაში, არამედ ჩრდილოეთ სირიაში, სადაც აღმოაჩინეს მანამდე უცნობი იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული მრავალი წარწერა.

ერთ-ერთი მოგზაურთაგანი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ დამწერლობით შედგენილ ტექსტებს, იყო გერმანელი ი. ბურკჰარდტი (აღმოსავლეთში მოგზაურობისას „შეიხ იბრაჰიმად" წოდებული). XIX ს-ის დასაწყისში, ჩრდილოეთ სირიაში მოგზაურობის დროს, მან პირველმა აღწერა ჰამათის ერთ-ერთი სახლის კედელში მოთავსებული იეროგლიფური ნიშნებით მოფენილი ქვები, შემდგომ სამეცნიერო ლიტერატურაში „ჰამათის ქვებით" ცნობილი. 1870 წ. ჰამათის ქვები ინახულა ორმა ამერიკელმა მოგზაურმა — ო. ჯონსონმა და ს. ჯესაპმა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ დამასკოში მცხოვრებმა ირ-

ლანდიელმა მისიონერმა უილიამ რაიტმა შეძლო ეს ქვები კონსტანტინოპოლს, მისი მულაჟები კი ბრიტანეთის მუზეუმში გაეგზავნა. იმავე იეროგლიფებით შედგენილი ტექსტები მომდევნო ხანებში აღმოაჩინეს ინგლისელებმა ვ. სკინმა და ჯ. სმითმა ჩრდილოეთ სირიის სხვა ადგილას — ჯერაბლუსში, ასურული ლურსმული წყაროების ქარხემიშში.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისათვის მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ სირიაში აღმოჩენილი იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული იყო, აგრეთვე, რამდენიმე წარწერა ანატოლიიდან (იაზილიქაიას კლდეზე, ბოღაზქოის ერთ ძველ გალავანში ნიშანთაშის კლდეზე, ივრიზში და სმირნის მიდამოებში). ამან საშუალება მისცა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს არჩიბალდ სეისს და უილიამ რაიტს წამოეყენებინათ მოსაზრება, რომ ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიაში აღმოჩენილი იეროგლიფური წარწერები ერთმანეთთანაა დასაკავშირებელი და ისინი ეკუთვნოდათ ბიბლიაში მოხსენიებულ „ჰიტტიმს“ („ხეთებს“), რომელიც ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში იყო საძიებელი. მათ მაშინვე დაუკავშირეს ეგვიპტურ იეროგლიფურ და ასურულ წარწერებში მოხსენიებული „ხეთა“ და „ხათი“, ისევე როგორც თელ-ამარნას არქივის აქადურად შედგენილი ტექსტების „ხათი“.

ეს შეხედულება XX ს-ის დასაწყისამდე ბატონობდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასობაში კი ჩრდილოეთ სირიაში აღმოჩენილ იქნა კიდევ მრავალი იეროგლიფური წარწერა, რომლებსაც უკვე „ხეთურს“ უწოდებდნენ. 80-იან წლებში ისინი იპოვეს ზენჯირლის გათხრების დროს კ. ჰუმანმა და ფ. ლუშანმა, ხოლო მომდევნო ხანებში იეროგლიფური დამწერლობით შედგენილი ასეთი წარწერები აღმოაჩინეს ჩრდილოეთ სირიის კიდევ სხვა ადგილას (ალეპოში, მარაშში). მათი დიდი ნაწილი ლ. მესერშმიდტმა გამოაქვეყნა 1900 წელს სათაურით: „ხეთური წარწერების კორპუსი“.

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს წარწერები, რომელთა უმრავლესობა ძვ. წ. I ათასწლეულს განეკუთვნებოდა, სრულიადაც არ წარმოადგენდნენ ნამდვილ ხეთურ ტექსტებს, ხოლო მათში მოხსენიებული „ხეთები“ სრულიადაც არ იყვნენ ნამდვილი ხეთები. ხეთური ლურსმული ტექსტები მაშინ არც კი იყო აღმოჩენილი, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ ორ ლურსმულ ფრაგმენტსა და თელ-ამარნას არქივში დაცულ ე. წ. „არცავას წერილებს“ (სულ ორ ფირფიტას). სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მრავალი წლის კვლევა-ძიებამ საბოლოოდ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული იეროგლიფური ტექსტების ენაც არ იყო ხეთური (ნესიტური), თუმცა იგი ამ უკანასკნელის მონათესავე

აღმოჩნდა და ეკუთვნის ანატოლიურ ენათა ჯგუფს. წარმოადგენს რა ლუვიური ლუსპულის მოგვიანო დიალექტს. ამიტომ მეცნიერები ამ ენას ანალ „ლუვიურ იეროგლიფურს“, ხოლო წარწერებს — „ლუვიურ იეროგლიფებს“ (ტრადიციით, ზოგჯერ კვლავ „ხეთურ იეროგლიფებს“) უწოდებენ.

ასე რომ, ხეთების პრობლემა გადაუჭრელი დარჩა XX ს-ის დამდეგისათვის, როცა ასირიოლოგიამ პირველ დიდ წარმატებებს მიაღწია. ხეთების საიდუმლოებას ფარდა ახადა მხოლოდ გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, „პან-ბაბილონიზმის“ ერთ-ერთი ავტორის — ჰუგო ვინკლერის გათხრებმა, რომლებიც 1906 წ. დაიწყო ბოღაზქოი-ში „ევრმანიის აღმოსავლური საზოგადოების“ მხარდაჭერით და 1912 წ-ამდე გაგრძელდა. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

„ხეთები“ ბიბლიაში

ვასელი საუკუნის შუა ხანებამდე „ხეთებს“ იცნობდნენ მხოლოდ ბიბლიიდან, კერძოდ, ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნიდან (იხ., მაგალითად. წიგნები „დაბადებისა“, „გამოსლვათა“, „რიცხვთა“, „სჯულთა“, „მეფეთა“ და სხვ.). მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიბლიის „ხეთები“ არ წარმოადგენდნენ იმ „ხეთებს“, ძვ. წ. II ათასწლეულის მცირე აზიაში რომ სახლობდნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ნამდვილი ხეთების“, როგორც ჩანს, შორეული შთამომავალნი და მათი კულტურული ტრადიციების გამგრძელებლები, რომელთაც ხეთების სამეფოს შემდეგ ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ სირიაში (ნაწილობრივ, პალესტინაშიც) უნდა დაედოთ ბინა (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში); მათი აღმნიშვნელი სახელწოდება კი იმდანად უკვე ლეგენდად ქცეული ოდესღაც მრისხანე „ხათიდან“ მომდინარეობდა.

ბიბლიაში „ხეთები“ დასახელებული არიან ქანაანელთა, ამორეელთა. არამეელთა, ებრაელთა და, შესაძლოა, ხურიტების გვერდით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ ტომთაგან „ხეთები“ ეთნიკურად სრულიად განსასხვავებელი არიან. ამიტომაც არ გამოირიცხება მათი ენის დაკავშირება „ლუვიური (ხეთური) იეროგლიფური“ ტექსტების ენასთან, რომელიც ხეთური (ანატოლიური) ინდოევროპული ენების მონათესავეა. ბიბლიის „ხეთები“, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი „მეფენი“ (შდრ., მაგალითად, „მეფეთა წიგნი“, IV, 7:6: „აჰა. ესერა, მოსამეიმარდნა ჩუენ ზედა მეფემან ისრაელისაგან მ ე ფ ე ი გ ი ქ ე ტ ე ლ თ ა“ და „მეფე იგი ეგვიპტელთა“), მოგვიანებით უნდა შერეოდნენ ადგილობრივ ჰარბ სემიტურ მოსახლეობას.

ებრაულ ბიბლიაში ხეთების აღმნიშვნელი სახელწოდება (რომელსაც საფუძვლად უდევს, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის ასურული და ურარტული წყაროების „ხათი“, „ხათე“, რაც თავის მხრივ მომდინარეობს ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელი ტექსტებიდან ხეთურ და აქადურ ენებზე) გადმოცემულია „ჰიტტიმ“ ფორმით, ხოლო ბერძნულ ბიბლიაში — როგორც „ხეტტაიოი“. ევროპულ ენებზე ბიბლიის თარგმნისას სწორედ ეს დაედო საფუძვლად ხეთების აღმნიშვნელ ტერმინს: Hethiter (გერმ.), Hittites (ინგლ.), Hittites (ფრანგ.) და ა. შ. რუსულ ბიბლიაში ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება გადმოცემულია „хеттей; сыны хеттовы; хеттеяне“-ს ფორმებით, საიდანაც გაჩნდა თანამედროვე რუსული და ქართული „хетты“ და „ხეთები.“

ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში კი ხეთებს ერქვათ „ქეტელნი“ (ნათ. ბრ. „ქეტელთა“), ან „ძენი ქეტისნი“ (ნათ. ბრ. „ძეთა ქეტისთა“). რაოდენ დასანანია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ხეთების აღსანიშნავად თავიდანვე არ დამკვიდრდა სწორედ ბიბლიიდან გადმოქართულებული, ჩვენი აზრით, ძალზედ მარჯვე ფორმები! ხეთების აღსანიშნავად ხომ ევროპასა და რუსეთში საფუძვლად დაუდეს სწორედ ბიბლიაში ნახმარი სახელწოდებები? საქართველოში ხომ ხეთების აღმნიშვნელი სახელი ცნობილი გახდა ბიბლიის ქართულად თარგმნის დროიდან, ე. ი. გაცილებით ადრე, ვიდრე ბიბლია ითარგმნა ევროპასა და რუსეთში? ქართულმა ისტორიოგრაფიამ მათ რატომღაც თავიდანვე აუარა გვერდი და რუსული სამეცნიერო ლიტერატურიდან გადმოაქართულა: „ხეთები“. აქვე დავსძენთ, რომ ახლა სრულიად უმართებულოა ქართულად ვიხმაროთ „ჰეთიტები“ (ან „ჰითიტები“), როგორც ამას ზოგიერთი ავტორი წინდაუხედავად აკეთებს, რადგან ასეთი ფორმები სხვა არაფერია თუ არა გერმანული (ან ინგლისური და ფრანგული) ბიბლიიდან აღებული ფორმების გადმოქართულება. ახლა ისევ ტრადიციას უნდა მივყვეთ და ვწეროთ „ხეთები“, მათი ქვეყნის აღსანიშნავად კი, როგორც ეს თვით ხეთურ წყაროებშია, „ხათი“ (და არა „ჰატტი“, „ხატტი“ და მისთანანი).

„ხეთები“ ძველაღმოსავლურ წყაროებში

XIX ს-ში მკვლევარებმა ბიბლიის „ხეთებს“ მაშინვე დაუკავშირეს ეგვიპტურ იეროგლიფურ და ძველ ასურულ წარწერებში მოხსენიებული „ხეთა“ და „ხათი“. ამასთანავე, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყველა ამ წარწერის „ხეთები“ განეკუთვნებოდნენ ძალზედ ადრეულ ხანას, ვიდრე ბიბლიაში მოხსენიებული „ხეთები“.

ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში „ხეთას“ მოხსენიება იწყებოდა XVIII დინასტიის დროიდან, როცა თუტმოს III სირიის ჩრდილოეთ რაიონებში შეიჭრა და ევფრატი გადალახა. ეგვიპტურმა წარწერებმა შემოინახეს ვრცელი მოთხრობა ქალაქ კადეშთან ეგვიპტელებისა და ხეთების მძაფრი ბრძოლისა.

ძველ ასურულ (ბაბილონურ) წყაროებში „ხათის“ უძველესი მოხსენიება განეკუთვნება სამსუდითანას მეფობის ხანას, როცა ხეთებმა ბაბილონს ილაშქრეს და ბოლო მოუღეს ბაბილონის პირველ დინასტიას. ხეთების სამეფოსთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობები იყო დაცული თელ-ამარნას არქივშიც, რომელიც აქადურ ენაზე დაწერილ ტექსტებს შეიცავდა (ეს არქივი ცნობილი გახდა 1887 წლიდან).

ყველა ამ ფაქტიდან ჩანდა, რომ „ხათი“ სადღაც ჩრდილოეთში, როგორც ზოგიერთი მეცნიერი უკვე ვარაუდობდა, მცირე აზიაში, მდებარეობდა და ძლიერ სამეფოს წარმოადგენდა. მაგრამ იმ ხანად სათანადო ლოგიკური კავშირი ვერ იბმებოდა ამგვარ დასკვნასა და მოგვიანო ხანის (ძვ. წ. I ათასწლეულის) ასურული წყაროების მონაცემებს შორის: ამ უკანასკნელთა თანახმად, „ხათი“ მდ. ევფრატის დასავლეთით, ჩრდილოეთ სირიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მოსაზღვრე რაიონებში მდებარეობდა (იგივე აჩვენა ურარტული წყაროების გაშიფვრამაც, როდესაც გაირკვა, რომ „ხათე“ მდ. ევფრატის დასავლეთით იყო საძებნი).

მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 80-იან წლებში უკვე გამოჩნდა ნაშრომები, რომლებშიც გამოითქვა ვარაუდი ხეთების არსებობისა მცირე აზიაში (მაგალითად, ა. სეისის ნაშრომი „ხეთები მცირე აზიაში“, ლონდონი, 1880 წ.; უ. რაიტის წიგნი „ხეთების იმპერია“, ლონდონი, 1884 წ.), სადაც ხეთები თითქოს ნელ-ნელა გავრცელებულან ჩრდილოეთ სირიიდან. ასე რომ, ხეთური პრობლემა XX ს-ის დასაწყისამდე საბოლოოდ მაინც ვერ გადაიჭრა. ეს მოხერხდა მხოლოდ ჰ. ვინკლერის გათხრების შემდეგ ბოღაზქოიში.

ჰუგო ვინკლერი ბოღაზქოიში

„გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების“ მხარდაჭერით ჰ. ვინკლერმა არქეოლოგიური გათხრები ბოღაზქოიში 1906 წელს დაიწყო საკმაოდ მძიმე პირობებში (ადგილობრივი კლიმატური პირობები, შეზღუდული თანხები, მუშახელის ნაკლებობა, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობა და ა. შ.). მისი თანაშემწე იყო თურქი მაკრიდი ბეი.

ჰ. ვინკლერის აღმოჩენებმა ბოღაზქოიში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — გამომზეურებულ იქნა ათასობით ლურსმული ფირფიტა და ფრაგმენტი, რომელთა ერთი ნაწილი შედგენილი იყო სპეციალისტებისათვის უკვე კარგად ცნობილ აქადურ (ასურულ-ბაბილონურ) ენაზე.

ჰ. ვინკლერი გათხრების პროცესშივე შეუდგა ამ ენაზე დაწერილი ფირფიტების კითხვას და მისთვის აშკარა გახდა, რომ აღმოჩენილი ლურსმული არქივი ეკუთვნოდათ იმ ხეთებს, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულში, თელ-ამარნას ფირფიტებისა და ეგვიპტური იეროგლიფური წარწერების ხანაში ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, რომ ხეთები თავიანთ ქვეყანას „ხათის" უწოდებდნენ და რომ ბოღაზქოის ადგილას მათი დედაქალაქი უნდა ყოფილიყო. სენსაცია გამოიწვია ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შორის დადებულმა, აქადურ ენაზე შედგენილმა საზავო ხელშეკრულების ტექსტის პოვნამ, რადგან მისი ეგვიპტური ვარიანტი კარგა ხანია ცნობილი იყო ბოღაზქოიდან დაახლოებით 2000 კმ-ით დაშორებული კარნაკის ტაძრის ერთ-ერთი წარწერიდან ძველ ეგვიპტურ ენაზე.

ჰ. ვინკლერის აღმოჩენა მიაკუთვნეს არქეოლოგიის ისტორიის ისეთ დიდ სასწაულთა რიცხვს. როგორიც იყო ჰ. შლიმანის მიერ ტროას მიგნება, ა. ლეიარდის მიერ ლეგენდარული მონადირის — ნიმროდის (ქართული ბიბლიის „ნებროთის") ქანდაკების პოვნა და ჯ. სმითის მიერ ნინევიაში გილგამეშის განთქმული ეპოსის ტექსტის დაკარგული ფრაგმენტების აღმოჩენა.

ჰ. ვინკლერი იმთავითვე ვარაუდობდა, რომ ბოღაზქოის არქივის ლურსმული ფირფიტების დიდი ნაწილი, რომელთა ენას ამ აღიარებულმა და ნაცადმა ასირიოლოგმა ვერაფერი გაუგო, შედგენილი იყო ახლად აღმოჩენილი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის ენაზე. ეს ვარაუდი სულ მალე ბრწყინვალედ დადასტურდა, მაგრამ არა ჰ. ვინკლერის დახმარებით.

ბოღაზქოის არქივის ამ უცნობ ენაზე შედგენილი ფირფიტების წაკითხვა მაშინვე შეეძლო ყველა ასირიოლოგს, რადგან ტექსტები დაწერილი იყო აქადური ლურსმული დამწერლობის ნიშნებით, რომლებსაც 1857 წლიდან — ასირიოლოგიის დაბადების დღიდან — სპეციალისტები შეუცდომლად კითხულობდნენ. აღნიშნული ტექსტების ცალკეული ასლების გამოქვეყნების შემდეგ მკვლევართაგან ვერავინ მოახერხა გაეშიფრა ტექსტების ენა, გამოეკვლია მისი ხასიათი, მით უმეტეს, მიეკუთვნებინა იგი მონათესავე ენათა ამა თუ იმ ჯგუფისადმი. ზოგიერთი მკვლევრის (მაგ., ი. კნუდცონის) გამოთქმულ ვარაუდს ინდოევროპული ენებისადმი მისი მიკუთვნების შესახებ მეცნიერული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით, ინდოევროპეისტები, მტრულად

შეხვდნენ, რადგან მაშინ ვერ წარმოედგინათ ასე უძველეს ხანებში რომელიმე ინდოევროპული ენის, ისიც აზიაში, არსებობა. მაგრამ ყველა მათგანს „ფარ-ხმალი დააყრევინა“ ბ. ჰროზნიმ, რომლის აღმოჩენამ მთელი მსოფლიოს მეცნიერული საზოგადოება აალაპარაკა...

ბედრჯიხ ჰროზნის ეპოქალური აღმოჩენა: „...და პურს შემამთ, ხოლო ფყალს დალევთ“

ჩვენი საუკუნის დასაწყისის ეპოქალური აღმოჩენის გმირი, რომელსაც ახლა სრულიად სამართლიანად გვერდში უყენებენ ფრანსუა შამპოლიონს, გახლდათ 36 წლის ჩეხი ასირიოლოგი, იმდროინდელი სამეცნიერო ასირიოლოგიური წრეებისათვის უკვე კარგად ცნობილი მკვლევარი, ვენის უნივერსიტეტის ექსტრაორდინალური პროფესორი ბ ე დ რ ჯ ი ხ ჰ რ ო ზ ნ ი. აღმოჩენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თანამედროვე თურქეთის სოფელ ბოღაზქოიში მიკვლეულ დიდ ლურსმულ არქივთან.

ბ. ჰროზნის ოფიციალურად მხოლოდ 1913 წელს, ჰ. ვინკლერის გარდაცვალების შემდეგ, შესთავაზეს ბოღაზქოის არქივის ტექსტების დამუშავება. მანამდე იგი, გაეცნო რა ტექსტების ასლებს, ვარაუდობდა, რომ მათ ენას თვით დიდი ჰ. ვინკლერი უპოვნიდა „გასაღებს“, თუმცა მისი კარგა ხნის დუმილი დიდად აოცებდა ბ. ჰროზნის.

ჯერ კიდევ ვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობის დროს გამოვლინდა ბ. ჰროზნის დაუოკებელი მისწრაფება ძველი საზოგადოებების საიდუმლოთა ამოცნობისადმი. უცხო ენების შესწავლის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული, იგი ვენაში წარმატებით სწავლობს სემიტურ ენებს და 1905 წლის ოქტომბერში საჯაროდ კითხულობს „სემიტური ენების პრივატდოცენტის“ წოდების მისაღებად სავალდებულო შესავალ ლექციას. როგორც ცნობილი ჩეხი ირანისტი იან რიბკა იხსენებდა, ამ ლექციას დაესწრო ვენის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომელთაგან მოგვიანებით გამოჩენილი მეცნიერები დადგნენ: თვით ი. რიბკა — ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვიქტორ ხრისტიანი — ვენის უნივერსიტეტის პროფესორი — ასირიოლოგი, ჰარი ტორჩინელი — იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი-სემიტოლოგი და სარგის კაკაბაძე — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

კომბინატორული ანალიზის ბრწყინვალე ნიჭის მქონე ბ. ჰროზნი, რომელიც 1914 წლისათვის თავისუფლად ფლობდა აქადურ, არამეულ, არაბულ, ეთიოპურ, ებრაულ, სპარსულ, ძველ ეგვიპტურ ენებს, სანს-

კრიტს, ბერძნულსა და ლათინურს, ისევე როგორც რამდენიმე ევროპულ ენას, ბოღაზქოის ლურსმული ტექსტების უცნობი ენის გაშიფვრის დასაწყისში ვარაუდობდა, რომ ამ ტექსტების ენა, შესაძლოა, რომელიმე სემიტური ან კავკასიური ენა ყოფილიყო. მაგრამ ტექსტების ასლების დიდი ნაწილის შესწავლის პროცესში მან უყოყმანოდ შეცვალა თავისი მოსაზრება, რადგან მის წინ გადაიშალა საოცარი და თანაც დამაჯერებელი სურათი: ბოღაზქოის ტექსტების უცნობი ენა აშკარად ინდოევროპული იყო!

ამას ადასტურებდა ცალკეული სიტყვები თუ მარტივი წინადადებანი, ზმნის უღლებისა და სახელის ბრუნების ნიშნები, მიმღეობის ფორმები თუ ნაცვალსახელები. პირველი წინადადება, რომელიც მან გამართულად წაიკითხა, გვატყობინებდა: „... და პურს შეჭამთ, ხოლო წყალს დალევთ“, სადაც სიტყვები „წყალი“, „დალევა“, „ჭამა“ კარგად ცნობილი ინდოევროპული სიტყვები იყვნენ. თითქოს ჯაჭვური რეაქციის ძალით ნათელი მოეფინა სხვადასხვა შინაარსის გაბმულ ტექსტებს. ირკვეოდა, რომ ამ ლურსმული ტექსტების შემდგენლები თავიანთ ენას უწოდებდნენ არა „ხეთურს“, როგორც ეს სახელი უცნობ ენას შეარქვეს მეცნიერებმა, არამედ „ნესურს“ („ნესიტურს“), იმავე „ქანესურს“, რაც წარმოდგებოდა მცირეაზიული ქალაქის — ნესას (=ქანესის) სახელწოდებისაგან (ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით მოითხოვდნენ კიდეც „ხეთური ენის“ შეცვლას „ნესურით“, ანდა „ქანესურით“, რაც არ გაიზიარა მკვლევართა უმრავლესობამ და ხეთოლოგები კვლავ ტრადიციას მიჰყვნენ); მათ დედაქალაქს ერქვა „ხათუსა“, ხოლო ქვეყანას, როგორც ჰ. ვინკლერი სწორად კითხულობდა აქადურ ტექსტებში, „ხათი“. თვითსახელწოდებად გამოიყენებოდა ამ უკანასკნელი ტერმინისაგან წარმოქმნილი „ხათის ქვეყნის ხალხი“, ანდა „ძენი ხათისა“ (შდრ. ბიბლიის „ძენი ქეტისნი“).

ამგვარად, ნაპოვნი იყო ის „ჯადოსნური გასაღები“, რომლის წყალობითაც ბ. ჰროზნიმ „გააღო“ დიდი საიდუმლოების კარი. თავისი კვლევის წინასწარი შედეგები 33 გვერდზე მან 1915 წლის 24 ნოემბერს გააცნო „წინა აზიის შემსწავლელ ბერლინის საზოგადოებას“ (იმხანად ბ. ჰროზნი სამხედრო მოსამსახურე იყო). სწორედ ამ დღეს უწოდა გამოჩენილმა ასირიოლოგმა ერნსტ ვაიდნერმა „ხეთოლოგიის დაბადების ჰეშმარიტი დღე“. ბ. ჰროზნის მოხსენების გამოქვეყნებისთანავე ცნობილმა ოტო ვებერმა ხეთური პრობლემა გადაწყვეტილად გამოაცხადა, ხოლო ძველი აღმოსავლეთის აღიარებულმა ისტორიკოსმა ედუარდ მაიერმა ბ. ჰროზნის აღმოჩენა კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიაკუთვნა. 1917 წელს ბ. ჰროზნიმ გერმანულად გამოაქვეყნა წიგნი „ხეთების ენა“, სადაც საფუძვლიანად იყო დამტკიცებული ხეთურის ინდოევროპული ხასიათი.

ასე ჩაეყარა საფუძველი ძველაღმოსავლური მეცნიერების სრულიად ახალ დარგს — ხეთოლოგიას, რომელიც ამჟამად სწავლობს კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერის შემქმნელთა — ხეთების ისტორიას, ენას, კულტურას, რელიგიასა და სამართალს ძვ. წ. II ათასწლეულის „ხეთებიდან" დაწყებული ძვ. წ. I ათასწლეულის „ხეთებამდე", ე. ი. ხეთური ანუ ლუვიური იეროგლიფური, გვიან ასურული და ურარტული ლურსმული ტექსტებისა და ბიბლიაში მოხსენიებულ „ხეთებამდე". მეცნიერების ამ დარგის შესწავლა 20-იანი წლებიდან დღემდე წარმოებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირში, რომელსაც 1936 წელს ესტუმრა თვით ხეთოლოგიის პატრიარქი.

ბ. ჰროზნი თბილისსაც ეწვია. მოგვიანებით ჩეხურ ჟურნალ „პრაჰა-მოსკვაში" გამოქვეყნდა ბ. ჰროზნის აღფრთოვანებული მოგონებები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. მათი ერთი ნაწილი შემოკლებით დაიბეჭდა მოსკოვში „ვესტნიკ დრევნეი ისტორიის" ფურცლებზე. ჩეხურ ენაზე გამოქვეყნებულ მოგონებებში ბ. ჰროზნი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა საქართველოში ყოფნის დღეებს, იხსენებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოჩენილ მეცნიერებთან და სტუდენტებთან შეხვედრებს, მათთან კამათს. იგი აღფრთოვანებია მცხეთას, რომლის დათვალიერების დროს ბ. ჰროზნის თან ხლებია დოცენტი გ. გოზალიშვილი — ამჟამად პროფესორი, ძველი ისტორიის ცნობილი მკვლევარი. ბ. ჰროზნი გაკვირვებით წერდა, თუ როგორ უცვნიათ იგი „პრავდასა" და „იზვესტიაში" მის შესახებ გამოქვეყნებული ცნობების წყალობით თბილის-ერევნის მატარებლის ქართველ გამცილებელსა და სევანის ტბაზე ხომალდის სომეხ კაპიტანს, თან დასძენდა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო ფენები უკეთესადაა ინფორმირებული ხეთოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყნის მცხოვრებნიო.

პროფ. ბ. ჰროზნის თბილისში ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენ სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში. ამ მოვლენას გამოეხმაურნენ „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა", რომლებმაც გამოაქვეყნეს აკად. ს. ჯანაშიას საყურადღებო სტატია ხეთების ისტორიისა და ხეთური ენის საკითხებთან დაკავშირებით. ქართველი მეცნიერის პირად არქივში შემოინახა ს. ჯანაშიასადმი გაგზავნილი ბ. ჰროზნის სამადლობელო წერილი (1936 წ. 29 დეკემბრით დათარი-

ღებული), რომელშიც „ხეთოლოგიის მამა“ იმედს გამოთქვამდა საბ-ჭოთა მეცნიერებთან მომავალი შეხვედრების თაობაზე*.

ხეთოლოგიის პატრიარქის თბილისში ჩამოსვლამ გარკვეულად შეუწყო ხელი საქართველოში ხეთოლოგიის განვითარებას, რაც კარ-გად გამოჩნდა 50-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში დაიწყო ახალგაზრდა ხეთოლოგთა მომზადება. ნიშანდობლივია, რომ 1979 წლის მაისში, როდესაც პრაღაში, იუნესკოს დადგენილების შესაბამი-სად, იდღესასწაულეს ბ. ჰროზნის დაბადების 100 წლისთავი, ხეთო-ლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე მიწვეული იყვნენ ქართველი მეცნიერებიც, მათ შორის აკად. გ. მელიქიშვილი, რომელსაც სტუდენ-ტობის დროს მოუსმენია ბ. ჰროზნის ლექცია თბილისში.

პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის რექტორი იყო ბ. ჰროზნი ჩეხოსლოვაკიის ისტორიის ყველაზე მწარე განსაცდელის— ფაშისტური ოკუპაციის ჟამს (1939 წ.), და ჩეხოსლოვაკიის მეცნიე-რებათა აკადემიამ სახელოვნად უმასპინძლეს სიმპოზიუმის სტუმ-რებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განაგრძობენ ბ. ჰროზნის მიერ დაწყებულ დიდ საქმეს. ბ. ჰროზნის მშობლიურ ქალაქ ლაბას ლისაში, სადაც ახლაც კოპწიად გამოიყურება სახლი, დი-დი მეცნიერი რომ დაიბადა, მოწყობილია პატარა მუზეუმი, ბ. ჰროზ-ნის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი. ჩეხმა ხალხმა თავის სახელოვან მამულიშვილს ქალაქში (ლაბას ლისაშია ბ. ჰროზნის საფ-ლავიც) დაუდგა მემორიალი, რომელზედაც ლურსმულ-ხეთურად და ჩეხურად აწერია: „...და პურს შეჭამთ, ხოლო წყალს დალევთ“. სწორედ ამ სიტყვების ამოკითხვამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისცა დაუღალავ მკვლევარს ის „ჯადოსნური გასაღები“, რომლითაც მან „გა-აღო“ დიდი საიდუმლოების კარი — ამოიცნო ხეთების სახელმწიფო არქივის ტექსტთა ენა. ბ. ჰროზნისათვის „პური“ და „წყალი“ გახდა იმ შორს მიმავალი და ფართო გზის საწყისი, რომელსაც ახლა ადგა-ნან მსოფლიოს ხეთოლოგები.

ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესი მცირე აზიისადმი, კერ-ძოდ, ხეთებისადმი — სავსებით გასაგებია: ხეთების სამეფო ჩამოყა-ლიბდა და საუკუნეები იარსება სწორედ ქართველურ ტომთა უძვე-ლესი ვანსახლების მეზობლად (სამხრეთ-დასავლეთიდან). თავიანთი ძლიერების ხანაში ხეთების პოლიტიკურ გავლენაში მოექცა მთელი მცირე აზია და მის მეზობლად მდებარე მრავალი რაიონი, რომელთაც განიცადეს ხეთური კულტურის გავლენაც. ამ რეგიონთა რიცხვს მიე-

---

* წერილის შინაარსი 1977 წ. გაგვაცნო აკად. ს. ჯანაშიას ვაჟიშვილმა, აწ გან-სვენებულმა ლაშა ჯანაშიამ, რომელიც დიდი მადლიერების გრძნობით, თანაც უსა-ზღვრო გულისტკივილით, მინდა აქ მოვიხსენიო.

კუთვნება სამხრეთ ამიერკავკასიისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ცალკეული ოლქები, რომლებიც ძველთაგანვე ქართველური წარმოშობის ტომებით იყვნენ დასახლებული. მცირეაზიულ, განსაკუთრებით, ხეთურ სამყაროსთან ქართველური ტომების ისტორიული, ენობრივი და კულტურული უტყუარი კონტაქტების გამოსავლინებლად ახლა იღვწიან ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები.

V

ხეთური ეთნოსი და ხათის ქვეყანა

ანითას დროს შექმნილმა ქუსარა-ნესას სამეფომ (დაახლოებით ძვ. წ. 1750 წ.), მიუხედავად დიდი დაპყრობებისა ცენტრალურ ანატოლიაში და მის მეზობელ რაიონებში, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ იარსება. ანითას შემდგომ ქუსარის სამეფო პოლიტიკური და ეკონომიკური დაკნინების გზას უნდა დასდგომოდა, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა მიზეზით: აღარ ხორციელდებოდა დიდი მასშტაბის დაპყრობები, უფრო მეტიც, ქუსარას უნდა გასდგომოდნენ ანითას დროს შემოერთებული რაიონები (ხათი, ფურუსხანდა. ნესა/ქანესი და სხვანი), აღარ ხერხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო და სამხედრო გზების გამოყენება, ხურიტების გააქტიურებას აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიაში, ისევე როგორც უცხო ვაჭართა გაქრობას, უნდა შეეწყვიტა კალის იმპორტი ანატოლიაში და ა. შ.

სწორედ ამ პერიოდს ცენტრალური ანატოლიისა უწოდებენ „ბნელ ხანას". იგი თითქმის მთელ საუკუნეს გაგრძელდა (დაახლოებით ძვ. წ. 1720—1650 წწ.), მაგრამ არცერთ ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროში არ აისახა, არქეოლოგიური მასალაც თითქმის არაფერს იძლევა მის შესახებ. არადა, ამ „ბნელ ხანაში" ზოგიერთი დიდი მნიშვნელობის მოვლენაც უნდა მომხდარიყო. მაგალითად, სემიტი ვაჭრების მცირე აზიიდან ერთიანად წასვლის შემდეგ უნდა დასრულებულიყო რეგიონის ორი მთავარი ეთნოსის — არაინდოევროპელი ხათებისა და ინდოევროპელი ნესიტი ტომების შერევა-შეჯვარედინების პროცესი და ჩამოყალიბებულიყო ხეთური ეთნოსი; აღნიშნული პერიოდის ბოლოს პოლიტიკური და სხვა ხასიათის ურთიერთობათა ცენტრად კვლავ უნდა გამხდარიყო ქ უ ს ა რ ა, ნესიტ ტომთა უძველესი კერა, დაახლოებით ძვ. წ. 1650 წლისათვის უნდა ჩამოყალიბებულიყო ხეთების სამეფო — მომავალში დასავლეთ წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო. მაგრამ სანამ მის პოლიტიკურ ისტორიას მიმოვიხილავთ, მანამ გავარკვიოთ რა არის ხეთური ეთნოსი და როგორია ხეთური გეოგრაფიის პრობლემა.

ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბების პრობლემა არსებითადაა დაკავშირებული ცენტრალური მცირე აზიის ავტოქთონურ ხათურ (პროტოხეთურ) მოსახლეობასა და უძველესი დროიდანვე მასთან მჭიდრო კონტაქტებში მყოფ ინდოევროპულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებთან (ამაზე უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ). ახლა უკვე დადგენილია, რომ ცენტრალურ მცირე აზიაში მცხოვრებ ხათურ ტომებთან ინდოევროპელი (ნესური) ტომების მშვიდობიანი თანაარსებობის შედეგად, რაც საუკუნეები გაგრძელდა, ხათური ენა „შთანთქა" ნესიტურმა, რომელმაც თავის მხრივ განიცადა გარკვეული ცვლილებანი ფონეტიკაში, ლექსიკაში, მორფოლოგიაში. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ხათური რელიგიაც „შთანთქა" ნესიტურმა — ნესიტური პანთეონი გამდიდრდა ხათური წარმოშობის ღვთაებებით, ხათური რელიგიური რიტუალები სრულდებოდა მოვეიანებითაც, განიცადეს რა მათ უმნიშვნელო ცვლილებები ნესიტური რიტუალების გათვალისწინებით, ნესიტების რელიგიურ დღესასწაულთა დიდი ნაწილი წარმოშობით ხათური იყო და ა. შ. ნესიტურმა საზოგადოებამ შეითვისა და განავითარა ხათური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არაერთი სოციალური თუ სხვა სახის მოვლენა. ზემოაღნიშნული ორი ეთნოსის შერევა-შეჯვარედინების პროცესში ცენტრალურ მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხ ე თ უ რ ი ე თ ნ ო ს ი, ხეთების სახელმწიფოს შემქმნელი, რომელმაც მთლიანად აითვისა ხათების კულტურული ტრადიციები.

ხათური ეთნოსი, როგორც ცალკე ეთნიკური ჯგუფი, ხეთების სახელმწიფოს არსებობის პერიოდში ცენტრალურ ანატოლიაში უკვე არსად ჩანდა. შემორჩა მხოლოდ ხათური ლიტერატურული ენა, ისიც ხათურ რელიგიურ ტექსტებში და ცალკეულ ხათურ-ხეთურ ბილინგვებში ფიქსირებული. ხათების მემკვიდრეებად ზოგჯერ მიიჩნევენ ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთით (პონტოში) მცხოვრებ ქასქების ტომებს, თუმცა ეს ვარაუდი დღეისათვის მხოლოდ ჰიპოთეზად რჩება.

უშუალო ტერიტორიული კონტაქტები ხეთებს ჰქონდათ ეთნიკურად მათ ახლომონათესავე ინდოევროპელ ფალაელებთან — ფალას ქვეყნის მცხოვრებლებთან (ცენტრალური მცირე აზიის ჩრდილოეთში, ან ჩრდილო-აღმოსავლეთში). ნესიტების მსგავსად, ფალაელებიც ხათებით დასახლებულ ტერიტორიაზე უნდა განსახლებულიყვნენ, რადგან მათმა ენამაც (ისევე როგორც რელიგიამ და კულტურამ) განიცადა ხათურის გარკვეული გავლენა (როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა ფალაურისა და ხათური ენების შერევა-შეჯვარედი-

ნების პროცესს, რომელიც დასრულდა ფალაური ენის გამარჯვებით, „შთანთქა“ რა ხათური).

ხეთების სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული იყო ლუვიელების ქვეყანა. ეთნიკურად ლუვიელებიც ხეთების ახლო მონათესავენი იყვნენ. მათ თითქმის არ განუცდიათ ხათების უშუალო გავლენა, რასაც ადასტურებს მონაცემები ლუვიური ენისა, რომელსაც არ გააჩნია ხათიზმები. მოგვიანებით ლუვიურმა სამყარომ დიდი გავლენა მოახდინა ხეთებზე, განსაკუთრებით, მათ რელიგიასა და კულტურაზე.

აღმოსავლეთიდან ხეთებს ემეზობლებოდნენ ხურიტები, რომლებიც მდ. ევფრატის დასავლეთით უკვე ღრმად იყვნენ შეჭრილი აღმოსავლეთ ანატოლიაში და, როგორც ჩანს, ხურიტების დასახლებებსაც ქმნიდნენ. ხურიტების აქტიურობა ამ რეგიონში ძალზედ ზღუდავდა ხეთების პოლიტიკური ძლიერების ზრდას, რის გამოც ხათის სამეფოს შექმნის დროიდან ხეთებს ხშირად უხდებოდათ ხურიტებთან შეტაკება არა მარტო აღმოსავლეთ ანატოლიაში, არამედ ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ სირიის მეზობლად, სადაც ხურიტების გავლენა ძალზედ იგრძნობოდა. ხურიტებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს ხეთების რელიგიაზე და ხეთურ კულტურაზე.

ხეთების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ სირიაში. კვლავ დასავლელი სემიტები ბატონობდნენ. მართალია, ისინი ხეთების უშუალო მეზობლები არ იყვნენ, მაგრამ ხეთების ურთიერთობა მათთან ფართოვდებოდა.

ხეთურ ეპოქაში მცირე აზიაში ცხოვრობდა აგრეთვე სხვადასხვა ტომი თუ ხალხი, რომელთა ეთნიკური ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია (პონტო) დასახლებული იყო ზემონახსენები ქასქების ტომებით, რომლებთანაც ხეთებს ძირითადად მტრული ურთიერთობა ჰქონდათ. ქასქებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც ანატოლიის ერთ-ერთ ადრეულ მკვიდრთ, რაც ჯერჯერობით არ მტკიცდება, თუმცა ასევე დაუმტკიცებელია მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვით ქასქები თითქოს მოგვიანო ხანებში დასახლებულან ანატოლიაში. დღეისათვის აშკარაა, რომ ისინი ხეთებისაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ. ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია დაკავებული იყო აგრეთვე სხვადასხვა ტომებით. ჯერჯერობით დაბეჯითებით არ ხერხდება არც მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა. ხურიტების გარდა, ანატოლიის აღნიშნულ რაიონში უნდა ეცხოვრათ ინდოევროპული (ეს განსაკუთრებით ითქმის ხაიასას ქვეყნის მცხოვრებთა მიმართ, რადგან ხაიასას მიიჩნევენ როგორც სომეხთა პირველსაცხოვრისს) და ქართველური წარმოშობის ტომებს (იხ. ქვემოთაც).

ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებით, ხეთების გეოგრაფიული თვალსაწიერი მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს საზღვრებით შემოიფარგლებოდა.

ჩრდილოეთით მათთვის არსებობდა მხოლოდ „ცალფას ზღვა" — შავი ზღვა, რომლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ხეთებისთვის „ტერა ინკოგნიტა" იყო. შავი ზღვა, ისევე როგორც ხმელთაშუა ზღვა, ხეთების მიერ გამოუყენებელი უნდა ყოფილიყო ნაოსნობისათვის, რადგან ისინი ზღვაოსნობას არ მისდევდნენ (წყაროებში იშვიათად იხსენიება „ხომალდები" ზღვასთან დაკავშირებით).

ხეთებისათვის ცნობილი ყველაზე შორეული ადგილი სამხრეთით იყო ეგვიპტე (შესაძლოა, უფრო სამხრეთით მდებარე ქუში).

დასავლეთით მდებარე ყველაზე შორეული პუნქტი მათთვის უნდა ყოფილიყო ახიავა, რომელიც საძებნია მცირე აზიის უკიდურეს დასავლეთში, ან მიკენურ საბერძნეთში. უფრო დასავლეთით გადაჭიმული ტერიტორია ევროპის კონტინენტისა ხეთების გეოგრაფიულ არეში, წერილობითი წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, არ შედიოდა.

რაც შეეხება აღმოსავლეთს, ხეთების თვალსაწიერი ამ მიმართულებით ბაბილონის აღმოსავლეთით მდებარე ელამამდე აღწევდა (შესაძლოა, უფრო შორსაც).

აღქმული ჰქონდათ თუ არა ხეთებს, რომ მათი ქვეყანა მდებარეობდა უზარმაზარ ნახევარკუნძულზე, რომელსაც სამი მხრიდან ზღვა ერტყა, ჩვენ არ ვიცით. როგორც ხეთური საისტორიო მწერლობის წყალობით გახდა ცნობილი, ხეთებს წარმოდგენა ჰქონდათ მხოლოდ მათ მეზობლად მდებარე ორ ზღვაზე — შავზე და ხმელთაშუაზე, რაც დასტურდება სიტყვებით: ხეთების მეფე ლაბარნამ „ამ მხრიდან (ხათის) საზღვრად ზღვა ქმნა და იმ მხრიდან (ქვეყნის) საზღვრად ზღვა ქმნა". ასეთ შემთხვევაში „ამ მხრიდან" და „იმ მხრიდან" თანამედროვე ტერმინოლოგიით ტოლია „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთისა" (ან პირუკუ). მათ ჩრდილოეთით მდებარე ზღვას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ცალფას ზღვას" ეძახდნენ, რადგან უშუალოდ ხათის ქვეყანასა და შავ ზღვას შორის „ცალფას ქვეყანა" მდებარეობდა (ეს სულ ახლახან გაირკვა). როგორც ჩანს, ხეთები იცნობდნენ რომელიღაც სხვა „ზღვასაც", საიდანაც „მზე ამოდიოდა", ე. ი. აღმოსავლეთით მდებარე რომელიღაც (ანდა დიდ ტბას, რადგან ხეთურად „ზღვა" და „ტბა" ერთი სიტყვით აღინიშნებოდა — „არუნა"). მაგრამ სად იყო იგი — უცნობია. მკვლევრებმა გამორიცხეს კასპიის ზღვა.

მიუხედავად ხეთოლოგიაში მოპოვებული დიდი წარმატებებისა ხეთური გეოგრაფიის არაერთი საკითხი, კერძოდ, თვით ხეთების ამ თუ იმ დასახლებული პუნქტისა და „ქვეყნის“ ზუსტი ლოკალიზები საკითხი პრობლემატურია. საბოლოოდ დადგენილია მხოლოდ რამდენიმე გეოგრაფიული ერთეულის ადგილმდებარეობა: ხეთების დედაქალაქი ხ ა თ უ ს ა თანამედროვე ბოღაზქოის ადგილას იყო. 1925 წ. ბ. ჰროზნიმ გათხრების შემდეგ მიაკვლია ქ ა ნ ე ს ს, ანუ იმავე ნ ე ს ა ს — კაისერის ახლოს მდებარე ბორცვ ქიულთეფეს. თანამედროვე მაშათ-ჰუიუქი (ზილესთან ახლოს) ყოფილა ხეთური წყაროების თ ა ფ ი ქ ა (თაფიგა), სადაც ათიოდე წლის წინ აღმოჩნდა სასახლე ხეთურ ენაზე შედგენილი ლურსმული ტექსტების მცირე არქივით (ნაპოვნია სულ 114 წარწერა). ეჭვს არ იწვევს ა ლ ა ს ი ა ს გაიგივება კუნძულ კვიპროსთან. მდ. ყიზილ-ირმაკს (კლასიკური ხანის ჰალისი) ხეთურად მ ა რ ა ს ა ნ თ ა, მ ა რ ა ს ა ნ თ ი ა ერქვა, ხოლო მდ. ევფრატს — მ ა ლ ა. ადგილმდებარეობა ხეთების ისეთი დიდი რელიგიური ცენტრებისა, როგორიც იყვნენ ა რ ი ნ ა, ნ ე რ ი ქ ი, ც ი ფ ლ ა ნ თ ა — დაუდგენელია (საძებნია ხათუსას ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით). ეხლოლდ ვარაუდობენ, რომ ხეთური წყაროებ-ს ა ნ ქ უ ვ ა (ამქუვა) თანამედროვე ალიშარ-ჰუიუქის ადგილას მდებარეობდა, ხოლო თ ა ვ ი ნ ი ა იყო კლასიკური ხანის თ ა ვ ი უ მ ი, თ უ ვ ა ნ უ ვ ა — თიანა, ხ უ ფ ი ს ნ ა — კიბისტრა, გ ა ც ი უ რ ა (გაზიურა) — გაზიურა, ხ ა ქ მ ი ს ა — ამასია, ქ უ მ ა ხ ა — კემახი, ა ნ ც ი ლ ი ა (ანზილია) — ზილე და ა. შ. ვარაუდით, ხეთური წყაროების მ ი ლ ა ვ ა ნ თ ა შეიძლება იყოს კლასიკური ხანის მილეტი, თ ა რ უ ი ს ა — ტროა, ვ ი ლ უ ს ა — ილიონი (იგივე ტროა). დასახელებული გეოგრაფიული ერთეულების ადგილმდებარეობიდან ამოდიან ხეთური გეოგრაფიის სხვადასხვა პუნქტის ლოკალიზების დროს.

ხეთების მეზობელი ქვეყნები ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მათი სახელწოდებების მიხედვით, მაგრამ მათი ზუსტი აღგილმდებარეობის დადგენა დღესაც არ ხერხდება.

ხეთების სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმულ ტერიტორიაზე განივრცობოდა ლ უ ვ ი ა (იგივე ა რ ც ა ვ ა), რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ხეთების მონათესავე ლუვიელებით იყო დასახლებული. ჩრდილოეთით თუ ჩრდილო-აღმოსავლეთით ასევე მათი მონათესავენი — ფალაელები ცხოვრობდნენ ფ ა ლ ა ს ქვეყანაში. ხ ურ ი ს — ხურიტების ძირითადი ტერიტორია ხეთებს ემეზობლებოდა, ერთი მხრით, აღმოსავლეთიდან (მდ. ევფრატის შუა დინებასთან), ხოლო მეორე მხრით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ჩრდილოეთ სირიის მხრიდან, საიდანაც იწყებოდა დასავლელი სემიტი ტომების ძირითადი ტერიტორია. კილიკიის ტერიტორია ეკავა ქ ი ც უ ვ ა თ ნ ა ს

(ქიცვათნას), სადაც ლუვიური და ხურიტული წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ (ნესიტებთან ერთად). ასე რომ, ამ რეგიონში საუკუნეების მანძილზე მეზობლობდა ძველი წინა აზიის სამი უდიდესი ეთნოსი — ინდოევროპული, ხურიტული და დასავლურ-სემიტური.

ხეთების აღმოსავლეთით, მდ. ევფრატის მარცხენა მხარეში, დაწყვილებული ქვეყნის — აცისა და ხაიასას ტერიტორიაა საძებნი. დღემდე მკვლევრები ვერ შეთანხმებულან აცი-ხაიასა ეანის ტბასთან მოათავსონ, თუ მისი ტერიტორია შავ ზღვას მიუახლოვონ (ხეთური წყაროების მონაცემებით, აცის მთავარი ქალაქი — არიფსა „ზღვასთან" იყო).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ ხეთების მეზობლები და მათი დაუძინებელი მტრები — ქასქები (ქაშქები). ხეთების მეფეებს მრავალრიცხოვანი ლაშქრით არაერთხელ ულაშქრიათ ანატოლიის ამ რეგიონის ვრცელ ტერიტორიაზე (განსაკუთრებით, შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ, ისევე როგორც მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის, იმავე ყარა-სუს რაიონებისაკენ), ქასქების არაერთი დასახლებული პუნქტი („ქალაქი") და „ქვეყანა" აუოხრებიათ, მათზე ხარკიც დაუკისრებიათ და ხეთებისათვის მეომარი რაზმების მიწოდებაც დაუვალებიათ. ყოველივე ამის წყალობით, მრავალი მათგანის სახელწოდებაა შემონახული ხეთურ წყაროებში. მაგრამ, როგორც ჩანს, ხეთების ლაშქარი არ შეპრალა ძალზედ ღრმად ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ძველთაგანვე მდებარეობდნენ ქართველურ ტომთა პოლიტიკური და ეთნიკური გაერთიანებანი — მ უ შ ქ ა ი ა/მ უ შ ქ უ (მოგვიანო ხანის მოსხები), დ ა ი ა ე ნ ი ანუ დიაუხი (მოგვიანო პერიოდის ტაო), კ უ ლ ხ ა (კოლხიდა) და სხვანი, რომელნიც ხეთების სამეფოს დაცემისთანავე და მის მომდევნო ხანებში (ძვ. წ. XII—IX სს.) გამოდიან ისტორიის ასპარეზზე (ასურული, ლუვიური იეროგლიფური და ურარტული წყაროების მიხედვით). მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ეს სახელწოდებანი არ ჩანან დღეისათვის ცნობილ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე მოსათავსებელი გეოგრაფიული პუნქტების ზუსტი ლოკალიზება, რაც მომავალში, ალბათ, განხორციელდება. უფრო ნათლად წარმოაჩენს ჩვენთვის საინტერესო რეგიონის გეოგრაფიას.

ხეთურ-ქართველური ლექსიკური პარალელებისათვის

ზემოაღნიშნულ პრობლემებთან უშუალოდაა დაკავშირებული ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტების საკითხი, რა-

საც მკვლევრები კარგა ხანია აქცევენ ყურადღებას. ამ მხრივ ძალზედ საგულისხმოა ხეთური ენის მონაცემები: ანატოლიურ ხეთურ (ნესიტურ, ლუვიურ, ფალაურ) და ქართველურ ენებში ვლინდება არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ზოგიერთი ბრუნების ნიშნის მსგავსება ან სრული იდენტურობა (განსაკუთრებით შდრ. მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი ხეთურში -ით და ქართვ., ენების -ით(ა),-თ); ხეთური ზმნის აწმყო დროის მხოლოობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი -მი, -ში(-სი) ბგერითი შემადგენლობით გავს ან იდენტურია ქართველურ ენათა მხოლოობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებისა „მე", „შენ", ხოლო ხეთური ზმნის მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი -ვენი, -თენი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქართველური ენების მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან „ჩვენ", „თქვენ" (შდრ. აგრეთვე კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში „ჩვენი" და „თქვენი"). ყურადსაღებია აგრეთვე ხეთური ზმნის წარსული დროის მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი -ვენ, -თენ და ქართველური პირის ნაცვალსახელები „ჩვენ", „თქვენ"; საინტერესო სურათს იძლევა ინდოევროპულ-ხეთურ-ქართველური ლექსიკური პარალელები: ხეთ. „ესხარ" — ქართვ. „სისხლი"; ხეთ. „ისთამანა" („ყური") — ქართვ. „(მო)სმენა"; ხეთ. „კარდ" („გული") — ქართვ. „მკერდი"; ხეთ. „გიმმანთარია" („გამოზამთრება", შდრ. რუს. „ზიმა") — ქართვ. „ზამთარი"; ხეთ. „სუფფი" („წმინდა") — ქართვ. „სუფთა"; ხეთ. „ველლუ" („მდელო") — ქართ. „ველი"; ხეთ. „ვიანა" — ქართვ. „ღვინო"; ხეთ. „დუდდუმილი" („ჩუმად, ფარულად") — ქართვ. „დუმილი", ხეთ. „აქუ" — ქართვ. „ქუა/ქვა" და სხვა მრავალი.

როგორც ჩანს, ამ მსგავსებათა და პარალელთა ძირითადი ნაწილი საერთო ქართველურში განსახილველია როგორც უძველესი ინდოევროპული ნასესხობანი, რომლებიც არ განეკუთვნებიან ანატოლიურ ინდოევროპულ ენათა ხანას (სავსებით დასაშვებია მათი მიკუთვნება საერთო ქართველურ, საერთო ინდოევროპულ და საერთო სემიტურ ურთიერთობათა პერიოდისადმი). მათი გარკვეული ნაწილი კი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სწორედ ისეთ მსგავსებებსა და ლექსიკურ პარალელებს, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ან ხეთურსა და ქართველურ (საერთო ქართველურ) ენებს შორის არაუადრეს ძვ. წ. II ათასწლეულისა, ანდა საერთო ანატოლიურსა და საერთო ქართველურ ენობრივ ერთეულებს შორის ძვ. წ. III ათასწლეულის მანძილზე. ქართველურ ტომთა გან-

სახლების ძირითადი უძველესი კერები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ სწორედ ანატოლიურ ინდოევროპულ ენობრივ თუ კულტურულ საცყაროს. ინდოევროპელთა თანდათანი გავრცელება მცირე აზიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამაჯერებლადაა დადასტურებული ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებით.

VI

ხათის გამოჩენა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე. ხეთების „ძველი სამეფო“

ძვ. წ. 1650 წლისათვის იწყება ქუსარის კვლავ აღორძინება, რამაც განაპირობა იმ სამეფოს წარმოქმნა, რომელსაც „ხეთების სამეფოს“ ვუწოდებთ. ხეთური წერილობითი ტრადიციის თანახმად, ქუსარა იყო ინდოევროპელი ნესიტი ტომების პოლიტიკური ცენტრი მცირე აზიაში. მოგვიანო ისტორიული ტრადიციაც ხეთების ისტორიის ადრინდელ პერიოდს უკავშირებს ქუსარას, მაგრამ იგივე ტრადიცია ხეთების სახელმწიფოს ფუძემდებლად მიიჩნევს არა ანითას (ან მამამისს — ფითხანას, ანდა ქუსარასთან დაკავშირებულ სხვა პიროვნებებს), არამედ ქუსარის მმართველ ლ ა ბ ა რ ნ ა I-ს, რომელიც ანითასაგან მთელი საუკუნითაა დაშორებული და დაახლოებით ძვ. წ. 1650 წლისათვის გამეფდა ქუსარაში, როდესაც უკვე ჩამოყალიბებული იყო ხეთური ეთნოსი. ამიტომაცაა, რომ მკვლევარნი სწორედ აქედან იწყებენ ხეთების სამეფოს ისტორიას, მანამდე არსებულ პერიოდს მიაკუთვნებენ რა ხეთების წინარე ხანას. ლაბარნადან იწყება, თანამედროვე მეცნიერთა ტერმინოლოგიით, ხეთების „ძველი სამეფო“, რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა ხეთების „შუა“ და „ახალი“ სამეფოები.

„ძველანა კი პატარა იყო...“

ხეთების „ძველი სამეფოს“ ისტორიის არაერთი მომენტი ასახულია ამავე სამეფოს უკანასკნელი მმართველის — თელიფინუს შედგენილ ერთ-ერთ ტექსტში. იგი ძირითადად სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მოწესრიგებას ეხება, მაგრამ მასში დაცულია უტყუარი ცნობები „ძველი სამეფოს“ ცალკეულ მმართველთა საქმიანობის, პოლიტიკური ისტორიის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

სამეფოს პირველ მმართველად „თელიფინუს ტექსტში“ დასახელებულია ლ ა ბ ა რ ნ ა, „დიდი მეფე“. მის დროს „ძენი მისი, ძმანი

მისი, და მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული (ერთობით) იყვნენ. ქ ვ ე ყ ა ნ ა კ ი პ ა ტ ა რ ა ი ყ ო. მაგრამ საითაც იგი სალაშქროდ წავიდოდა, მტრის ქვეყანას (ძლიერი) ხელით ამარცხებდა. და (მტრის) ქვეყნებს ანადგურებდა და (ამ) ქვეყნებს ასუსტებდა, იგი მათ ზღვის საზღვრებად ქმნიდა. ხოლო როდესაც იგი ლაშქრობიდან უკან ბრუნდებოდა, თითოეული მისი ძეთაგანი რომელიმე (ამ) ქვეყანაში მიდიოდა: ხუფისნაში, თუვანუვაში, ნენასაში, ლანდაში, ცალარაში, ფარსუხანდაში, (ან) ლუსნაში და ისინი (ე. ი. უფლისწულნი) (ამ) ქვეყნებს მართავდნენ ხოლმე. დიდ-დიდი ქალაქებიც ასევე (მათი) მორჩილნი იყვნენ".

მოტანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაიწყო „პატარა ქვეყნის" ზრდა: სამეფო გვარის, დიდებულთა და ლაშქრის ერთსულოვნებით, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მეფის ხელისუფლების გაძლიერების პირობებში, ლაბარნა შეუდგა თავისი ქვეყნის საზღვრების გაფართოებას. იგი ძალითა და იარაღით იმორჩილებს „ქვეყნებსა" და „დიდ-დიდ ქალაქებს". ტექსტში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ნაწილი ქუსარას მეზობლად მდებარეობდა, ნაწილი კი — მცირე აზიის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, ზღვების მიმართულებით. თავიდანვე მიექცა ყურადღება დაპყრობილი „ქვეყნებისა" და „ქალაქების" მართვა-გამგეობასაც: მათ სამართავად იგზავნებოდნენ უფლისწულნი, რომლებიც განიხილებოდნენ როგორც „პატარა მეფენი". ლაბარნას დროს ქუსარამ მიაღწია ისეთ ძლიერებას, რომელიც საფუძველი გახდა ხეთების მრავალი წარმატებისა „ძველი სამეფოს" ხანაში, როდესაც ქუსარის „პატარა ქვეყნიდან" ხათი გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ მთელს დასავლეთ წინა აზიაში.

ალალახი, ხალაფი, ბაბილონი და სხვანი

ლაბარნას შემდეგ ქუსარაში გამეფდა ხ ა თ უ ს ი ლ ი I, იგივე ლაბარნა II. მაგრამ მალე მან, სტრატეგიული მოსაზრების გამო, სამეფო ცენტრი ქუსარიდან გადაიტანა ხათუსას, რომელიც (ხათის ქვეყანასთან ერთად) ან ხათუსილიმ კვლავ შემოიმტკიცა, ანდა იგი ლაბარნას მეფობიდან ემორჩილებოდა ქუსარას. ამ ქალაქის სახელწოდებიდან წარმოსდგება თვით მეფის სახელი — „ხათუსილი" (რაც „ხათუსელს" ნიშნავს), რომელიც შესაძლოა, მას უნდა დარქმეოდა ხათუსაში გადმოსახლებასთან დაკავშირებით.

სწორედ ამ დროიდან გახდა ხათუსა ხეთების დედაქალაქი, რომელმაც ხეთების სახელმწიფოს დაცემამდე იარსება. ხოლო სახელ-

წოდება „ხათი“ ხეთების მთელი სამეფოს აღმნიშვნელად გადაიქცა. ამიერიდან ქეესარამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

„ძველი სამეფოს“ ადრეულ მმართველთა ფართო დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო. პირველ რიგში, მცირე აზიის ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებებზე — ხათის ქვეყნის ბატონობის დამყარებისაკენ. ამას წარმატებით ახორციელებდა არა მარტო ხათუსილი I, არამედ მისი მომდევნო მეფე მ უ რ ს ი ლ ი I (იგი უკვე ხათუსაში გამეფდა). ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხეთების გაელენის გავრცელებას მცირე აზიის ფარგლებს გარეთაც. ამ პერიოდში ხეთების ყურადღება მიპყრობილი იყო ორი დიდი რაიონისაკენ — ჩრდილოეთ სირიისაკენ, სადაც მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სამეფოთაგანი — ხალაფი (ალეპო), იგივე იამხადი, მდებარეობდა და, ხურის ქვეყნისაკენ, რომელმაც კარგა ხანია იწყო ექსპანსია მდ. ევფრატის მარჯვენა მხარეში.

სწორედ ამ ხანებში მოხდა ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ხეთების წარმატებანი საგარეო პოლიტიკაში, გააფართოვა რა მათი საომარი მოქმედების ასპარეზი. ეს იყო ცხენიანი საბრძოლო ეტლის გამოჩენა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სამხედრო საქმეში არა მარტო ხეთებთან, არამედ ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებშიც. ამ პერიოდისათვის ხეთებს უნდა ჰყოლოდათ კარგად ორგანიზებული ლაშქარიც.

დიდი ინტერესები ჰქონდათ ხეთებს ჩრდილოეთ სირიაში, რომლისათვის ბრძოლამ საჭირო გახადა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე გზების დაუფლებაც (ამით კალის ექსპორტის საკითხიც გადაიჭრებოდა). ხეთების მისწრაფება სირიისაკენ გამოწვეული იყო ამ ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრით და ა. შ.

ჩრდილოეთ სირიისათვის ბრძოლა დაიწყო ხათუსილი I-მა, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისშივე ილაშქრა აღნიშნული მხარის ერთ-ერთ ძლიერ სამეფოში — ალალახში (თანამ. თელ-აჯანა). ხათუსილიმ დიდი ხნის ალყის შემდეგ შეძლო ქ. ურშუს (ხეთ. ვარსუვას) დამორჩილებაც. მან წარმატებით დაამთავრა ბრძოლა ქ. ხაშუსათვის (ხეთ. ხასუვა) და დაამარცხა ჩრდილოეთ სირიის კიდევ სხვა პოლიტიკური გაერთიანებანიც. ამასთანავე იგი წარმატებით აწარმოებდა ბრძოლებს თვით მცირე აზიაში, დაიმორჩილა რა არცავა, ულმა, სანახვითა და ხათუსას ჩრდილოეთით მდებარე ცალფა (ცალფუვა). ყოველივე ეს აისახა ხათუსილის შედგენილ სხვადასხვა ტექსტში, განსაკუთრებით, მის „ანალებში“ (შემოინახა ამ წყაროს ორივე ვარიანტი: აქადური და ხეთური). ერთ-ერთ მის ტექსტში ძველ ხეთურ ენაზე, ხათუსილის მთავარი დაპყრობების შესახებ ასეა გადმოცემუ-

ლი: „კაცმა ქ. ცალფუვა(დან) მამის (—იგულისხმება თვით ხათუსილი) სიტყვა უკუაგდო. აი იგი, ცალფა! კაცმა ქ. ხასუვა(დან) მამის სიტყვა უკუაგდო. და აი იგი„ ხასუვა! ასევე, კაცმაც ქ. ხალფუვა(დან) მამის სიტყვა უკუაგდო. ხალფაც (ხალაფიც) განადგურდება!“

მართლაც, ხათუსილიმ შეუტია ხალფას (იამხადს), რომლის მეფე იარიმლიმ III მანამდეც იღებდა მონაწილეობას ხეთების საწინააღმდეგო კოალიციაში (ხასუვასთან). მაგრამ ხათუსილიმ ხალფას წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე ვერ მიიყვანა, თუმცა მან ეს სამეფო საკმაოდ დაასუსტა. ხალაფის განადგურება შეძლო მხოლოდ მისმა მემკვიდრემ მურსილი I-მა, რასაც შედეგად მოჰყვა ამ სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ამის შემდეგ მურსილი გაემართა შორეულ ბაბილონს, რომელსაც სამსუდითანა მართავდა. ეს ქალაქი მან მიწასთან გაასწორა და ნადავლით ხათუსაში გამობრუნდა. სწორედ ამ ლაშქრობის დროს მოეღო ბოლო ბაბილონის I დინასტიას, რაც უნდა მომხდარიყო დაახლ. ძვ. წ. 1595 წლისათვის. ხალაფსა და ბაბილონში ლაშქრობისას მურსილიმ ხურიტებიც გაანადგურა. „თელიფინუს ტექსტი“ ამ მოვლენებს ლაკონიურად ასე გადმოსცემს: „იგი (ე. ი. მურსილი) ხალფას გაემართა და ხალფა დაანგრია, ხოლო ხალფას ნამრა (=დეპორტირებულები) და მისი ავლა-დიდება ხათუსაში ჩამოიტანა. შემდგომად (ამისა) კი იგი ქ. ბაბილონს გაემართა და ბაბილონი დაანგრია. ხურიტების რაზმებსაც შეებრძოლა. ბაბილონის ნამრა და ავლა-დიდება ხათუსას ჩამოიტანა“.

ხათუსილისა და მურსილის ზემოაღნიშნულმა ლაშქრობებმა დიდი გავლენა იქონიეს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაზე. მურსილის გამარჯვებამ ხალაფში საფუძველი ჩაუყარა ხეთების ბატონობას ჩრდილოეთ სირიაში. ამ ხანებიდან ჩრდილოეთ სირიის საკითხი ყოველთვის იდგა ხეთების საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამან გამოიწვია დიდი წინააღმდეგობანი ხათსა და ეგვიპტეს შორის „ახალი სამეფოს“ დროს.

მურსილის გამარჯვებამ ბაბილონზე, როცა 300-წლიანი ბატონობის შემდეგ დაეცა ბაბილონის I დინასტია, ხელი შეუწყო კასიტების მიერ ხელისუფლების ჩაგდებას ბაბილონში.

ამ სამხედრო ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ხეთებისათვის: ამიერიდან ხათი ჩადგა ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოთა რიგში. უფრო მეტიც. ხათუსილი-მურსილის დროს ხათი გადაიქცა ძლიერ სამხედრო ძალად, რომელსაც წინ ვერ აღუდგნენ მაშინდელი წინა აზიის ისეთი ქვეყნები, როგორიც იყვნენ ხალაფი (იამხადი) და ბაბილონი.

შცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონების დაპყრობისა და ჩრდილოეთ სირიაში ლაშქრობების დროს დაიწყო ხეთებისა და ხურიტების საომარი შეტაკებანიც. ამავე პერიოდიდან იწყება აგრეთვე ხურიტების შემოსევა ხათში და აღმოსავლეთი რაიონების აოხრება.

ხათუსილი-მურსილის ხანისათვის ხურიტები უკვე ჩანან ევფრატის დასავლეთით მდებარე ქვეყნებში, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ სირიაში, სადაც ისინი იჭრებოდნენ თანდათანობით, უმეტესწილად, მშვიდობიანი გზით. ხურიტები იყვნენ ალალახში, ხალაფში, ურშუში, ხაშუში და სხვაგან, რომელთა წინააღმდეგ ხეთებს უხდებოდათ გალაშქრება ადგილობრივი სემიტი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამიტომ ჩრდილოეთ სირიისათვის ბრძოლა განსახილველია როგორც ნაწილი ხურიტებთან შეტაკებებისა, მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლების დროს ზოგჯერ ხურიტების რაზმებიც გამოდიოდნენ მოკავშირეთა დასახმარებლად.

ხურიტების შემოსევა ხათის ქვეყანაში ხათუსილი I-ის დროიდან დაიწყო. მისი მეფობის მეოთხე წელს, როდესაც ხეთების ლაშქარი მეფეს არცავაში ჰყავდა წაყვანილი, ხურიტები შეიჭრნენ ხათის აღმოსავლეთ ნაწილში. ამით ისარგებლეს მტრის სხვა ქვეყნებმაც და, როგორც ჩანს, მათთან ერთად აოხრეს ხათის ტერიტორია, თვით ხათუსას გამოკლებით. მათ უნდა დაერბიათ ქუსარა, რაც უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხათუსილი გადასულიყო ხათუსაში, რომელიც ამიერიდან ხეთების დედაქალაქი გახდა. ხეთებმა უკუაგდეს ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, კერძოდ, ხანიგალბათიდან მოსული ხურიტები.

ზოგჯერ ხურიტები ჩრდილოეთ სირიის მხრიდან უტევდნენ ხეთებს, რომლებიც დიდხანს იბრძოდნენ მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, სახელდობრ, ქილიკიაში (ციცუვათნაში) მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების დამორჩილებისათვის. ხურიტების მოქმედების ზონა ამ რაიონში თანდათან ფართოვდებოდა, რაც იწვევდა ხეთებთან შეტაკებას.

ხურიტები ხათის ქვეყანას შეესივნენ მურსილი I-ის მომდევნო მეფის — ხ ა ნ თ ი ლ ი ს დროს, როცა კვლავ ააოხრეს აღმოსავლეთი პერიფერია. „თელიფინუს ტექსტშიც“ თავისებურად აისახა მათი გამოჩენა ხათის ქვეყანაში: „...ხურის რაზმები, მელიები, რომლებიც ჯაგნარში შეჰყარეს, გაჰყვიროდნენ. [ხური-მტერი] ხათის ქვეყანაში მოვიდა და...“. ხეთებმა განდევნეს ხურიტები. სწორედ ამ ხანებში დატრიალდა სუქციაში ამბები, რომლებიც შესაძლოა ხურიტებთანაა

დასაკავშირებელი: სუქციის დედოფალი შეიპყრეს და მის ვაჟიშვილებთან ერთად დახოცეს.

მტრული კონტაქტების მიუხედავად, „ძველი სამეფოდან" დაწყებული ხეთები განიცდიდნენ ხურიტების მძლავრ გავლენას, რაც განსაკუთრებით აისახა რელიგიაში, კულტურაში (იხ. ქვემოთ).

„მსახურთა ჩემთა გვარი, დაე,
ერთიანი იყოს ვითარცა მგლისა!"

ძველი სამეფოს მთელს მანძილზე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ადრეულ ხანებში მეფის ხელისუფლებას საგრძნობლად ზღუდავდა სახალხო კრება — ფანქუ, რომელსაც დიდი ფუნქციები ეკისრა.

თავდაპირველად იგი აერთიანებდა ყველა მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. შემდგომში სახალხო კრებაში შემავალ პირთა წრე საკმაოდ შეიზღუდა, როგორც ჩანს, დიდგვარიანთა უმაღლესი ფენების წარმომადგენლებით. პირველ ხანებში მხოლოდ მას ჰქონდა უფლება დაენიშნა ტახტის მემკვიდრე, განეგო სასამართლო თუ სხვა საქმენი. ლაბარნას დროიდან იწყება ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ამ დროიდან მეფე ატარებს ხათური წარმოშობის ტიტულს „თაბარნა", ზოგჯერ „ლაბარნა". ეს უკანასკნელი ტერმინი იხმარებოდა აგრეთვე ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრის აღსანიშნავად. მეფესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა დედოფალი, რომელიც, აგრეთვე, ხათურ ტიტულს „თავანანას" ატარებდა (ამავე ტიტულით აღინიშნებოდა, როგორც წესი, ტახტის მემკვიდრის დედა საერთოდ, იყო იგი დედოფალი, თუ არა).

სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო, პირველ რიგში, სამეფო გვარის ერთიანობის დაცვა, რაც ყოველთვის როდი ხერხდებოდა. უკვე ხათუსილი I-ის დროიდან სამეფო გვარის წარმომადგენელთა შორის ჩნდება ბზარი, სამეფო ტახტზე ასცლასთან დაკავშირებული.

ტახტის მემკვიდრის შერჩევის პროცესში განსაკუთრებით გართულებულა მდგომარეობა ხათუსილისა და „თავანანას" შორის (დღემდე გაურკვეველია, ეს „თავანანა" ლაბარნას დროინდელი „თავანანა" იყო, თუ ხათუსილის მეუღლე — ხათის დედოფალი). „თავანანა" მეფის სურვილის წინააღმდეგ წასულა და რაღაც „ბოროტება ჩაუდენია" ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრესთან, ხათუსილის ვაჟიშვილთან დაკავშირებით, რისთვისაც იგი მეფეს მკაცრად დაუსჯია. ხათუსილის სახე-

ლით შედგენილ ერთ-ერთ ძველ ხეთურ ტექსტში იმხანად შექმნილი მდგომარეობა ასეა გადმოცემული:

„...აწ და მარადის: თავანანას [სახელი] არავინ თქვას! მის ძეთა [სახელი არავინ თქვას!] სახელი მათი არავინ თქვას! თუ (ჩემს) ძეთაგან [ვინმე იტყვის—] ყელი მისი გამოჭრან და იგი (დამნაშავე) მის ჭიშკარზე ჩამოჰკიდონ! თუ ჩემს მსახურთა შორის მათ სახელს ვინმე იტყვის — დაე, იგი ჩემი მსახური არ იყოს! ყელი მისი გამოჭრან და იგი მის ჭიშკარზე ჩამოჰკიდონ! ... თქვენი — მსახურთა ჩემთა — გვარი, დაე, ერთიანი იყოს ვითარცა მგლისა!... თუ ჩემს სიტყვებს დაიცავთ და აგრეთვე ჩემს ქვეყანას დაიცავთ, (მაშინ) კერაში ცეცხლს გააღვივებთ. თუ არა და, თუკი ჩემს სიტყვებს დაარღვევთ, მაშინ კერაში ცეცხლს ვერ გააღვივებთ. და იგი მოვა, [ხათუსას] გველი შემოეხვევა...“

მდგომარეობა იქამდე გამწვავებულა, რომ ხათუსილის მიუმართავს ფანქუსადმი. სწორედ ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ძველი ხეთური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუში, ე. წ. „ხათუსილის ანდერძი“ (აქადურ და ხეთურ ენებზე).

ანდერძი წარმოადგენს უკვე ავადმყოფ მეფე-თაბარნას მიმართვას ფანქუსადმი — მეომრებისა და დიდებულთა საკრებულოსადმი, რომელსაც ხათუსილი უხსნის საქმის ვითარებას: ადრე მას დაუსახელებია ტახტის მემკვიდრე, როგორც ჩანს, თავისი დისწული (იგი უნდა ეშვილა ხათუსილის), რადგან საკუთარ შვილს (ხუციას), ვითარცა ქ. თაფასანდას მმართველს (ისევე როგორც ქალიშვილს) გაუცრუებია მამის იმედები — მეფის მოწინააღმდეგე ძალებს აჰყოლია. მაგრამ დისწულსაც, რომლის დედას (ე. ი. საკუთარ დას) ხათუსილი უწოდებს „გველს“, ჩაუდენია რაღაც მეფის საწინააღმდეგო „ბოროტება“ და მეფეს მისთვის წაურთმევია უფლება ტახტზე ასვლისა. ამას გაუმწარებია დედა, რომელსაც ხათუსილი ზემომოყვანილ ტექსტში „თავანანას“ უწოდებს.

ხათუსილიმ ფანქუს წარუდგინა ტახტის მემკვიდრის ახალი კანდიდატურა — მურსილი, როგორც ეარაუდობენ, თავისივე შვილიშვილი (ხათუსილის ისიც უნდა ეშვილებინა). მან ფანქუს მოსთხოვა, ეცნო არასრულწლოვანი მემკვიდრე ტახტისა, მოევლოთ მომავალი მეფისათვის. მის ირგვლივ შემოკრებილიყვნენ („დაე, გვარი თქვენი იყოს ერთიანი ვითარცა მგლისა! დაე, მასში მტრობა აღკვეთილიყოს!“). ხათუსილიმ მოუწოდა თავის „უპირველეს ქვეშევრდომთ“, აღასრულონ მისი სიტყვები, რაც ხათუსას აღზევების პირობა იქნებოდა.

მართალია, ფანქუმ მიიღო ხათუსილის თხოვნა. რაც იქიდან ჩანს, რომ ხათუსილის შემდეგ ხათუსაში მართლაც გამეფდა მურსილი I, მაგრამ სამეფო ტახტისათვის ბრძოლა მომავალში ამით არ შენელებუ-

ლა. პირიქით, მომდევნო ხანებში იგი გამძაფრდა. მხოლოდ „ძველი სამეფოს“ დასასრულს — თელიფინუს დროს დადგინდა ტახტის მემკვიდრეობის წესი. ადრეულ ხანებში კი მეფეს უფლება ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ დაესახელებინა ტახტის მემკვიდრის კანდიდატურა, რომელსაც სახალხო კრება დაამტკიცებდა ან უარყოფდა. მურსილის დროსვე ხათუსაში იწყება „ბოროტი საქმენი“, რაც თელიფინუმდე გაგრძელდა. ამ „საქმეთა“ პირველი მსხვერპლი თვით მურსილი გახდა.

„ნახე, ხათუსაში სისხლი მოგრავლდა“

„ძველი სამეფოს“ ხანაში, როგორც ვარაუდობენ, სამეფო ტახტზე ასვლის მკაცრად დადგენილი წესი (განსაკუთრებით, მამიდან შვილზე ტახტის გადაცემისა) არ არსებობდა. ტახტის ძირითადი კანდიდატები, მართალია, მაინც უფლისწულები იყვნენ, მაგრამ თუკი მოახერხებდნენ, ტახტზე ასვლა შეეძლოთ მეფის შვილიშვილებს, მეფის დისწულს, მისი დის ქმარს (სიძეს) ან ქალიშვილის ქმარს, ასევე სიძეს (ხათუსილი I კი თავანანას ძმისწული იყო). ამიტომაც იყო, რომ ტახტზე ასვლის პრეტენდენტები ხშირად მიმართავდნენ უზურპაციას და თავიდან იცილებდნენ ტახტის მემკვიდრეთა ყველაზე უფრო საშიშ მეტოქეებს — უფლისწულებს. ასეთ შემთხვევებში უზურპატორები აღარ იწვევდნენ ფანქუს, რადგან ეს უკანასკნელი არ მოიწონებდა. იმათ მოქმედებას, ვინც ძალით იგდებდა ხელში სამეფო ტახტს.

უზურპაციის პირველი მსხვერპლი გახდა მურსილი I — „ხანთილი მწდე (მერიქიფე) იყო, მას ხარაფსექი, მურსილის და. ცოლად ჰყავდა. ციდანთა (ფარულად) შეეთანხმდა ხანთილის და მათ ბოროტი საქმე ჩაიდინეს: მურსილი მოკლეს, მისი სისხლი დაღვარეს“ — აღნიშნულია „თელიფინუს ტექსტში“. ამ მკვლელობის შედეგად ხათის მეფე გახდა ხ ა ნ თ ი ლ ი, მურსილის სიძე (დის ქმარი), რომელსაც სამხედრო წარმატებანი არ მოუპოვებია. „საითაც წაეიდოდა (საბრძოლველად), (ის) ქვეყანა განუდგებოდა: აშთათა, სუქცია, ხურფანა, ქარგამიში ხათის ქვეყანას დამხმარე [რაზმებს აღარ] უგზავნიდნენ...“ — მოგვითხრობს იგივე „თელიფინუს ტექსტი“. ამ დროისათვის ხანთილი უკვე ხანშესული უნდა ყოფილიყო, იგი მალე გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალებისთანავე ახალი სისხლი დაიღვარა: „და როდესაც ხანთილი მოხუცდა და ღვთაებად გახდომა იწყო, ციდანთამ ფარული, ხანთილის ძე, მის ვაჟიშვილებთან ერთად მოკლა. მისი უპირველესი მსახურნიც დახოცა. ახლა ც ი დ ა ნ თ ა გამეფდა“ — დასძენს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი.

მაგრამ ღვთაებებს „უთხოვიათ“ ფისენის, ხანთილის ძის, სისხლზე შურისძიება და „ღვთაებებმა მას (ე. ი. ციდანთას) მტრად ამუნა, ძე მისი, მოუელინეს. და მან მოკლა ციდანთა, მამა თვისი. ახლა ა მ უ ნ ა გამეფდა“. მას ბევრი ქვეყანა მტრად გახდომია, მის ლაშქრობებს წარმატებანი არ მოჰყოლია.

ამუნას „ღვთაებად გახდომის“ (გარდაცვალების) შემდეგ უზურპაციის ახალი ფაქტი გამოვლინდა: ფარულად გაუსწორდნენ ამუნას მემკვიდრეებს — უფლისწულებს, სამეფო ტახტის ყველაზე საშიშ კანდიდატებს და „ახლა ხ უ ც ი ა გამეფდა“.

როგორც ჩანს, ეს უკანასკნელიც უზურპაციის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო: იმის მომიზეზებით, რომ ხუციამ თითქოს მოინდომა საკუთარი დის — ისთაფარიას და სიძის — თელიფინუს მოკვლა. ამ უკანასკნელმა დაასწრო (მას შემდეგ, რაც „ხუციას ზრახვა ცნობილი გახდა“) და ხუცია, ალბათ, თავიდან მოიცილა, თვითონ კი „მამამისის ტახტზე დაჯდა“ (ხუცია სრულიადაც არ იყო თელიფინუს მამა, იგი მხოლოდ თელიფინუს წინა მეფე იყო. ამ „წინა მეფეს“ მომდევნო მეფე „მამას“ ეძახდა). ამგვარად, უზურპატორის როლში გამოდის მეფე თელიფინუც, რომელთანაც დაკავშირებულია ხათის ძლიერების აღდგენა „ძველი სამეფოს“ დასასრულს.

თელიფინუს გამეფების შემდეგ გრძელდებოდა სამეფო გვარის წარმომადგენელთა მიმართ „ბოროტების ჩადენა“. ამას თან დაერთო ისიც, რომ გარდაიცვალნენ დედოფალი ისთაფარია და უფლისწული ამუნა. სწორედ ამ ხანებში ამბობდნენ „ღვთის კაცნი“ (ტაძრის მსახურნი): „ნახე, ხათუსაში სისხლი მომრავლდა!“ („თელიფინუს ტექსტის“ სხვა ადგილასაც აღნიშნულია, რომ „წინათ სისხლის ღვრა ხათუსაში ხშირი იყო“). ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მეფე თელიფინუს ხათუსაში მოეწვია დიდი საკრებულო — თ უ ლ ი ა, რომელზედაც დაადგინეს: „ამიერიდან ხათუსაში (სამეფო) გვარის ძეს ბოროტება არავინ უყოს და მის (წინააღმდეგ) სატევარი არავინ იშიშველოს!... შემდგომში ვინც მეფედ გახდება და ძმას ან დას ბოროტებას მიაყენებს, თქვენ იქნებით მისი ფანქუ...“ („თელიფინუს ტექსტი“).

ამავე თულიაზე დადგინდა სამეფო ტახტზე ასვლის კანონი, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ უზურპაციას სამეფო გვარის წარმომადგენელთა მხრიდან. ყოველი გამოვლენა უზურპაციისა თულიასა და ფანქუს (სისხლის ღვრის პერიოდში ფანქუს აღარავინ იწვევდა) მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.

„დაე, მეფედ მხოლოდ უპირველესი (უფროსი) უფლისწული (დუბლიკატში „უფლისწულთაგან“) გახდეს. უკეთუ უპირველესი უფლისწული არ არის, მაშინ ის ძე, რომელიც მეორე (მომდევნო) ადგილზეა (ასაკით), დაე, მეფედ იგი გახდეს. მაგრამ თუკი უფლისწული მემკვიდრე არ არის, მაშინ იმისთვის, ვინც უპირველესი (უფროსი) ქალიშვილია, ზედსიძე აიყვანონ და, დაე, მეფედ იგი გახდეს“*.

ახალი კანონმდებლობის ძალით ამიერიდან სამეფო ტახტზე ასვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ და მხოლოდ მეფისწულებს — მეფის პირდაპირ შთამომავლებს. თუ შვილთაგან მეფეს არ გააჩნდა მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ტახტზე ასვლა შეეძლო მხოლოდ მისი ქალიშვილის ქმარს — სიძეს. დანარჩენები (დისწული, დის ქმარი და ა. შ.) თელიფინუმ საერთოდ გამორიცხა ტახტის პრეტენდენტთა რიცხვიდან.

თელიფინუმ მოუწოდა თავის მემკვიდრეებს: „აწ და მარადის: ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდება, დაე, ძმანი მისი, ძენი მისი, მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული იყვნენ... შენს თვისტომთაგან არავინ არ ჰკლა...“. ამავე დროს, მან მოითხოვა კოლექტიური პასუხისმგებლობის შეცვლა პირადი პასუხისმგებლობით: „ვინც ძმებსა და დებს შორის ბოროტებას ჩაიდენს და მეფის თავს გაუსწორდება, (მისთვის) მოიწვიეთ თულია. თუკი მისი (ჩადენილი) საქმე დადასტურდა, დაე, იგი (საკუთარი) თავით დაისაჯოს. ფარულად კი ... არ მოჰკლან. მის სახლს, მის ცოლს, მის ვაჟიშვილებს ბოროტება არ უყონ. უკეთუ უფლისწული შესცოდებს, დაე, იგი მხოლოდ (საკუთარი) თავით დაისაჯოს, ხოლო მის სახლს და მის

---

* მოყვანილ ადგილს „თელიფინუს ტექსტიდან“ მკვლევართა ნაწილი სხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს, რაც ამ ადგილის განსხვავებულ თარგმანზეა დამოკიდებული. მათი აზრით, „უპირველესი (უფროსი) უფლისწულის“, ისევე როგორც „უპირველესი (უფროსი) ქალიშვილის“ მაგვარად ტექსტში იგულისხმება „პირველი რანგის უფლისწული“ და „პირველი რანგის ქალიშვილი“, ხოლო „ძე. რომელიც მეორე (მომდევნო) ადგილზეა“, სათარგმნია როგორც მეორე რანგის ძე“. ამასთანავე, „პირველი რანგის შვილებში“ გულისხმობენ შვილებს კანონიერი მეუღლისაგან — დედოფლისაგან, ხოლო „მეორე რანგის ძეში“ — შვილს არაკანონიერი ცოლისაგან. მაგრამ ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია, რომ ხეთური ტექსტების სხვა მონაცემთა თანახმად, სიტყვა „უპირველესი“ (ხეთურად ხ ა ნ თ ე ც ი) სწორედ „უფროსის“ (მთავარის“) აღმნიშვნელია. გარდა ამისა, მეფისწულთა, ისევე როგორც მეფის მეუღლეთა დაყოფა „რანგებად“ შეინიშნება მხოლოდ „ახალი სამეფოს“ დროისათვის. ძველ ხეთურ ტექსტებშიც არ დასტურდება ასეთი დაყოფა.

ვაჟიშვილებს ბოროტება არ მიაყენონ. უფლისწულები (ჩვეულებრივ) რის გამოც იღუპებიან, ეს არ (უნდა შეეხოს) მათ სახლებს, მათ ველ-მინდვრებს, მათ ვენახებს, მათ მსახურთ, მათ შინაყმებს, მათ მსხვილ-ფეხა და წვრილფეხა საქონელს...".

თელიფინუს კანონმდებლობა ძალაში იყო ხეთების ისტორიის მთელს მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ თელიფინუს დროს გან-მტკიცდა სამეფო ხელისუფლება, მეფე მაინც არ გახდა ქვეყნის უზე-ნაესი მმართველი. იგი რამდენადმე შეზღუდული იყო თულიათი და ფანქუთი, თუმცა ამ უკანასკნელთა ფუნქციონირება თანდათან სუსტ-დებოდა. „ახალი სამეფოს" ხანაში კი ეს ორივე საკრებულო სულ გაუქმდა — მეფე უზენაესი მმართველი გახდა.

ხათი „ძველი სამეფოს" მიწურულს

ხანთილის დროიდან ხათი ჰკარგავს პოლიტიკურ ძლიერებას. ამ მეფის ლაშქრობებს წარმატება არ მოჰყოლია, ხეთებს განუდგნენ ად-რე დაპყრობილი ქვეყნები (ხაკკა, მათილა, გალმია, ადანია, არცავია= არცავა, სალაფა, ფარდუვათა, ახულა და მრავალი სხვა). ხათის და-სუსტებით უნდა ესარგებლად ქასქების ტომებს. რომლებმაც ააოხრეს სასაზღვრო რაიონები, განსაკუთრებით, თილიურა (იგი დაუსახლებე-ლი დარჩა ხათუსილი III-ის მეფობამდე). აღმოსავლეთში ძალზედ გააქტიურდნენ ხურიტები.

შეთქმულებათა და უზურპაციის პერიოდში ხათი საგრძნობლად დაეცა, იგი დროებით გამოაკლდა წინა აზიის დიდ სახელმწიფოთა რიგს.

თელიფინუმ თავისი სამხედრო საქმიანობა ჩრდილოეთ სირიიდან დაიწყო — ბრძოლით კვლავ შემოიმტკიცა ხასუვა, პოზიციები გაი-მაგრა ქიცუვათნაში — ამბოხება ჩააქრო ლავაცანთიაში და სამშვი-დობო ხელშეკრულება დადო ქიცუვათნას მეფე ისფუთახსუსთან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ დროიდან ქიცუვათნამ ორიენტაცია აიღო ხა-თის სამეფოზე, გაემიჯნა რა ხალაფსა და ხურის (თვით ხალაფში კი თელიფინუმ ვეღარ აღადგინა პოზიციები). ხათის სამფლობელოები გაფართოვდა ცენტრალური ანატოლიის მეზობელი რაიონების შემო-ერთებით. შინაარსი შეიცვალა თვით ტერმინმა „ხათი" — იგი ახლა აღნიშნავდა უზარმაზარ ტერიტორიას.

თელიფინუს დროს იწყება მსხვილი სახელმწიფო მეურნეობების ჩამოყალიბება, ხდებოდა რა სახელმწიფოს მიერ ცალკეული თემების დამორჩილება, სახელმწიფო დამოკიდებულებაში მოქცევა იმ თემები-სა, რომლებიც მანამდე თავისუფალი იყვნენ. „თელიფინუს ტექსტში"

დადასტურებული ფაქტის თანახმად, მარტო ე. წ. „ბეჭდის სახლის“ მეურნეობაში მოექცა 94 თემი.

როგორც ვარაუდობენ, თელიფინუს მეფობის პერიოდში უნდა მომხდარიყო ჩვენამდე მოღწეული „ხეთური კანონების“ ერთ-ერთი ძველი ვერსიის რედაქტირება.

ხათი კვლავ ერთ-ერთ ძლიერ სამეფოდ გადაიქცა დასავლეთ წინა აზიაში, თუმცა ხათის პირველ სამ მმართველთა (ლაბარნა, ხათუსილი I, მურსილი I) დროინდელი სიძლიერე მან მაინც ვერ აღიდგინა. ასეთ სიძლიერეს მან მიაღწია ხეთების „ახალი სამეფოს“ ხანაში, რასაც ქვემოთ დავინახავთ. მანამდე კი მოკლედ შევჩერდეთ ხეთების „შუა სამეფოზე“.

VII

ხეთების „შუა სამეფო“. ხათი – კვლავ განსაცდელში

თელიფინუს მემკვიდრეებმა, რომლებიც „შუა სამეფოს“ ხანაში (დაახლოებით ძვ. წ. 1500—1400 წწ.) ბატონობდნენ ხათუსაში, როგორც ჩანს, ვერ შეინარჩუნეს ხათის ძლიერება. ხეთებს უნდა დაეთმოთ პოზიციები ჩრდილოეთ სირიაში, განსაკუთრებით, ხალაფში, ისევე როგორც აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ სირიის წვრილ სამთავროთა გაძლიერება, ერთი მხრივ, და ხურის ქვეყნის (ხანიგალბათის) მომძლავრება, მეორე მხრივ.

ხათის სამეფოს თავისი პოზიციები უნდა შეენარჩუნებინა ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქიცუვათნაში: ციდანთა II-ემ ხელშეკრულება დადო ქიცუვათნას მეფე ფილიასთან, ხოლო ხათის რომელიღაც მეფემ — ფადათისუსთან, ასევე ქიცუვათნას მეფესთან. ამ ხელშეკრულებათა მიზანი უნდა ყოფილიყო ქიცუვათნას საბოლოო გადაბირება ხათის მხარეზე და ჩრდილოეთ სირიის სამეფოებისა და ხურიტებისათვის ზურგის შექცევა. ეს უძველესი ხელშეკრულებანი, აქადურ და ხეთურ ენებზე შედგენილი, ფორმდებოდნენ პარიტეტის პრინციპზე, რაც მხარეთა თანასწორობას გულისხმობდა.

სწორედ ამ ხანებში დასავლეთ წინა აზიის ერთ-ერთ გაბატონებულ ძალად იქცა ხურიტების მძლავრი გაერთიანება — მითანი (ხანიგალბათი, ხური). მითანის მეფეთა მისწრაფება ცხადზე უცხადესი იყო: დაეწესებინათ კონტროლი ყველა სავაჭრო გზაზე ევფრატის გაყოლებით. მითანის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა ჩრდილოეთ სირიაში. საიმედო მოკავშირეებად მათ გამოიყენეს ჩრდილოეთ სირიის წვრილ სამთავროთა მმართველნი, რომლებიც იმხანად სამხრეთიდან მრისხანე მტრის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს იყო ეგვიპტე.

ჩრდილოეთ სირიაში ეგვიპტის ძველი პოზიციების აღდგენისათვის იბრძოდა თუტმოს III, რომელმაც დაახლოებით ძვ. წ. 1471 წლისათვის, ამ ფარაონის მეფობის მე-8 წელს, ილაშქრა ჩრდილოეთ სირიაში და გაანადგურა ხალაფი. ფარაონმა ბოლო მოუღო ხურიტების ბატონობას ამ ქვეყანაში, სადაც ეგვიპტელთა გავლენა არ შესუსტე-

ბულა თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე (როგორც ჩანს, სწორედ ამ ხანებში „დიდი ხეთა“ უგზავნიდა თუტმოსს ძღვენს). მაგრამ თუტმოსის შემდეგ მდგომარეობა იცვლება: ამენხოტეპ II-მ ვეღარ მოახერხა წარმატებით გამკლავებოდა ხურიტების შემოტევას ჩრდილოეთ სირიაში, სადაც მითანი სულ უფრო მეტად იმაგრებდა ფეხს. მაგრამ მალე მითანის მოქმედებას ამ მხარეში ბოლო მოუღეს ხეთებმა (დაახლოებით ძვ. წ. 1450 წლისათვის).

ეგვიპტის პოზიციების დასუსტებას ხალაფში თან დაემთხვა თუთხალია II-ის (ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, I-ის) გამეფება ხათში. აღნიშნულ დროს, ხალაფის მეფეს დაუწყია ხეთების საწინააღმდეგო მოქმედებანი (სახელდობრ, რაში გამოიხატა ეს — არ ვიცით). თუთხალიამ ჯერ ურთიერთობა აღადგინა ქიცუვათნასთან, ხოლო შემდეგ მოულოდნელად შეუტია ხალაფსა და მის მოკავშირეებს. მოგვიანო ხანებში ხალაფთან დადებული ხელშეკრულების შესავალ (ისტორიულ) ნაწილში (ტექსტი აქადურადაა შედგენილი) აღნიშნულია: „როდესაც თუთხალია, დიდი მეფე, თავის სამეფო ტახტზე ავიდა, ხალაფის მეფე მის წინააღმდეგ აღსდგა. ხალაფის მეფე ხანიგალბათის ქვეყნის (=მითანის) მეფეს შეუთანხმდა. მაგრამ მან (ე. ი. თუთხალიამ) ამის გამო ხანიგალბათის მეფე და ხალაფის მეფე, თავიანთ ქვეყნებთან ერთად, გაანადგურა და ქალაქი ხალაფი დაანგრია“.

ხათის წინააღმდეგ მოწყობილი კოალიცია ხალაფის მეთაურობით თუთხალიამ გაანადგურა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ხათის პოლიტიკის აღდგენა ჩრდილოეთ სირიაში. როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთის დიდ სავაჭრო და სამხედრო გზას ხეთები კვლავ დაეპატრონენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო.

თუკი იმ ხეთურ ტექსტთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც აქამდე აკუთვნებდნენ ხეთების „ახალი სამეფოს“ დასასრულის ერთ-ერთ მმართველს — თუთხალია IV-ს, მართლაც შედგენილია არა ამ უკანასკნელის, არამედ თუთხალია II-ის სახელით (რაშიც ეჭვი ბევრს უკვე აღარ ეპარება), მაშინ „შუა სამეფოს“ ისტორიულ მოვლენათა ჩარჩო, განსაკუთრებით, თუთხალია II-ის ხანისა, მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

ამ ტექსტთა თანახმად, საომარი ოპერაციები თუთხალია II-ს უწარმოებია აგრეთვე მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთში, ისევე როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთში და აღმოსავლეთში, როგორც ამას ვიგებთ მის მიერ შედგენილი „ანალებიდან“.

სრულიად არ იყო მოულოდნელი თუთხალიას გამოჩენა არცავას ქვეყანაში. ამ მხარეში უკვე საფუძველი ეყრებოდა ხეთების საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც განპირობებული იყო არცავას გაძლიერებით და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით. არცავამ ურ-

თიერთობა დაამყარა ეგვიპტესთან. ეს დასტურდება თელ-ამარნას არქივში ნაპოვნი წერილებით, რომლებსაც ფარაონი უგზავნიდა არცავას მეფეს. ხეთების დამარცხებაში არცავას მმართველთ, როგორც ჩანს, იმედი უნდა ჰქონოდათ დასავლეთ მცირე აზიის ქვეყნებისა, სადაც ავრეთვე ხეთების საწინააღმდეგო მოქმედებანი მზადდებოდა (ასუვაში, თარუისაში, ვილუსაში, მდ. სეხას ქვეყანაში და სხვაგან). სწორედ ამ ხანებში დასავლეთში საომარ მზადებას იწყებს ახიავას მეფე.

თუთხალიამ დაამარცხა არცავას ქვეყნის მეფე მოკავშირეებითურთ, შემდეგ კი მდ. სეხას ქვეყანას გაუსწორდა (ამ ამბების აღწერისას ტექსტში აღნიშნულია, რომ „ახიავას ქვეყნის მეფე განერიდა", ე. ი. ბრძოლას), დიდი ნადავლითა და ნამრათი ხათუსას დაბრუნდა. ამ მხარეში ბრძოლები მან კვლავ განაახლა, როდესაც დაამარცხა ასუვას ქვეყანა და სხვანი და ასევე დიდი ნადავლით (10 000 ნამრა, 600 ცხენი) ხათუსას გამოემართა.

დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან თუთხალიამ ბრძოლები გადაიტანა ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც ქასქებს უსარგებლიათ ხეთების მეფის ლაშქრობით ასუვაში და ხათის ქვეყანას შესევიან, აუოხრებიათ რა იგი. თუთხალია გაუსწორდა ქასქებს თავიანთივე ქვეყანაში. ცოტა ხნის შემდეგ იგი შეებრძოლა ხურიტებს ისუვას ქვეყანაში.

თუთხალიას მემკვიდრეებს (არნუვანდა I, ხათუსილი II) ძალზედ გაუჭირდათ ხათის მონაპოვართა შენარჩუნება, რადგან ქვეყანა მზად არ იყო დიდი საგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის. მითანის, არცავას, ჩრდილოეთ სირიის წვრილ სამთავროთა წინააღმდეგ ბრძოლამ ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ხათის კვლავ განედგნენ მეზობელი ქვეყნები (ისევე როგორც ჩრდილოეთ სირიის სამთავროები), რომლებმაც მას ახალი ძალით შემოუტიეს. მოგვიანებით შედგენილ ერთ ხეთურ წყაროში ხათის უმწეო მდგომარეობა ასეა გადმოცემული: „წინათ ხათის ქვეყნები მტრისგან აოხრებული იყვნენ: ამ მხრიდან ქასქა-მტერი მოვიდა და ხათის ქვეყნები ააოხრა. ხოლო ქ. ნენასა საზღვრად ქმნა. იმ მხრიდან, „ქვედა ქვეყნიდან", არცავა-მტერი მოვიდა და ამან ხათის ქვეყნები ააოხრა, ხოლო ქ. თუვანუვა და ქ. უდა საზღვრად ქმნა. ამ მხრიდან არაუნა-მტერი მოვიდა და ქასიას ქვეყანა მთლიანად ააოხრა, იმ მხრიდან კი აცი-მტერი მოვიდა და „ზემო ქვეყნები" მთლად ააოხრა, ხოლო ქ. სამუხა საზღვრად ქმნა. აგრეთვე ისუვა-მტერი მოვიდა და თეგარამას ქვეყანა ააოხრა. ამ მხრიდან არმათანა-მტერი მოვიდა და ამან ხათის ქვეყნები ააოხრა, ხოლო ქ. ქიცუვათნა მოსაზღვრე ქალაქად ქმნა. ხათუსა, თვით ქალაქი,

გადამწვარი იყო და მხოლოდ ... და ხ ე ს თ ა-სახლი იყო გადარჩენილი“ (ტექსტში ნახსენები ა ც ი იგივეა, რაც ხ ა ი ა ს ა. თ ე გ ა რ ა მ ა მ ო-გვიანო ხანების თ ო გ ა რ მ ა ა).

ხათის სისუსტის ხანა დიდხანს აღარ გაგრძელებულა. სუფილუ-ლიუმას დროიდან იგი კვლავ იბრუნებს თავის ძველ დიდებას.

VIII

„ახალი სამეფო". ხეთების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მომენტები

ამ ხანაში (დაახლოებით ძვ. წ. 1400—1200 წწ.) ხათი განიხილებოდა როგორც ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის ტოლი სახელმწიფო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაშინდელი წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას კვლავ დაუბრუნდა ძველი დიდება.

სუფილულიუმა I: მითანი, ჩრდილოეთ სირია, ხაიასა ...

„ახალი სამეფოს" დასაწყისში, თუთხალია III-ის მეფობის დროს, ხათის ქვეყანაში იწყება კონსოლიდაციის პროცესი, რომლის შესახებ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით, თუმცა მისმა შედეგებმა სულ მალე იჩინა თავი — ხათი კვლავ გამოჩნდა დასავლეთ წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე (ამ პერიოდს აკუთვნებენ, მაგალითად, ხათუსას სამხრეთ ნაწილში დიდი თავდაცვითი კედლისა და დედაქალაქის სხვა ნაგებობათა აგებას).

საბრძოლო ნათლობა ახალგაზრდა სუფილულიუმამ მიიღო ჯერ კიდევ სამეფო ტახტზე ასვლამდე, როდესაც იგი მამამისს, თუთხალია III-ს, თან ახლდა ბრძოლებში მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სამხრეთ-დასავლეთში და სხვაგან. გამეფებისთანავე (დაახლოებით ძვ. წ. 1380 წ.) სუფილულიუმა I შეუდგა მისი საგარეო პოლიტიკის უპირველესი ამოცანის გადაწყვეტას — მითანის სახელმწიფოსთან ანგარიშის გასწორებას.

მართალია, მისი პირველი ლაშქრობა მითანიში ჩრდილოეთ სირიის მხრიდან წარუმატებლად დამთავრდა — მითანის მეფე თუშრათამ მოიგერია ხეთების შემოტევა, მაგრამ მომდევნო ლაშქრობამ ევფრატს გადაღმა დიდი წარმატება მოუტანა ხეთებს.

სუფილულიუმამ ამჯერად მოქმედების სხვა გეგმა აირჩია — ევფრატი გადალახა მალატიასთან (ხეთური წყაროების მ ა ლ დ ი-

ასთან) და შეიჭრა ხურის ქვეყნის ერთ-ერთი გაერთიანების — ისუვას ტერიტორიაზე, რომლის სამხრეთით სწორედ მითანი განივრცობოდა. შემოიმტკიცა თუ არა ისუვა, სუფილულიუმა მოულოდნელად დაეშვა სამხრეთით, ჩრდილოეთ შუამდინარეთში და, მიადგა მითანის დედაქალაქს ვაშუქანის (ადგილმდებარეობა უცნობია), რომელიც ხეთების ლაშქარმა გაძარცვა და დაანგრია. სუფილულიუმამ მითანის სამეფო ტახტზე ასაყვანად მოამზადა თავისი ვასალი მითანელი შათივაზა, რომელსაც თავისი ქალიშვილიც მიათხოვა (შათივაზას მან ხელშეკრულებაც დაუდო — აქადურ ენაზე). მართალია, ამ ხანებში მითანის სამეფოს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან (რაც განმტკიცებული იყო ორი სამეფოს დინასტიური ქორწინებით), მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. თუშრათას წინაალმდეგ შეთქმულება მზადდებოდა იმათი მხრიდან, ვინც დასახმარებლად მიმართა ასურეთის მმართველ აშურუბალიტს. საბოლოოდ. თუშრათა მოკლეს ანტიხეთური კოალიციის შეთქმულებმა და სამეფო ტახტზე ართათამა აიყვანეს. შემდეგ კი მითანი დაუძლურდა ისე, რომ აღარ შეეძლო ასურეთის დარტყმების მოგერიებაც. მოგვიანებით (ადადნირარ I-ისა და სალმანასარ I-ის ლაშქრობის შემდეგ) იგი ასურეთის პროვინციად იქცა.

მითანის დამარცხებამ სუფილულიუმას ხელ-ფეხი გაუხსნა ჩრდილოეთ სირიაში სამოქმედოდ. ვაშუქანიდან იგი დაიძრა ჩრდილოეთ სირიისაკენ. გადმოლახა რა ევფრატი, ხეთების ლაშქარმა ბრძოლა ჭაუმართა კადეშის მეფეს. მისი დამარცხების შემდეგ ხეთების ლაშქარი უფრო სამხრეთით გაიჭრა. ხეთების მხარეზე გადავიდნენ ხალფა (იგივე ხალაფი) და ალალახი, წერილი სამთავროები ნუხაშე, ამურუ და სხვანი (როგორც ჩანს, ხეთებმა ამავე ხანებში აღნიშნულ სამეფოებთან დადეს ხელშეკრულებანი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს). სუფილულიუმას ამ შედეგიანმა ლაშქრობამ (დაახლოებით ძვ. წ. 1370 წ.) ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში კვლავ აღადგინა, თუმცა ისეთი ძლიერი ქალაქ-სახელმწიფო, როგორიც იყო ქარგამიში (ქარხემიში) ევფრატის შუა წელზე, კვლავ დამოუკიდებელი რჩებოდა. მოგვიანებით სუფილულიუმა კვლავ გამოჩნდა ჩრდილოეთ სირიაში, ამჯერად ქარგამიშის დასაპყრობად.

რვადღიანი ალყის შემდეგ ქარგამიშის ციხე-სიმაგრე დაეცა. ევფრატსა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარე ტერიტორია ხეთების პოლიტიკურ სფეროში მოექცა. სუფილულიუმამ ერთ-ერთი თავისი უფლისწული — თელიფინუ ხალფას მეფედ დასვა, ხოლო მეორე უფლისწული, ფიასილი, ქარგამიშის მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ ხალფა და ქარგამიში სამუდამოდ პროხეთურ ორიენტაციას დაადგნენ, გადაიქცნენ რა ხათის ვასალურ ქალაქ-სახელმწიფოებად, რაც

მოგვიანებით გარკვეული საბაბი გახდა ეგვიპტე-ხათის ურთიერთობათა გართულებაში.

მითანიში და ჩრდილოეთ სირიაში მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებებმა გამოიწვიეს ხეთების სამხედრო ძალის აღიარება მთელს ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ეგვიპტეში. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამიტომ არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი 18 წლის ასაკში გარდაცვლილი ფარაონის — თუთანჰამონის ქვრივის, ახალგაზრდა დედოფალ ანჰესენამუნის მიერ წერილების გაგზავნა სუფილულიუმასადმი მუდარით: „ქმარი ჩემი გარდაიცვალა, ვაჟიშვილი კი არა მყავს. შენზე ამბობენ, ბევრი ძე ჰყავსო. შენ რომ გამომიგზავნო ერთ-ერთი შენი ძეთაგანი, იგი ჩემი ქმარი გახდება. მე არაფრით არ ავიყვან ქმარს ჩემს ქვეშევრდომთაგან...". ანდა: „ის, ვინც ჩემი ქმარი იყო, მოკვდა და მე ძე არა მყავს... ყველა ამბობს, მას ბევრი ძე ჰყავსო. გამომიგზავნე ერთ-ერთი შენი შვილთაგანი, რათა იგი ჩემი ქმარი გახდეს...". სუფილულიუმას გაუთვალისწინებია ეგვიპტის დედოფლის თხოვნა, მისთვის უფლისწულიც გაუგზავნია, მაგრამ მას ეგვიპტემდე არც მიუღწევია — ხეთი უფლისწული გზაში მოუკლავთ (შესაძლოა, ანტიხეთური განწყობის ეგვიპტელ მომხრეებს). ამ ინციდენტს ეგვიპტე-ხათის ურთიერთობა არ გაუმწვავებია (ამ ორ სახელმწიფოს მმართველთა შორის ურთიერთობა არც ადრე ყოფილა გამწვავებული, რასაც ადასტურებს სუფილულიუმას მიერ ეხნატონისადმი გაგზავნილი წერილი ამ ფარაონის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით).

მითანისა და ჩრდილოეთ სირიის საქმეებით დაკავებულმა სუფილულიუმამ სათანადო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება ვეღარ შეძლო მცირე აზიის სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში, სადაც ერთხანს ხეთების საწინააღმდეგო პოლიტიკური სიტუაციაც შეიქმნა მილავანდას, არცავას, მირასა და მდ. სეხას ქვეყნის მხრიდან. ანტიხეთურ კოალიციაში, რომელმაც სუფილულიუმას მემკვიდრის — მურსილი II-ის გამეფებამდე იარსება, ახიავასაც უნდა მიეღო მონაწილეობა.

აღმოსავლეთში კი სუფილულიუმას საქმეები მოგვარებული ჰქონდა: მითანი გაანადგურა, ისუვა ხეთების ვასალი გახადა. შუამდინარეთიდან იგი რაიმე საფრთხეს არ ელოდა — მას ბაბილონის მეფის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა. ასურეთი ჯერ კიდევ გაძლიერებული არ იყო იმდენად, რომ ხათის სამფლობელოებს დამუქრებოდა.

სუფილულიუმა რაიმე საფრთხეს არ ელოდა არც ხაიასას მხრიდან — მდ. ევფრატის ზემო დინების რაიონიდან (ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ხაიასას ტერიტორია აღმოსავლეთი მიმართულებით ძალზედ შორს — ვანის ტბამდეა მოსათავსებელი და განსახილველია

როგორც ძველ სომეხ ტომთა ადრეული კერა). ხაიასასთან დაკავშირებული იყო ა ც ი ს ქვეყანა, რის გამოც მეცნიერები ამ ორ გეოგრაფიულ ერთეულს ზოგჯერ ა ც ი-ხ ა ი ა ს ა ს სახელითაც იხსენიებენ (როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აცი აღწევდა „ზღვამდე", ზოგიერთის ვარაუდით — შავ ზღვამდე, ზოგიერთისა — ვანის ტბამდე).

სუფილულიუმას ვრცელი და საიმედო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული (ხეთურ ენაზე) ხაიასას მომავალ მმართველთან — ხუკანასთან და ხაიასას „კაცებთან". ხელშეკრულებიდან არ ჩანს, იყო თუ არა ხუკანა სამეფო გვარის წარმომადგენელი, ანდა არსებობდა თუ არა საერთოდ მეფობა ხაიასაში (ხელშეკრულების ერთი ადგილის მიხედვით, ხაიასა „ჩამორჩენილი, განუვითარებელი" ყოფილა), სადაც ქვეყნის ბატონ-პატრონებად ჩანან „ხაიასას კაცები", ე. ი. მცხოვრებლები, მეთემენი, ან კიდევ, საკითხავია, საიდან გაჩნდა ხუკანა ხათუსაში? არ არის გამორიცხული, რომ სუფილიუმამ ილაშქრა ხაიასაში, რომლის დამარცხების შემდეგ იგი მფარველობდა ვინმე ხაიასელ ხუკანას, მომავალში მის ვასალს. ხელშეკრულების დასაწყისში ხუკანა „უბრალო მეომრადაა" გამოცხადებული: „ასე (ამბობს) „მზე" სუფილულიუმა, ხათის ქვეყნის მეფე: ხედავ, შენ, ხუკანა, უბრალო მეომარი აგიყვანე და წარჩინებული გაგხადე! მე შენ ხათუსაში და ხაიასას კაცებს შორის კეთილად წარმოგაჩინე, ხოლო შენ ჩემი და ცოლად მოგეცი".

ხეთების „ათასი ღვთაების" წინაშე დადებული ფიცი განსაზღვრავდა მხარეთა ურთიერთობებს: ხუკანას ვალდებულებებში შედიოდა „მზისადმი" მორჩილება და ერთგულება, მისი პატივისცემა და დაცვა შვილებითურთ, სამხედრო დახმარების აღმოჩენა. „მზისათვის" შეტყობინება ყოველგვარი „ბოროტი საქმისა" — მეფის საწინააღმდეგო მოქმედებისა, ლტოლვილთა გაცემა, სასახლეში გარკვეული ეთიკის დაცვა და ა. შ. თვითონ სუფილულიუმა ვალდებულებას იღებდა საჭიროების შემთხვევაში დაეცვა ხუკანა და „ხაიასას კაცნი".

დიდ ბრძოლებში ნაცადმა სუფილულიუმამ ვერაფერი გააწყო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ქასქებთან, რომლებიც ხეთების მოსაზღვრე რაიონებს აოხრებდნენ. მის სამარ მოქმედებებს ქასქების წინააღმდეგ საბოლოო წარმატება არ მოჰყოლია.

ხანდაზმული და დიდ ბრძოლებს გადატანილი სუფილულიუმა იმსხვერპლა, როგორც ვარაუდობენ, შავმა ჭირმა, ეგვიპტიდან და ჩრდილოეთ სირიიდან რომ ხათში მისმა მეომრებმა შემოიტანეს. ამავე სენმა იმსხვერპლა, აგრეთვე, სუფილულიუმას უფროსი ვაჟიშვილი

არნუვანდა, რომელმაც მცირე ხანს იმეფა ხათუსაში. მის შემდგომ კი ხათის სამეფო ტახტი კვლავ ძლიერი მმართველის ხელში აღმოჩნდა. ეს იყო მურსილი II.

მურსილი II: არცავა, ქასქა და სხვანი

მურსილის გამეფების დროისათვის ხათის საგარეო პოლიტიკა ერთგვარად შეიცვალა: თუკი სუფილულიუმას მეფობის დასაწყისში ხეთების ყურადღება ძირითადად მიმართული იყო ჩრდილოეთ სირიისაკენ და მითანისაკენ, მურსილი II-ის დროს ყურადღება გადატანილ იქნა უკვე მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთში, სადაც ხათის პოზიციები ძალზედ შესუსტდა. არცავას მეთაურობით ხათის წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია ხაფალას, მირა-ქუვალიას, მდ. სეხას ქვეყნისა და სხვათა შემადგენლობით, როგორც ჩანს, გარკვეულ მხარდაჭერას იღებდა ახიავას მხრიდან.

ჯერ „ქვემო ქვეყანას" შემოუტია „არცავას მტერმა", რომელიც უკუაგდო ხეთების ლაშქარმა. შემდეგ ხეთებს, როგორც ჩანს, განუდგა მილავანდა (არცავას მეფის — უხა-ციოის წაქეზებით), თუმცა იგი მალე კვლავ შემოიმტკიცა ხეთების ლაშქარმა. ასეთ ვითარებაში არცავას ერთ-ერთი ქვეყნის — მირას მმართველი მასხუილუვა იკავებს მილავანდას მიტაცებულ პუნქტს იმფას, რამაც ერთ დროს გაამწვავა მდგომარეობა მილავანდასა და მირას შორის. ხეთებმა მხარი დაუჭირეს მასხუილუვას.

ამ ხანებში ახალი შემოტევა ოაიწყო არცავას მმართველმა უხა-ციოიმ. მურსილი ილაშქრებს მის წინააღმდეგ და არცავას, დედაქალაქითურთ (=აფასას), ამარცხებს. უხა-ციოიმ, თავისი ლაშქრის ნაწილთან ერთად, თავს გაქცევით უშველა — მან ზღვას მიაშურა (როგორც ჩანს, რომელიღაც კუნძულზე. თვითონ არცავა „ზღვამდე" — ხმელთაშუა ზღვამდე ვრცელდებოდა), სადაც იგი მალე გარდაიცვალა კიდეც. არცავას ლაშქრის ნაწილი კი არინანდას მთაზე გამაგრდა (ეს მთა „კლდოვანი" ყოფილა და ეშვებოდა „ზღვაში"). მურსილიმ გაანადგურა არინანდას მთაზე გამაგრებული არცაველები და 15500 ნამრა ხათუსაში გაგზავნა, თვითონ კი არცავას ქვეყნის სხვა პუნქტების განადგურებას შეუდგა.

ამ მხარეში ხეთების ლაშქრობის მიზეზი ახსნილია ამავე მეფის ე. წ. „ათწლიან ანალებში". ფურანდაში ლაშქრობის წინ ამ ქალაქის მცხოვრებთ მურსილიმ აცნობა: „თქვენ მამაჩემის მორჩილნი იყავით. მამაჩემმა აგიყვანათ და უხა-ციოის მორჩილებაში გადაგცათ. იგი კი

[ახი]უვას (=ახიავას) ქვეყნის მეფეს მიემხრო და ამბოხდა. მაგრამ ოქვენ კვლავ ჩემს მხარეს გადმოდით და უხა-ციოის მეტი აღარ მიემხროთ! ჩემი მონები რომლებიც არიან — ხურსანასას ნამრა, სურუთას ნამრა და ათარიმას ნამრა — და თქვენთან გადმოვიდნენ, ისინი მე უკან დამიბრუნეთ".

მალე ფურანდელებს შეუერთდა გარდაცვლილი უხა-ციოის მემკვიდრე თაფალაცუნავალი, მაგრამ ხეთების ლაშქარს წინ ვეღარავინ აღუდგა — არცავას ქვეყანა ხეთების მორჩილი გახდა (მურსილიმ ფურანდადან 15 ათასამდე ნამრა გაგზავნა ხეთების დედაქალაქში).

არცავას შემდეგ ხეთების ლაშქარი გაემართა მდ. სეხას ქვეყანაში, რომელიც არცავას დიდი გაერთიანების ერთ-ერთი წევრი იყო. ცოტა ხნის წინ ამ ქვეყნის მეფე მანაფა-დათა მის ძმებს სეხადან გაუგდიათ, მაგრამ მას მაშინ მურსილი II დახმარებია და სეხაში მეფედ დაუბრუნებია. არცავას ომში მანაფა-დათას უხა-ციოის მხარე დაუჭერია, რის გამოც მურსილი გაეშურა სეხაში მანაფა-დათას დასასჯელად. სეხას მეფემ ხეთების მბრძანებელს მაშინვე სთხოვა პატიება, რაც მურსილიმ არ მიიღო. შეშინებულმა მანაფა-დათამ ხერხს მიმართა: მურსილის მიუგზავნა დედამისი (პარალელურ ტექსტში „დედამისი და უხუცესი მამაკაცები და ქალები"), რომელიც ხეთების მეფის ფერხთ დაემხო და პატიება ითხოვა. „რადგანაც ჩემს შესახვედრად დიაცი გამოემართა და იგი ჩემს ფერხთ დაემხო, დიაცს თხოვნა შეეუსრულე და (ამის) შემდეგ მდ. სეხას ქვეყანაში აღარ გავემართე" — თავაზიანად აცხადებს მურსილი, თუმცა ბრძოლის გარეშე მან ამ ქვეყნიდან 4 ათასი ნამრა გაგზავნა ხათუსას, ხოლო სეხა მორჩილად გაიხადა.

დიდი არცავას ისეთი წევრები, როგორიც იყვნენ მირა-ქუვალიას და ხაფალას ქვეყნები მურსილიმ ასევე მშვიდობიანად ხათის მორჩილად, ხოლო მათი მეფენი — მასხუილუვა და თარგასნალი ხათის ვასალებად გახადა: „...მირას ქვეყანაში გავემართე და მირას ქვეყანა მასხუილუვას მივეცი: მდ. სეხას ქვეყანა მანაფა-დათას მივეცი, ხაფალა კი თარგასნალის მივეცი. და ეს ქვეყნები თავ-თავიანთ ადგილას დავიმორჩილე, მათ მეომარი რაზმების მოწოდება დავაკისრე — ისინიც მეომარ რაზმებს უწყვეტლივ მიგზავნიდნენ". ამგვარად, არცავას თითოეული ქვეყანა ხეთების მორჩილი გახდა. ამ ქვეყნებიდან ხათუსას სალახლეში გაგზავნილი ნამრას რაოდენობამ კი 66 ათასს მიაღწია („უთვალავი" ნამრა წაიყვანეს, აგრეთვე, მურსილის სარდლებმა და მეომრებმა).

არცავას ქვეყნების დამორჩილების ოპერაცია დამთავრდა ხალაფის, მირა-ქუვალიას და მდ. სეხას ქვეყნების მეფეებთან ხელშეკრულებების დადებით (შესაძლოა, მსგავსი ხელშეკრულება დაიდო სა-

კუთრივ არცავას ქვეყნის მეფესთანაც, მაგრამ იგი არ შემოინახა), რომლებშიც ვასალთა მოვალეობანი დაწვრილებითაა აღწერილი: ხათისათვის დამხმარე მეომარი რაზმების (საომარ ეტლებთან ერთად) სისტემატურად მიწოდება, ხარკის გადახდა, მტრის მხრიდან შემოსევის საშიშროების, ან ამბოხების დროულად შეტყობინება, ხეთ ლტოლვილთა უკან დაბრუნება და ა. შ. მომავალში ეს ხელშეკრულებები იშვიათად თუ ირღვეოდა.

თავისი მეფობის არაერთი წელი მურსილი II-მ ქასქებთან ბრძოლაში გაატარა. მან დალაშქრა ქასქების მთავარი ქვეყნები — ხალილა და დუდუშქა, მოიგერია ქასქების შემოსევები დურმითას, ისხუფითას, ასხარფაიას მთის, თუმანას, თიმუხალასა და სხვათა მხრიდან, დაამარცხა თიფიას, ფალხუისას, ციხარიას, თარიქარიმუს, ფიგაინარესასა და სხვა პუნქტთა ქასქები, მაგრამ საბოლოოდ ვერც მან მოახერხა დამორჩილება ამ მეომარი ტომებისა, რომლებიც განუწყვეტლივ უტევდნენ ხეთებს მთელს სასაზღვრო ზოლში. მურსილს ლაშქრობა მოუხდა ხაიასაშიც, რომელიც დროებით განუდგა ხეთებს.

მურსილი II რამდენჯერმე გამოჩნდა მოკლე ხნით ჩრდილოეთ სირიაში: არეულობანი დაიწყო ნუხაშეში, ამურუში, ქინზაში, თუმცა ამას ხათისაგან განდგომა არ მოჰყოლია. მურსილიმ ქარგამიშსა და ხალფაში ტახტზე დასვა ახალი მეფენი, რომლებიც ხეთებისადმი ერთგულებას ინარჩუნებდნენ. სწორედ ამ ხანებში დაიდო ხელშეკრულება ამურუსთან, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ხეთების პოზიციები ჩრდილოეთ სირიაში, თუმცა უკვე მომძლავრებულმა ასურეთმა იწყო ამ პოზიციების შევიწროება ჩრდილოეთ სირიაში: ასურეთის მეფემ ქარგამიშს შეუტია. სწორედ ასურეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით იყო ჩამოსული მურსილი ჩრდილოეთ სირიაში, კერძოდ, ქარგამიშში.

ჩრდილოეთ სირიაში ყოფნისას მურსილიმ პირველად შეიტყო, რომ ეგვიპტელთა რაზმები ამ ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან გამოჩნდნენ. მართალია, ისინი მურსილის გარეშე დაამარცხეს და უკან გაიბრუნეს, მაგრამ ეგვიპტელთა გამოჩენა თავისთავად მაუწყებელი იყო ეგვიპტელთა აქტიურობის განახლებისა ჩრდილოეთ სირიაში, რაც სულ მალე დადასტურდა.

მუვათალი: ეგვიპტე, კადეში, ხათასა

ჩრდილოეთ სირიაში გატარებულმა პოლიტიკამ ხათი მიიყვანა ეგვიპტესთან შეტაკებამდე. მანამდე ამ ორ დიდ ქვეყანას შორის არ არსებობდა დაძაბული ურთიერთობა.

მაგრამ ეგვიპტესთან შეტაკებამდე მუვათალის მოუხდა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთში გალაშქრება. მიუხედავად მურსილი II-ის წარმატებითი ლაშქრობებისა არცავას ქვეყნებში, ვასალურ ურთიერთობათა პირობები ხათის მიმართ მაინც ირღვეოდა — არცავა არ ცხრებოდა, მთელი დასავლეთი ანატოლია ხეთებისათვის კვლავ პოტენციური საფრთხის კერად რჩებოდა.

მომავალი შეტაკებანი ეგვიპტესთან კარზე იყო მომდგარი. ეგვიპტესთან ბრძოლების წინ მუვათალის ზურგი უნდა ჰქონოდა გამაგრებული თვით ანატოლიაში. ამიტომაც გასწია მან სალაშქროდ არცავას მხარეში, სადაც ლაბარნას დროიდან ხეთებისადმი ერთგულად განწყობილი ვილუსა (მურსილი II-ს ამ ქვეყანაში არ ულაშქრია), როგორც ჩანს, ყველაზე მეტად აქტიურობდა. მუვათალიმ გაამაგრა ხეთების პოზიციები დასავლეთში, ვილუსა კვლავ ხათის მორჩილი გახადა, რაც გამოიხატა ვასალური ხელშეკრულების დადებაში. ამ ხელშეკრულების ტექსტი მთლიანად ემთხვევა არცავას სხვა ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებათა ტრაფარეტს, მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნევა ზოგიერთი განსხვავება, განსაკუთრებით, ტექსტის იმ ნაწილში, სადაც მეომართა რაზმების რეგულარულად მოწოდებაზეა საუბარი, ჩამოთვლილია „მზის“ — მუვათალის ტოლი მეფენი: „ეგვიპტის ქვეყნის მეფე“, „შანხარას (ე. ი. ბაბილონის) ქვეყნის მეფე“, „ხანიგალბათის (=მითანის) ქვეყნის მეფე“ და „ასურის ქვეყნის მეფე“. იქვე კი ტექსტის შემდგენელი დასძენს: „თუკი იქ (ე. ი. ზემოჩამოთვლილ მეფეთა ქვეყნებში) ვინმე (ჩემს წინააღმდეგ) საბრძოლველად აღსდგება..., თქვენ ქვეითი რაზმებითა და საომარი ეტლებით მაშინვე ჩემს დასახმარებლად გამოეშურეთო“. როგორც ვხედავთ, ტექსტის შემდგენელი უკვე უშვებს შესაძლებლობას, რომ „ეგვიპტის ქვეყნის მეფე“ საბრძოლველად აღსდგება „მზის“ წინააღმდეგ, რაც მართლაც მალე გამართლდა.

XIX დინასტიის დროიდან ეგვიპტის წინაშე დადგა ამოცანა ძველი გავლენის აღდგენისა პალესტინაში, ფინიკიასა და სირიაში. ეგვიპტის მთავარი მეტოქე აზიაში იყო ხათი, რომლის ბატონობა დღითიდღე იზრდებოდა ჩრდილოეთ სირიაში. ფარაონ სეთი I-ის ლაშქარი დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და მიაღწია კადეშს (მდ. ორონტზე). რამსეს II-მ განაახლა მოქმედებანი ამ მხარეში. თავისი მეფობის მეხუთეწელს (დაახლოებით ძვ. წ. 1312, ან 1286/5 წ.) მან შეკრიბა 20 ათასიანი ლაშქარი და გაემართა სირიისაკენ, სადაც მის შესახვედრად ემზადებოდა მუვათალი 30 ათასიანი მეომრისაგან შემდგარი ლაშქრით.

მუვათალის ლაშქარი შედგენილი იყო იმ ქვეყნების მეომრებით, რომლებიც ეგვიპტური იეროგლიფური ტექსტების მონაცემთა მიხედ-

ვით, „ზღვის დასასრულიდან (ე. ი. ანატოლიის დასავლეთიდან) ხეთას ქვეყნამდე“ მდებარეობდნენ. ესენი უნდა ყოფილიყვნენ, პირველ რიგში, არცავას დიდ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები. ეგვიპტური წყარო, რომელიც აღწერს ეგვიპტელთა და ხეთების მომავალ შერკინებას, ახახელებს ხეთების სხვა მოკავშირეებს სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიიდან: მასას, კარკისას, ლუკას და სხვას. მათ გვერდით დასახელებულია დარდანები, ჰომეროსის „ილიადაში“ რომ მოიხსენებიან. იმავე წყაროს მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ხეთების ლაშქარში ყოფილან სირიის ვასალური ქვეყნების (ქარგამიშის, ხალფას, კადეშის, იმავე ქინზას, ნუხაშის) მეომრებიც, აგრეთვე, მებრძოლები ქიცუვათნადან, ქასქას ქვეყნიდან, მითანიდან (=ნაჰარინადან). ამიტომაცაა, რომ აღნიშნულ ეგვიპტურ ტექსტში გესლიანადაა გამოცხადებული: „საძაგელი და საზიზღარი მმართველი ხეთას ქვეყნისა მოვიდა, როცა შეკრიბა ყველა უცხო ქვეყანაო“.

მიადგა თუ არა მდ. ორონტის მარჯვენა ნაპირს, რამსესი დაბანაკდა ქ. კადეშში, რომელიც ერთი დღის სავალზე იყო ნაპირიდან. ხეთების მიერ მოგზავნილმა ჯაშუშებმა ეგვიპტელებს აცნობეს, თითქოს ხეთების ლაშქარი გაეცალა კადეშს და შორს, ჩრდილოეთისაკენ გაემართა. ახალგაზრდა რამსესმა გადაწყვიტა, მაშინვე აეღო ეს ქალაქი, მაგრამ მახეში გაება. იქვე ჩასაფრებულმა ხეთების ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა ეგვიპტელთა რაზმები, თვითონ რამსესს კი ალყა შემოარტყა. ფარაონი იხსნა მისმა ვაჟკაცობამ, აგრეთვე, იმან, რომ ხეთების ლაშქარმა ეგვიპტელთა ბანაკის ძარცვას მიჰყო ხელი და საშუალება მისცა ეგვიპტელებს გაერღვიათ ალყა. რამსესმა საბოლოოდ ვერ შეძლო ვერც ხეთების დამარცხება, ვერც კადეშის აღება. ხეთების ლაშქარმაც ვერ მოახერხა უფრო სამხრეთისაკენ წაწევა, თუმცა ხეთებს არ დაუკარგავთ თავიანთი პოზიციები ჩრდლოეთ სირიაში: ისინი კიდევ კარგა ხანს ბატონობდნენ ამ რეგიონში.

კადეშის ბრძოლის დაწყების წინ კი მუვათალი დათასაში (დაახლოებით, თანამედროვე ქ. ყარამანთან) თავისივე ღვთაებებით გადმოსახლებულა. ხათუსადან საკმაოდ სამხრეთით, „ქვემო ქვეყანაში“, სამეფო რეზიდენციის გადმოტანა გარკვეული სტრატეგიული მოსაზრებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი: მუვათალი გამალებით ემზადებოდა ეგვიპტესთან ბრძოლისთვის და საჭირო იყო მომავალი საომარი ოპერაციების რაიონთან მიახლოება. როგორც ჩანს, დათასადან მოუწოდებდა მუვათალი თავის მცირეაზიელ მოკავშირეებს, გამოეგზავნათ დამხმარე რაზმები ეგვიპტის მრისხანე ლაშქართან საბრძოლველად.

აღნიშნულთან ერთად, სხვაც ივარაუდება: ეგვიპტესთან ბრძოლის დაწყების წინ, ისევე როგორც ამ ბრძოლის მიმდინარეობის პერიოდ-

ში, ქასქებმა გაახშირეს შემოსევები ხეთების ტერიტორიაზე, ისარგებლეს რა მათთვის ხელსაყრელი მომენტით — ხეთების მთელი ლაშქრის ჩრდილოეთ სირიაში ყოფნით. როგორც ჩანს, ისინი ემუქრებოდნენ დედაქალაქსაც, საიდანაც მუვათალი დროებით უნდა გადასახლებულიყო სამხრეთში, მით უმეტეს, რომ მომავალი სამხედრო ოპერაციების მოლოდინში ხეთების მეფე, ვითარცა მთავარსარდალი, მაინც უნდა მიახლოებოდა ჩრდილოეთ სირიას. ასეა თუ ისე, გარკვეული დროის მანძილზე ხეთების სამეფო რეზიდენცია დათასაში იყო გადმოტანილი. მუვათალის მომდევნო მეფენი კი კვლავ ხათუსაში ბრძანებლობდნენ.

ხათუსილი III:
სამეფო კარის მეჯინიბიდან — დიდ მეფემდე.
უძველესი საზავო ხელშეკრულება

მურსილი II-ის უმცროსი ვაჟიშვილი — ხათუსილი მამამისმა ბავშვობაშივე განაწესა სამეფო კარის მეჯინიბედ (ეს იმხანად საპატიო ადგილად ითვლებოდა), რაც იმას ნიშნავდა, რომ სამეფო ტახტისაკენ მიმავალი გზა მას გადაჭრილი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ არსებობდა და მხნედ იყო ტახტის კანონიერი მემკვიდრე — მურსილის უფროსი ვაჟიშვილი მუვათალი, რომელიც მამამისის გარდაცვალებისთანავე ავიდა ტახტზე.

ძმებს შორის რაიმე უსიამოვნება არ მომხდარა: მეფე მუვათალიმ უმცროსი ძმა სარდლად და სამეფო კარის მეშედთა მთავრად დანიშნა, თანაც საშართავად საკმაოდ დიდი ტერიტორია — „ზემო ქვეყანა“ ჩააბარა. ყოველივე ამას ქალღმერთ იშთარის, ხათუსილის მფარველი ღვთაების, დიდი კეთილგანწყობა „გამოუწვევია“.

ამ ქალღვთაებას ხათუსილისათვის თურმე ბავშვობიდანვე მიუქცევია ყურადღება, როდესაც მას მეფე მურსილისათვის მიუმართავს: „ხათუსილის წლები მოკლეა. იგი ვერ იცოცხლებს. ამიტომ გადმომეცი მე იგი. დაე, იგი ჩემი ქურუმი იყოს! მაშინ იგი ცოცხალი დარჩება!“ გახდა რა იშთარის ქურუმი, ხათუსილის ამის შემდეგ „აღარ მოჰკლებია ამ ღვთაების მზრუნველობა და მხარდაჭერა. სწორედ იშთარის წყალობით განელო თურმე ხათუსილიმ ბრწყინვალე კარიერა — სამეფო კარის მეჯინიბიდან დიდ მეფემდე. სწორედ მისი დახმარებით ჩაუდენია მას სრულიად „კანონიერი“ მოქმედება — სამეფო ტახტის მიტაცება.

ამას გვარწმუნებს ხათუსილის მიერ შედგენილი ე. წ. „ავტობიოგრაფია“. რომელიც უფრო მეტად ხათუსილის „აღსარებას“ წააგავს,

ვიდრე აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებს. მისი ავტორი ცდილობს თავი გაიმართლოს ჩადენილი დანაშაულის — უზურპაციის გამო.

მას შემდეგ, რაც მუვათალი ეგვიპტელებთან ბრძოლის წინ „ქვემო ქვეყანაში" გადასახლდა ღვთაებებითურთ, ხათუსილის მან ჩააბარა ქვეითი ლაშქარი და საბრძოლო ეტლები, რომელთა დახმარებით ხათუსილიმ წარმატებით მოიგერია მტრის, განსაკუთრებით, ქასქების თავდასხმები, არაერთხელ თვითონაც გაილაშქრა მტერზე და თავი გამოიჩინა როგორც კარგმა სარდალმა. ამ სამხედრო წარმატებების აღსანიშნავად „დიდ მეფეს" მისთვის სამართავად გადაუცია კიდევ არაერთი „ქვეყანა", მათ შორის, ხაქფისას ქვეყანაც და, ხათუსილი „ხაქფისას მეფედ" გამოუცხადებია. ეგვიპტესთან ბრძოლის დროს კი იგი თავისი ლაშქრით ეახლა ძმას და დიდ ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა. ჩრდილოეთ სირიიდან დაბრუნებისას ხათუსილი ქიცუვათნას ქალაქ ლავაცანთიაში შეჩერდა, სადაც დაქორწინდა ამ ქალაქის ქურუმის ქალიშვილზე — ფუდუხეფაზე, რომელიც „ხაქფისას ქვეყნის დედოფალი" გახდა.

წარმატებით გაბრუებულ ხათუსილის, როგორც ჩანს, გაუჩნდა განზრახვა გამხდარიყო „დიდი მეფე". მის ამ ზრახვას აღვივებდა ისიც, რომ მეფე მუვათალის არ ჰყავდა უფლისწული (ალბათ, არც ქალიშვილი). მაგრამ მუვათალის გარდაცვალების შემდეგ ხათუსილიმ ერთგვარ ფანდს მიმართა: ხათის სამეფო ტახტზე ჯერ აიყვანა მუვათალის ვაჟიშვილი არაკანონიერი ცოლისგან — ურხითესუფი, იგივე მურსილი III, შემდეგ კი დაიწყო მის წინააღმდეგ ფარული მოქმედება. ურხითესუფს გაუგია რა იშთარის „კეთილგანწყობა" ხათუსილის მიმართ, რაც უნდა გამოხატულიყო დიდი მეფისადმი მიმართულ საწინააღმდეგო მოქმედებაში, ხათუსილი მას „მტრად გაუხდია", ნერიქისა და ხაქფისას გარდა მისთვის ყველა „ქვეყანა" ჩამოურთმევია, და დაუმცირებია. შვიდი წელი უთმენია ხათუსილის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდ მეფეს მისთვის ხაქფისაც და ნერიქიც ჩამოურთმევია, იშთარის „დახმარებითვე" ხათუსილის შეუპყრია ურხითესუფი და ნუხაშეს ქვეყანაში (ჩრდილოეთ სირიაში) გადაუსახლებია. ასე დამთავრდა ბიძისა და ძმისწულის ქიშპობის „დუეტი", ხათუსილი კი, ვითარცა „ხათის დიდი მეფე" ხათუსილი (III), ავიდა ხათის სამეფო ტახტზე, რომელსაც იგი, უკვე „ხათის დიდ დედოფალ" ფუდუხეფასთან ერთად, კარგა ხანს მართავდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა უზურპაციისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თელიფინუს შემდეგ. მომავალში იგი აღარ გამეორებულა.

ხათის „დიდი მეფის" ტახტზე ხათუსილი III-მ გამოავლინა სახელმწიფოს მართვის დიდი ნიჭი. იგი იყო უნარიანი მმართველი უზარმაზარი სამეფოსი, საკმაოდ გამოცდილი სარდალი, ხათის ქურუმ-

თა შორის უზენაესი. მისი მეფობის დროს ხათის ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობიანობა, რაც მოხმარდა სახელმწიფოს გაძლიერებას, დედაქალაქი ხათუსა და მტრისგან გაჩანაგებული ხათის სხვა ქალაქები საფუძვლიანად იქნა აღდგენილი, მომრავლდა ქვეყნის დოვლათი, მოწესრიგდა სამეფო არქივები, სადაც გადაწერეს უძველეს ტექსტთა ასლები, დედოფალ ფუდუხეფასთან ერთად გამოცემულ იქნა ახალი რელიგიური თუ ადმინისტრაციული ხასიათის დადგენილებანი.

ხათუსილი III შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც აღმოჩნდა. ხათის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — ეგვიპტე-ხათის ურთიერთობა მან მშვიდობიანი გზით მოაწესრიგა.

გადაწყვიტა რა ბოლო მოეღო ეგვიპტელებისა და ხეთების კონფლიქტს სირიაში, ხათუსილიმ სპეციალური წარმომადგენლები გაგზავნა ეგვიპტეს, რათა ფარაონისთვის ემცნოთ, რომ ხეთების მხარე მზად იყო საზავო ხელშეკრულების დასადებად სირიაში მოსალოდნელი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. ეგვიპტესთან დამეგობრება სხვა მიზეზითაც იყო ნაკარნახევი. ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან არასახარბიელო ამბები მოდიოდა: გაძლიერებული ასურეთი შუა ევფრატის მხარეში მდებარე ტერიტორიებს უტევდა, რის გამოც ხეთებისა და ასურეთის შეტაკება გარდუვალი ხდებოდა. ეგვიპტის გახდომა ხათის მოკავშირედ კი აღმოსავლეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს შეანელებდა.

ხათუსილის მხრიდან შემოთავაზებული ზავი რამსეს II-მ უყოყმანოდ მიიღო. მისი მეფობის 21-ე წელს, დაახლოებით ძვ. წ. 1296 წ. (სხვა ქრონოლოგიით — 1269 წ.), წინა აზიის ორ დიდ სახელმწიფოს მმართველთა შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც ერთ-ერთ უძველეს სამშვიდობო ხელშეკრულებადაა აღიარებული. ხეთების მხრიდან იგი აქადურ ენაზე ყოფილა შედგენილი, მისი ტექსტი, თიხის ფირფიტებზე ნაწერი, ჰ. ვინკლერმა აღმოაჩინა ბოღაზქოიში (იხ. ზემოთ. სწორედ ამ ხელშეკრულების აქადური ვერსიის ერთ-ერთი ფრაგმენტი დაცულია ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოსკოვში. იგი 1921 წ. გამოაქვეყნა გამოჩენილმა ასირიოლოგმა ვ. შილეიკომ). იგივე ვერსია, რამსესს რომ გადასცეს, ვერცხლის ფირფიტაზეც ყოფილა ამოკაწრული (არ არის გამორიცხული, რომ იგი ხეთურ ენაზე ყოფილიყო დაწერილი). მან ჩვენამდე არ მოაღწია. თითქმის იდენტური ეგვიპტური ვერსია კი, ეგვიპტური იეროგლიფებით შედგენილი, შემორჩენილია რამესეუმისა და კარნაკის ტაძრების კედლებზე.

პარიტეტის პრინციპზე აგებული ხელშეკრულების პრეამბულაში ხოტბა ესხმება ხათისა და ეგვიპტის მბრძანებლებს, რომლებიც თა-

ნასწორ ხელმწიფეებად არიან გამოცხადებული. ხელშეკრულება შეფასებულია როგორც ხეთებსა და ეგვიპტეს შორის სამარადისო მშვიდობისა და ძმობის დოკუმენტი. იგი გამორიცხავს ყოველგვარ შეტაკებას ორი დიდი ქვეყნის მმართველთა შორის. სირიის მიმართ, როგორც ჩანს, აღიარებულ იქნა „სტატუს-კვო" — ძალაში დარჩა წინანდელი დაყოფა სირიისა „გავლენის სფეროებად": ეგვიპტელები კვლავინდებურად იბატონებდნენ სამხრეთ სირიაში, ხეთები კი — ჩრდილოეთ სირიაში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ურთიერთდაცვის საკითხს — მხარეთა ერთმანეთისადმი დახმარებას, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა. სპეციალური მუხლი ეხებოდა პოლიტიკურ ლტოლვილებს, თანაც საყურადღებო განმარტებით: ეგვიპტიდან ხათის ქვეყანაში გაქცეული ხეთების მეფეს ფარაონისთვის უნდა დაებრუნებინა, ხოლო ხათიდან ეგვიპტეში გამოქცეული ფარაონს ხეთების მეფისთვის უნდა გადაეცა. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პირობა — ლტოლვილი, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრი, არ უნდა დასჯილიყო... „თავისი შეცდომისთვის": მისთვის არ უნდა დაეთხარათ თვალები, არ უნდა მოეჭრათ ყურები, ბაგეები, ფეხები და ა. შ. ხელშეკრულების დასკვნით პარაგრაფში მოცემული იყო წყევლა და ლოცვა იმათ მიმართ, ვინც ხელშეკრულებას პატივს არ სცემდა, ანდა განადიდებდა. მოხმობილი იყო ხათისა და ეგვიპტის ათასი ღვთაება.

ხელშეკრულებამ ეგვიპტელ და ხეთ ხალხებს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონში მრავალი წლის მშვიდობიანობა მოუტანა. ათიოდე წლის შემდეგ ეგვიპტე-ხათის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა: რამსესმა ცოლად შეირთო ხათუსილი III-ის ასული, რომელიც ფარაონს პირველ ცოლად მიუჩნევია. აბუსიმბელის ტაძრის ერთ სტელაზე უკვდავყოფილია ლამაზი ხეთი პრინცესას მოსვლა ეგვიპტეში: სტელაზე ერთად არიან გამოსახული ფარაონი, ხათის მეფის ასული და ხათუსილი.

ეგვიპტე-ხათის ეს ხელშეკრულება და დინასტიური ქორწინება, რომელმაც დააგვირგვინა იმდროინდელი ორი დიდი ხალხის მეგობრობა, წარმოადგენდა ხეთების სამეფოს აპოგეას. ამის შემდეგ ხეთების სიძლიერე თანდათან ქრება.

მეჟა-ჟუხილისწინა მუუდროეგა: თუთხალია IV და მისი მემკვიდრეები

ხათუსილის მემკვიდრის — თუთხალია IV-ის დროს ერთგვარად შეფერხდა ხათის წინა მმართველთა დიდი საგარეო პოლიტიკის წარმოება. შესაძლოა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ხათის ვასალური

ქვეყნები თუთხალიას მიმართ ჯერ კიდევ ერთგულად იყვნენ განწყობილი, განაგრძობდნენ რა ვასალური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

სამაგიეროდ მშვიდობიანობის პერიოდი თუთხალიამ სხვა სფეროში გამოიყენა. ვითარცა სახელმწიფოს უზენაესი ქურუმი, მან სათანადო რელიგიური რეფორმები გაატარა მთელს ქვეყანაში. ხანგრძლივი ომების შემდეგ საჭირო უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში, სატაძრო მეურნეობის ეკონომიკურად მომძლავრება, სატაძრო მიწის ფონდის გაფართოება. ეს უნდა მომხდარიყო ტაძრებისათვის მიწის ახალი ნაკვეთების გამოყოფის, ან შეწირვების ხარჯზე. თუთხალიას დროს გაძლიერდა კულტის მომსახურება, შეადგინეს ე. წ. „საინვენტარო" და „სადღესასწაულო ტექსტები" იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ ტაძრების კუთვნილი ინვენტარის დაცვის მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში აღედგინათ დანგრეული ტაძრები და ძველი კერპები, აეგოთ ახალი ტაძრები და ღია კერპთსალოცავები, ზუსტად დაეცვათ რელიგიურ დღესასწაულთა ჩატარების დრო და რიტუალთა მიმდინარეობა და ა. შ. როგორც ვარაუდობენ, იაზილიქაიას რელიეფური გამოსახულებანი კლდეზე სწორედ თუთხალია IV-ის დროს უნდა ამოეკვეთათ (ამ გამოსახულებათა შორის აღბეჭდილია თვით ეს ხეთების მეფეც). მასვე ეკუთვნის ხათუსას „ბიბლიოთეკის" შემდგომი განახლება — ძველ ლურსმულ ტექსტთაგან ახალი ასლების დამზადება, ახალი ტექსტების შედგენა და სხვ.

მაგრამ თუთხალიამ თავისი მეფობა სულ მშვიდობიან ვითარებაში როდი გაატარა. ჯერ იყო და სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე ასირიელებმა შემოუტიეს ევფრატისპირა ქვეყნებს, რომლებიც ხეთებს მორჩილებდნენ. მოაღწიეს მალატიამდე, სადაც ისინი შეებრძოლნენ ხეთებს. ამის შემდეგ ისუვას ქვეყანაც ასირიელების გავლენაში აღმოჩნდა, რაც მძიმე დანაკლისი იყო ხეთებისათვის. ხეთებმა მოახერხეს ასირიელთა შეჩერება მხოლოდ ქარხემიშთან, რომელიც კვლავ ხეთების ერთგული რჩებოდა.

შემდეგ კი ხეთებს მოუხდათ კუნძულ კვიპროსის (ალასიას) შემომტკიცება. თუთხალია უნდა გალაშქრებულიყო კვიპროსის წინააღმდეგ, რომელიც ხათუსილი III-ის დროიდან ხეთების სამფლობელოდ განიხილებოდა. კვიპროსი კვლავ დამორჩილდა ხეთებს, თუმცა დროებით. ამავე ხანებში თუთხალია ურთიერთობებს აწესრიგებს ამურუსთან (ჩრდილოეთ სირიაში), რომლის მმართველ შაუშგამუვასთან იგი ხელშეკრულებას დებს.

თუთხალია IV-ის მეფობის დროიდან ნახლდება ანატოლიის დასავლეთში მდებარე ქვეყნების საგრძნობი გააქტიურება, რაშიც დიდ როლს თამაშობდა, როგორც ჩანს, არა მარტო არცავა, არამედ ახია-

ვაც. სათანადო საპასუხო მოქმედებანი კი ხათის მხრიდან არ უნდა განხორციელებულიყო.

ხათის შემდგომი მმართველის — არნუვანდა III-ის მეფობის დროს ხათის სამხედრო ძლიერება კიდევ უფრო შესუსტდა. ამ ხანებში ასირიელები კვლავ უტევენ ხეთების სამფლობელოებს აღმოსავლეთ პერიფერიაზე. თუქულთი-ნინურთა I-მა თავისი ლაშქრით გადალახა ევფრატი და ააოხრა იქვე მდებარე რაიონები, საიდანაც მან, როგორც თვითონ იკვეხნის, „28800 მცხოვრები ხეთების ქვეყნისა მდ. ევფრატის იქეთა (ე. ი. დასავლეთი) მხრიდან", ასურეთში გადმოასახლა (მკვლევართა ვარაუდით, დეპორტირებულთა რაოდენობა გაზვიადებულია). ანატოლიის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებში კი მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა დაძაბულიყო, მაგრამ არ ვიცით, რა განახორციელეს ხეთებმა დასავლეთიდან მომავალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყნის შიგნით კი ხათის მცხოვრებთა შორის რაღაც უკმაყოფილება უნდა არსებულიყო, რაც გამოიხატა „ამბოხებაში", ხეთური ტექსტები რომ აღნიშნავენ. ეს თითქოს იმით ყოფილა გამოწვეული, როგორც წყაროები დასძენენ, რომ არნუვანდა III-ს არ ჰყოლია ვაჟიშვილი, სამეფო ტახტზე რომ ასულიყო. მაგრამ ეს უკმაყოფილება ყველაზე მეტად გამოწვეული უნდა ყოფილიყო ხათის ქვეყნის ეკონომიკური დაძაბულებით, დიდი სამხედრო ლაშქრობების შეწყვეტით, რის გამოც აღარ ხდებოდა ქვეყანაში მდიდარი ალაფის შემოტანა და მრავალრიცხოვანი დეპორტირებულების გადმოსახლება.

ხეთური წყაროების ცნობა, რომლის მიხედვით არნუვანდა III-ს ვაჟიშვილი არ გააჩნდა, დასტურდება იმით, რომ ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ ხათის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძმა სუფილულიუმა II, ხეთურ ტექსტებში სუფილულიამას სახელით ცნობილი (უზურპაციის შესახებ ირიბი ცნობაც კი წყაროებში არ ასახულა). მან ილაშქრა ჩრდილოეთ შუამდინარეთში და, შესაძლოა, კვლავ შემოიმტკიცა ისუვა. რამდენადმე განამტკიცა სირიელი ვასალების ერთგულება ხათისადმი. მას მოუხდა კვლავ ამბოხებულ ალასიაში გალაშქრება, თანაც ზღვით: „...და მე სწრაფად ზღვას მივაშურე. ალასიას ქვეყნის ხომალდები ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად სამჯერ ზღვით გამოემართნენ. ისინი მე გავანადგურე, ხომალდები კი ხელთ ვიგდე და შუა ზღვაში დავწვი..." (ამის შემდეგ იგი შეებრძოლა „ალასიელ მტრებს", როგორც ჩანს, თვით კუნძულზე). დამარცხებულ ალასიაზე სუფილულიუმა II-მ ააგო დიდი ხეთური სამლოცველო („ხექურ"), რომელსაც მიამაგრა 700 დასახლება, გაანთავისუფლა რა იგი სახელმწიფო ბეგარისაგან. მაგრამ გაურკვეველი რჩება, ყოველივე ამას რა

მოჰყვა შედეგად. დასავლეთ მცირე აზიაში დაწყებული დიდი მოძრაობის ტალღას ალასიამდეც უნდა მიეღწია. როგორც ვარაუდობენ, მიუხედავად ზღვაზე მოგებული შეტაკებისა (იგი ხეთების პირველი ბრძოლაა ზღვაზე, ხეთურ წყაროებში აღწერილი), საბოლოო ჯამში ხეთებს უნდა დაეკარგათ ალასია, რომელსაც, შესაძლოა, ზურგს უმაგრებდა უგარითი (ჩრდილოეთსირიული ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე რას-შამრას ადგილას). სულ მალე დასავლეთიდან დაიძრა მძვინვარე ქარიშხალი, რომელმაც მიწასთან გაასწორა არა მარტო ხათი, არამედ ყველა მისი ვასალური თუ მტრული ქვეყანა ანატოლიის უმეტეს ნაწილებში, ისევე როგორც ჩრდილოეთ სირიაში.

ხათის აღსასრული:
სხიავა. „ზღვის ხალხები". ქასქები

ანატოლიის სამხრეთსა და დასავლეთში ხათის საწინააღმდეგო მოქმედებანი ამ რეგიონში მცხოვრებ ტომთა მხრიდან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უფრო ადრეულ ხანებშიც შეინიშნებოდა. არცავას ქვეყნები საერთოდ ხათის ვასალებად ითვლებოდნენ. მაგრამ ხელსაყრელი მომენტის გამოჩენისთანავე ისინი მეზობელ ხეთებს მაშინვე განუდგებოდნენ და მათ მტრად ხდებოდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც ხეთური წყაროების თანახმად, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახიავა (ძვ. წ. XV ს-დან), მომავალი შემოტევების საფრთხე ხეთებს დასავლეთშიც შეექმნათ.

ხეთური წყაროების მიხედვით, ახიავა მოიხსენიება მცირე აზიის ისეთ ქვეყნებთან კავშირში, როგორიცაა არცავა, მდ. სეხას ქვეყანა, ლუკა. ციფასლა, ასუვა და მილავანდა (მცირე აზიის გარეთ ახიავას ურთიერთობა ჰქონდა კუნძულ ალასიასთან). ხათის ქვეყანას ახიავა უშუალოდ არ ესაზღვრებოდა, ხეთების არცერთ მმართველს არ ულაშქრია ახიავაში, ისევე როგორც ახიავას რომელიმე მეფეს — ხათში.

ახიავასა და ხათის ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობანი დადასტურებულია ხეთურ წყაროებში „შუა სამეფოს" დროიდან. ხეთების მმართველები ანვარიშს უწევდნენ ახიავას მეფეს და თავის ტოლად მიიჩნევდნენ (ერთ-ერთი ხეთების მეფე მას „ჩემს ძმას" უწოდებდა). ახიავას და ხათის ინტერესები ძირითადად ქ. მილავანდაში ხვდებოდა. ამ ორ ქვეყანას ერთმანეთში ძირითადად მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც ზოგჯერ ირღვეოდა ახიავას აქტიურობის გამო. ახიავა ცდილობდა მომაგრებულიყო ანატოლიის სამხრეთსა და

დასავლეთ ნაწილში, ისევე როგორც ალასიაზე. ამას არ შეეძლო არ დაეძაბა ურთიერთობა ხეთებთან, მით უმეტეს, რომ ხეთების ზოგიერთ ვასალურ ქვეყანაში, მაგალითად, ციფასლაში, საკმაოდ მოურიდებლად მოქმედებდა „ახიას (იმავე ახიავას) კაცი", ე. ი. ახიავას მმართველი, სახელად ათარისია (მადუვათას დროს).

მიუხედავად იმისა, რომ „ახიავა" სახელწოდებას მკვლევრები ხშირად აიგივებენ ჰომეროსის 'Αχαιοί -სთან, რომელიც ძველ ბერძენ ტომთა კავშირის აღმნიშვნელია, ახიავას სამეფოს ადგილმდებარეობის საკითხში დღესაც არ არის აზრთა ერთიანობა. მკვლევართა ცდები — ახიავა მოათავსონ კუნძულ როდოსზე, კვიპროსზე, კრეტაზე თუ მცირე აზიაში (მის სამხრეთ ან დასავლეთ ნაწილში), არ დამთავრებულა წარმატებით. ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ჯერ კიდევ ე. ფორერის მიერ 1924 წ. წამოყენებულ დებულებას მიკენურ საბერძნეთთან ახიავას გაიგივების შესახებ, რაც ყველაზე უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, თუმცა მეცნიერთა ნაწილი მაინც იკავებს თავს ამ გაიგივებისაგან.

მკვლევრებმა თავიდანვე შენიშნეს, რომ ხეთური წყაროების „ახიავა" დასაკავშირებელია ფარაონ მერნეპტაჰის დროინდელ (დაახლოებით ძვ. წ. 1220 წ.) ეგვიპტურ ტექსტებში მოხსენიებულ ეთნიკურ სახელწოდებასთან „აკა-(ი)ვაშა" ('კვშ), რომელიც იმავე ეგვიპტური წყაროების ე. წ. „ზღვის ხალხების" რიცხვში შედიოდა. ეს „ხალხები" თარეშობდნენ მთელს ხმელთაშუა ზღვისპირეთში და შიშის ზარს ჰგვრიდნენ სანაპიროთა ბინადართ. როგორც ვარაუდობენ, ისინი წარმოსდგებოდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის, ძირითადად ეგეოსის, კუნძულებიდან და მატერიკული საბერძნეთის სამხრეთიდან. მათ შორის იყვნენ მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროს მცხოვრებნიც.

ეგვიპტური წყაროების მიხედვით, „ზღვის ხალხების" შემადგენლობაში შედიოდნენ შ რ დ ნ (— ზოგჯერ აიგივებენ კუნძულ სარდინიაში მცხოვრებ ს ა რ დ ე ბ თ ა ნ, ზოგჯერ კი — ლიდიის ს ა რ დ თ ა ნ), შ კ რ შ (— შესაძლოა, კუნძულ სიცილიის მცხოვრებნი. ს ი კ უ ლ ე ბ ი), 'კ ვ შ (ე. ი. ბერძენი-აქეველები, იხ. ზემოთ), რ კ ა ნ უ ლ კ (— ხეთური წყაროების ლ უ კ ა, სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში, შესაძლოა, მოგვიანო ხანის ლ ი კ ი ე ლ ე ბ ი), ტ რ შ (— ვარაუდით, ტირსენები, ეტრუსკთა წინაპარნი) და სხვანი.

ძვ. წ. XIII—XII ს-ის მიჯნაზე „ზღვის ხალხთა" დიდი ტალღა, რომელიც უფრო ხალხთა გადასახლების ხასიათს ატარებდა, შემოიჭრა მცირე აზიის დასავლეთიდან და მოულოდნელად გადაუარა მთელს დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიას, შემდეგ კი დაიძრა სამხრეთისაკენ და მიაღწია ეგვიპტეს, სადაც მათ განიცადეს მარცხი. მოემარ-

თებოდნენ რა მთელი აღალით, ქალებით, ბავშვებით, გადმოსახლებულნი გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. ამ მოახლოებული საფრთხის რაიმე მაუწყებელი ხეთურ წყაროებში არ აისახა (ალბათ, მისი მოულოდნელობის გამო). ახიავა უნდა გამხდარიყო დასავლეთიდან კარს მომდგარი ამ კატასტროფის ერთ-ერთი მონაწილე.

რამსეს III-ის მეფობის დროინდელ ეგვიპტურ წყაროებში (ძვ. წ. XII ს-ის დამდეგი) ასეა აღწერილი შემოსევის ხასიათი: „მათ ვერ გაუმკლავდა ვერც ერთი ქვეყანა, თვით ხეთაც: კ ე დ ე (— შესაძლოა, იგივე კ დ ვ დ ნ ანუ ქიცუვათნა/ქიცვათნა), ქარხემიში, არცავა, ალასია გაანადგურეს. შუა ამურუში (— იგულისხმება სირია) მათ კარვები მოაწყეს, მისი მცხოვრებნი გაჟლიტეს, თითქოს ისინი არც არსებობდნენ. შემდეგ ისინი დაიძრნენ ეგვიპტისკენ... მათი მოკავშირენი იყვნენ: ფ რ ს თ (— ფილისტიმელები, რომელთაც ისტორიული ტრადიცია განიხილავს როგორც კრეტადან, ეგვიპტური წყაროების „ქაფთორიდან", გამოსულებს), ჩ კ რ, შ კ რ შ, დ ნ (— როგორც ვარაუდობენ, დანაელები. ე. ი. ბერძენი-აქაელები) და ვ შ შ..." (აქ ჩამოთვლილთაგან ფილისტიმელები და ჩ კ რ მოგვიანებით დასახლებულან პალესტინაში, რომლის სახელწოდება მომდინარეობს ფ რ ს თ-დან, ხოლო დანაელები — კილიკიაში).

ამგვარად, ძვ. წ. 1200 წლისათვის, სუფილულიუმა II-ის, ან მისი მემკვიდრის მეფობის დროს, ოდესღაც მრისხანე ხათი თავისი დედაქალაქითურთ სამუდამოდ დაეცა. კატასტროფა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ ხათუსას მწერლებმა ვერც მოასწრეს რაიმე ცნობის დაფიქსირება. მთელი დედაქალაქი მიწასთან გაასწორეს. ხანძარმა შთანთქა ხათუსას სასახლე და ტაძრები ისე, რომ დედაქალაქის ნანგრევებზე აღარავინ დასახლებულა. საუკუნეებს შემორჩათ მხოლოდ ნანგრევებით დაფარული, ცეცხლისგან გამაგრებული თიხის ფირფიტები, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ — ისიც, მეცნიერთა დაჯერებით — „ალაპარაკდნენ" და ხათი კვლავ „გააცოცხლეს".

მაგრამ მარტო „ზღვის ხალხების" შემოსევა არ უნდა გამხდარიყო ხათის აღსასრულის მიზეზი. ქვეყნის შიგნით გამეფებული კრიზისით დასუსტებული (ამის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ) ხათისთვის მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიეყენებინათ ქასქებს — მათაც უნდა „შეეტანათ" თავიანთი „წვლილი" ხათუსას დანგრევაში, რაც მათ ადრე არაერთხელ მოუხდენიათ. ხეთების სამეფოს არსებობის მთელს მანძილზე ქასქები დაუძინებელი მტრები იყვნენ მათი ძლიერი მეზობლებისა. მიუხედავად ქასქებთან მრავალგზის დადებული ხელშეკრულებებისა, ხეთებმა ვერასგზით დაიმორჩილეს პონტოს მთებში მცხოვრები ეს ტომები, რომელთა ეთნიკური ვინაობა საბოლოოდ დღესაც დაუდგენელია. ეთნიკურად უკავშირებენ რა მათ ჩრდი-

ლო-დასავლეთ კავკასიაში მობინადრე აფხაზურ-ადიღეურ ტომებს, მკვლევართა ნაწილი ახლა სამართლიანად ვარაუდობს, რომ ქასუების დიდი ტომობრივი გაერთიანება მოიცავდა ქართველური, დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ტომებსაც. ასე რომ, თუკი ეს უკანასკნელი ვარაუდი გამართლდება, მაშინ გაირკვევა, რომ ხათის დაცემაში ქართველური წარმოშობის ტომებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

IX

ხეთების სამეურნეო საქმიანობა და საზოგადოებრივი ურთიერთობანი

ხათის საზოგადოებაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება, უშუალოდ დამოკიდებული გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებზე, რაც განსაზღვრავდა ხეთური საზოგადოების სპეციფიკურ თვისებებსა და მიმართულებას, როგორც ცნობილია, არ ემყარებოდა ირიგაციულ სისტემას, თუმცა ხეთები სრულიადაც არ უგულებელყოფდნენ ხელოვნურ მორწყვას. მდინარეებში წყლის უკმარისობა, მდინარის ხეობათა სივიწროვე და ცენტრალური მცირე აზიის მთიანი რელიეფი საშუალებას არ იძლეოდა ფართოდ განვითარებულიყო სარწყავი სისტემა, ისე, როგორც ეს იყო ირიგაციაზე დამყარებულ საზოგადოებებში (შუამდინარეთი, ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი).

მაგრამ ცენტრალურ ანატოლიაში მოსახლე ტომთა განსახლების ტერიტორია უვარგისი ბაზა როდი იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, ისევე როგორც ხელოსნობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის მთლიანად ნთქავდა ხეთი მოსახლეობის მშრომელი ნაწილის შრომას და წარმოადგენდა ცენტრალური ანატოლიის მთელი საზოგადოების არსებობის საფუძველს.

მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა

ხათის ქვეყანაში მიწათმოქმედებამ მიაღწია იმ დროისათვის მნიშვნელოვან განვითარებას და გადაიქცა მრავალდარგიან მეურნეობად მებაღეობის, მევენახეობის, ზეთოვანი კულტურებისა და სხვათა წარმოებით. არსებობდა სულ სხვადასხვა სახის მიწის ნაკვეთები თავიანთი დანიშნულებისდა მიხედვით (მინდვრები, ბაღები, ვენახები, მდელოები, საძოვრები, ტყეები, მთა-გორიანი ნაკვეთები, საბოსტნეები, მინდვრები საბაღჩე კულტურებისათვის და ბოსტნეულთათვის და ა. შ.). ყურადღება ექცეოდა მიწის ნაკვეთთა განლაგებას, ნიადაგის

ნასიათს. წყლის სიახლოვეს, მორწყვის შესაძლებლობას, კულტივირებულ მცენარეთა სახეებს, აგებდნენ მცირე ჯებირებს, არხებს, წვიმის წყლის შესანახ რეზერვუარებს. სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავდა ამგვარ ნაგებობათა აშენებაზე, შეკეთებაზე, გამოყენებაზე, გასუფთავებასა და დაცვაზე და კრძალავდა მათ ნგრევას. მიწის დამუშავება ხდებოდა თოხის, ნიჩბისა და (ზოგჯერ ლითონის) სახნისიანი გუთნით, რომელშიც ხარებს აბამდნენ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საფუძველი იყო პურეული შარცვლოვანები (ქერი, რომელიც განიხილებოდა როგორც ღირებულების საზომი, ხორბალი, ემერი, სპელტა, ბარდა, ლობიო). დიდი ყურადღება ექცეოდა საბაღო კულტურებს (ხეხილი, ზეთის ხილის ხე და სხვ.). ხეთური კანონების დიდი ნაწილი ეძღვნება უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და შეიცავს სხვადასხვა სასჯელს მათი დაზიანებისათვის.

სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად ხეთებში ითვლებოდა მესაქონლეობა. ცხოველებს ისინი ყოველთვის ჰყოფდნენ მსხვილ (ხარები, ძროხები, ჯორები, სახედრები და სხვ.) და წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და ა. შ.) საქონლად. განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ცხენებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ როგორც მეურნეობაში, ასევე სამხედრო საქმეში: საომარი ეტლების გამოჩენა და ფართო გამოყენება დაკავშირებული იყო სწორედ მეცხენეობის განვითარებასთან. ბრძოლებში გამოსაყენებელი ცხენების წვრთნას ხეთები აწარმოებდნენ იმ მეთოდით, რომელიც ხურიტულ სახელმძღვანელოში იყო აღწერილი. ეს სახელმძღვანელო ხეთურ ენაზე გადათარგმნეს ხურიტი მეცხენის — კიკულის სახელმძღვანელოდან.

ხეთები საქონელს ჰყოფდნენ, აგრეთვე, ასაკის, ჯიშისა და დანიშნულების მიხედვით, ამ დაყოფას კი საფუძვლად ედო ისეთი „ერთეული", როგორიცაა ხარი ან ცხვარი. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ღირებულების საზომს და უტოლდებოდა „ფულად" ერთეულს — 1 სიკლ ვერცხლს. დიდი ფასი ჰქონდა სახნავად გამოსაყენებელ ხარს, ისევე როგორც სანაშენო ხარსა და სანაშენო ცხენს, რომელთა მოპარვისათვის დადგენილი იყო უზარმაზარი კომპენსაცია (10—15 ჯერადი ანაზღაურება). საერთოდ, საქონელს ხეთებთან კანონი იცავდა. საქონლის ქურდობისთვის, ისევე როგორც საქონელთან დაკავშირებული სხვა დანაშაულისათვის, ისჯებოდნენ საკმაოდ მკაცრად.

ხათის ქვეყანაში ძლიერ იყო განვითარებული მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. მისდევდნენ აგრეთვე მეთევზეობასა და ნადირობას.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის და მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მიწათმოქმე-

დებისა და მესაქონლეობის პროდუქტები იხმარებოდა არა მარტო ხათის მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის, რელიგიურ სფეროში სხვადასხვა რიტუალებისა და შეწირვებისთვის), არამედ სასაქონლო წარმოებისთვის, საშინაო და საგარეო ბაზარს რომ ემსახურებოდა.

განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სხვადასხვა ხელოსნურმა წარმოებამ, განსაკუთრებით, სამეთუნეო საქმემ და მეტალურგიამ. წერილობით წყაროებში კარგად ჩანს ხუროების, კალატოზების, ოქრომჭედელთა, მეთუნეების, მცხობელთა, ხარაზების, მრთველთა, მკერავთა, მქსოველთა, მზარეულთა, მეთევზეთა, მესპილენძეთა, სხვადასხვა ლითონის „მკეთებელთა" და სხვათა მოღვაწეობა. არქეოლოგიური გათხრებისას ზოგჯერ წააწყდნენ კვარტალებს, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს როგორც პროფესიონალური სახელოსნოები. ალაჯა-ჰუიუქის ახლოს გათხარეს მეთუნეთა უბანი სამეთუნეო ნაწარმის გამოსაწვავი ორი ღუმელით. ბოღაზქოიში მიაკვლიეს უბანს, რომლის სახელოსნოში დარჩენილი იყო დიდი რაოდენობის ლითონის წიდა. ზოგიერთ ხელობას საშინაო ხასიათი ჰქონდა — რთვა და ქსოვა სახლებში ხდებოდა: თითისტართა და კვირისტავთა დიდი რაოდენობა იპოვეს ცენტრალური ანატოლიის მრავალი დასახლების გათხრისას.

მთელს მცირე აზიაში არ არსებობდა კერამიკული ნაწარმის ერთიანი სტილი. კერამიკის ე. წ. „ხეთური" სტილი (თიხის ერთფერიანი ნაკეთობანი ყავისფერი, მოწითალო-მოყავისფრო და წითელი ფერისა) ფართოდ იყო გავრცელებული ცენტრალურ ანატოლიასა და მეზობელ რაიონებში. ჭურჭლებისათვის დამახასიათებელი ფორმებია მრგვალი, ვიწროყელიანი და სახელურიანი ცხვირიანი ხელადები. ასპისებური ჭურჭლები, სხვადასხვა ფორმის თასები, ნავის ფორმებიანი ფიალები, ორნამენტიანი ლანგარები და სხვა მრავალი.

სავაჭრო ურთიერთობანი ხათის ქვეყანაში ვითარდებოდა, მართალია, არა ისე ინტენსიურად, როგორც „კაპადოკიური" ფირფიტების დროინდელ ანატოლიაში (იხ. ზემოთ), მაგრამ ვაჭრობა ხეთების სახელმწიფოში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ასული. თუკი ასურელთა სავაჭრო კოლონიების დროს მცირე აზიაში წამყვან როლს ვაჭრობაში ასრულებდნენ უცსოელი ვაჭრები, ხეთურ ხანაში მდგომარეობა სრულიად შეიცვალა: ძირითად საეაჭრო ოპერაციებს ხათის ქვეყანაში აწარმოებდნენ ხეთი ვაჭრები, რომელთაც კანონი იცავდა. „უკეთუ ვინმე ხეთ ვაჭარს მოკლავს, — ვკითხულობთ ხეთური კანონების I ფირფიტის § 5-ში, — 100 მინა ვერცხლს გაიღებს და მის [სახლ]ს ჩაბარებს. თუკი (ეს მოხდება) ლუვიას ქვეყანაში ანდა ფალას ქვეყანაში, იგი 100 მინა ვერცხლს გაიღებს და მის დოვლათსაც აანაზღაუ-

რებს. როდესაც ეს ხათის ქვეყანაში (მოხდება), იგი (მოკლულ) ვაჭარსაც (შინ) მიიტანს".

ყიდვა-გაყიდვის ობიექტებად გვევლინებიან ქსოვილები, ტანსაცმელი, საქონელი, ლითონები და ძვირფასი ქვები, მონები (ძირითადად, დეპორტირებულები), მიწის ნაკვეთები, ხორცი და რძის ნაწარმი, საკვები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და მრავალი სხვა ობიექტი ვაჭრობისა. ხეთი ვაჭრები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საგარეო ვაჭრობის ოპერაციებში, რომლებიც მოიცავდნენ ახლო აღმოსავლეთის არაერთ ქვეყანას. ფულის ფუნქციას ვერცხლი ასრულებდა, მისი ეკვივალენტი ხშირად ცხვარი იყო (ღირებულება შეიძლებოდა შეფასებულიყო ხორბლითაც). ძალზედ იშვიათად ფულის როლში გამოდიოდა ოქრო და სპილენძი (პირველი — სიძვირის, მეორე — სიიაფის გამო). დადგენილი იყო ფასები მრავალნაირ საქონელზე, რაც თავის მხრივ მიუთითებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების მაღალ დონეზე, ვაჭრობის მნიშვნელოვან როლზე ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ინტერესს არ იქნება მოკლებული თვალი გადავაყოლოთ ფასების ცხრილს, ხეთური კანონებით დადგენილს:

1. საქონლის ფასები (სიკლი — 8,4 გრამი)

საგუთნე ხარი	ღირდა	12 სიკლი ვერცხლი
სანაშენე ხარი	—	10 სიკლი
საგუთნე ხარი (1 წლის)	—	5 სიკლი
ძროხა (მოზრდილი)	—	7 სიკლი
ძროხა (მაკე)	—	8 სიკლი
ძროხა (1 წლის)	—	5 სიკლი
ხბო	—	4 სიკლი
ულაყი და ფაშატი შესაბმელი	—	8 სიკლი
ვირი, შესაბმელი ვირი	—	8 სიკლი
ჯორი	—	1 მინა
ცხენი შესაბმელი	—	20 სიკლი
ცხენი (მოზრდილი)	—	15 სიკლი
ულაყი (1 წლის)	—	10 სიკლი
ფაშატი (1 წლის)	—	15 სიკლი
ულაყი და ფაშატი (ძუძუმწოვარა)	—	4 სიკლი
ცხვარი	—	1 სიკლი
3 თხა	—	2 სიკლი
2 ბატკანი	—	1 სიკლი
2 თიკანი	—	0,5 სიკლი

2. ქსოვილებისა და ტანსაცმლის ფასები

ქსოვილი ხაფუსანთა	ღირდა	12 სიკლი ვერცხლი
თხელი ქსოვილი	—	30 სიკლი
ლურჯი შალის ქსოვილი	—	20 სიკლი
ქსოვილი ადუფლი	—	10 სიკლი
ქსოვილი ...	—	4 სიკლი
ქსოვილი ისქალისარ	—	3 სიკლი
1 ნაჭერი ქსოვილისა (7 მინა წონისა)	—	? სიკლი
1 (დიდი) ნაჭერი ქსოვილისა	—	5 სიკლი
ტანსაცმელი, მსუბუქი	—	3 სიკლი
ტანსაცმელი (ჩვეულებრივი)	—	? სიკლი

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ფასები

ზეთი, მცენარეული	ღირდა	2 სიკლი ვერცხლი
1 ციფითანი ქონი	—	1 სიკლი
1 ციფითანი კარაქი	—	1 სიკლი
1 ციფითანი თაფლი	—	1 სიკლი
2 (თავი) ყველი	—	1 სიკლი
3 (წილი) საფუარი	—	1 სიკლი
3 საწყაო სპელტა	—	1 სიკლი
1 საწყაო ღვინო	—	0,5 სიკლი

4. ხორცის ფასები

2 ხარის ხორცი	ღირდა	1 ცხვარი
2 ერთწლიანი ხარის ხორცი	—	1 ცხვარი
5 ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი	—	1 ცხვარი
10 ხბოს ხორცი	—	1 ცხვარი
10 ცხვრის ხორცი	—	1 ცხვარი
20 ბატკნის ხორცი	—	1 ცხვარი
20 თიკნის ხორცი	—	1 ცხვარი

5. ტყავის ფასები

დიდი ხარის ტყავი	ღირდა	1 სიკლი ვერცხლი
5 ხბოს ტყავი	—	1 სიკლი
10 ხარის ტყავი	—	1 მინა
დიდთმიანი ცხვრის ტყავი	—	1 სიკლი
10 გაცვენილთმიანი ცხვრის ტყავი	—	1 სიკლი

4 თხის ტყავი	—	1 სიკლი
15 გაკრეჭილი თხის ტყავი	—	1 სიკლი
20 ბატკნის ტყავი	—	1 სიკლი
20 თიკნის ტყავი	—	1 სიკლი

6. მიწის ნაკვეთების ფასები

1 იქუ ... მინდორი	ღირდა	3 სიკლი ვერცხლი
1 იქუ ... მინდორი	—	3 სიკლი
1 იქუ დამუშავებული მინდორი	—	2 სიკლი
მინდორი, შორს მდებარე	—	1 სიკლი
1 იქუ ვენახი	—	1 მინა

ლითონების მოპოვება და დამუშავება: რკინა ხეთებთან

მცირე აზიის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში ლითონებისა (სპილენძის, ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, რკინის) და ძვირფასი ქვების (ლილაქვის, მარმარილოს, იასპის, დიორიტის) მოპოვება-დამუშავებას ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ხეთებში ყველაზე უფრო გავრცელებულ ლითონებად ითვლებოდა სპილენძი და ბრინჯაო, რომლებითაც ამზადებდნენ ძირითადი სახის წარმოების საშუალებებს, იარაღს, ჭურჭელს, საკულტო ინვენტარს, სამკაულს და სხვ. მათი დიდი უმრავლესობა გამოიყენებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში (ჭურჭელი, ფიალები, თასები, დანები, სატევრები, ცულები, ფარები, მშვილდები და ა. შ.). ოქროსა და ვერცხლს შედარებით ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მათ დიდ გამოყენებას (განსაკუთრებით, ვერცხლისა) როგორც ღირებულების საზომს. მათგან ამზადებდნენ ჭურჭლეულს, ნაირ-ნაირ სამკაულს, საკულტო-რელიგიური დანიშნულების საგნებს და ა. შ.

რკინის წარმოებასა და გამოყენებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ხეთების სამეურნეო ცხოვრებაში, რაც მტკიცდება ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებით (ტექსტების უმეტესობა თარიღდება ძვ. წ. XV—XIII სს-ით). არსებობდა სხვადასხვა სახის რკინა როგორც მეტეორიტული, ასევე დედამიწისეული, მადნეული წარმოშობისა. ხეთურ წყაროებში დადასტურებულია: „რკინა“, „ცის (ციური) რკინა“ (აშკარად მეტეორიტული), „შავი რკინა“, „კარგი (წმინდა) რკინა“, „კერის რკინა“, რაც რკინის სხვადასხვა ხარისხზე უნდა მიუთითებდეს. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ტექსტ-

ში რამდენიმე ხარისხის რკინა ერთმანეთის გვერდითაა ჩამოთვლილი (ე. ი. ერთმანეთისგანაა განსხვავებული). მაგალითად, ე. წ. „რკინის ნაკეთობათა სიაში“ ერთმანეთისგან მკაფიოდაა გამორჩეული „რკინა“, „შავი რკინა“, „კარგი (წმინდა) რკინა“ და „კერიის რკინა“ (შდრ. გამოთქმები: „5 პირი პატარა სატევრებისა შავი რკინისგან, 10 პირი სატევრებისა რკინისგან, 1 საყრდენი კარგი რკინისგან“; „...ყუთი (მათ შორის), 60 ცალი რკინისგან; 88 დიდი ყუთი, მათ შორის 66 — კარგი რკინისგან, ხოლო 22 — კერიის რკინისგან“ (დამზადებული); „56 პირი სატევრებისა რკინისგან..., 16 გურზი (საომარი იარაღი) შავი რკინისგან“ და ა. შ.).

„რკინისგან“ მზადდებოდა რკინის ნაკეთობათა დიდი რაოდენობა ხეთების სახელმწიფოს არსებობის სხვადასხვა პერიოდში. ესენია: საძეფო ტახტი და კვერთხი, ღვთაებათა, ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი, საყრდენები, ლურსმნები (სოლები), ცულები, საკურთხევლები, კერა და ა. შ. „შავი რკინისგან“, რომელიც ზოგჯერ ენაცვლებოდა „ცის რკინას“ (ე. ი. მეტეორიტულს) ამზადებდნენ დიდი რაოდენობით მრავალ ნივთს: ჭურჭლებს, სატევრებს, დანებს, სატევრებისა და დანების პირებს, შუბებს, დიდ და პატარა ყუთებს (სხვადასხვა ნივთის შესანახად), საყრდენებს და სხვ. „კერიის რკინა“ და „კარგი რკინა“ (შესაძლოა, ფოლადი) იშვიათი იყო და მათგან მზადდებოდა შედარებით ნაკლები რაოდენობის საგნები. „კარგი რკინის“ დამზადების ტექნიკა, როგორც ჩანს, მარტო ხეთებისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი მთელს წინა აზიაში, სადაც რკინის, განსაკუთრებით მეტეორიტული რკინის, გამოყენებას კარგა ხანია იცნობდნენ. როგორც ცნობილია, სწორედ „კარგი რკინა“ გახდა მიზეზი წერილისა, რომელიც ასურეთის მმართველმა სალმანასარ I ხათუსილი III-ს გაუგზავნა თხოვნით, ამ უკანასკნელს გამოეგზავნა მისთვის „კარგი რკინა“. წერილზე ხათუსილი III-ე თავაზიანად უპასუხა: „რაც შეეხება კარგ რკინას, რომლის შესახებ შენ მწერდი: კარგი რკინა ქიცუვაანაში, ჩემს „ბეჭდის სახლში“, არ არის. რკინა დასამზადებლად („გასაკეთებლად“) ცუდია (ე. ი. ძნელია). მე უკვე დავწერე („ებრძანე“), რომ მათ დაიწყონ კარგი რკინის კეთება. მათ ჯერ (იგი) არ დაუმთავრებიათ. როგორც კი დაამთავრებენ, გამოგიგზავნი. ახლა კი გიგზავნი სატევრის პირს რკინისა“. არ ვიცით, ხათუსილიმ შეასრულა თუ არა თავისი დანაპირები, მაგრამ წერილიდან უნდა ჩანდეს ხეთების პრიორიტეტი „კარგი რკინის“ დამზადების საქმეში (ყოველ შემთხვევაში, იმდროინდელ ასურეთში ასეთი რკინის დამზადებაში დახელოვნებული ოსტატები არ უნდა ყოფილიყვნენ).

ხეთურ წყაროებში შემოინახა მითითებები რკინის ნაკეთობათა წონის, ზომისა და რაოდენობის შესახებ. ყველაზე მძიმე საგნის —

კულტის ობიექტის — „რკინის წყაროს“ წონა იყო 45 კგ და 450 გრამი, ყველაზე მსუბუქი (მინიატურული) საგანი რკინისა 1 სიკლს (ე. ი. 8,4 გ) იწონიდა. ტექსტებში დასახელებული ყველაზე გრძელი საგანი — გამოსახულება რკინის სანაშენო ხარისა 3 მტკაველი სიგრძისა იყო, ხოლო მოკლესი — ქალის პატარა ქანდაკებისა — ნახევარი მტკაველი (ზომა-წონა მრავალი ნივთისა — ტახტისა, კვერთხისა, შუბებისა, სატევრებისა, ჭურჭლებისა და ა. შ. გაურკვეველია). დიდი რაოდენობით ამზადებდნენ „ახალი სამეფოს“ დროინდელი ხეთები ე. წ. „მოგრძო ჭურჭლებს“ (ტექსტებში საუბარია ასობით ასეთი რკინის ჭურჭლებზე), რკინის სატევრებსა და დანებს, ისევე როგორც მათ რკინის პირებს, რკინის ყუთებს (კოლოფებს) სხვადასხვა ნივთის შესანახად, რკინის საყრდენებს ღვთაებათა გამოსახულებებისათვის, ლურსმნებს (სოლებს). რკინისგან მზადდებოდა აგრეთვე გურზები, ჩაქუჩები, ცულები და სხვა ნივთი, თუმცა ტექსტებში ისინი დიდი რაოდენობით არ მოიხსენიება. რკინის ნივთები მზადდებოდა არა მარტო საკულტო-რიტუალურ და ფუფუნების დანიშნულებისათვის, არამედ უტილიტარული — პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ხეთების „ძველი სამეფოს“ დროიდან ცენტრალურ ანატოლიაში მომხდარი იყო მჭედელთა სპეციალიზაცია: რკინის მჭედელნი (სიტყვასიტყვით, „რკინის მკეთებელნი“) უპირისპირდებოდნენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მჭედლებს. რკინის მჭედლებს ზოგჯერ „რკინის კაცებს“ უწოდებდნენ. არსებობდა „რკინის სახლი“ — სამჭედლო თუ ადგილი (საწყობი), სადაც ინახებოდა რკინა.

რკინის საგნები მზადდებოდა ხათის ქვეყნის სულ სხვადასხვა ადგილას და დიდი რაოდენობით, რაც გამორიცხავს ვარაუდს, თითქოს რკინის მეტალურგია ხეთებთან შეზღუდული იყო. წერილობითი წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით, ხათის ქვეყანაში სათანადო დონეზე უნდა მდგარიყო როგორც რკინის მოპოვება, ასევე მისი წარმოება. მაგრამ იმავე წერილობით წყაროებში არსად არ მოიძებნება მითითება რკინის მადნის მოპოვებაზე, რკინის სადნობ ღუმელებზე და, საერთოდ, რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხზე. როგორც ჩანს, რკინის მადნის გარკვეული ნაწილის მოპოვებაც თვით ხათის ტერიტორიაზე ხდებოდა (განსაკუთრებით. მის ჩრდილოეთ რაიონებში, რომლებიც მოგვიანებით შედიოდნენ პონტოში, სადაც „რკინის მკეთებელი“ ხალიბები ბინადრობდნენ). მაგრამ გარკვეული ნაწილი მადნისა, ან თვით გამომდნარი რკინისა, მეზობელი ოლქებიდან რომ შეიძლებოდა ყოფილიყო შემოტანილი, ამაში დაეჭვება ძნელი უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, რომ რკი-

ნის მადანი ან თვით რკინა შემოეტანათ, მაგალითად, ტავროსის მთებიდან, სადაც მოგვიანო ხანებში (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში) რკინის მდიდარ საბადოებს ამუშავებდნენ (აქედან ასურეთში ტონობით რკინა გაჰქონდათ). ასევე არ არის გამოსარიცხი რკინის მადნის ან რკინის შემოტანა ხათის ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ისტორიული კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი) რაიონებიდანაც, სადაც რკინის მეტალურგიის უძველესი კერა აღმოჩნდა უკანასკნელი 20—30 წლის მანძილზე (როგორც აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დათარიღებამ აჩვენა, რკინის მეტალურგიის დასაწყისი აღნიშნულ მხარეში ძვ. წ. XVIII ს-ს განეკუთვნება).

ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემები გარკვეულად მიუთითებს განვითარებული რკინის მეტალურგიის არსებობაზე ხეთებთან, განსაკუთრებით, „ახალი სამეფოს" ხანაში, როდესაც ხათის ტერიტორიაზე მზადდებოდა რკინის ნაწარმთა დიდი რაოდენობა (როგორც მეტეორიტული, ასევე მიწისეული, მადნეული რკინისაგან), რაც შეუძლებელი იქნებოდა რკინის წარმოების ტექნიკის სათანადო ათვისების გარეშე (მადნეული რკინის დამუშავება ცენტრალურ მცირე აზიაში ხდებოდა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოდან. ეს დადასტურდა ალაჯა-ჰუიუქში ნაპოვნი რკინის სატევრის მეტალოგრაფიული ანალიზით).

ხეთური ტექსტების მონაცემებიდან გამომდინარე, ძვ. წ. XIV—XIII სს-ის ცენტრალურ ანატოლიაში მოხდა გადასვლა სარიტუალო წმინდა და ფუფუნების საგნებისათვის საჭირო რკინის ნაკეთობათა წარმოებიდან რკინის გამოყენებაზე როგორც ლითონისა შედარებით ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად. ეს კი არსებითი ხასიათის პირობაა იმისათვის, რომ ცენტრალურ ანატოლიაში განისაზღვროს გვიანი ბრინჯაოს ეპოქის პარალელურად თანაარსებული რკინის ხანის ადრეული პერიოდის დასაწყისი ძვ. წ. XIV—XIII სსით, რის შემდეგ ანატოლიაში და, საერთოდ, ძველ აღმოსავლეთში იწყება რკინის ფართო ათვისების პერიოდი (ძვ. წ. XII ს-იდან).

ძირითადი საწარმოო უჯრედი: უშუალო მწარმოებლის პრობლემა

მოსახლეობის ძირითად მწარმოებლურ უჯრედს ხეთებთან, ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა მრავალ ხალხთან, წარმოადგენდა ინდივიდუალური „სახლი" (ხეთურად ფ ი რ-, ფ ა რ ნ-), ამ სიტყვით ხეთები აღნიშნავდნენ არა მარტო საკუთრივ საცხოვრებელ სახლს (შენობას), რომელშიც ცხოვრობდა ოჯახი, არამედ ამ ინ-

დივიდუალური ოჯახის მთელ სამეურნეო კომპლექსს, მისი ყველა წევრისა (შდრ. რომაული „ფამილია“) და საოჯახო მეურნეობის ჩათვლით. სახელმწიფო მეურნეობის სისტემაში მყოფი დიდი „სახლები“ იქმნებოდნენ სწორედ ასეთი ცალკეული, წვრილი „სახლებისაგან“ (მეურნეობისაგან) საკუთარი მუშახელით. ინდივიდუალური „სახლი“ — მეურნეობა შედგებოდა რამდენიმე აუცილებელი კომპონენტისაგან — 4 შემადგენელი ნაწილისაგან, რომლებიც ქმნიდნენ ერთიან სამეურნეო კომპლექსს. ესენია: 1. საკუთრივ სახლი, როგორც ნაგებობა, რომელშიც ცხოვრობდა ოჯახის ყველა სრულუფლებიანი წევრი, ე. ი. ოჯახის თავი, მისი მეუღლე და შვილები (უფროსი ადამიანების ჩათვლით); 2. სხვადასხვა ზომის მიწის ნაკვეთი. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო სახნავი მინდორი ანდა ვენახი. ბაღი ან ბოსტანი და ა. შ. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნაგებობასთან (მაგალითად, საბძელთან) ერთად; 3. საქონლის გარკვეული რაოდენობა, როგორც წესი, ხარები და ცხვრები, აგრეთვე ძროხები, ჯორები, სახედრები და სხვა ცხოველი; 4. მუშა-პერსონალი, როგორც წესი, მონები, რომლებიც შრომობდნენ მეურნეობაში და მკვეთრად გამოიყოფოდნენ სახლის პატრონის ოჯახის წევრთაგან.

ასეთი ინდივიდუალური „სახლებისაგან“ შედგებოდა მთელი სახელმწიფო და კერძო მეურნეობა: სასახლის (სამეფო), ტაძრის, სხვადასხვა საკულტო ობიექტის მეურნეობანი, მეფის ბოძებით ან წყალობის სახით გაცემული მეურნეობები. რამდენიმე ინდივიდუალური „სახლი“ ქმნიდა მეტნაკლებად მსხვილ „სახლს“, რომელიც ერთ რომელიმე განსაზღვრულ პირს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით, ბოძებით ან წყალობით გაცემულ მეურნეობებში (ასეთი გამსხვილებული „სახლი“ შედგებოდა 2-დან 13 ინდივიდუალურ „სახლამდე“). ბოძების შემდეგ თითოეული ინდივიდუალური მეურნეობა განიხილებოდა როგორც ცალკეული პირის მფლობელობა, ზოგჯერ, შესაძლოა, როგორც საკუთრებაც.

ინდივიდუალურ „სახლებთან“ დაკავშირებით საერთოდ დგება საკითხი ხეთურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის შესახებ. არსებობდა რამდენიმე კატეგორია უშუალო მწარმოებლებისა, რომელთაგან ერთ-ერთი მთლიანად იყო მოკლებული მფლობელობის ან საკუთრების უფლებას წარმოების ყოველგვარ საშუალებებზე. ასეთი უშუალო მწარმოებლები ინდივიდუალური „სახლის“ მხოლოდ კომპონენტები იყვნენ და წყაროებში აღინიშნებოდნენ ტერმინებით: „მონა“, „თავი“, „სული“, „შინამსახური“, „ნამრა“ და სხვა. წარმოების პროცესში ყველა მათგანი განიხილებოდა როგორც „სახლის“ მფლობელის სრული საკუთრება და მუდამ სამართლის ობიექტი იყო (ე. ი. იყენებდნენ ჯარიმის გადახდის დროს,

ქონების გაყოფისას მათაც ჰყოფდნენ, ყიდდნენ ან ყიდულობდნენ, ჩუქნიდნენ და ა. შ.). ასეთები იყვნენ ნამდვილი მონები, პატრიარქალურ (საოჯახო) მონობაში მყოფნი. ხეთურ წერილობით ძეგლებში მათი ზოგადი აღმნიშვნელია შუმერული სიტყვა „ირ“ — „მონა; მსახური; არათავისუფალი; დამოკიდებული; ქვეშევრდომი“ (ხეთური სიტყვა „მონისთვის“ უცნობია).

მათგან არსებითად განსხვავდებოდნენ უშუალო მწარმოებლები, რომელთაც საკუთარი „სახლები“ გააჩნდათ, მაგრამ ექსპლუატაციას განიცდიდნენ სამეფო, სატაძრო ან კერძო მფლობელთა მსხვილ მეურნეობებში. ისინი მიწის უბრალო დამმუშავებლები კი არ იყვნენ, არამედ დასამუშავებელი ნაკვეთების მფლობელებს წარმოადგენდნენ (რადგან მიწა საკუთრების უფლებით არ ჰქონდათ მიღებული). სამაგიეროდ, მათ საკუთრებაში იმყოფებოდა საქონელი, ზოგჯერ მონა, წარმოებული პროდუქციის ნაწილი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ა. შ. ისინი სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან. ყოველივე ამით მათ ექმნებოდათ ეკონომიკური შესაძლებლობა მატერიალური დაინტერესებისათვის, სამეურნეო ინიციატივისა და მეურნეობის დამოუკიდებელი მართვისათვის. წარმოების მთელ პროცესს ისინი ასრულებდნენ მხოლოდ თავიანთი „სახლების“ სამუშაო ძალებით. ინდივიდუალურად უბოლოებოდნენ რა მეურნეობებს, ისინი განიცდიდნენ სასახლის (მეფის), ტაძრის ან დიდებულთა მხრიდან გარკვეულ ექსპლუატაციას (იხდიდნენ ნატურალურ თუ სხვა სახის ბეგარას) და შეზღუდული ჰქონდათ პირადი და მფლობელობითი უფლებანი — მოკლებული იყვნენ საკუთრებას მიწაზე, არ შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება იმის გამო, რომ მისი დასახლება მიწერილი იყო ტაძარს, სასახლეს ან საკულტო ობიექტს. ხეთურ წყაროებში მათ ზოგად აღსანიშნავად იხმარებოდა ასევე შუმერული ტერმინები „ირ“, ანდა „საგ. გემე. ირ. მეშ“ — „მონა ქალთა და მონათა თავები“, რომელსაც შეესატყვისებოდა აქადური სიტყვა „ა შ თ ა ფ ი რ უ“ — „ყმანი“.

როგორც ვხედავთ, სახალხო მეურნეობის უშუალო წვრილ მწარმოებელთა ფაქტობრივად ორი ძირითადი კატეგორიის აღსანიშნავად ხეთურ ტექსტებში ერთი და იგივე ტერმინი — ი რ არის ნახმარი, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ი რ აღნიშნავდა დამოკიდებულების სულ სხვადასხვა ფორმაში მყოფ ადამიანებს. ამიტომაც, ამ ტერმინის ერთმნიშვნელობიანი განმარტება როგორც „მონა“, ხშირად იწვევს გაუგებრობასა და არევ-დარევას. იგი ყოველთვის კონტექსტის მიხედვით უნდა ითარგმნოს მისი სხვადასხვა მნიშვნელობის („მონა; მსახური; არათავისუფალი; დამოკიდებული; ქვეშევრდომი“ და ა. შ.) გათვალისწინებით.

უშუალო მწარმოებელთა ფართო ფენებს ქმნიდნენ სოციალურად თავისუფალი და ეკონომიკურად დამოკიდებული მეთემენი, რომლებიც ასევე ინდივიდუალური „სახლების“ მფლობელები იყვნენ და ფართო უფლებებით სარგებლობდნენ. თემში მიღებული, ფაქტობრივად, სახელმწიფო მიწის, ფლობის გამო ისინი იხდიდნენ სხვადასხვა სახელმწიფო სავალდებულო ბეგარას, რომლებიც იკრიფებოდა ან სრულდებოდა სასახლის (მეფის), ტაძრის ან საკულტო ობიექტის, მეფის მსხვილი მოხელეების სასარგებლოდ (იხ. ქვემოთ). მათ შეეძლოთ თავიანთი, საკუთარი თანხებით მიწის ნაკვეთის შეძენაც. ასეთი ტიპის უშუალო მწარმოებლები ტექსტებში ნახსენები არიან როგორც (ამა და ამ) დასახლების კაცები“.

სამიწათმოქმედო ურთიერთობანი: მიწაზე საკუთრების ფორმები, მიწის ყიდვა-გაყიდვა

სახელმწიფოსგან ქვეყნის სასოფლო თემთა დამორჩილების პროცესი, როგორც ჩანს, დამთავრდა „ძველი სამეფოს“ დასასრულისათვის (მარტო თელიფინუმ შეძლო დაემორჩილებინა 60 „სახორბლე“ და 34 „საფურაჟე“ მიწები — თემები. იხ. ზემოთ). იგი არ მიმდინარეობდა უმტკივნეულოდ, რადგან თავისუფალი თემების გადაქცევა დამოკიდებულ ერთეულებად იწვევდა გარკვეულ წინააღმდეგობას თავისუფალ მეთემეთა მხრიდან. მაგრამ სასოფლო თემების მოქცევა სახელმწიფო სისტემაში უკვე გარდუვალი მოვლენა იყო „ძველი სამეფოს“ პერიოდისათვის, როდესაც ძირითადად უნდა მომხდარიყო მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გაბატონებულ ფორმად გადაქცევა.

მომდევნო ხანებში მცირე სამიწათმოქმედო თემები (— დასახლებანი მიმდებარე სავარგულებით) კონცენტრირებული იყვნენ უფრო დიდი საქალაქო თემთა ირგვლივ, რომელთაც ეწოდებოდათ „ციხე-სიმაგრენი“ (ხ ა ლ ც ი —) და შედგებოდნენ 5-დან 20-მდე დასახლებისაგან. ესენი იყვნენ რაიონის, ოლქის, პროვინციის ტოლი ერთეულები და წარმოადგენდნენ არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ სავაჭრო და ხელოსნურ ცენტრებს თავიანთი „სასახლეებითურთ“ — ხათის პერიფერიულ დასახლებებში სამეფო (სასახლის) მეურნეობის საყრდენებითურთ.

სტრუქტურულად ასეთი საქალაქო თემები შედიოდნენ სახელმწიფოში, რაც აუცილებელი იყო სამიწათმოქმედო თემთა ერთ მთლიანობაში გაერთიანებისათვის. მართალია, ხათის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან მიწაზე კოლექტიური მესაკუთრის ფუნქცია თემში თანდათან ქრებოდა, მაგრამ თემი მაინც განაგრძობდა არსე-

ბობას როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია. თემი გახდა სახელმწიფოს ორგანული ნაწილი და სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას.

მიწაზე საკუთრების გაბატონებული ფორმა ხეთებთან სახელმწიფო საკუთრება იყო. სახელმწიფო მიწების მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა სასახლის მიწებზე, რომელთა ფლობა სათანადო ვალდებულების მოხდას მოითხოვდა. მათი გადანაწილება შეეძლო მხოლოდ მეფეს, რომელიც ნაკვეთებს გადასცემდა არა მარტო კერძო პირებს, არამედ სახელმწიფო „სახლებსაც". არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სატაძრო მიწების საკუთრება, რომელიც არ იყო სტაბილური და მდიდრდებოდა სხვადასხვა გზით (ძირითადად, ნაკვეთების შეწირვებით, ზოგჯერ ყიდვით). არც ასეთი მიწების გასხვისება შეეძლოთ მათ მფლობელთ, რადგან მიწა ღვთის საკუთრებად განიხილებოდა და მისი გასხვისება ღვთის წინაშე მძიმე ცოდვად ითვლებოდა. სატაძრო მიწის მფლობელი იხდიდა სათანადო ბეგარას „ღვთის" (ე. ი. ტაძრის) სასარგებლოდ. სასახლისა და სატაძრო (საკულტო ობიექტების ჩათვლით) მიწების შეკვეთების წყაროს. ისევე როგორც მიწის ფლობის სხვა კატეგორიათა (ბოძების, წყალობის) წარმოშობის წყაროს, წარმოადგენდა სათემო მიწის ფონდი, რომელიც ფაქტობრივად ასევე სახელმწიფო საკუთრება იყო. მიწების ამ ფონდს, რომელთა ნაწილზეც მეთემენი ისხდნენ, სახელმწიფო იყენებდა ბოძების გასაცემად, სახელმწიფო სამსახურისათვის წყალობის გაცემისას, სასახლის ან ტაძრის სხვადასხვა მეურნეობისათვის ახალი ნაკვეთების გამოსაყოფად, „ნამრასათვის" (იხ. ქვემოთ) ახალი „სახლების" შესაქმნელად და ა. შ. სათემო მიწის მფლობელთ სახელმწიფო ნებას რთავდა თავისუფლად ესარგებლათ ნაკვეთებით: მათ შეეძლოთ მოეხდინათ ტერიტორიული დაყოფა — ცალკეულ ნაკვეთებად დანაწევრიანება, ნაკვეთის (ანდა მისი ნაწილის) მემკვიდრეობით გადაცემა. გაყიდვაც კი, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ითხოვდა სახელმწიფო ვალდებულებათა აუცილებელ შესრულებას ახალი მფლობელის მხრიდან, რაც მართლაც სრულდებოდა პრაქტიკაში.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საკუთრება მიწაზე გაბატონებული ფორმა იყო ხეთებთან, მაგრამ იგი, ამავე დროს, არ იყო სრული სახელმწიფო საკუთრება ქვეყნის ყველა მიწაზე, რადგან არსებობდა არასახელმწიფო — კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები. ასეთი მიწების წარმოშობის წყაროდ გვევლინება: მეფისგან ნაკვეთების გაცემა ბოძებით, განსაკუთრებით, ისეთებისა, რომლებიც თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო ვალდებულებებისაგან; მეურნეობის გაყოფა, როდესაც ვალდებულებისაგან განთავისუფლებული მიწის ნა-

წილი აღმოჩნდებოდა კერძო პირის საკუთრებაში; და ყიდვა-გაყიდვა მიწისა, რაც არცთუ ისე იშვიათი და შეზღუდული იყო. მაგრამ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე და გარკვეული პირობით — სათანადო სახელმწიფო ვალდებულებების მოხდის პირობით იყიდებოდა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მიწები, ისეთები, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ არც სასახლეს და არც ტაძარს, ე. ი. სათემო ფონდთან დაკავშირებული მიწები, ანდა უკვე ვინმეს საკუთრებაში არსებული ნაკვეთები. ხეთური კანონებიდან გამომდინარე, იყიდებოდა მინდორ-ველი, ვენახი, საძოვარი და დასახლებაც კი. ამიტომაცაა, რომ ხეთურ საზოგადოებაში (მესოპოტამიურისაგან განსხვავებით) მიწის ყიდვა-გაყიდვა არ მოითხოვდა ფარული ფორმების განვითარებას, ან მიწის გასხვისების აკრძალვის შემოვლას ფიქციური ფორმებით.

სახელმწიფო მიწით სარგებლობა მოითხოვდა გარკვეული სახელმწიფო ვალდებულებების მოხდას, რომლებისაგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ მეფის ბრძანებით.

სახელმწიფო ვალდებულებანი: „იმუნიტეტის“ წარმოშობა, „საიმუნიტეტო სიგელები“

ხეთურ საზოგადოებაში სახელმწიფო ვალდებულებებზე მსჯელობისას მხედველობაში იღებენ ხათის მშრომელი მოსახლეობის ან სხვადასხვა მეურნეობის ვალდებულებებს, რომელთა იძულებით შესრულებას გულისხმობდა, ხეთური ტერმინოლოგიით, ს ა ხ ა ნ ი და ლ უ ც ი.

ს ა ხ ა ნ შ ი იგულისხმებოდა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ჩაბარებულიყო ნატურალური სახით (წვრილი თუ მსხვილი რქოსანი საქონელი, ერბო, ყველი და სხვა რძის ნაწარმი, მატყლი, ქსოვილები და ა. შ.), ე. ი. სახანი იყო ნატურალური ბეგარა (გადასახადი), რომელიც ითვალისწინებდა ცალკეული უშუალო მწარმოებლისა თუ მრავალი მსხვილი მეურნეობის მოვალეობას (მათ შორის საკულტო და სატაძრო მეურნეობათა ვალდებულებებს, თუკი ისინი არ თავისუფლდებოდნენ მეფის სპეციალური დადგენილებით) მზა სახით ჩაებარებინათ რძისა და კვების სხვადასხვა პროდუქტი, სასოფლო-სამეურნეო და, საერთოდ, სხვადასხვა საწარმოო ნაწარმი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ა. შ. მეფის, მისი მოხელეებისა და ცალკეული ღვთაების (ტაძრების) სასარგებლოდ იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელიც მათ სახელმწიფომ გამოუყო მფლობელობის უფლებით.

ლ უ ც ი იყო შრომითი ბეგარა. იგი მოითხოვდა ისეთ ვალდებულებათა შესრულებას, როგორიცაა მინდვრების ან ვენახების დამუშავება, მიწის გათოხნა, ციხე-სიმაგრეთა შეკეთება, სამშენებლო თუ სხვა სახის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სამუშაოები მეფის, მისი დიდი მოხელეებისა და ღვთაებათა (ტაძართა) სასარგებლოდ მიწის იმ ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც სახელმწიფომ გადასცა ცალკეულ უშუალო მწარმოებლებს ან სხვადასხვა მეურნეობას მფლობელობის უფლებით (ამ სახის ბეგარაში შეიძლებოდა შესულიყო სახელმწიფოსთვის მეომარი რაზმების მიწოდებაც).

არსებობდა „ყოველდღიური", „ყოველთვიური" და „ყოველწლიური სახანი და ლუცი". ხეთურ ტექსტებში ნახსენებია „სახანი და ლუცი ქვეყნის ბატონისათვის" (ამ შემთხვევაში მეფე არ იგულისხმება), „სახანი და ლუცი ოლქის უფროსისთვის", „სახანი და ლუცი ქალაქის თავისთვის", „სახანი და ლუცი მეფისთვის", „სახანი და ლუცი ღვთაებისთვის" (ტაძრისთვის. თვით ტაძრები განთავისუფლებული იყვნენ ორივე სახის სახელმწიფო ბეგარისაგან).

წარმოადგენდნენ რა შესასრულებელ სამუშაო-ვალდებულებათა მხოლოდ სახეობებს, სახანი და ლუცი დაკავშირებული იყვნენ სახელმწიფო მიწების მფლობელობასა და სარგებლობასთან. მათი კონკრეტული სახეობანი ყოველთვის განისაზღვრებოდა მქფის ან სასახლის მიერ, ქვეყნის სხვადასხვა ადგილას კი, როგორც ჩანს, მათ ადგენდნენ ზემონახსენები „სასახლეები", ანუ ე. წ. „სახლები მეფისა". ბეგარა განისაზღვრებოდა ვალდებულების მქონე პირთა პროფესიის გათვალისწინებით (მაგალითად, მწყემსებს ახდევინებდნენ ცხვარს, ქონს, ყველს, რძეს), ცალკეული „სახლის" სამეურნეო მოღვაწეობის ანგარიშგაწევით. ერთისგან ითხოვდნენ სახანის შესრულებას, მეორისგან — მხოლოდ ლუცისა, სხვებისაგან — ორივეს.

არავის ჰქონდა უფლება განთავისუფლებული „სახლისაგან", ან პიროვნებისაგან მოეთხოვა სახანისა და ლუცის შესრულება, არავის არ შეეძლო, „მიახლოებოდა ჭიშკარს" ასეთი „სახლისა". ჭიშკართან იდგა, ან ჭიშკარზე ეკიდა, მარადმწვანე ხე ე ი ა — ან მისი ტოტი — ამა თუ იმ „სახლის" განთავისუფლების სიმბოლო (ვარაუდობენ, რომ ეს მარადმწვანე ხე უნდა ყოფილიყო ურთხელი).

საგადასახადო (საბეგრო) „იმუნიტეტის" (შეუვალობის, განთავისუფლების) ინსტიტუტი წარმოიშვა „ძველი სამეფოს" ხანაში, როდესაც შეიქმნა იმის საჭიროება, რომ ცალკეულ სახელმწიფო მეურნეობებს, ადამიანთა ცალკეულ კატეგორიებს ანდა კერძო პირებს ნიველოთ გარკვეული პრივილეგიები სახელმწიფო ვალდებულებათა ამა თუ იმ ფორმიდან განთავისუფლებისა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო უარს ამბობდა სახელმწიფო მიწებზე მსხდომი მოსახლეობის (ისევე როგორც სახელმწიფო მიწების მქონე მეურნეობების) გადასახადების აკრეფისა და სავალდებულო სამუშაოთა შესრულების უფლებისაგან, გადასცემდა რა ამ უფლებას ტაძარს, საკულტო დაწესებულებას თუ ცალკეულ პირს, რომლის სასარგებლოდაც ამიერიდან შესრულდებოდა ყველა საჭირო სამუშაო. იმუნიტეტის გაცემა იყო სახელმწიფოსთვის განკუთვნილი გადასახადებისა და სამუშაოების დათმობა მიწის მფლობელთა სასარგებლოდ.

ადრეული ხანებიდანვე „განთავისუფლება" ნიშნავდა, როგორც წესი, სახანისა და ლუცის ვალდებულებათა მოხდისაგან განთავისუფლებას. „განთავისუფლების" დროს სარგებლობდნენ სამართლებრივი ძეგლების (ან საადათო სამართლის) ნორმებით, რის გამოც იმუნიტეტის გაცემა არ ფორმდებოდა სპეციალური დოკუმენტით. მაგრამ „ახალი სამეფოს" დროს პრაქტიკაში შემოდის სპეციალური ფორმის დოკუმენტის შედგენა შეუვალობის გაცემასთან დაკავშირებით. ასეთი ტექსტები თითქმის უნიფიცირებულია, მათ აშკარად ემჩნევათ ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის სტანდარტიზაცია, რის გამოც ისინი შეიძლება ჩავთვალოთ როგორც „სიგელები", რომლებშიც ფიქსირებულია საიმუნიტეტო უფლებები, პრივილეგიები თუ მოვალეობანი.

ჩვენამდე მოღწეული ყველა საიმუნიტეტო დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ მეფის, დედოფლის ანდა მეფე-დედოფლის სახელით. „სიგელს" ჰქონდა ერთგვარი „პრეამბულა", სადაც აღინიშნებოდა დოკუმენტის შემდგენლის სახელი, ზოგჯერ მთელი მისი გენეალოგიის ჩვენებით. ზოგიერთ მათგანში მოყვანილია ტექსტის შედგენის მოტივები, შეუვალობის გაცემის მიზეზი. ამის შემდეგ იწყებოდა ძირითადი ნაწილი, სადაც მოთხრობილი იყო, თუ სახელდობრ რას გულისხმობდა „განთავისუფლება". დოკუმენტის ამ ნაწილში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი სამუშაოები და გადასახადები, რომლებთაგან თავისუფლდებოდნენ მეურნეობანი თუ ცალკეული პირები. „სიგელს" გააჩნდა აგრეთვე დასკვნითი ნაწილი, რომლითაც იკრძალებოდა შედგენილი დოკუმენტის უგულებელყოფა ან მისი შინაარსის შეცვლა. „სიგელის" ბოლოში ზოგჯერ წყეევლის ფორმულაც იწერებოდა ხათის „ათასი ღვთაების" დამოწმებით.

უძველესი „საიმუნიტეტო" სიგელი განეკუთვნება ასმუნიქალს, ხათის „დიდ დედოფალს", არნუვანდა I-ის მეუღლეს (ძვ. წ. XV ს-ის მეორე ნახევარი). ტექსტის მიხედვით, სახან-ლუცისაგან თავისუფლდება ახლადშექმნილი „ქვის სახლი" (როგორც ვარაუდობენ. გარდაცვლილ მეფეთა მაგზოლეუმი, უკვე საკულტო ადგილად ქცეული) მთელი მეურნეობითა და მუშა პერსონალით, რომელიც ამიერიდან

განიხილებოდა როგორც „ქვის სახლზე“ (ე. ი. მის მეურნეობაზე) მიმაგრებული: „ასე (ამბობს) ასმუნიქალი, დიდი დედოფალი: „ქვის სახლი“, რომელიც შეექმენით (— სიტყვასიტყვით: „გავაკეთეთ“), და ამ „ქვის სახლს“ რომელი დასახლებანი გადავეცით, რომელი ხელოსანნი გადავეცით, რომელი მეგუთნენი, მწყემსნი და მეცხვარენი გადავეცით, ს ა რ ი ქ უ ვ ა-კაცთაგან რომელი ავიღეთ და მათი სახლებითა და მათი დასახლებებითურთ „ქვის სახლს“ გადავეცით, რომელი მეკარენიც ადრე „ქვის სახლს“ გადავეცით, (ყველა) მათგანი სახანისა და ლუცისგან. დაე, განთავისუფლდეს...! მათ წინ, დაე, ე ი ა-ხე იდგეს. დაე, ისინი არავინ არ გამოიყენოს (სახანისა და ლუცისთვის). მათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს, არავინ ხელი არ ახლოს (სახანისა და ლუცისათვის). ისინი, დაე, ყველაფრისგან განთავისუფლდნენ! უკეთუ ვინმე (ამ) „ქვის სახლის“ მიმართ სიკვდილის ტოლ ცოდვას ჩაიდენს, დაე, იგი მოკვდეს...“.

ექსპლუატაციის ფორმები: მონური და არამონური შრომის სახეები

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში კარგად აისახა ექსპლუატაციის ფორმათა სიმრავლე. ერთ-ერთი მათგანია მონური ექსპლუატაცია, რომელსაც იყენებდნენ ინდივიდუალურ „სახლებში“, მეფის კარზე, უშუალოდ ტაძრებში, ისევე როგორც საკულტო ობიექტებში, შეძლებული ხეთების ოჯახებში და ა. შ. ამგვარად, მონური ექსპლუატაცია ფართოდ იყო გამოყენებული ხათის სამეფოში, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა წარმოების საფუძველს, იგი მხოლოდ პატრიარქალური საოჯახო მონობის სახით არსებობდა. მართალია, „სახლების“ მქონე „ნამრა“ ექსპლუატაციის გარკვეულ ეტაპამდე სახელმწიფო მონებად უნდა დარჩენილიყვნენ (იხ. ქვემოთაც), მაგრამ მათი ექსპლუატაციის ფორმა სრულიადაც არ იყო მონური, რომელსაც ხეთები სახელმწიფო მეურნეობაში არაეფექტურად თვლიდნენ (მოგვიანებით კი ასეთი „ნამრა“ საზოგადოების წევრი ხდებოდა).

ხეთურ საზოგადოებაში არამონური ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმის შესახებ ხეთურმა ლურსმულმა წყაროებმა მეტად საყურადღებო ცნობები შემოგვინახა. მონობის გვერდით, შრომის არამონური სახის გამოჩენა და გამოყენება განპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებით — წარმოების დონისა და შესაბამის საწარმოო ურთიერთობათა გარკვეული განვითარებით, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობით და ა. შ. „ძველი სამეფოს“ დროიდან არამონური შრო-

ბა თავის გამოხატულებას პოულობდა ხეთების შრომითი მოღვაწეობის სულ სხვადასხვა ფორმაში.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ე. წ. „ბარშჩინის" ტიპის შრომა, ე. ი. არამონური შრომის ისეთი სახე, რომლის დროსაც უშუალო მწარმოებლის აუცილებელი შრომა გამოყოფილი იყო ნამატი შრომისაგან სივრცესა და დროში. ხეთური დოკუმენტების მიხედვით, თუკი სახელმწიფო სისტემის ინდივიდუალურ მეურნეობაში („სახლში") მხოლოდ ერთი მამაკაცი იყო, მაშინ იგი ვალდებული იყო ოთხი დღის განმავლობაში შეესრულებინა „სასახლის სამუშაო", ხოლო მომდევნო ოთხი დღის მანძილზე — „თავისი სახლის სამუშაო". აქ იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც „მამაკაცი" სასახლისათვის მუშაობდა სულ სხვა დროს, ვიდრე თავისი „სახლისათვის". ხეთური წყაროების სხვა მაგალითის თანახმად, თუკი „სახლში" ოთხი მამაკაცი იყო, მაშინ ორ მათგანს უნდა შეესრულებინა სამუშაო სასახლისათვის, ხოლო ორს—სამუშაო თავისი „სახლისთვის". მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი „სახლში" ორი მამაკაცი იყო, მაშინ ერთი მათგანი შეასრულებდა „სასახლის" სამუშაოს. მოყვანილ შემთხვევებში აშკარად იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც უშუალო მწარმოებელი შრომობდა სხვადასხვა ადგილას — თავის „სახლში" და სასახლეში (უფრო სწორად, სასახლისათვის, სასახლის მეურნეობაში).

როგორც ვხედავთ, ერთი ტექსტის თანახმად „მამაკაცის" სამუშაო დრო იყოფოდა ორ ნაწილად, მაშინ როდესაც მეორე ტექსტის მონაცემებით ორად იყო გაყოფილი უკვე სამუშაო ძალა „სახლებისა", რომლებშიც შრომობდა ოთხი ან ორი მამაკაცი. იმის გამო, რომ ამ უშუალო მწარმოებლებს მოუხდებოდათ შრომა განცალკევებულ მეურნეობებში (ე. ი. სივრცობრივად სხვადასხვა ადგილას) ასევე განცალკევებული იქნებოდა მათი აუცილებელი და ნამატი შრომაც, რადგან აუცილებელ შრომას ისინი დახარჯავდნენ თავიანთ მეურნეობებში, ხოლო ნამატს — სასახლის მეურნეობაში გარკვეული დღეების მანძილზე. ანდა „სახლის" ნახევარი მუშახელის ყოველდღიურად გამოყოფით სასახლის იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად.

სასახლის მეურნეობაში წარმოების ასეთი სისტემის არსებობა მტკიცდება ხეთური წყაროების სხვა მონაცემებითაც, რომელთა თანახმად კარგად ჩანს შესასრულებელ სამუშაოთა დაყოფა „მეფის სამუშაოდ" და ვინმეს „სახლის სამუშაოდ", აგრეთვე „სასახლის მინდვრებად" და „მეგუთნეთა მინდვრებად" და ა. შ. (საგულისხმოა, რომ ორად იყოფოდა „სახლში" მყოფი სასაქონლო გამწევი ძალაც). სამუშაოთა

ასეთი დაყოფა არსებობდა აგრეთვე სატაძრო მეურნეობაშიც, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა „ღვთის მინდორი“ (ე. ი. ტაძრის ნაკვეთი) და „მეგუთნის მინდორი“ (ნაკვეთი). სასახლის მიწაზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით მყოფი მეგუთნე ვალდებული იყო დაემუშავებინა „სასახლის მინდორი“. მაშასადამე, მას უნდა ეშრომა სასახლისათვის სხვა დროს, ხოლო თავისთვის — სხვა დროს. სატაძრო მეურნეობაში მეგუთნეს მოუხდებოდა ეშრომა ორ სხვადასხვა ნაკვეთზე: თავის მიწაზე და „ღვთის მინდორზე“. მეგუთნის ასეთი ექსპლუატაციის დროს ნამატი შრომა გამოყოფილი იქნებოდა აუცილებლისგან სივრცესა და დროში.

ამგვარად, ზემოგანხილული წარმოების სისტემა, სამეცნიერო ლიტერატურაში „მუშაობით ასანაზღაურებელი ბეგარით“ ანუ „საბატონო ბეგარით“ („ბარშჩინით“) ცნობილი, დასტურდება ხეთური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა შორის როგორც სასახლის (სამეფო), ასევე სატაძრო მეურნეობებში. ამასთანავე, კარგად ჩანს უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმა: შეფარდება ნამატი შრომისა, რომელიც იძულებით სრულდებოდა სასახლისთვის თუ ტაძრისთვის, აუცილებელ შრომასთან შეადგენდა 50%-ს, რაც არც ისე მაღალი ექუპლუატაციის მაჩვენებელი უნდა იყოს ძველი სამყაროს ასე ადრეული ეპოქისთვის (დაახლოებით ძვ. წ. XVII—XIII სს-ისათვის).

არამონური შრომის ეს სახე, რომლის დროსაც ხორციელდებოდა არამონური ექსპლუატაცია, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მთელს ქვეყანაში და უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო განვითარებული, ვიდრე არამონური შრომის სხვა სახეობანი. იგი ადრეკლასობრივ ხეთურ საზოგადოებაში წარმოების საფუძველი უნდა ყოფილიყო (მეთემეთა ექსპლუატაციაც ამ არამონური შრომის გამოყენებით ხორციელდებოდა).

ერთ-ერთი ისტორიული ფორმა შრომისა, რომელიც ხათის საზოგადოებაში არსებობდა დამხმარე წარმოების სახით, დაქირავებული შრომა იყო. სხვისი შრომის დროებით სარგებლობის ნორმები სხვადასხვა სამუშაოთა შესასრულებლად გარკვეული საქირაო თანხის ანაზღაურებით დადასტურებულია ხეთურ კანონებში.

ხათის ქვეყანაში დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. ძირითადად, სოფლის მეურნეობაში, უფრო ნაკლებ — სამხედრო საქმეში.

სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენება ხდებოდა, როგორც წესი, სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროს, განსაკუთრებით, მოსავლის აღებისას, როდესაც დამატებითი მუშახელის მოთხოვნა იზრდებოდა. ამ პერიოდში ადამიანებს ქირაობდნენ მინდვრებზე სამუშაოდ (მარცვლეულის აღებისას კონების შესაკრავად და საზიდ-

რებზე დასატვირთავად, ფარდულებში მათ მოსათავსებლად). დამატებითი მუშახელი ხეთებს სჭირდებოდა აგრეთვე გაზაფხულობით საველე სამუშაოთა (განსაკუთრებით, ხვნა-თესვის) შესასრულებლად.

ხათის ქვეყანაში დაშვებული იყო ადამიანთა დაქირავება სამხედრო ლაშქრობებში მონაწილეობის მიზნით, როგორც ჩანს, მეომრების სახით (ლაშქრობისთვის ქირაობდნენ ქალებსაც, მაგრამ არა როგორც მეომრებს). დაქირავებულთ აგზავნიდნენ ლაშქრობაში სამხედრო ვალდებულნი, რომელთაც უფლება ჰქონდათ თავის მაგივრად ლაშქარში გაეგზავნა ყველა, ვინც დათანხმდებოდა შეესრულებინა დამქირავებლის მოვალეობა განსაზღვრული საქირაო თანხის აღებით (ლაშქარი დგებოდა მხოლოდ თავისუფალთა რიგებიდან, მონებს ლაშქარში არ რიცხავდნენ).

დაქირავების ვადის ძირითადი ერთეული იყო თვე, ქირა გაიცემოდა ვერცხლის ან მარცვლეულის სახით. მათი ოდენობა ისაზღვრებოდა არა მარტო შესასრულებელ სამუშაოთა სახითა და ხანგრძლივობით, არამედ დაქირავებულის კვალიფიკაციით, აგრეთვე სქესით: ქალები ჩვეულებრივ თითქმის 2-ჯერ ნაკლებს იღებდნენ, ვიდრე მამაკაცები.

მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებულის დროებით გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მონის შეძენა, დაქირავებული შრომის როლს ხათის საზოგადოებაში არ მიუღწევია იმ დონემდე, როგორიც იყო, მაგალითად, ძველი ბაბილონური ხანის ბაბილონში (ცნობილია, რომ დაქირავების დროს ბაბილონში ადგენდნენ სპეციალურ ხელშეკრულებებს, რომელთა მსგავსი ხეთებს არ გააჩნდათ).

არამონური სახის ექსპლუატაციის თავისებური ფორმა გამოყენებული ჰქონდათ ხეთებს „სახლების“ მქონე ნამრას ექსპლუატაციის დროს. ძვ. წ. II ათასწლეულის არცერთ ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში ნამრას შრომა და ექსპლუატაცია არ იყო გამოყენებული ისე ფართოდ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ხეთების სახელმწიფოში. საქმე ეხება ხეთებისგან დაპყრობილი ტერიტორიებიდან მასობრივად აყრილ (მთელი ოჯახებით) და ხეთების ტერიტორიაზე ძალით გადმოსახლებულ ხალხს — დეპორტირებულებს (ხეთურად „არნუვალა“ — „წამოყვანილი“, შუმერულად „ნამრა“), რომლებიც ათასობით შემოჰყავდათ ხათის სამეფოში (დაპყრობილი მოსახლეობის გადასახლება პრაქტიკაში იყო შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთშიც. შდრ. ქართველთა ძალით აყრა და გადასახლება ფერეიდანში შაჰ-აბას I-ის დროს). მარტო მურსილი II-მ თავისი მეფობის 10 წლის განმავლობაში ასი ათასამდე „ნამრა“ გაგზავნა ხათში. დეპორტირებულთა ბედი სულ სხვადასხვა იყო: მათ ნაწილს სასახლეში, ტაძარში ან სა-

კულტო ობიექტებში, ისევე როგორც კერძო მეურნეობებში ტოვებდნენ მონებად, ნაწილს ყიდდნენ, დიდ ნაწილს კი მიწის ნაკვეთებს ურიგებდნენ (შდრ. რომში კოლონებისთვის მიწების დარიგება), სხვადასხვა საწარმოო საშუალებებს აძლევდნენ და სამი წლით სახელმწიფო ბეგრისაგან ანთავისუფლებდნენ. სასახლისა და სატაძრო მეურნეობებში მომუშავე ნამრას ათ-ათი ადამიანისაგან შემდგარ „სახლებად" ანაწილებდნენ (შდრ. სპარტაში ილოტების დასახლება 10—15 კაცისაგან შემდგარ კლერებად). მშვიდობიანობის დროს ასეთ „სახლებს" სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ხელოსნურ ნაწარმს ამზადებინებდნენ, ომიანობის შემთხვევაში „სახლების" მამაკაცებს მეომრებად იყენებდნენ. ხეთები თვლიდნენ, რომ ნამრას ასეთი დასაქმება გაცილებით მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა, ვიდრე მათი დატოვება მონებად (იხ. ქვემოთაც).

„სახლებიანი" დეპორტირებულების გადაცემა „ახალი სამეფოს" დროს სპეციალური დოკუმენტით ფორმდებოდა. ჩვენამდე მოაღწია, მაგალითად, ერთმა ასეთმა ვრცელმა, თუმცა რამდენადმე დაზიანებულმა, ტექსტმა (შემოინახა სხვა ტექსტების ფრაგმენტებიც. რომელშიც ჩამოთვლილია მეფისგან სხვადასხვა დასახლებათა ტაძრებისათვის (— ღვთაებებისათვის) გადაცემული დეპორტირებულებიანი „სახლები"). ინტერესს არ იქნება მოკლებული გავეცნოთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ ტექსტიდან:

„ქ. უვალმაში „მზემ" ღვთაებებს ეს დაუდგინა: 1 „სახლი", რომელშიც 10 ნამრაა..., 1 „სახლი", რომელშიც „მთიელთა" 16 ნამრაა, 1 „სახლი", რომელშიც არის 10 ნამრა — ინარას მონები, 1 „სახლი" ქურუმის 4 ნამრათი, 1 „სახლი", რომელშიც არის მეფის მქსოველთა 10 ნამრა. სულ: 5 „სახლი", რომლებშიც 50 ნამრაა...".

„ქ. ვიციდასაში ღვთაება ფირვას „მზემ" ეს დაუდგინა: 4 სახლი, რომელშიც ცხენების მწყემსთა 40 ნამრაა. 4 მსხვილფეხა (და) 30 წვრილფეხა საქონელს თუმანას ქვეყნის მეფე გასცემს...".

„ქ. ფადანიაში ღვთაება ფირვას „მზემ" ეს დაუდგინა: 1 „სახლი", რომელშიც სარმანცანელი 10 ნამრაა, 2 „სახლი" დახარიათელი 20 ნამრათი, 1 „სახლი" ქურუმის ნამრათი..., სულ 4 „სახლი" 40 ნამრათი".

„ქ. ქალასმითაში მფარველ ღვთაებას (და) ღვთაება ალას „მზემ" ეს დაუდგინა: 2 „სახლი", რომლებშიც 20 ნამრაა. ისინი ადრე ღვთაებათა მონები (იყვნენ). 5 „სახლი", რომლებშიც 50 ახარივასელი ნამრაა..." და ა. შ. (ტექსტში მითითებულია მრავალი დასახლება. რომლებსაც გადაეცათ ძირითადად 10—10 ნამრიანი „სახლები").

X

ხეთის სახელმწიფოებრივი და სოციალური სტრუქტურა

სახელმწიფო და მისი აპარატი: მეფე-დედოფალი, „უპირველესნი“ და სხვანი

სახელმწიფოს ხეთებთან საკმაოდ არამყარი სტრუქტურა ჰქონდა. ამ მხრივ იგი თითქმის არ განსხვავდებოდა მითანისგან და მცირე აზიის, სირიისა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის შედარებით წვრილი პოლიტიკური გაერთიანებებისაგან. უშუალოდ მეფესა და დედოფალს დამორჩილებულ ქალაქებსა და ოლქებს გარდა, არსებობდნენ წვრილი ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები (უფლისწულთათვის), ისევე როგორც მსხვილ სახელმწიფო მოხელეთათვის სამართავად გადაცემული რაიონები. ყოველივე ამის გამო, მჭიდროდ ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება ხეთებს არც გააჩნდათ (სამეცნიერო ლიტერატურაში ხეთების სახელმწიფოს მიმართ ზოგჯერ ხმარებული სიტყვა „ცენტრალიზებული“ მხოლოდ პირობითია და არაფერი აქვს საერთო მოგვიანო ეპოქების „ცენტრალიზებულ სახელმწიფოსთან“). სწორედ ამ გარემოებამ უარყოფითი (შეიძლება ითქვას, დამღუპველი) გავლენა იქონია ხეთების სახელმწიფოზე მისი არსებობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში — „ზღვის ხალხების“ შემოსევის დროს. მრისხანე მტრის წინააღმდეგ ხათი არ აღმოჩნდა ერთ ძლიერ ძალად შეკრული (მოულოდნელობის ფაქტორმაც თავისი როლი ითამაშა). პირიქით, ხეთების სამეფო ისე სწრაფად დაიშალა, იგი თითქოს არც არსებობდა („ზღვის ხალხების“ შემოსევის დროს სულ სხვა ვითარება შეიქმნა ეგვიპტეში, რომელმაც მოახერხა მოახლოებული მტრის არა მარტო შეჩერება, არამედ განადგურებაც).

ხეთების სახელმწიფოს სათავეში ედგა მეფე (ხასსუ-), ადრეული ხანებიდან თაბარნას, ხოლო მოგვიანებით — „დიდი მეფისა“ და „ჩემი ბზის“ (=„მზის“) ტიტულების მქონე. თავიდანვე მისი მდგომარეობა არც ისე მყარი იყო, რადგან სამეფო ხელისუფლებას ზღუდავდა ფანჭუ — ადრეულ ხანებში მოქმედი სახალხო კრება, ხოლო თელიფინუს დროს — სამეფო კარის (სასახლის) დიდე-

შულთა და მოხელეთა საკრებულო (ამავე პერიოდში ფუნქციონირებდა აგრეთვე თ უ ლ ი ა — მთელი ხათუსას საკრებულო, რომელიც აერთიანებდა დიდებულებს, მსახურთა სხვადასხვა კატეგორიებს. მასზე განიხილებოდა ძირითადად, როგორც ჩანს, სასამართლო საქმენი). „ძველი სამეფოს“ ხანაში სამეფო ხელისუფლების სისტემით იყო გამოწვეული სისხლის ღერა ტახტზე ასვლის პრეტენდენტთა შორის. თელიფინუმ მნიშვნელოვნად გაამაგრა სამეფო ხელისუფლება, დაასუსტა რა დიდებულთა ძალა. „ახალი სამეფოს“ პერიოდში ხეთების მეფე უკვე სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა.

მეფე იყო უზენაესი ქურუმი. ხეთები მეფეს თავის სიცოცხლეში არასდროს აღმერთებდნენ, გარდაცვალების შემდეგ კი მას „ღვთაებად“ თვლიდნენ (გარდაცვლილ მეფეთა სულის კულტი დაკანონებული იყო). მეფე — უზენაესი ქურუმი — აუცილებლად უნდა დასწრებოდა რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც ძირითადად იმართებოდა ადრე გაზაფხულზე, გვიან შემოდგომასა და ზამთარში — დანარჩენ დროს, განსაკუთრებით, ზაფხულს მეფე ლაშქრობაში ატარებდა. დღესასწაულების დროს იგი მოგზაურობდა მთელს ქვეყანაში, მონაწილეობას იღებდა რიტუალებში (ხშირად, დედოფალთან ერთად).

მეფე იყო მთავარსარდალი და უზენაესი მსაჯული. იგი აწესრიგებდა დიპლომატიურ ურთიერთობებსაც.

მეფის შემდეგ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო დ ე დ ო ფ ა ლ ი, რომელიც ატარებდა თ ა ვ ა ნ ა ნ ა ს ტიტულს, თუკი იგი ტახტის მემკვიდრის დედა იყო და ამ ტიტულის მატარებელი წინა დედოფალი გარდაცვლილი იყო. თუ არა და, მას მხოლოდ „დედოფალს“, ზოგჯერ „დიდ დედოფალს“ უწოდებდნენ (ასეთები იყვნენ ასმუნიქალი, ფუდუხეფა). ხეთების დედოფალი უზენაეს ქალ-ქურუმად ითვლებოდა და მას ფართო საკულტო თუ პოლიტიკური უფლება-მოვალეობანი გააჩნდა. არნუვანდა I-ის მეუღლემ, „დიდმა დედოფალმა“ ასმუნიქალმა, როგორც ზემოთაც დავინახეთ, შექმნა სრულიად ახალი „ქვის სახლი“ — სატაძრო მეურნეობის ერთ-ერთი სახე, რომელსაც გადასცა დასახლებანი მუშა და მომსახურე პერსონალითურთ, გაანთავისუფლა რა მისი მეურნეობა სახელმწიფო ბეგრისაგან. „დიდი დედოფალი“ ფუდუხეფა, ხათუსილი III-ის მეუღლე, დიდ როლს თამაშობდა სატაძრო მეურნეობის გაძლიერებაში და, საერთოდ, სახელმწიფო საქმეთა მართვაში (მეფესთან ერთად). იგი დამოუკიდებელ დიპლომატიურ მიმოწერასაც აწარმოებდა ეგვიპტის ფარაონთან. მას საკუთარი საბეჭდავიც ჰქონია, როგორც ეს ჩანს ეგვიპტესთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებიდან, სადაც ეკითხულობთ: „საბეჭდავი ფუდუხეფასი, ხათის დედოფლისა, ქიცუვათნის ქვეყნის ქალიშვი-

ლისა, ქ. არინას მზის ღვთაების მოსიყვარულესი, დედამიწის ქალ-ბატონისა, ღვთაების მსახურისა". ფუდუხეფას საბეჭდავით დამოწმე-ბულია, აგრეთვე, უგარითში აღმოჩენილი ერთი წერილი (თიხის ფირ-ფიტაზე), რომელშიც ხათის დედოფალი გვეუბნება მეფის („მზის") უფლებით და გვამცნობს თავის გადაწყვეტილებას ერთ-ერთ სადავო საკითხზე.

ხათის ისტორიაში ფუდუხეფას მაგალითი განიხილება როგორც საყურადღებო ფაქტი დედოფლის აქტიური მონაწილეობისა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში. ამასთანავე, ხათუსილი III-ისა და ფუდუხეფას მოღვაწეობა წარმოადგენს მეფისა და დედოფლის 25 წლიანი თანამმართველობის საუკეთესო მაგალითს (ხათუსილი და ფუდუხეფა ბედნიერი მეუღლენიც იყვნენ: ჰყავდათ ბევრი ვაჟიშვილი და ქალიშვილი. ვაჟთაგან ერთი — ყველაზე უფროსი, თუთხალია. მეფე გახდა, ზოგიერთი მათგანი — ხეთების ლაშქრის ხარდლებად, ქალი-შვილთაგან ერთი რამსეს II-ის მეუღლე იყო).

ფუდუხეფას როლზე ხათის სახელმწიფოში მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რამსეს II ყოველ წერილს ხათში აგზავნიდა ორ ეგზემ-პლარად — ერთს ხათუსილი III-ისათვის, მეორეს — სწორედ ფუ-დუხეფასთვის. ხათის დედოფალი რამსესს უგზავნიდა პირად წერი-ლებსაც მისი ერთი ქალიშვილის რამსესთან შეუღლების თაობაზე. ივარაუდებოდა ფუდუხეფას გამგზავრება ამურუში, სადაც იგი პირა-დად შეხვდებოდა ფარაონს. ასევე ივარაუდებოდა ხათის მეფე-დე-დოფლის გამგზავრება ეგვიპტეში. მაგრამ ხათუსილის გარდაცვალე-ბამ ეს უკანასკნელი სავარაუდო გეგმა ჩაშალა. ფუდუხეფამ თავისი აქტიური მოღვაწეობა განაგრძო მისი შვილის — თუთხალია IV-ის გამეფების შემდეგაც.

უ ფ ლ ი ს წ უ ლ ე ბ ი სახელმწიფოში გარკვეული პრივილეგიე-ბით სარგებლობდნენ. თელიფინუს დროიდან მათ გზავნიდნენ დაპყრო-ბილი ქალაქების სამართავად, სადაც ისინი თავს „პატარა მეფეებად" თვლიდნენ. უფლისწულები ფლობდნენ დიდ მამულებს მათზე მსხდომი უშუალო მწარმოებლებითურთ. მეფის მემკვიდრე უფლისწული (თ უ ხ ქ ა ნ თ-) ბავშვობიდანვე მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში.

პოლიტიკური, სამეურნეო-ადმინისტრაციული თუ სასამართლო საქმენი იხილებოდა და წყდებოდა ხათუსას ს ა ს ა ხ ლ ე შ ი, რომელ-საც გააჩნდა თავისი „ფილიალები" — ასევე „სასახლენი" ქვეყნის სხვადასხვა მსხვილ დასახლებებში. ასეთი „სასახლეები" განიხილე-ბოდნენ როგორც სამეურნეო-ადმინისტრაციული და სასამართლო ცენტრები პროვინციებში. ამ „სასახლეებში" („მეფის სახლებში"), რომელთაც გააჩნდათ თავიანთი არქივებიც კი, აწარმოებდნენ მიმო-წერას უშუალოდ მეფესთან სამეურნეო-ადმინისტრაციული თუ სასა-

შართლო საქმეებთან დაკავშირებით. თურქეთის თანამედროვე სოფელ მამათ-ჰუიუქის ადგილას (ზილესთან ახლოს) 70-იან წლებში არქეოლოგებმა გათხარეს სწორედ ასეთი „სასახლე". იგი განეკუთვნებოდა ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ თ ა ფ ი გ ა ს (თაფიქას). სასახლეში იპოვეს ლურსმული ფირფიტების მცირე არქივი, რომელშიც დაცული აღმოჩნდა ტექსტები მიმოწერისა „დიდ მეფესა" და ოლქის მმართველს შორის (სულ 114 ცალი).

ხათუსას სასახლეში, სადაც მოთავსებული იყო მეფისა და დედოფლის რეზიდენციები („მეფის სახლი", „დედოფლის სახლი"), თავს იყრიდნენ მეფის დიდი მოხელენი — დიდებულები („თელიფინუს ტექსტის" მიხედვით, „უპირველესნი"): „სასახლის ძეთა" მთავარი, „ათასის თავები", „ბატონები", ხაზინადართა მთავარი, მწდეთა მთავარი, „კვერთხის მატარებელთა" მთავარი, „სახლის მამანი", მცველთა მთავარი, მეღვინეთუხუცესთა მთავარი, „ოქროს იარაღის მატარებელთა" მთავარი, მესუფრეთა მთავარი, მზარეულთა მთავარი, „მინდვრის ათასთა" მთავარი, ეტლოსანთა მთავარი, მთავარი ზედამხედველი და ა. შ. „ძველი სამეფოს" ხანაში „უპირველესნი" შეადგენდნენ ფანქუსა დ თულიას, რომლებიც მეფე-დედოფალთან ერთად წყვეტდნენ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ სხვა საკითხს. „ახალი სამეფოს" ეპოქაში, მართალია, ფანქუსა და თულიას ფუნქციონირება უნდა გაუქმებულიყო, ან მნიშვნელოვნად შესუსტებულიყო, მაგრამ „უპირველესები" მაინც დიდ მოხელეებად რჩებოდნენ და დიდი უფლებებით სარგებლობდნენ.

ხათუსას სამეფო კარზე საქმიანობდნენ: „სასახლის ძენი", ხაზინადარნი, მწდენი, „კვერთხის მტარებელნი", მცველები, მეღვინეთუხუცესები, „ოქროს იარაღის მტარებლები", მესუფრენი, მზარეულნი, ეტლოსნები, ზედამხედველები და სხვა დაბალი რანგის მოხელენი.

მეფის მოხელეებით მოფენილი იყო ხათის მთელი ქვეყანა. მეფე ნიშნავდა თავის ნაცვლებს სხვადასხვა ქალაქში. სასაზღვრო რაიონებში მეფის მიერ იგზავნებოდა „ოლქის მმართველი" („საზღვრის ბატონი"), რომელთა უპირველესი მოვალეობა იყო სასაზღვრო პუნქტების დაცვა და მტრის შემოტევის მოგერიება, „სასახლის" მიწებზე მოსავლის აღების ორგანიზება და სხვ. ადგილობრივი მმართველობა ხორციელდებოდა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა თანამოქმედებით.

მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის საყრდენი უჯრედი იყო თემი, რომელიც ცნობდა მეფის უზენაესობას, თუმცა ინარჩუნებდა გარკვეულ ავტონომიას. მეფე ანგარიშს უწევდა ადგილობრივ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. თემის სათავეში უხუცესები იდგნენ ადმინისტრაციული და სამართლებრივი ფუნქციებით.

ხეთური კანონებისა და სამართლებრივი თუ პოლიტიკური შინაარსის სხვა წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ხეთებისათვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ წევრთა დაპირისპირება ა რ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ადამიანებისადმი. „ძველი სამეფოს“ დროს უკვე არსებობდა ოპოზიცია: „თავისუფალი — არათავისუფალი“ („მონა“). ამგვარად, ხეთების ისტორიის ადრეული პერიოდიდანვე შეინიშნებოდა საზოგადოების ორწევრიანი სოციალური სტრატიფიკაცია.

ამასთანავე, ხეთური ლურსმული ტექსტების ანალიზი აჩვენებს იმასაც, რომ საზოგადოების თავისუფალი წევრები, თავის მხრივ, იყოფოდნენ სამ ძირითად ფენად: არისტოკრატთა, ქურუმთა და რიგით (სოციალურად თავისუფალ, მაგრამ ეკონომიკურად დამოკიდებულ) მეთემეთა ფენებად (ხეთურ კანონებში ქურუმები, მეომრები და მეთემენი არ არიან გამოყოფილი ადამიანთა ცალკე კატეგორიების სახით).

ყურადსაღებია, რომ სოციალურად თავისუფალი ადამიანის აღსანიშნავად (რომელსაც უპირისპირდება სოციალურად არათავისუფალი ადამიანი) ხეთურ ტექსტებში იხმარებოდა არა მარტო უბრალოდ „კაცი (ქალი)“ ან „ადამიანი“, როგორც ეს შუამდინარულ სამართლებრივ დოკუმენტებშია (მაგალითად, ცნობილ „ხამურაბის კანონებში), არამედ შედგენილი ტერმინები: „კაცი (ქალი) თავისუფალი“, ან „ადამიანი თავისუფალი“ (ორივე სქესის წარმომადგენელთათვის). ხეთურ კანონებში ერთმანეთს ენაცვლება „კაცი (ქალი) თავისუფალი“ და „ადამიანი თავისუფალი“. ასეთი გამოთქმები ძველი ახლო აღმოსავლეთის არცერთ სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში არ დასტურდება.

ზედსართავი სახელის — „თავისუფალის“ გამოჩენა „კაცთან (ქალთან); ადამიანთან“ შეთავსებით მკვლევართაგან ჩვეულებრივ გაგებულია როგორც უტყუარი მაჩვენებელი ამ „კაცის; ადამიანის“ სოციალური თავისუფლებისა, რაშიც მართლაც არ შეიძლებოდა დაეჭვება. მაგრამ მხოლოდ ამ გარემოების კონსტატირება საკმარისი არ არის აიხსნას მიზეზი „თავისუფალის“ გამოჩენისა გამოთქმაში „კაცი თავისუფალი“, მით უმეტეს, რომ სხვა ძველაღმოსავლური სამართლის ძეგლებში სოციალური თავისუფლების ხაზგასასმელად არსად არ ხმარობდნენ სიტყვა „თავისუფალს“ (ხშირად თვით ხეთი მწერლებიც არ ხმარობდნენ ამ სიტყვას, რადგან იცოდნენ, რომ „კაცი (ქალი)“ სოციალურად თავისუფალს აღნიშნავდა). როგორც ხეთური ტექსტე-

ბის ანალიზი აჩვენებს, გამოთქმა „კაცი (ადამიანი) თავისუფალი“ გულისხმობდა, როგორც ჩანს, არა მარტო სოციალურ, არამედ ვარკვეულ ეკონომიკურ ასპექტსაც, რადგან ამით ხაზი ესმებოდა, სახელდობრ რისგან იყო ეს „კაცი (ადამიანი)“ განთავისუფლებული, თავისუფალი.

ხეთურ ტექსტებში, განსაკუთრებით, ხეთურ კანონებში, სიტყვა „თავისუფალი“ („განთავისუფლებული“) ნახმარია, პირველ რიგში, იმ მეურნეობათა („სახლების“) ან ადამიანთა მიმართ, რომლებიც თავისუფალი, განთავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო სავალდებულო მოვალეობათაგან, სახელდობრ, სახანისა და ლუციისაგან. მეურნეობები ანდა ადამიანები, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლება ჩამოართმევდა ამ „თავისუფლებას“, აღარ იყვნენ „თავისუფლები“ („განთავისუფლებულები“) ეკონომიკური თვალსაზრისით და იწყებდნენ სახანისა და ლუციის შესრულებას. აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევებში „თავისუფლება“ გამოიხატებოდა სახანისა და ლუციისაგან განთავისუფლებაში, რაც დასტურდება ე. წ. „საიმუნიტეტო სიგელების“ (იხ. ზემოთ) მონაცემებითაც, რომლებშიც „განთავისუფლება“ ნიშნავდა სწორედ აღნიშნულ მოვალეობათაგან განთავისუფლებას.

აქედან გამომდინარე ივარაუდება, რომ გამოთქმაში „კაცი თავისუფალი“ უძველეს ხანებში ჩაქსოვილი იყო ეკონომიკური ასპექტიც, გულისხმობდა რა მეფის (სასახლის) სახანისა და ლუციისაგან განთავისუფლების პირობას („ძველი სამეფოს“ ხანაში სახელმწიფო ვალდებულებათაგან განთავისუფლებულთა წრე გაცილებით ფართო იყო, ვიდრე „ახალი სამეფოს“ დროს, როდესაც მეფის ბრძანებით ეს პრივილეგიები გაუუქმდათ ადამიანთა გარკვეულ წრეებს). მომდევნო პერიოდში ეს ასპექტი ერწყმის სოციალური თავისუფლების შინაარსს და გამოთქმა „კაცი თავისუფალი“ იქცევა პრივილეგირებული ადამიანის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად, რომელიც გულისხმობდა საერთოდ სოციალურად თავისუფალ ადამიანებს. „ახალი სამეფოს“ ხანაში ამ ტერმინს ეძლევა კიდევ უფრო კონკრეტული მნიშვნელობაც— ზოგჯერ იგი აღნიშნავდა „წარჩინებულს, დიდგვაროვანს“, რომლისთვისაც შრომითი საქმიანობა ითვლებოდა სამარცხვინოდ, ანდა დასჯის ერთ-ერთ ფორმად (ეს ჯერ კიდევ „ძველი სამეფოს“ ხანაში შეინიშნებოდა: მეფე თელიფინუმ დიდგვაროვანი დამნაშავენი დასაჯა იმით, რომ მათ „მხრებიდან იარაღი აჰყარა“ და ხელში „გუთანი მისცა“).

თავისუფალთა ყველაზე მაღალ ფენას შეადგენდნენ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდნენ „მაღალ“ და „დაბალ“ წრეებად. სამეფო საგვარეულოს გარდა არისტოკრატიის მაღალ წრეს ვანეკუთვნებოდნენ

მეფის „უპირველესი“ მოხელეები, დიდგვაროვნები (იხ. ზემოთ), რომელთა შორის დიდი სამხედრო ჩინოსანნიც იყვნენ (არისტოკრატიის დაბალი წრეები მოიცავდნენ მეფის მოხელეებს, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ „უპირველესებს“ და სხვებს). სწორედ ეს „უპირველესები“ შედიოდნენ ფ ა ნ ქ უ ს ა და თ უ ლ ი ა ს შემადგენლობაში.

თავისუფალთა პრივილეგიურ ფენას შეადგენდნენ ქურუმები და კულტის სხვა მაღალი მსახურნი (იხ. ქვემოთ, ტაძართან დაკავშირებით). თავისუფალთა ფართო ფენებს ქმნიდნენ თემის არისტოკრატია („უხუცესები“) და თავისუფალი მეთემენი (ეს უკანასკნელები ეკონომიკურ დამოკიდებულებაში იყვნენ სახელმწიფოს მიმართ).

ხეთური კანონების პარაგრაფთა დიდი ნაწილი ეძღვნება იმ სხვადასხვა სამართალდარღვევათა განხილვას, რომლებიც სწორედ ამ „თავისუფალ ადამიანებს“ ეხებოდათ. „თავისუფალთა“ მოკვლისათვის ან სხეულის დაზიანებისათვის გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ანაზღაურება (ძირითადად, ფულადი — ვერცხლით), თანაც დადგენილი იყო მაღალი კომპენსაციები „თავისუფალთა“ სასარგებლოდ (თითქმის ყოველთვის გაორმაგებული), რაც უზრუნველყოფდა მათ გაძლიერებულ დაცვას. თვითონ „თავისუფლები“ სხვადასხვაგვარად ი.ჯებოდნენ ჩადენილი დანაშაულისთვის. კომპენსაციათა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი საგადასახადო უნარი ჩვეულებრივ ორჯერ მეტი იყო, ვიდრე „არათავისუფალისა“ („მონისა“), ე. ი. მატერიალურად ისინი უფრო მეტად იყვნენ უზრუნველყოფილი, ვიდრე „არათავისუფლები“. ეს მატერიალური უთანასწორობა შეიმჩნევა ხეთურ ტექსტებშიც, რომლებშიც მოცემულია დაპირისპირება: „მდიდარი — ღარიბი“.

„არათავისუფალთა“ წრეც საკმაოდ ფართო უნდა ყოფილიყო. უპირველეს ყოვლისა, „არათავისუფლებში“ იგულისხმებოდნენ ხეთური კანონების იმ „მონათა“ დიდი ნაწილი, რომლებიც „თავისუფლებს“ უპირისპირდებოდნენ. ესენი იყვნენ სოციალურ თავისუფლებას მოკლებული, გარკვეულ დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანთა ფართო ფენები (მეგუთნეები, მწყემსები, მებაღენი, მევენახენი, წვრილი ხელოსნები და ა. შ.). ასეთ „მონებს“ ჰქონდათ „სახლი“ — მეურნეობა (სახელმწიფო მეურნეობათა სისტემაში. იქნებოდა ეს სამეფო ანუ სასახლის, სატაძრო თუ საკულტო მეურნეობა), ოჯახი, წარმოების საშუალებანი, ჰყავდათ საქონელი, ზოგიერთს — მონებიც, ფლობდნენ საკუთარ ხორბალს, ვერცხლს და სხვას (მიწა მათ მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით ჰქონდათ მიღებული სახელმწიფო მეურნეობის ფონდიდან). როგორც წესი, ისინი ითვლებოდნენ სამართლის სუბიექტებად და „სამოქალაქო თემის“ წევრებად და არ განიხილებოდნენ როგორც რომელიმე კერძო პირის ან სახელმწიფო მეურნეო-

ბის სრულ საკუთრებად, იმყოფებოდნენ რა დამოკიდებულების გარკვეულ ფორმაში. ყოველივე ამის გამო, გაუმართლებელია მათი განხილვა როგორც „ნამდვილი“ მონები, რომელთა არსებობა ხეთურ საზოგადოებაში ეჭვს არ იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ხეთურ წყაროებში ორივე ეს კატეგორია „მონებისა“ ერთი ტერმინითაა აღნიშნული (იხ. ზემოთ).

„არათავისუფლებში“ შედიოდნენ „ნამდვილი“ მონებიც. ე. ი. ადამიანები, რომლებიც მოკლებული იყვნენ ყოველგვარ უფლებებს და გარეშეეკონომიკური იძულების გზით განიცდიდნენ ექსპლუატაციას თავიანთი ბატონების მხრიდან. ისინი წარმოადგენდნენ ბატონის (ან რომელიმე მეურნეობის) სრულ საკუთრებას, მათ არ გააჩნდათ საკუთარი მეურნეობა — „სახლები“, წარმოების საშუალებანი. ეკონომიკურად მონა, როგორც აღვნიშნეთ, ვიღაცის საკუთრება იყო, პოლიტიკურად „სამოქალაქო თემის“ გარეთ იდგა, ხოლო იურიდიულად — სამართლის ობიექტი იყო (იყენებდნენ ანაზღაურებათა გადახდის დროს, „სახლის“ ქონების გაყოფისას, ყიდვა-გაყიდვისას ან გაჩუქებისას). სწორედ ასეთი მონები იხსენიებიან ხეთურ ტექსტებში როგორც „სახლის“ ერთ-ერთი კომპონენტი (იხ. ზემოთ) და აღინიშნებიან ტერმინებით: „თავი“, „სული“, „მონა“, „მონა ქალთა და მონა კაცთა თავები“, „(სახლის) მსახურნი, „ნამრა“ (რომელსაც არ გააჩნდა „სახლი“) და ა. შ. მონებს იყენებდნენ „სახლის“ მიწების დამუშავებისას, საქონლის მოვლის საქმეში, ოჯახის წევრთა მომსახურებისათვის. ზოგჯერ მათ ამუშავებდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად წერილ მეურნეობებში, სადაც ისინი წარმოების პროცესში ძირითად ძალას ქმნიდნენ.

ხათის სახელმწიფოში მონობის სხვადასხვა წყარო არსებობდა. მონებად ხდებოდნენ დეპორტირებულთა რიგებიდან (ყიდვა-გაყიდვის, ბოძების, შეწირვების გზით), მოვალეთაგან, დამნაშავეთაგან, თავისუფალ ადამიანთა ყიდვა-გაყიდვის შედეგად. არსებობდა აგრეთვე ფორმა მონობისა როგორც ქორწინებისა და ქურდობის ან მოტაცების შედეგი. განირჩეოდა მემკვიდრეობითი, მუდმივი და დროებითი მონობა. ხათის საზოგადოება იცნობდა ძირითადად სამი კატეგორიის მონებს: სამეფო (სასახლის), სატაძრო და კერძო საკუთრებაში მყოფ მონებს.

გარკვეულ მომენტამდე „არათავისუფლებს“ განეკუთვნებოდნენ „სახლებიანი“ დეპორტირებულებიც. რადგან ისინი დასაწყისში, როგორც ჩანს, ითვლებოდნენ სახელმწიფო მონებად — ხელოვნურად შექმნილი „სახლების“ მფლობელნი განიხილებოდნენ როგორც სახელმწიფო საკუთრება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი „იარაღის კაცნი“ გახდებოდნენ, უფლებრივ სტატუსსაც შეიცვლიდნენ. ეს ხდე-

ბოდა მათ მიერ „სახლების“ მიღების სამი წლის გასვლის შემდეგ. მხოლოდ მეოთხე წელს ისინი იღებდნენ „იარაღის კაცთა“ სტატუსს, იწყებდნენ რა სახელმწიფო ვალდებულებათა (სახანისა და ლუცის) მოხდას. ეს ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან ისინი თავისუფალთა (ალბათ, დაბალ ფენათა) რიგებში გადადიოდნენ — ამიტომაც უნდა იყოს, რომ ზოგიერთ ხეთურ ტექსტში „კაცი თავისუფალი“ და „იარაღის კაცი“ სინონიმებად გვევლინებიან.

„არათავისუფალთა“ სტატუსი უნდა ჰქონოდათ ადამიანთა კიდევ სხვა კატეგორიებს, მაგალითად, „ხიფარა კაცთ“ (სიტყვასიტყვით „დაკავებული, დაპერილი“), „ს ა რ ი ქ უ ვ ა-კაცთ“, „უ ფ ა თ ი-კაცთ“, „ლ უ ლ ა ხ ი“- და ხ ა ფ ი რ ი ა-კაცთ“ („ხაფირია-კაცნი“, ალბათ, ხ ა ბ ი რ უ ტერმინით აღნიშნული ადამიანები — თემიდან განდევნილები. ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში ხ ა ბ ი რ უ ადამიანები მრავლად იყვნენ) და სხვებს.

ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა

ხეთური საზოგადოება იყო ტიპური ადრეკლასობრივი ძველაღმოსავლური საზოგადოება, რომლის სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხი დღეს ისევე პრობლემატურია, როგორც საერთოდ ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა.

ხეთური წყაროების გამოქვეყნების დაწყებისთანავე, როდესაც მეცნიერთა განკარგულებაში აღმოჩნდა ხეთური კანონები, ისტორიული და რელიგიური შინაარსის ტექსტები, ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ხეთური საზოგადოება, ყველა სხვა ძველაღმოსავლური საზოგადოების მსგავსად, გამოცხადებულ იქნა ფეოდალურად, რასაც ამჟამად მხარს უჭერს ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხეთური საზოგადოების ხასიათის შეფასება იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ აფასებდნენ საერთოდ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკურ წყობას 20-იანი წლებიდან დღემდე.

20-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც გავრცელებული იყო მოსაზრება ხეთური საზოგადოების ფეოდალური ხასიათის შესახებ. მაგრამ 30-იანი წლების დასაწყისიდან ხეთური საზოგადოება განიხილებოდა როგორც „აზიური წარმოების წესზე“ დამყარებული, თუმცა მალე უარყოფილ იქნა ეს ვარაუდიც: 1934 წ. აკად. ვ. სტრუვემ ძველაღმოსავლური საზოგადოებანი, მათ შორის ხეთურიც,

მონათმფლობელურად განსაზღვრა. ეს ვარაუდი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღემდეა გაბატონებული, თუმცა 50-იანი წლების ბოლო „აზიური წარმოების წესთან“ დაკავშირებით წამოწყებულმა ახალმ დისკუსიამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის შეფასებაში — მონაწილეთა ერთმა ნაწილმა საეჭვოდ მიიჩნია ამ გაბატონებული აზრის სისწორე. ეს შეეხო ხეთურ საზოგადოებასაც. ამგვარად, დღესაც ისმის კითხვა: როგორია ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის სურათი ხეთოლოგიის განვითარების თანამედროვე მიღწევათა შუქზე?

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში წარმოდგენილი, ნაწილობრივ ზემოგანხილული, მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხეთური საზოგადოების ზოგადი სახე მნიშვნელოვნად განსხვავდება ანტიკური ხანის საზოგადოებათა სურათისაგან. ამას გრძნობს ყველა, ვისაც კი ამ ორი სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებანი ურთიერთს შეუდარებია, მათ შორის, ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური წარმოების წესის მომხრეებიც კი. მაგრამ ეს უკანასკნელნი, ძველაღმოსავლურ საზოგადოებებს უწოდებენ რა ხან „ადრემონათმფლობელურს“, ხან კიდევ „ადრეულ ძველ“ საზოგადოებებს, საერთო ჯამში, მათ მონათმფლობელური წარმოების წესზე დამყარებულ სახელმწიფოებად თელიან. მაგრამ აშკარაა, რომ ხეთური საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა არ თავსდება ამ წინასწარ გამზადებულ სტანდარტულ განსაზღვრებაში, რადგან ხათში მონობა არ იყო წარმოების ძირითადი საფუძველი, ხოლო წარმოებით ურთიერთობებში მონური ტიპის ურთიერთობანი განმსაზღვრელ როლს არ თამაშობდა.

მიუხედავად მონობის განვითარებისა ხეთურ საზოგადოებაში, მონობის ინსტიტუტი არ უნდა განვიხილოთ როგორც ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა ხეთური სოციალური ორგანიზმის ხასიათს. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრებოდა სოციალურად თავისუფალ და ეკონომიკურად დამოკიდებულ ადამიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობით, ე. ი. მეთემეთა, როგორც მატერიალური დოვლათის ძირითად მწარმოებელთა, მდგომარეობით. რაოდენობრივადაც თავისუფალი მეთემე იყო ხეთური საზოგადოების ძირითადი ფიგურა. მართალია, ზოგჯერ ხდებოდა მეთემეთა შრომის შეზღუდვა მონური შრომით, რომელსაც დროებით გაბატონებული ფორმაც ჰქონდა, მაგრამ ამას ადგილი ექნებოდა იშვიათად. მონური შრომა ფართოდ გამოიყენებოდა „ახალი სამეფოს“ დროს, როდესაც ხეთები წარმატებით ამთავრებდნენ სამხედრო ლაშქრობებს. მშვიდობიანობის დროს კი დეპორტირებულთა ნაკადის შემოღწევა ხათის ქვეყანაში მნიშვნელოვნად მცირდებოდა, რაც იწვევდა მონათა რაოდენობის შემცირებასაც.

ასეთ შემთხვევებში კვლავ სასოფლო თემი ინარჩუნებდა მყარ მდგომარეობას, მონობა კი იღებდა პატრიარქალურ ხასიათს და საგრძნობლად სუსტდებოდა მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა განხილვა როგორც „წარმოების აზიურ წესზე" დამყარებული, ანდა „პროტოფეოდალური" ადრეკლასობრივი საზოგადოებები, უფრო მართებულია (ხეთების მიმართაც). ხეთურ საზოგადოებას ვერ ვუწოდებთ ვერც ფეოდალურს, რადგან უგულებელყოფილი იქნება ისეთი ფენომენი, როგორიცაა მონობის მნიშვნელოვანი განვითარება, თუმცა არამონათმფლობელურ ურთიერთობათა არსებობა ხეთების სახელმწიფოში იმდენადაა თვალში საცემი, რომ ასეთ ურთიერთობათა განვითარების უგულებელყოფა შეუძლებელია.

სახელმწიფო სექტორის სასოფლო სამეურნეო წარმოების პროცესში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ძირითადად ორი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობანი — მონათმფლობელური და აშკარად არამონათმფლობელური. ამ უკანასკნელი ხასიათის ურთიერთობანი კი უფრო მრავალმხრივია (ყმური ურთიერთობა, დაქირავება, „სახლეზიან" დეპორტირებულთა წარმოებითი ურთიერთობანი, უშუალო მწარმოებლის მიმაგრება მიწაზე, მისთვის წარმოების საშუალებათა გადაცემა და ა. შ.). ამგვარად, ხეთურ საზოგადოებაში მონური და არამონური ურთიერთობანი ერთმანეთში მჭიდროდაა გადახლართული. ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. როგორც მკვლევართა ნაწილი ეარაუდობს, ასეთი ვითარება დამახასიათებელია საერთოდ ძველაღმოსავლური ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის, რომლებიც, ცხადია, თავის შესაფერ წარმოების წესზე იყვნენ დამყარებული. წარმოების ამ წესს, ჩვენი აზრით, თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „ძველაღმოსავლური წარმოების წესი", ე. ი. წარმოების ის წესი, რომელიც ძველ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. იგი გამოკვეთილად იქნება დაპირისპირებული „ანტიკური წარმოების წესისადმი" (ე. ი. ანტიკურ სამყაროში არსებული წარმოების წესისადმი), რომლის ძირითადი საფუძველი განვითარებული მონათმფლობელობა იყო.

XI

ხეთური სამართალი

„არ ქმნა სამართლიანი საქმე უსამართლოდ,
უსამართლო — სამართლიანად!“

ამ სიტყვებით მიმართავდა, როგორც ჩანს, მეფე, სასაზღვრო ოლქის მმართველს, რომელიც განაგებდა ადგილობრივ სასამართლო საქმეებსაც. იგი ვალდებული იყო მოესმინა სარჩელის მქონე პირთათვის, იქნებოდა იგი მონა, მსახური თუ თავისუფალი და გამოეტანა სათანადო მიუკერძოებელი განაჩენი. „სამართლიანად მოქცევა“ მოსამართლის ვალი იყო ასე უძველეს ხანებშიც, თუმცა არ ვიცით, რამდენად პირნათლად ასრულებდა იგი ამ მოვალეობას და მართლაც იყო თუ არა იგი ყოველთვის „სამართლიანი“.

უზენაეს მსაჯულად მეფე ითვლებოდა. თვით ქვეყნის მბრძანებელი საქმეებში ერეოდა მხოლოდ რთული ვითარებისას — თუკი საქმე ეხებოდა გრძნეულებას, ან სიკვდილით დასჯას. მეფის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო: „უკეთუ ვინმე წინ აღუდგება მეფის განაჩენს, მისი სახლი, დაე, განადგურდეს! უკეთუ ვინმე წინ აღუდგება წარჩინებულის განაჩენს, მას თავი მოსჭრან!“

სასამართლო ხეთებთან იყო სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად იხილავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს. სამეფო სასამართლოზე იხილებოდა სხვადასხვა საკითხი, ძირითადად, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მითვისების, ან მოპარვის თაობაზე. ადგილობრივ სასამართლოთა უშუალო მოქმედება ხეთურ ტექსტებში არ აისახა, თუმცა მათი ფუნქციონირება ეჭვს არ იწვევს. სასამართლოს მსვლელობის ერთ-ერთ კომპონენტს — დაკითხვას (როგორც ბრალდებულთა, ასევე მოწმეთა) ეძღვნება არაერთი ხეთური დოკუმენტი. ხეთებს არ ჰყავდათ პროფესიონალი მოსამართლენი (თანამედროვე გაგებით). მოსამართლის ფუნქციებს ასრულებდა მეფე ან დედოფალი (სამეფო სასამართლოში), ანდა მოსამართლის უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო მოხელენი (ადგილობრივ სასამართლოებში).

ხეთების წარმოდგენით სამართალი და კანონი ღვთაებრივი წარმოშობის იყო. ღვთაების წინაშე ფიცის დადება (განსაკუთრებით, დამნაშავის მხრიდან) აუცილებელი პირობა იყო სასამართლოს მსვლელობისას, სადაც მხოლოდ სიმართლე უნდა ეთქვათ. ყალბი ჩვენებისთვის ისჯებოდნენ. განსაკუთრებული დანაშაულის გამოვლენის მიზნით ბრალდებულის მიმართ ზოგჯერ იყენებდნენ ორდალიას — ბრალდებულს მდინარეში აგდებდნენ მისი დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად: თუკი ბრალდებული გაუძლებდა გამოცდას, მას გამართლებულად ჩათვლიდნენ.

მკვლევართა ყურადღება მიიქცია ხეთების სამეფო არქივში აღმოჩენილმა ე. წ. „სასამართლო ოქმებმა" (მათში ძირითადად დაკითხვის მიმდინარეობაა ასახული). ხეთები ამ სახის ტექსტებს „საქმეს" უწოდებდნენ. ყველა მათგანი ეხება მხოლოდ სამოქალაქო სამართალს (სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ტექსტში არ ირჩევა). დოკუმენტი დგებოდა ერთ ეგზემპლარად (დუბლიკატების გარეშე) მხოლოდ ამა თუ იმ სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ.

ტექსტებიდან არ ჩანს, სახელმწიფო, რომელ ინსტანციაში აწარმოებდნენ სასამართლო დაკითხვას, ანდა სად გამოჰქონდათ სასამართლო დადგენილება. ერთ-ერთ ტექსტში, რომელშიც აღწერილია სასამართლო პროცესი მეფის მოხელის — უქურას შესახებ, განხილულია დედოფლის საჩივარი (ვარაუდობენ, რომ იგი ხათუსილი III-ის მეუღლე, „დიდი დედოფალი" ფუდუხეფაა), მასვე მიჰყავს რა სასამართლოს მსვლელობა.

ჩვენამდე მოღწეული ხეთური „სასამართლო ოქმები" შედგენილია „ახალი სამეფოს" დროს (როგორც ვარაუდობენ, ხეთური სამართალი ერთგვარ კავშირში იყო სხვა ძველაღმოსავლურ სამართლებრივ სისტემებთან. გამოთქმულია აზრი ხეთების სასამართლო პროცედურაზე შუამდინარული სამართლის გავლენის შესახებ). „ოქმები" არ დგებოდა სქემის, ტრაფარეტის მიხედვით. სასამართლოზე განიხილებოდა სხვადასხვა სასამართლო საქმე, იქნებოდა ეს სამეფო დოვლათის გაფლანგვის ან ქურდობის საქმე, ქრთამის აღების. სხვისი საკუთრების უკანონოდ მითვისების საქმე, თუ აკრძალული მაგიური აქტის, ყალბი დოკუმენტის გაცემის, სასახლის საწყობიდან ნივთისა და საქონლის უსაბუთოდ (ტექსტში — „უბეჭდოდ") გაცემის საქმე.

ბრალდებულებად ან მოწმეებად გამოდიოდნენ, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელენი, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირნი. სასამართლო პროცესის — დაკითხვის მსვლელობისას აშკარავდებოდა ფაქტები ამა თუ იმ მოხელისგან თავისი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა, რაც განიხილებოდა როგორც უმძიმესი დანაშაული.

ჩვენამდე მოაღწია სამართლებრივი შინაარსის ერთ-ერთმა უძველესმა დოკუმენტმა — ხეთურმა კანონებმა, უფრო სწორად, კანონთა კრებულმა, რომელიც თანამედროვე მკვლევართა ნუმერაციით 241 პარაგრაფს შეიცავს (ზოგიერთ მათგანს აქვს A და B ქვეპარაგრაფებიც). თავისი მნიშვნელობითა და ორიგინალობით იგი თითქმის არ ჩამოუვარდება ბაბილონის მეფე ხამურაბის ცნობილ „კოდექსს“.

კაუზალური ფორმულირების მიხედვით, ხეთური კანონების კრებული ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ეს არის ე. წ. „I ფირფიტა (დაფა)“ და „II ფირფიტა (დაფა)“, რომლებიც „ძველი სამეფოს“ დროსაა შედგენილი. შემოინახა „I ფირფიტის“ პარალელური ტექსტიც (სულ 41 პარაგრაფი ფრაგმენტებითურთ). იგი „ახალი სამეფოს“ დროინდელია (დაახლოებით, ძვ. წ. XIII ს-სა — არნუვანდა III-ის ან თუთხალია IV-ის მეფობის ხანისა).

„I ფირფიტა“ (100 პარაგრაფით), რომელსაც ხეთური ტექსტის დასაწყისი სიტყვების მიხედვით უწოდებენ აგრეთვე „უკეთუ კაცს“, შეიცავს ადამიანის პირადი და საკუთრების უფლებათა განმარტებას. მასში აღწერილია „თავისუფალი კაცისა“ და „მონის“ მდგომარეობა, მოცემულია სასჯელთა სისტემა სხვადასხვა დანაშაულისათვის, განხილულია სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების ცალკეული პირობა და ა. შ. „I ფირფიტაში“ პარაგრაფები შინაარსის მიხედვით ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: მკვლელობა (გამართლებული მკვლელობის შემთხვევების ჩათვლით), ვინმეზე თავდასხმა ან ვინმეს ცემა-დასახიჩრება, მონის მფლობელობასთან (განსაკუთრებით, ბაქცევასთან) დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევა, ქორწინებასთან დაკავშირებული ნორმების შესრულება-დარღვევა, დაქირავება, სახელმწიფო ვალდებულებათა მოხდის პირობები სახელმწიფო მიწის ფლობის დროს, მიწის მფლობელობის პირობები, ქურდობა, ცეცხლის წაკიდება (სხვადასხვა ობიექტისთვის) და სხვა.

„II ფირფიტა“ (ხეთური ტექსტის დასაწყისი სიტყვების მიხედვით, „უკეთუ ვაზს“) ეხება მიწათმფლობელობისა და ნათესების სამართლებრივი დაცვის, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი მოქმედების სასჯელთა სისტემის, ქურდობისა და შეთანხმების დარღვევის, ქალის ღალატის, დაქირავებული შრომის, ფასების ტარიფისა და სხვა საკითხებს. შინაარსობრივად პარაგრაფები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: დანაშაულობანი ვენახისა და ბაღ-ბოსტნის ფლობასთან დაკავშირებით, ქურდობა და დაზიანება საკუთრების სხვადასხვა ობიექტისა, ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული

სამართალდარღვევანი (მიწის გაყიდვის დროსაც), დაქირავებასთან, სოფლის მეურნეობასთან, ზოგიერთი რელიგიური წეს-ჩვეულების დარღვევასთან დაკავშირებული შემთხვევები, ფასების ჩამოთვლა, სქესობრივ ურთიერთობათა მოწესრიგება და სხვა.

კანონთა ტექსტიდან კარგად ჩანს საკანონმდებლო სისტემის თანდათანობით განვითარება: მრავალ მუხლში აღნიშნულია, თუ როგორი იყო სასჯელი ამა თუ იმ დანაშაულისა „წინათ" და „ახლა". ასეთ შემთხვევებში სასჯელი ყოველთვის შერბილებულია, როგორც წესი, განახევრებულია. ანდა, თუ „I ფირფიტაში" ამა თუ იმ დანაშაულისათვის დადგენილი იყო ადამიანთა ანაზღაურება „თავებით", „II ფირფიტაში" „თავები" შეცვლილია უკვე ფულადი ჯარიმით და ა. შ.

კანონებში დიდი ადგილი ეთმობა საკუთრების ფორმების, განსაკუთრებით, „თავისუფალ კაცთა" უფლებების დაცვას. „თავისუფალთაგან" შედარებით „მონის" მკვლელობა ან სხეულის დაზიანება შეფასებული იყო ჩვეულებრივ ნახევარ ფასად. სასაქონლო-ფულადი სისტემის განვითარების ნიმუშს წარმოადგენს ფასების ტარიფი. სხვადასხვა სახის სამუშაოთა შეფასება. კანონთა კრებულში განხილულია ადამიანისა და პირუტყვის დაქირავების პირობები, საოჯახო სამართლისა და მემკვიდრეობის წესი (ოჯახი ხეთებთან წარმოადგენდა კარგად ორგანიზებულ მონოგამიურ უჯრედს, რომელსაც სათავეში ედგა ოჯახის თავი — მამა).

კანონებში დაცულია უნიკალური ცნობები ქორწინების ფორმებთან დაკავშირებით. ხეთებში გავრცელებული იყო ე. წ. „ქორწინება შესყიდვით" — სასიძოს ოჯახის მიერ გარკვეული გამოსასყიდის — ურვათის (ურვადის) გაღება. არსებობდა ე. წ. „ე რ ე ბ უ" ქორწინებაც — ქალის ოჯახის მიერ გამოსასყიდის მიღება სიძისაგან და მისი შესვლა ქალის სახლში — ზედსიძედ გახდომა. დაშვებული იყო შერეული ქორწინების სხვადასხვა ფორმა (ქორწინება „თავისუფალსა" და „მონებს" შორის), როდესაც ორივე მხარე საკუთარ სოციალურ სტატუსს ინარჩუნებდა.

ხეთური კანონები მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესასწავლად. იგი უძველესი სამართლებრივი ძეგლია მცირე აზიიდან, წარმოადგენს რა ხეთური სამართლის ბრწყინვალე ნიმუშს. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც უშუალოდ გაეცნობა ხეთურ კანონებს, რომელთაგან მკითხველს მხოლოდ „I ფირფიტის" თარგმანს ვთავაზობთ.

§ 1. [უკეთუ] ვინმე* [ჩხუბში მოკლავს (თავისუფალ) კაცს] ან (თავისუფალ) ქალს, იგი [მას (ე. ი. ცხედარს) შინ მიიტა]ნს, აგრეთვე 4 „თავს“ (ე. ი. ადამიანს) გაიღებს, კაცს ან ქალს, [და მის (ე. ი. დაზარალებულის) სახლს] ჩააბარებს.

§ 2. [უკეთუ] ვინმე ჩხუბში მოკლავს [მონა კაცს] ან მონა ქალს, იგი მას (შინ) მიიტანს, [აგრეთვე 2 „თავს“] გაიღებს, კაცს ან ქალს, და მის სახლს ჩააბარებს.

§ 3. [უკეთუ] ვინმე თავისუფალ [კაცს] ან ქალს სცემს და იგი მოკვდება, ხელი მისი კი (უნებლიეთ) ჩადის ცოდვას, იგი მას (შინ) მიიტანს, აგრეთვე 2 „თავს“ გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 4. [უკე]თუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს სცემს და იგი [მოკვ]დება, ხელი მისი კი (უნებლიეთ) ჩადის ცოდვას, იგი მას (შინ) მიიტანს, აგრეთვე 1 „თავს“ გაიღებს [და] მის სახლს ჩააბარებს.

§ 5. [უკე]თუ ვინმე ხეთ ვაჭარს მოკლავს, 100 მინა ვერცხლს გაიღებს და მის [სახლ]ს ჩააბარებს. თუკი (ეს მოხდება) ლუვიან ქვეყანაში ანდა ფალას ქვეყანაში, [იგი 100] მინა ვერცხლს გაიღებს და მის დოვლათსაც აანაზღაურებს. როდესაც ეს ხათის ქვეყანაში (მოხდება), იგი ვაჭარსაც (შინ) მიიტანს.

§ 6. [უკე]თუ ადამიანი, კაცი ან ქალი, სხვის თემში (ტექსტშია „დასახლიბაში“) მოკვდება, ვის მიწაზეც გარდაიცვლება, მან 100 გიპესარი მინდორი უნდა გამოყოს და მან (ე. ი. გარდაცვლილის მემკვიდრემ) თავისთვის აიღოს.

§ 7. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს დააბრმავებს ან მას კ[ბილს] ჩაუმტვრევს, წინათ (ამისთვის) 1 მინა ვერცხლს იხდიდნენ, ახლა კი იგი (ე. ი. დამნაშავე) 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 8. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს დააბრმავებს ან [მას კბილს] ჩაუმტვრევს, იგი [10] სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 9. უკეთუ ვინმე ადამიანს თავს გაუტეხს (დაუზიანებს), წინათ (ამისთვის) [6 სიკლ] ვერცხლს იხდიდნენ; (თავ)გატეხილი 3 სიკლ

---

* სიტყვაში „ვინმე“ აქ და ქვემოთ ყველგან იგულისხმება როგორც „თავისუფალი“, ასევე „არათავისუფალი“ ადამიანი (ე. ი. „მონა“). ასეთ შემთხვევებში ჩადენილი დანაშაულისთვის ყოველი მათგანი თანაბრად ისჯება და თანაბრად იხდის ანაზღაურებას, რაც მეტად თავისებური მოვლენაა მთელს ძველაღმოსავლურ სამართალში.

ვერცხლს იღებდა, ხოლო სასახლისათვის 3 [სიკლ ვე]რცხლს იხდიდ-
ნენ. ახლა კი მეფემ სასახლისა (ე. ი. სასახლის წილი) გააუქმა და მხო-
ლოდ (თავ)გატეხილი თავისთვის 3 სიკლ ვერცხლს აიღებს.

§ 10. უკეთუ ვინმე ადამიანს ზიანს მიაყენებს და იგი ავად გახ-
დება, იგი [მასვე] მოუვლის. მის სანაცვლოდ კი კაცს მისცემს და იგი
[მის (ე. ი. დაზარალებულის)] სახლში იმუშავებს (მანამ), სანამ იგი
გამოჯანმრთელდება. როგორც კი იგი გამოჯანმრ[თელდება], იგი (დამ-
ნაშავე) მას 6 სიკლ ვერცხლს მისცემს. მკურნალის ქირასაც იგივე
[გადაიხდის].

§ 11. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ხელს ან ფეხს მოს-
ტეხს, იგი მისთვის 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბა-
რებს.

§ 12. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ხელს ან ფეხს მოს-
ტეხს. იგი 10 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 13. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ცხვირს მოაჭამს, 1 მი-
ნა ვერცხლს ვაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 14. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ცხვირს მოაჭამს,
3 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 15. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ყურს მოახევს, 12
სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 16. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ყურს მოახევს, 3
[სიკლ] ვერცხლს გაიღებს.

§ 17. [უკეთ]უ ვინმე თავისუფალ ქალს ნაყოფს მოუშლის, თუკი
(ნაყოფი) 10 თვისაა— იგი 10 სიკლ ვერცხლს გაიღებს, ხოლო თუკი
5 თვისაა — 5 სიკლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 18. უკეთუ ვინმე მონა ქალს ნაყოფს მოუშლის, თუკი (ნაყო-
ფი) 10 თვისაა — იგი 5 (?) სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 19 A. უკეთუ რომელი[მე] ლუვიელი ადამიანს, კაცს ან ქალს,
ქ. ხათუსაში მოიპარავს და მას არცავას ქვეყანაში წაიყვანს, (თუკი)
ბატონი მისი იპოვის, იგი მხოლოდ (მას) თავის სახლში წამოიყვანს.

§ 19 B. უკეთუ ვინმე ხეთი ქ. ხათუსაში ლუვიელს მოიპარავს და
მას [ლუვიას ქვეყანაში წა]იყვანს, წინათ (ამისთვის) 12 „თავს" იხდიდ-
ნენ, ახლა კი იგი (ე. ი. ქურდი) 6 „თავს" გაიღებს [და მის სახლს
ჩაა]ბარებს.

§ 20. უკეთუ რომელიმე ხეთი ხათის მონას ლუვიადან გაიტაცებს
და მას ხათის ქვეყანაში მოიყვანს, ხოლო ბატონი მისი [იპოვ]ის მას,
იგი (ე. ი. ქურდი) მასში 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს
ჩაა[ბარებს].

§ 21. უკეთუ ვინმე ლუვიელის მონას ლუვიას ქვეყნიდან [გაი-
ტა]ცებს და მას ხათის ქვეყანაში წაიყვანს, ხოლო ბატონი მისი

ნიპოვ]ის მას, იგი მხოლოდ თავის მონას დაიბრუნებს. ანაზღაურება [არ არის].

§ 22. უკეთუ მონა კაცი გაიქცევა და მას ვინმე უკან დააბრუნებს, თუკი მას [ახლო-მახლო] შეიპყრობს, იგი მას ფეხსაცმელს მისცემს. თუკი მდინარის (იგულისხმება მდ. მარასანთა, თანანედროვე ყიზილ-ირმაკი) აქეთ (შეიპყრობს) — 2 [სიკლ ვერცხლს მისცემს], ხოლო თუკი მდინარის იქეთ — იგი მას 3 სიკლ ვერცხლს [მისცემს].

§ 23. უკეთუ მონა კაცი გაიქცევა და იგი ლუვიას ქვეყანაში წავა, ვინც უკან დააბრუნებს, მას იგი 6 სიკლ ვერცხლს მისცემს. უკეთუ [მონა გაიქცევა] და იგი მტრის ქვეყანაში წავა, ვინც უკან [დააბრუ-ნებს], მასაც იგივე წაიყვანს.

§ 24. უკეთუ მონა კაცი ან მონა ქალი [გაიქცევა]. მისი ბატონი ვის კერასთანაც იპოვის, კაცის ერთი წლის (მუშაობის) საფასურში მას (ე. ი. ბატონს [...] მინა ვერცხლს მისცემს, ხოლო ქალის [ერთი წლის (მუშაობის)] საფასურში 40 (?) სიკლ [ვერცხლს გაიღებს].

§ 25. [უკეთუ] ადამიანი (წყლიან) ჭურ[ჭელს ან წყაროს] წაბილ-წავს, [წინათ] (ამისთვის) [6 ? სიკლ ვერცხლს იხდიდნენ]: ვინც [წა-ბილ]წავდა — [3 სიკლ ვერცხლს იხდიდა], (ხოლო) [სასახლისათვის 3] სიკლ ვერცხლს იღებდნენ. ახლა კი მეფემ სასახლისა (ე. ი. სასახ-ლის წილი) [გააუქმა. ვინც წაბილწა, ეხოლოდ იგი 3 (?) სიკლ ვერ-ცხლს გაიღებს] და [მის სახლს] ჩაა[ბარებს].

§ 26. (შემორჩენილია ცალკეული სიტყვები).

§ 27. [უკეთუ მამაკაცი ცოლს შეირთავს და მას თავის სახლში] წაიყვანს, მის ივარუსაც (სამემკვიდრო წილს — მზითევს) შინ მი[-იტანს. უკეთუ ქალი იქ] გარდაიცვლება და მის ნივთებს დაწვავენ, მის ივარუს მამაკაცი [აიღებს]. უკეთუ იგი მამამისის სახლში მოკვდება, ხოლო შვილები [მისი არსებობენ], მის ივარუს მამაკაცი არ [აიღებს].

§ 28 A. უკეთუ ქალიშვილი მამაკაცთანაა შეპირებული, სხვამ კი იგი გაიტაცა, თანხა, რამდენიც პირველმა მამაკაცმა გაიღო, ვინც (ქალი) გაიტაცა, იმან უნდა აუნაზღაუროს მას. მამა და დედა არ აანაზღაურებენ.

§ 28 B. უკეთუ მას (ე. ი. ქალიშვილს) მამა (და) დედა სხვა კაცს მისცემენ, მაშინ მამა და დედა აანაზღაურებენ. § 28C. უკეთუ მამა და დედა უარს იტყვიან (ანაზღაურებაზე), მაშინ მას მისგან (ე. ი. სხვა კაცისაგან) გაყრიან.

§ 29. უკეთუ ქალიშვილი მამაკაცთანაა კავშირში, ხოლო იგი მას ურვათს გადაუხდის, (ამის) შემდეგ (თუკი) მამა (და) დედა დავას ასტეხენ და ისინი მას მამაკაცს ჩამოაცილებენ, ურვათს ისინი ორ-მაგად აანაზღაურებენ.

§ 30. და უკეთუ მამაკაცს ქალი ჯერ კიდევ არ წამოუყვანია და იგი მას უარს ეტყვის, ურვათზე, რომელიც მან გაიღო, იგი (ასევე) უარს იტყვის.

§ 31. უკეთუ თავისუფალი მამაკაცი და მონა ქალი ახლო კავშირში არიან, შემდეგ კი ისინი მორიგდებიან და იგი მას თავის ცოლად შეირთავს, ისინი ოჯახსა და შვილებს შექმნიან. (ამის) შემდგომ (თუკი) ისინი ერთურთს ბოროტებას მიაყენებენ, ანდა გასცილდებიან, (მაშინ) ისინი სახლს (ოჯახს) შეთანხმებულად გაიყოფენ: შვილებს კაცი წაიყვანს. ერთ შვილს თავისთვის ქალი წაიყვანს.

§ 32. უკეთუ მონა კაცი (თავისუფალ) ქალს ცოლად შეირთავს, მათი სამართალიც ზუსტად იგივეა.

§ 33. უკეთუ მონა კაცი (ცოლად) შეირთავს მონა ქალს, მათი სამართალიც ზუსტად იგივეა.

§ 34. უკეთუ მონა კაცი (თავისუფალ) ქალში ურვათს გაიღებს და მას ცოლად შეირთავს, (მაშინ) მას ვერავინ ვერ შეეცილება (?).

§ 35. უკეთუ თავისუფალ ქალს აგრიგი ან მწყემსი გაიტაცებს, ხოლო მის ურვათს არ გაიღებს, მაშინ იგი (ქალი) სამი წლით [დამონ]დება (=მონა ქალი გახდება).

§ 36. უკეთუ მონა კაცი თავისუფალ ყმაწვილში ურვათს გაიღებს და მას ზედ! იძედ მოიყვანს, მაშინ მას ვერავინ ვერ შეეცილება (?).

§ 37. უკეთუ ვინმე ქალს გაიტაცებს, ხოლო მას უკან დაედევნება მშველელი (ჯგუფი): თუკი 2 კაცი ან 3 კაცი მოკვდება. ანაზღაურება არ იქნება (რადგან იტყვიან): „შენ მგელი გახდი!“ (?).

§ 38. უკეთუ კაცები დანაშაულისთვის შეპყრობილი არიან და მათ საშველად (გამოსახსნელად) ვინმე წავა, დავისას კი [ხის ურ]დულს გამოიყენებენ და მშველელს იგი (შესაძლოა, მოსამართლე) სცემს, ხოლო იგი მოკვდება, ანაზღაურება არ იქნება.

§ 39. უკეთუ [კაცი სხ]ვის მინდვრებს ფლობს, იგი სახანს შეასრულებს. თუკი იგი [სახანზე] უარს იტყვის, მინდვრებსაც სხვა აიღებს. იგი [მათ] ვერ გაყიდის.

§ 40. უკეთუ „იარაღის კაცი“ გადაიკარგება, (მის ადგილას) „ვალდებულების კაცი“ დაინიშნება და (თუკი) „ვალდებულების კაცი“ იტყვის — „ეს არის ჩემი იარაღი, ხოლო ეს არის ჩემი სახანი“ —, „იარაღის კაცის“ მინდვრებს იგი ბეჭდით დაიმტკიცებს. მას „იარაღიც“ ექნება და იგი სახანსაც შეასრულებს. მაგრამ უკეთუ იგი „იარაღზე“ უარს იტყვის და „იარაღის კაცის“ მინდვრებს ვერანად გამოაცხადებენ, მაშინ მათ მეთემენი დაამუშავებენ. თუკი მეფე დეპორტირებულს გაიღებს და მას მინდვრებს ჩააბარებენ, იგი „იარაღის (კაცი)“ გახდება.

§ 41. უკეთუ „ვალდებულების კაცი“ გადაიკარგება. (მის ადგილას) „იარაღის კაცი“ დაინიშნება და (თუკი) „იარაღის კაცი“ იტყვის — „ეს არის ჩემი იარაღი, ხოლო ეს არის ჩემი სახანი“ —, „ვალდებულების კაცის“ მინდვრებს იგი ბეჭდით დაიმტკიცებს. მას „იარაღიც“ ექნება და იგი სახანსაც შეასრულებს. თუკი იგი სახანზე უარს იტყვის, მაშინ „ვალდებულების კაცის“ მინდვრებს სასახლეში აიღებენ და სახანიც გაუქმდება (შეწყდება).

§ 42. უკეთუ ვინმე კაცს დაიქირავებს და იგი სალაშქროდ წავა და მოკვდება. თუკი საფასური გაცემული იყო, იგი არ ანაზღაურდება. (მაგრამ) თუკი მისი საფასური არ იყო გაცემული, (მაშინ) 1 „თავს“ გაიღებს (დამქირავებელი) და იგი საფასურსაც — 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს, ხოლო ქალის საფასურს — 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 43. უკეთუ კაცს თავისი ხარი მდინარეზე გადაჰყავს, მეორე (კაცი) კი უბიძგებს (მას) და ხარის კუდს (თვითონ) ჩაეჭიდება და მდინარეზე გადავა. ხოლო ხარის პატრონს მდინარე წაიღებს, მაშინ სწორედ მას (ე. ი. მეორე კაცს) შეიპყრობენ.

§ 44 A. უკეთუ ვინმე კაცს ცეცხლში ჩააგდებს და იგი მოკვდება, იგი მის (მაგიერად) ახალგაზრდას გაიღებს.

§ 44 Б. უკეთუ ვინმე კაცს (საკულტოდ) განწმენდს, (შეწირვის) ნარჩენებს იგი დაწვის ადგილას მიიტანს. უკეთუ მათ მინდორში, ანდა ვინმეს სახლში მიიტანს, მაშინ ეს (გრძნეულობაა) და [მეფის საშართლის საქ]მეა.

§ 45. [უკეთუ] ვინმე ნივთებს იპოვნის და მათ თავის პატ[რონს დაუბრუნებს], (მაშინ) [მას] იგი დასაჩუქრებს. მაგრამ თუკი იგი მათ არ მიუტანს (პატრონს), იგი ქურდი ი[ქნება].

§ 46. [უკეთუ] ვინმე [დასახლება]ში ფლობს მინდვრებსა და სახანს როგორც ივარუს, თუკი [მას მინდვრები მთლიანად მიეცა], ლუცის შეასრულებს. თუკი მას [ცოტა] მინდვრები [მიეცა, ლუცის] არ შეასრულებს. მამამისის სახლიდან შე[ასრულებენ. უკეთუ] ივარუს პატრონის მინდვრებს ქულე(?) გამოჰყობს [ანდა მეთემენი] მისცემენ (მას) მინდვრებს, მაშინ იგი ლუცის შეასრულებს.

§ 47 A. უკეთუ ვინმე ფლობს [მინდვრებს] (ვითარცა მეფის საჩუქარს, ლუცის არ [შეასრულებს. მეფე მაგიდიდ]ან პურს იღებს და იგი მას აძლევს.

§ 47. B... უკეთუ [„იარაღის] კაცის“ [მინდვრებს] მთლიანად ვინმე იყიდის, ლუცის შეასრულებს. უკეთუ იგი [მინდვრების მეტ ნაწილს იყიდის], ლუცის [არ] შეასრულებს. მაგრამ თუკი მას მინდვრებს ქულე(?) [გამოუყოფს], ანდა [მას მე]თემენი მისცემენ. იგი ლუცის [შეასრულებს].

§ 48. ხიფარა (?) ასრულებს ლუცის და ხიფარასთან ვაჭრობას არავინ არ მართავს. მის ძეს, მის მინდორს, მის ვენახს არავინ არ ღუიდის. ვინც ხიფარასთან ვაჭრობას გამართავს, იგი ნავაჭრალს [დაკ]არგავს. ხიფარამ რაც გაყიდა, იგი მას უკან მიიღებს.

§ 49. [უკეთუ ხ]იფარა იქურდებს, (ნაქურდალის) ანაზღაურება არ (მოხდება). თუკი თ უ ი ქ ქ ა ნ თ (?) (არსებობს), სწორედ მან აანაზღაუროს იგი ... ნაქურდალს აძლევდნენ. როდესაც ყველანი სტყუოდნენ, ისინი ქურდები ხდებოდნენ ... მეფის (სამართალში) მისცეს.

§ 50. (რაც შეეხება) უ ქ ქ ე-კაცს(?), რომელიც ქ. ნერიქში გამგებლობს (?), რომელიც ქ. ა[რინაში], რომელიც ქ. ციფლანთაში (გამგებლობს), (რაც შეეხება) ქურუმს ყველა ქალაქში: მათი სახლები თავისუფალია, ხოლო მათი მოწილენი ლუცის ასრულებენ. როდესაც ქ. არინაში მე-11 თვე დადგება, იმის [სახლი], ვის ჭიშკარზე ე ი ა- გამოჩნდება, თა[ვისუფალია].

§ 51. წინათ ვინც ქ. არინაში მქსოველი ხდებოდა, მისი სახლი თავისუფალი იყო, მისი მოწილენი და მისი ადამიანებიც თავისუფალი იყვნენ. ახლა კი [მხოლოდ მისი სახლია თავისუფალი, მოწილენი მისი] და ადამიანები მისი კი სახანსა და ლუცის [ასრულებენ]. ქ. ციფლანთაშიც ასევეა.

§ 52. „ქვის სახლის" მსახური, უფლისწულის მსახური (და) ს უ ფ ა თ ი ს (?) უფროსი, რომლებიც [„იარაღის კაცთა" (მინდვრებს) შორის] მინდვრებს ფლობენ, ლუცის ას[რულებენ].

§ 53. უკეთუ „იარაღის კაცი" და მისი მოწილე ერთად არიან, [როდესაც ისინი ერთმანეთს ბოროტებას მიაყენებენ], (მაშინ) მათ სახლს (=მეურნეობას) ერთმანეთში გაიყოფენ. უკეთუ მათ მინდვრებზე [10 „თავია", 7 „თავს"] „იარაღის კაცი" აიღებს, ხოლო 3 თავს — მისი მოწილე. [მინდვრების წვრილფეხა (და)] მსხვილფეხა საქონელსაც ასევე გაყოფენ. უკეთუ ვინმეს მეფის ბოძების ფირფიტა აქვს, [როდესაც ისინი ერთმანეთში] წინანდელ მინდვრებს გაიყოფენ, (ამის შემდეგ) ბოძების 2 ნაწილს [„იარაღის კაცი" აიღებს], ხოლო 1 ნაწილს — მისი მოწილე აიღებს.

§ 54. წინათ მ ა ნ დ ა-მეომრები, ს ა ლ ა-მეომრები, ქ. თამალქის მეომრები, [ქ. ხათრას მეომრები], ქ. ცალფას მეომრები, ქ. თასხინიას მეომრები, ქ. ხემუვას მეომრები, [მშვილდო]სანნი, [ხუროს ხელოსნები], მეჯინიბენი და მათი ქ ა რ უ ხ ა ლ ა (?)-კაცები ლუცის არ [ასრულებდნენ], სახანს არ იხდიდნენ.

§ 55. როდესაც ძენი ქ. ხათისა, „ვალდებულების კაცნი", მოვიდნენ, მეფის მამას თაყვანი სცეს და უთხრეს: „გადასახადს არავინ გვიხდის და ჩვენ არ გვცნობენ. „თქვენ ხართო ვალდებულების კაცნი!"..

მაშინ მეფის მამა თ უ ლ ი ა ზ ე გამოვიდა და ბრძანა (ტექსტში: ბეჭედი დაუსვა): „წადით! როგორიც თქვენი მოძმენი არიან, თქვენც ისეთი-ვენი იყავით!“

§ 56. ყინვის (მტვრევისაგან), სამეფო გზის გამაგრებაზე წასვლისაგან (ან) ვენახში მოსავლის აღებისაგან [მესპილენძეთგან] არავინაა თავისუფალი. მებაღენიც ყველა იმავე (საქმეში) ლუცის [ასრულებენ].

§ 57. უკეთუ ვინმე სანაშენო ხარს მოიპარავს, თუკი ხარი ძუძუმწოვარაა, იგი არაა [სანაშენო] ხარი. თუკი ხარი ერთი წლისაა, იგი არ არის სანაშენო ხარი. თუკი ხარი ორი წლისაა, იგი სანაშენო ხარია. წინათ 30 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 15 ხარს გაიღებს (ხარის ქურდი)— 5 ორწლიანს, 5 ერთწლიან ხარს და 5 ძუძუმწოვარა ხარს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 58. უკეთუ ვინმე სანაშენო ცხენს (აჯილღას) მოიპარავს, თუკი ძუძუმწოვარაა, იგი არაა სანაშენო ცხენი. თუკი ერთი წლისაა, იგი არ არის სანაშენო ცხენი. [თუკი] ორი წლისაა, იგი სანაშენო ცხენია. წინათ 30 ცხენს აძლევდნენ, ახლა კი 15 ცხენს გაიღებს (ქურდი) — 5 ცხენს ორწლიანს, 5 ცხენს ერთწლიანს (და) 5 ცხენს ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 59. უკეთუ ვინმე სანაშენო ვერძს მოიპარავს, წინათ 30 ცხვარს აძლევდნენ. ახლა კი [15] ცხვარს გაიღებს (ქურდი) — 5 დედალ ცხვარს (ნერბს), 5 ვერძს (ერკემალს), 5 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 60. უკეთუ ვინმე სანაშენო ხარს იპოვის და მას (პატრონის) ნიშანს მოაცლის, პატრონი [მისი კი მას მიაგნებს], 7 ხარს გაიღებს — 2 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) 2 ძუძუმწოვარა ხარს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 61. უკეთუ ვინმე სანაშენო ცხენს იპოვის და მას (პატრონის) ნიშანს მოაცლის, პატრო[ნი კი მას] მიაგნებს, 7 ცხენს გაიღებს (ქურდი) — 2 ცხენს ორწლიანს, 3 ცხენს ერთწლიანს (და) 2 ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 62. უკეთუ ვინმე სანაშენო ვერძს იპოვის და მას ნიშანს მოაცლის, პატრონი კი მას მიაგნებს, 7 ცხვარს გაიღებს — 2 დედალ ცხვარს, 3 ვერძს (და) 2 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 63. უკეთუ ვინმე საგუთნე ხარს მოიპარავს, წინათ 15 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 10 ხარს გაიღებს — 3 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) 4 ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 64. უკეთუ ვინმე შესაბმელ ცხენს მოიპარავს, მისი ანაზღაურებაც ზუსტად იგივეა.

§ 65. უკეთუ ვინმე გაწვრთნილ (?) ვაცს, უკეთუ მოშინაურებულ გარეულ თხას, უკეთუ გაწვრთნილ ნეის ცხვარს მოიპარავს, ანაზღაურება ზუსტად იგივეა, როგორიც თხისა.

§ 66. უკეთუ საგუთნე ხარი, უკეთუ შესაბმელი ცხენი, უკეთუ ძროხა. უკეთუ ჭაკი ვირი (სხვის) ბაკში შეერევა, (ანდა) უკეთუ ვაცი გაწვრთნილი, უკეთუ დედალი ცხვარი, უკეთუ ვერძი (სხვის) ბაკში შეერევა. პატრონი [მისი კი იპო]ვის, იგი მას კანონიერად უკან წამოიყვანს. [როგორც ქურდს მას არ] აიყვანენ (შეიპყრობენ).

§ 67. უკეთუ ვინმე ძროხას მოიპარავს. წინათ 12 [მსხვილფეხა საქონელს] აძლევდნენ, ახლა კი 6 მსხ[ვილფეხა საქონელს] გაიღებს — 2 მსხვილფეხა საქონელს ორწლიანს, ორს ერთწლიანს (და) 2 მსხვილფეხა საქონელს ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 68. უკეთუ ვინმე ფაშატს მოიპარავს, მისი ანაზღაურებაც ზუსტად იგივეა.

§ 69. უკეთუ ვინმე დედალ ცხვარს ან ვერძს მოიპარავს, წინათ 12 ცხვარს აძლევდნენ. ახლა კი 6 ცხვარს გაიღებს — 2 დედალ ცხვარს, 2 ვერძს (და) 2 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 70. უკეთუ ვინმე ხარს, უკეთუ ცხენს. უკეთუ ჯორს. უკეთუ ვირს მოიპარავს, მისი პატრონი კი მას მიაგნებს, იგი მას კანონიერად უკან წამოიყვანს. გარდა ამისა, იგი (ქურდი) მას ორმაგს მისცემს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 71. უკეთუ ხარს, ცხენს, ჯორს ვინმე იპოვის, იგი მას მეფის ჭიშკართან მიდგნის. თუკი იგი ქვეყანაში (—დასახლებაში) იპოვის და მას უხუცესები გადასცემენ, მაშინ იგი მას შეაბამს კიდეც. როდესაც მას პატრონი მისი იპოვის, იგი მას კანონიერად უკან წაიყვანს. როგორც ქურდს მას არ აიყვანენ (შეიპყრობენ). (მაგრამ) თუკი იგი უხუცესებმა არ გადასცეს, იგი ქურდი იქნება.

§ 72. უკეთუ ხარი ვინმეს მინდორზე მოკვდება. მინდვრის პატრონი 2 ხარს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 73. უკეთუ ვინმე (სხვის) ცოცხალ ხარს ნაწილებად დაჭრის. ეს იგივეა, რაც ქურდობა.

§ 74. უკეთუ ვინმე ხარს რქას, ანდა ხარს ფეხს მოსტეხს. ამ (ხარს) იგი თვითონ წაიყვანს, ხოლო კარგ ხარს ხარის პატრონს მისცემს. უკეთუ ხარის პატრონი იტყვის: „მხოლოდ ჩემს ხარს წავიყვან". (მაშინ) იგი თაეის ხარს აიღებს და (მას) 2 სიკლ ვერცხლს მისცემს (დამნაშავე).

§ 75. უკეთუ ვინმე ხარს, ცხენს, ჯორს (ან) ვირს შეაბამს და იგი მოკვდება, ანდა მას მგელი შეჭამს, ანდა დაიკარგება, (მის მაგივრად)

იგი (ე. ი. ვინმე) კანონიერად (საქონელს) მისცემს (პატრონს). მაგრამ თუკი იტყვის: „ღმერთმა მოკლა", (მაშინ) იგი დაიფიცებს.

§ 76. უკეთუ ვინმე ხარს, ცხენს, ჯორს (ან) ვირს დააკავებს, ხოლო იგი მის მიწაზე მოკვდება, იგი მას (ე. ი. მკვდარ საქონელს) (შინ) მიიტანს და მის საფასურსაც მისცემს (დაზარალებულს).

§ 77 A. უკეთუ ვინმე მაკე ძროხას სცემს და ნაყოფს გამოუგდებს, იგი 2 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ ვინმე მაკე ცხენს სცემს და ნაყოფს გამოუგდებს, 2 სიკლ ვერცხლს [გაიღებს].

§ 77 B. უკეთუ ვინმე ხარს ანდა ცხენს თვალს ამოუგდებს, 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 78. [უკეთუ ვინმე ხარს] დაიქირავებს და მას სახრეს [ან მათრახს] ვადაჰკრავს, მისი პატრონი კი ამას (ნაცემს) იპოვის, იგი [1 საწყაო] ხორბალს გაიღებს.

§ 79. უკეთუ ხარები (სხვის) მინდვრებზე გავლენ, მინდვრის პატრონი კი (ამას) [ნახავს], იგი (მათ) 1 დღეს შეაბამს. როდესაც ვარსკვლავები ამოვა, იგი იმათ პატრონს უკან მიუდენის.

§ 80. [უკეთუ] ვინმე მგელს ცხვარს დააგდებინებს, ხორცს მისი პატრონი აიღებს. თვითონ კი ცხვრის ტყავს აიღებს.

§ 81. უკეთუ ვინმე ხორბალზე (გასუქებულ) ღორს მოიპარავს, წინათ 1 მინა ვერცხლს აძლევდნენ. ახლა კი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 82. უკეთუ ვინმე ეზოს (?) ღორს მოიპარავს, 6 სიკლ [ვერცხლს] გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 83. უკეთუ ვინმე მაკე ღორს მოიპარავს, 6 სიკლ ვერ[ცხლს გაიღებს] და გოჭებსაც დაითვლის: (ყოველ) 2 გოჭზე (1) საწყაო ხორბალს გაიღებს [და მის სახლს ჩააბა]რებს.

§ 84. უკეთუ ვინმე მაკე ღორს სცემს და იგი მოკვდება, [მისი ანაზღაურება] ზუსტად [იგივეა].

§ 85. უკეთუ ვინმე პატარა გოჭს (დედა-ღორს, ან ძუძუს) მოაცილებს და მოიპარავს, [... საწყაო ხორბალს] გაიღებს.

§ 86. უკეთუ ღორი კალოზე, ანდა მინდორზე (ან) ბაღში გა[ივლის და კა]ლოს. მინდვრის (ან) ბაღის პატრონი სცემს და იგი მოკვდება. იგი მას მის პატრონს უკან მიჰგვრის. თუკი მას არ მიჰგვრის, იგი ქურდი იქნება.

§ 87. უკეთუ ვინმე მწყემსი ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 88. უკეთუ ვინმე მონადირის ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 89. უკეთუ ვინმე ეზოს ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 1 სიკლ ვერცხლს გაიღებს

§ 90. უკეთუ ძაღლი ღორის ქონს შეჭამს, ქონის პა[ტრო]ნი კა-ამას (ნახავს) და მას მოკლავს, მას (შეუძლია) ქონი მუცლიდან ამოიღოს. ანაზღაურება არ არის.

§ 91. [უკეთუ] ვინმე ფუტკარს სკიდან მოიპარავს, წინათ [... სიკლ ვერცხლს აძ[ლევდნენ, ახლა კი 5 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 92. [უკეთუ 2 სკას ან] 3 სკას ვინმე მოიპარავს, წინათ (ქურდს) ფუტკრების დასაკბენად (აძლევდნენ). ახლა კი 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ ვინმე სკას მოიპ[არავს, თუ]კი შიგნით თაფლი არ არის, 3 სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 93. უკეთუ თავისუფალ კაცს შეიპყრობენ მანამ, სანამ (სხვის) სახლში ჯერ კიდევ არ შესულა (გასაქურდად), იგი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ მონას [მანამ] შეიპყრობენ, სანამ (სხვის) სახლში ჯერ კიდევ არ შესულა, [იგი 6 სიკლ ვერცხლს] გაიღებს.

§ 94. უკეთუ კაცი თავისუფალი სახლს გაქურდავს, იგი (ნაქურ-დალს) კანონიერად მთლიანად დააბრუნებს. [წინათ] ქურდობისათვის 1 მინა ვერცხლს [აძლევდნენ, ახლა კი 12] სიკლ ვერცხლს გაიღებს (ქურდი). თუ ბევრს მოიპარავს, იგი ბევრს [აანაზღაურებს]. თუკი ცოტას მოიპარავს, იგი ცოტას აანაზღა[ურებს და მის სახლს ჩააბა-რე]ბს.

§ 95. უკეთუ მონა სახლს გაქურდავს, იგი (ნაქურდალს) კანონიე-რად მთლიანად [დააბრუნებს]. ქურდობისათვის 6 სიკლ ვერ[ცხლს გაიღებს]. მონას მის ცხვირსა (და) ყურ[ებს მოაჭრიან და] მას მის ბატონს დაუბრუნებენ. თუკი ბევრს მოიპარავს, იგი [ბევრს] აანაზღაუ-რებს, თუკი ცოტას მოიპარავს, [იგი ცოტას აანაზღაურებს. თუკი ბა]ტონი მისი იტყვის: „მის მაგივრად მე ავანაზღაურებ", [მაშინ იგი აანაზღაურებს. თუკი უარს] იტყვის, მაშინ იგი მხოლოდ მონას [ჩა-აბარებს].

§ 96. [უკეთუ] კაცი ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 97. [უკეთუ] მონა ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარა]ვს, იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 6 სიკლ ვერცხლსაც გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 98. [უკეთუ] კაცი თავისუფალი (სხვის) სახლს დაწვავს, იგი სახლს კვლავ ააშენებს. რაც სახლის შიგნით განადგურდება, იქნება ეს ადამიანი, მსხეილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი, მთლიანად (?) არ აანაზღაურებს.

§ 99. უკეთუ მონა (სხვის) სახლს დაწვავს, ბატონი მისი აანაზღა-ურებს. მონას მის ცხვირსა და ყურებს მოაჭრიან და მას თავის ბა-

ტონს დაუბრუნებენ. მაგრამ თუკი იგი (ბატონი) არ აანაზღაურებს, (მაშინ) იგი მხოლოდ მას (ე. ი. მონას) ჩააბარებს.

§ 100. უკეთუ ვინმე (თივის) ფარდულს (?) დაწვავს, მან მისი (ე. ი. დაზარალებულის) საქონელი უნდა გამოკვებოს (ზამთარში). მან იგი (ე. ი. ზარალი) გაზაფხულზე უნდა აანაზღაუროს, ფარდული აღადგინოს (?. ტექსტშია „დააბრუნოს"). თუკი თივა შიგ არ იყო, მან ფარდული ააშენოს.

XII

ხეთური რელიგია

ზოგადად ხეთურ რელიგიაზე

მსოფლიოს გარდასულ რელიგიებს შორის ხეთური რელიგია — ძვ. წ. II ათასწლეულის მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ბინადართა რწმენა ზებუნებრივი ძალებისა — საკმაოდ ორიგინალური და თვითმყოფი იყო. მისი ფესვები ღრმად იჭრება მცირე აზიის წინარე ისტორიაში — ძვ. წ. VII—VI ათასწლეულებისკენ, როდესაც ჩათალ-ჰუიუქისა და ჰაჩილარის ცივილიზაციაში ჩნდებოდა პროტოტიპები ანატოლიის მომავალი დიდი ხალხის რელიგიური წარმოდგენებისა. ხეთური რელიგია წარმოადგენდა ყველა იმ ხალხთა და ტომთა რელიგიების ერთობას, რომლებთანაც ურთიერთობა უხდებოდათ ხეთებს მათი არსებობის მთელს მანძილზე. ამან განაპირობა ხეთურ პანთეონში არა მარტო მცირე აზიაში ოდესღაც გადმოსახლებული ინდოევროპელი ტომების (ნესიტების, ლუვიელების, ფალაელების) კუთვნილ ღვთაებათა, არამედ ანატოლიის ცენტრალური რაიონების აბორიგენული მოსახლეობის — ხათების ღვთაებათა არსებობა. უფრო მეტიც. ხეთური პანთეონის ძირითადი შემადგენელი ნაწილი სწორედ ხათური ღვთაებებისაგან შედგებოდა. ხურიტებთან მრავალსაუკუნოვან მჭიდრო ურთიერთობათა შედეგად ხეთურ პანთეონს შეემატა ხურიტული (ხურიული) წარმოშობის ღვთაებანი. ხოლო სემიტებთან ხანგრძლივმა კონტაქტებმა განაპირობეს სემიტურ (ასურულ-ბაბილონურ, ამორეულ) ღვთაებათა გაჩენა ხეთური პანთეონის წარმომადგენელთა შორის. მრავალრიცხოვან ხეთურ პანთეონს განეკუთვნებოდნენ არიული წარმოშობის ღვთაებანიც და ა. შ.

ამიტომაც მიაჩნდათ ხეთებს, რომ მათ „ათასი ღვთაება" ჰყავდათ. ხეთურ წყაროებში დამოწმებულ ღვთაებათა რაოდენობა კი, შესაძლოა, უფრო მეტიც იყო. ეს გასაგებიცაა: ხეთების ყოველ დასახლებას (ასეთები კი მართლაც ათასიც იქნებოდა და მეტიც!) თავისი საკუთარი ღვთაება ჰყავდა, თავისივე საკულტო ადგილით, ჰქონდა თავისი რიტუალები, მითოლოგია, დღესასწაულები. ხათის ქვეყნის

მასშტაბით კი ეს ქმნიდა მართლაც მრავალრიცხოვან და რთულ პანთეონს — ხეთი „თეოლოგების“ ყველა ღვთაების ერთობლიობას.

ხეთური რელიგია პოლითეისტური იყო (მონოთეიზმის არავითარი ნიშანი მას არ გააჩნდა). იგი აბამდა კავშირს ადამიანებსა და ბუნების ძალებს შორის. ადამიანს უსახავდა რწმენასა და შიშს ზებუნებრივი ძალებისა. ამდენად გასაგებია, რომ გაღმერთების ობიექტებად გვევლინებიან ცა, მზე, მთვარე (შესაძლოა, სხვა ციური მნათობიც). გაღმერთებული იყო დედამიწა (ქვესკნელისა და ზესკნელის ძალებით) და ბუნების მოვლენები: წვიმა, ჰექა-ქუხილი, ღრუბლები, საერთოდ, ამინდი — ტაროსი, რომლის ღვთაება ითვლებოდა „ღვთაებათა მეფედ“ არა მარტო ხეთებთან, არამედ მის მეზობელ ხალხებსა თუ ტომებში (ხათის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ქასქებშიც). ხეთები ქედს იხრიდნენ მთების, მდინარეების, წყაროებისა და ზღვის ღვთაებათა წინაშე.

ცალკეულ თემს, მცირე მასშტაბის დასახლებას, საკუთარი ღვთაება ჰყავდა. უფრო დიდი დასახლების თუ მხარის ტაძრებში რამდენიმე (ხანდახან მთელი ათეული, ან უფრო მეტი) ღვთაების გამოსახულება — კერპი იდგა, რაც ადასტურებს ღვთაებათა „თანაარსებობას“. ღვთაებათა კერპები ძირითადად ტაძრებში „ცხოვრობდნენ“, ანდა მათ ღია ცის ქვეშ სპეციალურად გამოყოფილ საკულტო ადგილებში ჰქონდათ მოსასვენებელი. მცირე ტაძრებში ხშირად ერთი ან ორი მსახური— ქურუმი იყო, რომელიც ღვთაებას ყოველდღიურ კულტმსახურებას უწევდა.

ხეთური რელიგია ითვალისწინებდა სხვადასხვა ხასიათის რიტუალებს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. ტექსტებში დაწერილებითაა აღწერილი მიცვალებულის (განსაკუთრებით. მეფის) დამარხვის რიტუალი, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა (დამარხვის ხეთურ წესს საერთო ჰქონდა ჰომეროსისეულ დამარხვის რიტუალთან). რიტუალები სრულდებოდა სასახლის ან ტაძრის აგების დროს, ომის დაწყების წინ, ამა თუ იმ სნეულების განკურნების მიზნით და ა. შ.

ადგილობრივ ღვთაებათა გარდა, ხეთებს ჰყავდათ აგრეთვე „სახელმწიფო ღვთაებანი“: უზენაესად ითვლებოდნენ მზის ქალღმერთი ქ. არინადან — „დედოფალი ხათის ქვეყნისა, ცისა და დედამიწისა, ქალბატონი ხათის მეფეთა და დედოფალთა“, და მისი მეუღლე, ტაროსის (და არა მზის!) ღვთაება ხათისა, რომელსაც ეწოდებოდა „მეფე ცისა, ბატონი ხათის ქვეყნისა“. მრავალ ადგილას თაყვანს სცემდნენ პანთეონის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას — თელიფინუს (ადარებენ სირიულ-ფინიკურ ადონისს. ეგვიპტურ ოსირისს, სემიტურ თამუზს). ხეთებს ყოვლისშემძლე ღვთაებად მიაჩნდათ ადამიანის მფარ-

ველი ღვთაება ინარა, ომიანობის დროს, ბუნებრივია, ადიდებდნენ ომის ღვთაებას და ა. შ.

რელიგიური რწმენისა და თაყვანისცემის ობიექტები — ღვთაებები ხეთებთან ძირითადად ანთროპომორფული იყვნენ (არსებობდნენ ზოომორფული ღვთაებანიც): ისინი იკვებებოდნენ, სვამდნენ, იცვამდნენ და ა. შ.

ტაძარი ხეთებთან:
მისი აგებულება, ფუნქცია, პერსონალი...

რელიგიური კულტის მომსახურებისთვის განკუთვნილი ძირითადი ადგილი, კულტის ცენტრი, როგორც წესი, ტაძარი იყო. კულტის მომსახურების მიზნით ხეთებთან გამოიყენებოდა აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი (მაგალითად, სტელა) ან სათანადოდ შერჩეული ბუნებრივი ადგილი, იქნებოდა ეს წყარო, ქვა, მთა თუ კლდე.

ტაძრის სიძლიერე-სისუსტეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ისევე როგორც ყველა სხვა ადრეკლასობრივ საზოგადოებაში, ხეთებთანაც ეკონომიკურად ძლიერი ტაძარი იყო არა მარტო მორწმუნეთა ფართო მასების ერთგვარი შემომკრებელი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ სიმდიდრის (დოვლათის) გარკვეული დამგროვებელიც. მართალია, ტაძრის ყოველნაირი საკუთრება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ღვთაების საკუთრება იყო, მისი მოხმარება არავის შეეძლო, გარდა თვით ღვთაებისა, მაგრამ იმავე „ღვთაების ნებასურვილით" ტაძრის მთელი სიმდიდრის გამოყენება შეეძლო ცენტრალურ ხელისუფლებას, იქნებოდა ეს მეფე — „მზე" თუ დედოფალი — თავანანა. ძლიერი ტაძარი — ეს იყო იგივე ძლიერი უმაღლესი ქურუმი, მეფე, სამეფო ხელისუფლება საერთოდ.

ტაძრის ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრებოდა მისი მეურნეობის სიმძლავრით, ამ მეურნეობის უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ხარისხით, მეურნეობის წარმოების ფორმებით, შეწირულებათა ხასიათით და ა. შ. ყოველი ახალი სატაძრო მეურნეობის შექმნის შემდეგ ტაძარი და მისი მეურნეობა იღებდა გარკვეულ დამოუკიდებლობას, სახელმწიფო ვალდებულებათაგან განთავისუფლების ჩათვლით, თუმცა ფაქტობრივად სატაძრო მეურნეობაც სახელმწიფო მეურნეობის ერთგვარ „ფილიალად" რჩებოდა.

კულტის განახლებისას უკვე არსებულ ტაძარსაც განაახლებდნენ, ზოგჯერ გააფართოებდნენ, ან დამხმარე სათავსოებს მიუშენებდნენ. მაგრამ თუკი რომელიმე ღვთაებას ტაძარი საერთოდ არ გააჩნდა დასახლებაში, მაშინ მას ახალ ტაძარს აუგებდნენ და შიგ ღვთაების გა-

მოსახულებასაც — კერპსაც მოათავსებდნენ. ძველი ტაძრის განახლებისას, ანდა ახლის აგებისას სრულდებოდა სპეციალური რიტუალი.

ხათუსაში (როგორც ზემო, ასევე ქვემო ქალაქში) გათხრილი ტაძრების ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშენებდნენ საფუძვლიანად, თანაც საკმაოდ დიდი ფართობის კომპლექსს. ხათუსას ქვემო ქალაქში აღმოჩენილი ჰექა-ქუხილის ღვთაების ტაძარი მოიცავდა 160 მ სიგრძისა და 135 მ სიგანის ფართობს. დაახლოებით ანგარიშობენ, რომ მთავარი ტაძრების მთელი კომპლექსი 200-დან 500 კვ. მ-მდე ფართობისა იყო.

ტაძრის ორიენტაცია ხეთებთან სულ სხვადასხვა იყო. ტაძრები მიმართული იყვნენ ძირითადად ჩრდილოეთისაკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ. ხათუსაში მდებარე ტაროსის ღვთაების ტაძრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (მისი ნაწილობრივ რეკონსტრუირებული სქემა კარგა ხანია ცნობილია). მონუმენტური ჭიშკრის კარის ზღურბლით შედიოდნენ ტაძრის მოპირკეთებულ, ე. წ. „გარე ეზოში", რომელსაც ირგვლივ ერტყა სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები. ტაძრის შესასვლელი იწყებოდა ხეთური ტაძრებისათვის დამახასიათებელი ე. წ. „ხილამმარით", ანუ „პორტიკით" — 3 ან 4 დიდი არამრგვალი სვეტისაგან წარმოქმნილი დახურული გალერეით, რომლის გავლის შემდეგ შედიოდნენ ტაძრის შიდა ეზოში, საიდანაც უნდა მოხვედრილიყვნენ ყველაზე წმინდა ადგილას — კულტის სამყოფელში. ხშირად ეს „ხილამმარი" მოწყობილი იყო კულპტურებით, უმეტესწილად ლომების გამოსახულებით, რაც ტაძარში მოთავსებული მთავარი ღვთაების სიძლიერისა და დიდების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო.

ტაძრის შიდა ეზოში იდგა პატარა შენობა, სადაც, როგორც ჩანს, ხდებოდა კულტის სამყოფელში შესვლამდე საჭირო „განბანვა, განწმენდა". ანდა მსხვერპლის შეწირვა. შიდა ეზოს გარს ერტყა უშუალოდ ტაძრის კომპლექსი — სხვადასხვა დანიშნულების მრავალი სათავსო (კულტის მომსახურე პერსონალისა და ტაძრის დოვლათის შესანახად განკუთვნილი) და, რაც მთავარია, ყველაზე წმინდა ადგილი, სადაც იმყოფებოდა ღვთაების გამოსახულება — ცელა.

ეს იყო ოთხკუთხედის ფორმის დიდი ოთახი, გრანიტის ქვისაგან ნაგები, სადაც თავსდებოდა კვარცხლბეკი, ე. ი. კულტის საყრდენი, კერა და ტახტი (მასზე იჯდა მეფე საკულტო ცერემონიალის დროს). საყრდენზე ღვთაების გამოსახულება — კერპი იდგა. ჩვეულებრივ ცელა ოთახის ერთ-ერთი კედლის წინ, ორი ფანჯრის შუა იდგა. ოთახს სხვა ფანჯარაც ჰქონდა, რაც საშუალებას იძლეოდა დღისით მუდამ სინათლეზე მდგარიყო ღვთაების გამოსახულება. ამ ფანჯრებიდან ღვთაების დანახვა შეეძლოთ ტაძრის შიდა ეზოდანაც, სადაც თავს

იყრიდა მლოცველთა დიდი რაოდენობა (უშუალოდ ცელაში შესვლა შეეძლოთ მეფეს, დედოფალსა და მათ თანმხლებ პირებს — გარკვეულ კულტის მსახურებს). შიდა ეზოში თავმოყრილი მორწმუნენი მხოლოდ შორიდან იღებდნენ მონაწილეობას საკულტო ცერემონიალში: ისმენდნენ გალობას, ლოცვის დროს წარმოთქმულ სხვადასხვა რეჩიტატივს (დეკლამაციური ხასიათის მელოდიას) ხეთურ, ლუვიურ, ხათურ ან ხურიტულ ენებზე.

ტაძრის მთლიან კომპლექსში შედიოდა გარე ეზოს ირგვლივ ნდებარე მრავალი სხვადასხვა ფართობის ოთახი (ხათუსას ზემოაღნიშნული ტაძრის ტერიტორიაზე გათხრილია 88 ოთახი), რომელთა დიდი ნაწილი სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. კულტის მომსახურებისათვის, კულტის მომსახურე პერსონალის შენახვისათვის, რელიგიური დღესასწაულების დროს ჩასატარებელ სხვადასხვა ცერემონიალისთვის საჭირო იყო დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი (მარცვლეული, ფქვილი, გამომცხვარი პური, ზეთი, ქონი, ლუდი ან ღვინო, ხორცეული და ა. შ.).

დიდ ტაძრებში კულტმსახურებას ეწეოდნენ „დიდი (ეფროსი) ქურუმები", იგივე „წმინდა ქურუმები", „მცირე (უმცროსი) ქურუმები". „ზეთის მცხებლები", „დედანი ღვთისა", „ტაძრის კაკნი". ეს უკანასკნელები ასრულებდნენ კულტმსახურების მთავარ ფუნქციას. მათ მოვალეობაში შედიოდა: საკულტო ცერემონიალში მონაწილეობის მიღება, რელიგიური დღესასწაულების დროულად ჩატარებისათვის თვალყურის დევნება, დღე-ღამის განმავლობაში ტაძრის შიგნით ღვთაებათა დაცვის (განსაკუთრებით. ღამით დარაჯობის) ორგანიზაცია, ტაძრის კერაში ცეცხლის დანთება და მისთვის თვალყურის დევნება (ცეცხლი არ უნდა ჩამქრალიყო) და ა. შ.

ქურუმთა მთავარი მოვალეობა იყო უშუალოდ კულტმსახურების — მსხვერპლის შეწირვის ცერემონიალის გარდა. ტაძრის დაცვაში მონაწილეობის მიღება, ტაძრის მეურნეობის ორგანიზაცია, ხვნათესვისათვის, მოსავლის აღება-განაწილებისათვის თვალყურის დევნება.

ტაძარს გააჩნდა თავისი მომსახურე პერსონალი. „მუსიკოსები", „მომღერლები" და „მოცეკვავენი" რელიგიური ცერემონიალის ჩატარების მუსიკალურ ნაწილში მონაწილეობდნენ. მომსახურე პერსონალის რიცხვს განეკუთვნებოდნენ აგრეთვე „ღვთაებათა მზარეულნი" — „მეღვინეთუხუცესი", „მესუფრე", „პურის მცხობელი", „მეღვინე", საკუთრივ „მზარეული" და სხვ.

ტაძრის მუშა პერსონალის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ უშუალო მწარმოებლები: ესენი იყვნენ ტაძარს გადაცემული „სახლე-

ბიანი“ დეპორტირებულები, უშუალოდ ტაძრის მიწებზე მსხდომი მეგუთნენი და სხვანი, ტაძრის საქონლის მომვლელი მწყემსები და ა. შ.

ტაძარზე იყვნენ მიმაგრებული ცალკეული დასახლებები მეთეომეებითურთ, რომლებიც „ღვთის სახანსა და ლუცის“ ასრულებდნენ.

ტაძრებში სრულდებოდა რელიგიურ დღესასწაულთა მთელი წყება: ყოველი დღის, თვის, წლისა და წლის სხვადასხვა დროისადმი მიძღვნილი დღესასწაულები, ცალკეულ ღვთაებათა დღესასწაულები, რომლებიც თითოეულ დასახლებაში (თემში), ქალაქში იმართებოდა. ისინი ეძღვნებოდა ბუნების მოვლენებს (ჰეკა-ქუხილს, წვიმას), ცალკეულ შემთხვევებს („ტაძრის მსახურთა ინსტრუქციაში“ ეს დღესასწაულები დაწვრილებითაა ჩამოთვლილი).

განსაკუთრებული გულმოდგინეობით ტარდებოდა სამეფო დღესასწაულები, რომელთაგან გამოირჩეოდა მრავალდღიანი სეზონური დღესასწაული ანთახშუმ: 38 დღის განმავლობაში, გაზაფხულზე, მეფე (დედოფალთან ერთად) ატარებდა სარიტუალო მოგზაურობას, რომელიც იწყებოდა ხათუსაში და მთავრდებოდა ქ. ანქუვაში, სადაც მეფე იწვევდა „დიდ კრებას“. რიტუალი მთავრდებოდა საგაზაფხულო წვიმის დღესასწაულით.

სეზონური სამეფო დღესასწაული იყო აგრეთვე ნუნთარიასხა. იგი იმართებოდა გვიან შემოდგომით, როდესაც მეფე ამთავრებდა სამხედრო ლაშქრობებს. როგორც ვარაუდობენ, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით (ადრე გაზაფხულზე) დღესასწაულობდნენ ვურულიას (იგი ხათური წარმოშობისა იყო), რომლის მთავარი მონაწილენი მეფე და დედოფალი იყვნენ. სამეფო წყვილი ხათუსაში მართავდა ქილამ დღესასწაულს. ხათუსაში უფლისწულის მონაწილეობით იმართებოდა დღესასწაული ხასუმა (ასევე ადრე გაზაფხულზე), რომლის დროსაც უფლისწული შემოივლიდა ტაძრებს და ღვთაებებს სწირავდა სასმელს, ანთახშუმ-მცენარეს და ა. შ.

ყოველი დღესასწაული თავის დროზე უნდა ჩატარებულიყო — აკრძალული იყო საგაზაფხულო დღესასწაულთა გადატანა შემოდგომისთვის (ანდა პირუკუ). მოსავლის აღებას, ქორწილს, მოგზაურობას, საერთოდ რაიმე საქმიანობას ხელი არ უნდა შეეშალა დღესასწაულთა ჩატარებისათვის. მთავარი პასუხისმგებელი დღესასწაულთა ორგანიზაციისა იყო „ტაძრის კაცი“, რომელსაც არავითარი შეცდომა არ უნდა დაეშვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, „თავის ცოლთან, ბავშვებთან და მონებთან ერთად“, ღვთისგან ისჯებოდა.

ტაძრებს გააჩნდათ მრავალნაირი შეწირულობანი, იქნებოდა ეს მიწის ნაკვეთები, დეპორტირებულები, საქონელი, მარცვლეული, სას-

მელი თუ კვების პროდუქტი, ცალკეული ნივთები (მათ შორის, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული). ტაძრები დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ.

ხათის „ათასი ღვთაება“:
ხეთურ კერათა ალფერილობანი

„... მაგრამ უკეთუ შენ ამ სიტყვებს დაიცავ, დაე, ამ ათასმა ღვთაებამ, რომელთაც მე, „მზემ“, ლაბარნა-მუვათალიმ, დიდმა მეფემ, მოვუხმე — ხათის ღვთაებებმა, ვილუსას ქვეყნის ღვთაებებმა, ტაროსის ღვთაება „ფიხასასიმ“ — „მზის“ მფარველმა ღვთაებამ..., შენი (ყოველგვარი) დოვლათითურთ დაგიფარონ შენ!“ — ასე აფრთხილებს ხეთების მეფე ვილუსას მეფე ალაქსანდუს მასთან დადებულ ვასალურ ხელშეკრულებაში, სადაც დაწერილებითაა ჩამოთვლილი ღვთაებანი, ოღონდ მათი რიცხვი იქ ათასამდე როდი აღწევს.

„...ჩემს უფალთ, დაე, ყოველივე კეთილად ჰქონდეთ! დაე, ათასმა ღვთაებამ თქვენ სიცოცხლე შეგინარჩუნოთ, ხოლო შენ მათ, დაე, ხელები კეთილად შემოგახვიონ და დაგიცვან. დაე, მათ სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სიმხნეევ, გრძელი წლები, ღვთაებრივი სიყვარული, ღვთაებათა სიმშვიდე და გულის სიხარული მოგივლინონ შენ! ღვთაებებს რასაც სთხოვ, დაე, (ყოველივე) აგისრულონ!“ — ვკითხულობთ შაშათში (ხეთურ თაფიგაში) აღმოჩენილი ლურსმული არქივის ერთ-ერთ ტექსტში, რომელსაც მეფე უგზავნის თავის მოხელეს.

ხათის „ათასი ღვთაება“ იხსენიება მრავალ ხეთურ ტექსტში. მაგრამ „ათასი ღვთაება“ არც იყო მარტო ხათის კუთვნილი ღვთაებანი. იგი ასახავდა ყველა იმ ღვთაებათა ერთობას, რომლებთანაც ურთიერთობა უხდებოდათ ხეთებს მათი არსებობის მთელს მანძილზე. ყველა მათგანის ჩამოთვლა და დახასიათება შეუძლებელიცაა.

ხეთური ხანის ანატოლიაში ძალზედ იყო გავრცელებული ტაროსის ღვთაების კულტი მისი სხვადასხვა სახეობით. სამხრეთით მდებარე ოლქებში ლუვიური პანთეონის ღვთაებები — სანთა, დათა, თარხუნი და სხვანი ბატონობდნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით — ხურიული პანთეონის წარმომადგენლები: ხეფათი, თესუფი, შაუშკა. ხეთების სამეფოს ცენტრში კი თაყვანს სცემდნენ ხათური და ინდოევროპული წარმოშობის ღვთაებებს. აქ მდებარეობდა ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრი ხეთებისა — „წმინდა ქალაქი“ არინა, რომლის მთავარი ღვთაება მზის ქალღმერთი იყო (იხ. ზემოთაც). ამავე მხარეში მდებარეობდა ასევე „წმინდა ქალაქები“ ციფლანთა და ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრი ნერიქი, სადაც აღმერთებდნენ ქა-

რიშხლის ღვთაებას. მრავალ ადგილას სცემდნენ თაყვანს თელიფინუს (იხ. ზემოთ) და ა. შ.

ბოღაზქოის ლურსმული არქივის მრავალრიცხოვან რელიგიურ ტექსტებში უხვად მოიპოვება ცნობები, საგულდაგულოდ რომ აღწერენ ხეთური პანთეონის ღვთაებებს, უფრო ზუსტად, მათ გამოსახულებებს — კერპებს, როგორც ძირითადს, ასევე მეორეხარისხოვანს. თავისი დანიშნულებითა და ხასიათით ეს მართლაცდა უნიკალური მითითებანი ხეთური არქივიდან ამოკრიფეს, საფუძვლიანად შეისწავლეს და გამოაქვეყნეს მეცნიერებმა.

მკვლევრებმა ზუსტად განსაზღვრეს რა ამ მითითებათა ხასიათი, სავსებით ლოგიკურად უწოდეს მათ „ხეთურ კერპთა აღწერილობანი". მართლაც, ისინი მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავენ სხვადასხვა ხეთურ ღვთაებას, გადმოსცემენ მათ სახეებს, ასახელებენ კერპთა ვინაობას, განსაზღვრავენ მათ ატრიბუტებს. მსგავსი შინაარსის „აღწერილობანი" იშვიათად თუ მოიპოვება მთელს ძველაღმოსავლურ ისტორიულ-რელიგიურ ტექსტებში.

ხეთურ კერპთა „აღწერილობანი", რომელთა დიდი ნაწილი შეშორჩენილია ძვ. წ. XIV—XIII სს-ით დათარიღებულ ტექსტებში, ძირითადად ჩართულია რელიგიური ხასიათის ისეთ წყაროებში, როგორიცაა ე. წ. „საინვენტარო" და „სადღესასწაულო" ტექსტები. „საინვენტარო ტექსტებს" ადგენდნენ იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ ტაძრების კუთვნილი ინვენტარის (მათ შორის, ძვირფასი მასალისაგან დამზადებული კერპების) დაცვის მდგომარეობა, განეხორციელებინათ სათანადო კონტროლი კულტის მსახურებისთვის, საჭიროების შემთხვევაში აღედგინათ დანგრეული ტაძრები და ძველი კერპები, აეგოთ ახალი ტაძრები და კერპთსალოცავები, გაეძლიერებინათ კულტის მომსახურება. ამ „აღწერილობათა" ერთი ნაწილი, შესაძლოა, შედგა თუთხალია IV დროს განხორციელებული ე. წ. „საკულტო რეფორმის" შედეგად (როგორც ვარაუდობენ, „საინვენტარო ტექსტებით" უნდა ესარგებლათ პროვინციებში დაგზავნილ მეფის მოხელეებსაც).

რელიგიური „სადღესასწაულო ტექსტებიც" დიდი დაკვირვებითა და სიფრთხილით დგებოდა: მათში ზუსტად მიუთითებდნენ დღესასწაულთა ჩატარების დროს და, საერთოდ, მათი მოწყობის მიმდინარეობას, მხედველობაში იღებდნენ რა თითოეული ღვთაების ბუნებას. ყოველივე ეს მოითხოვდა კერპების ზუსტად და ლაკონიურად აღწერას, მათი ატრიბუტების სათანადოდ განსაზღვრას. რაც დიდი გულმოდგინებით უნდა შეესრულებინათ. ამდენად, როგორც „საინვენტარო", ასევე „სადღესასწაულო" ტექსტები მეტად სანდოა და ისინი არსებული სინამდვილის ამსახველი არიან. „აღწერილობანი" იმდენად ზუსტი გამოდგა, რომ მკვლევრებმა მათ მიხედვით ამოიცნეს ხეთური

ხანის ანატოლიის კლდეებზე ნაკვეთი რელიეფური გამოსახულებანი ღვთაებებისა (განსაკუთრებით, იაზილიქაიას სკულპტურული გალერეისა).

ქვემოთ განხილული „აღწერილობანი" არ ეხება დედაქალაქის ტაძრებში მოთავსებულ ღვთაებებს (როგორც ზემოთ აღინიშნა, ხათუსაში 5 დიდი ტაძარი იყო), არც ხეთების სამი დიდი „წმინდა ქალაქის" — არინას, ნერიქისა და ციფლანთას ტაძართა კერპებს, რომელთა მომსახურება სახელმწიფო დონეზე სრულდებოდა. ქვემომოყვანილი „აღწერილობანი" ეხება ქვეყნის პერიფერიულ დასახლებებში. განსაკუთრებით, ხათის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთში არსებული ტაძრებისა და სხვადასხვა სალოცავის ღვთაებებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ღვთაებათა აღწერილობისას ხეთი მწერლები იყენებდნენ გარკვეულ ფორმას, თუ შეიძლება ითქვას, მოდელს, რომლის მიხედვითაც წარმოადგენდნენ ამა თუ იმ კერპს. ჩვენთვის საინტერესო „ფორმის" შემადგენელი ელემენტების შემდეგნაირი თანმიმდევრობა შეინიშნება: კერპის სახელწოდება — გამოსახულების აღწერა — სქესი — მასალა — დაცულობა—ზომა—კერპის ინვენტარი. ყველა ამ კომპონენტის აღნიშვნა საჭირო იყო. თუ შეიძლება ითქვას, „ვრცელი ფორმის" შესადგენად, რომელიც მეტნაკლებად იკვეცებოდა, თუკი რომელიმე ამ ელემენტთაგანს ტექსტში არ მიუთითებდნენ.

ღვთაებათა აღწერილობის სტრუქტურის ვრცლად გასაცნობად ჯერ მივმართოთ თვით „აღწერილობებს", რომელთა თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ (რასაკვირველია, შერჩევით და მცირეოდენი შემოკლებებით).

ხეთურ კერპთა სახეები შემდეგნაირად გამოიყურება:

„ღვთაება იშთარი (— ხეთური სახელი უცნობია): [..., ქალღვთაება]. მჯდომარე. მხრებიდან [ფრთები გამოსდის]: მარჯვენა ხელში ოქროს თასი [უპყრია. მარცხენა ხელში] აქვს ოქროს „სიკეთე" (— რაღაც სიმბოლო). მის ქვემოთ საყრდენია, მოვერცხლილი. [რომლის ქვეშ] დევს ლომის გამოსახულება, მოვერცხლილი. ლომის ფრთების მარჯვნივ [და მარცხნივ] ქალღვთაება ნინათა (და) ქალღვთაება ქულითა დგანან, ისინი ვერცხლისაა, მათი თვალები მოოქრულია...".

„ღვთაება იშთარი „ძახილისა": ოქროს ქანდაკება. მდგომარე მამაკაცი*. მხრებიდან ფრთები გამოსდის. მარჯვენა ხელში ოქროს ცული უპყრია, მარცხენა ხელში კი ოქროს „სიკეთე" აქვს: დგას კუდიან

* მცირეაზიური იშთარი (ხურიტული შაუშკა) ორბუნებოვანი ღვთაება იყო, მდედრისა და მამრის თვისებებით.

ლომზე, მოვერცხლილზე, რომლის მკერდი მოოქრულია. ფრთებიდან მარჯვნივ და მარცხნივ ქალღვთაება ნინათა და ქალღვთაება ქულითა დგანან".

„ტაროსის ღვთაება ცისა: ქანდაკება მამაკაცისა, მოოქრული, მდგომარე, მარჯვენა ხელში გურზი (— საბრძოლო იარაღი) უჭირავს, მარცხენა ხელში — ოქროს „სიკეთე"; დგას მამაკაცის გამოსახულებიან, მოვერცხლილ, ორ მთაზე; მის ქვემოთ საყრდენია ვერცხლისა, აქვს 2 „ბიბრუ"-ჭურჭელი ვერცხლისა. ორ დღესასწაულს შემოდგომასა და გაზაფხულზე უხდის მეფის სახლი (=სასახლე)".

„ღვთაება ზაბაბა (— ომის ღვთაება. ხეთური სახელი უცნობია): ქანდაკება ვერცხლისა, [მდგომარე] მამაკაცი. მარჯვენა ხელში უჭირავს გურზი, მარცხენა [ხელში] — ფარი. მის ქვეშ [დგას] ლომი. ლომის ქვემოთ საყრდენია, მოვერცხლილი. 2 დღესასწაულს შემოდგომასა და გაზაფხულზე... ამზადებენ ქამამას მცხოვრებნი. აქვს ვერცხლის ხელადა. მსახურნი არ ჰყავს".

„მფარველი ღვთაება (— ხეთურად ინარა): ქანდაკება მამაკაცისა, მდგომარე. მისი თვალები მოოქრულია. მარჯვენა ხელში უპყრია ვერცხლის შუბი. მარცხენა ხელში ფარი უჭირავს. დგას ირემზე. მის ქვემოთ საყრდენია, მოვერცხლილი. ორ დღესასწაულს შემოდგომასა და გაზაფხულზე უხდის დალას დასახლება. მსახური არ ჰყავს".

„ისხასხურია-წყაროს (ქ. თარამექაში): ღვთაების გამოსახულებაა ხის ქანდაკება ქალისა, მოვერცხლილი, მჯდომარე, ერთი წყრთის სიმაღლისა. მარჯვენა ხელში ვერცხლის თასი უკავია, აქვს ვერცხლის სამაჯური. 20 ოქროს თვლით („ნაუოფით"). 6 (თვალი) ვერცხლისა კი აქვს შუბლზე, სამი ვერცხლის ნახევარმთვარე აქვს მკერდზე..."

„დასახლება ქუნქუნია. „ყოვლისმძლე" ღვთაება ტაროსი: ღვთაების გამოსახულებაა „ბიბრუ"-ხარი ხისა, მოვერცხლილი..., 1 წყრთის სიმაღლისა. მის ქვემოთ საყრდენია, მოვერცხლილი. (აქვს) 1 რკინის ჭურჭელი შესაწირავისათვის, 2 ხელადა ვერცხლისა, 1 რგოლი ვერცხლისა — მასზე „ყოვლისმძლე" ტაროსის ღვთაების სახელია ამოკვეთილი — 1 პატარა თასი სასახლიდან (შეწირული), ერთი რქა — ორ ადგილას მოვერცხლილი. სამი საღვთო კვერთხი..."

„დასახლება ვიანაუვანთა. ეელ-მინდვრის მფარველი ღვთაება: მისი გამოსახულებაა ოქროს ქანდაკება მამაკაცისა, მდგომარე. მარჯვენა ხელში უპყრია ოქროს მშვილდი, მარცხენა [ხელში] უჭირავს ოქროს არწივი (და) ოქროს კურდღელი. აქვს ოქროს ხმალი, ოქროს თვლებით. დგას ირემზე..."

„დასახლება ლაფანა. ღვთაება იაია: ღვთაების გამოსახულებაა ხის ქანდაკება ქალისა, მჯდომარე, 1 [წყრთის] სიმაღლისა. თავი მოოქრული აქვს, სხეულის ნაწილები დაფარულია ტყვიით. ქალღვთაების ქვე-

მოთ, მარჯვნივ და მარცხნივ, დგას ტყვიით დაფარული ორი ხის არ-ხარი. 1 არწივი, ტყვიით დაფარული, 2 კვერთხი, 2 ბრინჯაოს ხელადა. ღვთაების კუთვნილებაა. (ღვთაებას) ახალი ტაძარი აქვს. მამაკაცი ქუ-რუმი ადრეც ჰყავდა...“

„ქ. ლიხცინას ტაროსის ღვთაება თელიურაში: ღვთაების გამო-სახულებაა ხის ხარი..., მოვერცხლილი. თავი და მკერდი მოოქრული. აქვს, 1 წყრთის სიმაღლისა. მის ქვემოთ საყრდენია. აქვს 1 ვერცხლის. თასი..., 10 მცირე მზის დისკო ბრინჯაოსი... ახალი ტაძარი ავუგეთ. ქურუმი ადრიდანვე ჰყავს. (ახლა) დავუდგინეთ ზეთის მცხებელი (ქუ-რუმი) და „შუბის კაცი“ (ტექსტში შემდეგ აღწერილია ქ. თელიურას. სხვა დასახლებათა ქალღვთაებანი).

„დასახლება ცანცისნა. მთა ისქი[...]: ღვთაების გამოსახულებაა. ქანდაკება მოვერცხლილი ხის მამაკაცისა, მდგომარე, აცვია [სამოსი], 1 წყრთის სიმაღლისაა... მისი თვალები და წარბები „ბაბილონის ქვის-განაა“; მარჯვენა ხელში ბრინჯაოს გურზი უჭირავს, მარცხენა ხელში. უკავია ვერცხლის ფარი, სპილოს ძვლის არწივისა და სპილოს ძვლის. ლომის გამოსახულებით ... 1 სასმისი, 2 არხარის რქა და 10 „თალლა“ ღვთაების კუთვნილებაა. აუგეს ახალი ტაძარი, დაუნიშნეს [ქურუმი“].

ბევრ შემთხვევაში ღვთაებათა აღწერილობა კიდევ უფრო ლაკო-ნიურია, გადმოცემულია რა აღწერილობის სტრუქტურის მხოლოდ. ზოგიერთი ძირითადი კომპონენტი. მოვიყვანთ რამდენიმე ასეთ მაგა-ლითსაც.

„ღვთაება თითიუთი: რკინის ქანდაკება ქალისა, მჯდომარე. თვა-ლები ვერცხლით აქვს დაფარული...“

„ღვთაება ხანაგა: ვერცხლის ქანდაკება მამაკაცისა, მდგომარე. ცალი თვალი, ვერცხლით დაფარული, დაიკარგა...“

„[ქალღვთაება...: ქანდა]კება სპილენძისა, დაფარულია ოქროთი... [აქვს] წყვილი საყურე, ოქროსი და (ძვირფასი) ქვისა...“

„ღვთაება ცახაფუნა: ქანდაკება ქალისა, მდგომარე, დამზადებუ-ლია [...]საგან. მარჯვენა ხელში უჭირავს ყურძნის მტევანი, ოქროსი...“

„[ღვთაება...]: ქანდაკება ვერცხლის მამაკაცისა, მდგომარე. [...] (აქვს) 3 წყრთა სიმაღლე...“

„მთა ცივანა. ღვთაების (გამოსახულებაა) ქანდაკება მამაკაცისა, რკინისა, ერთნახევარი მტკაველი სიმაღლისა“ და ა. შ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ხეთურ კერპთა „აღწერილობის“ სტრუქტურა

გავეცანით რა „აღწერილობათა“ ნიმუშებს, შევუდგეთ ღვთაე-ბათა აღწერილობის დეტალურად განხილვას მისი ცალკეული კომპო-

ნენტის მიხედვით. ზემოგანხილული მასალის გარდა, მოვიშველიებთ ისეთებსაც, რომელთა შესახებ აქამდე არაფერი გვქონდა ნათქვამი.

„აღწერილობების" დასაწყისშივე ხშირად დასახელებულია კერპის ადგილსამყოფელი: დიდი ან პატარა დასახლებული პუნქტი, აგრეთვე მთა, მდინარე, წყარო (ზოგჯერ დასახელება პუნქტისა არ არის მოცემული, ან დაზიანებულია). აქვე შევნიშნავთ, რომ მთა ხეთებისათვის, ისევე როგორც ხურიტებისათვის, იყო არამარტო ღვთაების სამყოფელი, არამედ მთა განასახიერებდა თვით ღვთაებასაც, გამოისახებოდა ზოგჯერ ადამიანის სახით. ხეთურ ტექსტებში გვხვდება არაერთი მაგალითი, როდესაც მთა და მასზე „მობინადრე" ღვთაება ერთსა და იმავე სახელს ატარებდნენ.

თვით კერპის გამოსახულება შედარებით მცირე ზომის ქანდაკება იყო (ლითონი მტკაველით, ან წყრთით იზომებოდნენ და არ აღემატებოდნენ 3 ასეთ საზომ ერთეულს), კერპი იდგა ტაძარში, ანდა ღია ცის ქვეშ მდებარე სპეციალურ საკულტო ადგილას. როგორც წყაროებში შეინიშნება, ხეთების „ახალი სამეფოს" ხანაში ცდილობდნენ ასეთი კერპები უკვე „სახლებში" — ტაძრებში მოეთავსებინათ, რისთვისაც სრულიად ახალი „ღვთის სახლი" — ტაძარი იგებოდა.

„აღწერილობათა" დასაწყისშივე მოცემულია კერპის სახელწოდებაც, რომელიც სათანადოდ შეესაბამება მის ატრიბუტს. წარმოდგენილია ამინდის (ტაროსის), ომის, ადამიანის მფარველის, მზის, მინდვრის, მდინარის, მთის და ა. შ. ღვთაებანი. ბევრი კერპის შესახებ სახელწოდებების მეტი არაფერი ვიცით. თვალშია საცემი ტაროსის ღვთაების ნაირსახეობა: დასახლებათა უმეტესობას გააჩნდა თავისი ტაროსის ღვთაება, რაც გასაგებია — ანატოლიის კლიმატური და რელიეფური თავისებურებანი განაპირობებდნენ ბუნების ძალებისადმი უსაზღვრო თაყვანისცემას. ასევე ბუნებრივია სხვადასხვანაირი ომის ღვთაების (იგი გამოიხატებოდა მეომრის სახით), ანდა მფარველი ღვთაების არსებობა.

„აღწერილობებში" ამის შემდეგ აღნიშნულია მასალა, რომლისგანაც კერპებს ამზადებდნენ. ასეთად გამოიყენებოდა ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, სპილენძი, ხე, თიხა, ძვირფასი ქვებიდან — ლილაქვა. ლითონი (აღნიშნულთან ერთად ტყვიაც) და ძვირფასი ქვები (ლილაქვის გარდა, ე. წ. „ბაბილონის ქვა" და სხვანი, რომელთა მნიშვნელობა დაუდგენელია) გამოყენებული იყო აგრეთვე ღვთაების ტანის სხვადასხვა ნაწილის ინკრუსტირებისთვის, განსაკუთრებით, თვალების, თავისა და მკერდისათვის.

ჩვენთვის საინტერესო ტექსტების მიხედვით, ხეთურ კერპთა უმეტესობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ანთროპომორფულია. წარმოდ-

გენილია ორივე სქესის ღვთაებანი. ამასთანავე, ქალღვთაებანი, როგორც წესი, სხედან, მამაკაცი ღვთაებები კი დგანან (ძალზედ მცირე გამონაკლისის გარდა, როდესაც პირიქითაა: ქალღვთაება დგას, ხოლო მამაკაცი კერპი — ზის. აქა-იქ ეხვდებით ღვთაებათა განსხვავებულ პოზასაც, როდესაც მაგალითად, ღვთაება მუხლმოდრეკილია). დასახელებულია ზოომორფული ღვთაებანიც ხარის, ცხენის, ლომის, შესაძლოა, ირმის გამოსახულებებით.

„აღწერილობებში" ძალზედ ხშირად დადგენილია ღვთაების ატრიბუტი, რაც გამოიხატებოდა ღვთაების ორივე ან ცალ ხელში სხვადასხვა საგნის დაკავებით. ეს არსებითი, დამახასიათებელი თვისება ღვთაების ბუნებას განსაზღვრავდა. ატრიბუტების აღნიშვნისას დაცულია „მარჯვენა-მარცხენას" დაპირისპირების პრინციპი. ღვთაების ბუნების განმსაზღვრელად ძირითადად გვევლინება მარჯვენა ხელში დაკავებული საგანი.

ქალღვთაებებს მარჯვენა ხელში, როგორც წესი, უჭირავთ სხვადასხვა ფორმის თასი, ყურძნის მტევანი და სხვა ნივთი, რომლებიც ხშირად ოქროსგანაა დამზადებული. მარცხენა ხელში კი მათ უპყრიათ „სიკეთის" სიმბოლო — ოქროს რაღაც საგანი, რომლის გამოსახულება დაუდგენელია.

მამაკაც ღვთაებებს მარჯვენა ხელში უჭირავთ ოქროს ცული, გურზი (მასალა ძირითადად მითითებული არ არის, მაგრამ გურზი ხის უნდა ყოფილიყო, რადგან ეს სიტყვა დაწერილია „ხის" დეტერმინატივით, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გურზი ბრინჯაოსი), გარდა ამისა, შუბი (ზოგჯერ ვერცხლისა), მშვილდი (ოქროსი) და ფარი (როგორც ჩანს, სხვა საგნებიც, რომელთა დასახელება ტექსტში დაზიანებულია). მარცხენა ხელით მამაკაც ღვთაებას უკავია „სიკეთის" სიმბოლო (ოქროსი). ფარი (ზოგჯერ ვერცხლისა, სხვადასხვა გამოსახულებით), შოლტი (თუ კომბალი), ოქროს არწივი, კურდღელი და ა. შ. მამაკაც ღვთაებებს აქვთ. აგრეთვე, ხმალი (ხანდახან ოქროს თვლებიანი), წერაქვი, მზის დისკო (ოქროსი ან ვერცხლისა) და სხვა საგანი.

ღვთაების ატრიბუტის აღნიშვნის შემდეგ ზოგჯერ მითითებულია ღვთაების ჩაცმულობა. „აღწერილობათა" თანახმად, ანთროპომორფულ ღვთაებებს ტანთ ეცვათ რაღაც სამოსი, ცხვირაწეული ფეხსაცმელი და გამაშის მსგავსი წინდები. ღვთაებათა ჩაცმა-დახურულობაზე მეტ წარმოდგენას იძლევა ღვთაებათა რელიეფური გამოსახულებანი მცირე აზიის სხვადასხვა ადგილიდან, განსაკუთრებით, იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი გალერეადან. ამჯერად კი ჩვენს ყურადღებას იქცევს ბოღაზქოის ე. წ. „მეფის ჭიშკართან" გამოსახული ერთი კარგად ცნობილი რელიეფი მდგომარე მამაკაცისა, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა ახლა განიხილავს როგორც ღვთაებას მეომრის გა-

მოსახულებით (ადრე მას „თეშუბსაც“ ეძახდნენ): მარჯვენა ხელში მას უპყრია საბრძოლო ცული, რომლის ყუა დაღარულია და თითქოს „ელვის“ თუ „მზის“ შთაბეჭდილებას ქმნის (ამ ცულს სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ როგორც „ცენტრალურ კავკასიურს“), მარცხენა ხელი შეკრული მუშტით მაღლა აქვს აღმართული (ეტყობა, ხელში რაღაც ეკავა, რომელიც შემდგომ წაიშალა რელიეფიდან, თუ არა და მუშტი უნდა გადმოსცემდეს თაყვანისცემის ჟესტს), წელზე ხმალი არტყია, თავზე ხურავს საკმაოდ მასიური ზემოთ აწვერილი ჩაფხუტი ლოყებისა და კისრის საფარველებით, ტანს აცვია, როგორც ვარაუდობენ, ჯაჭვის პერანგი და კარგად ცნობილი მცირეაზიული, გულგახსნილი, ორნამენტებიანი მოკლე ტუნიკა შემოჭრილი სარტყლით. ჩვენ წინაშეა აშკარად მეომარი ღვთაება!

„აღწერათა“ სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია ის ადგილი, სადაც საუბარია კერპების წმინდა ცხოველთა შესახებ (ასეთებად გვევლინებიან ლომი, ხარი, ირემი და ა. შ.) და, განსაკუთრებით, ღვთაებათა მომსახურე თუ მცველ კერპებზე. იშთარის მსახური ღვთაების როლში გამოდის ქალღვთაებათა წყვილი: ნ ი ნ ა თ ა და ქ უ ლ ი თ ა, რომლებიც ასევე ემსახურებიან მამაკაცის სახით წარმოდგენილ ე. წ. „ძახილის“ იშთარს. მსგავსი წყვილი მსახური თუ მცველი ღვთაებანი იყვნენ, აგრეთვე, ხეთური წყაროების სხვა მონაცემთა მიხედვით, ხურიტული წარმოშობის შ ე რ ი (ხურ. „დღე“) და ხ უ რ ი (ხურ. „ღამე“). ეს უკანასკნელნი იყვნენ ღვთაებრივი ცხოველები და, ამავე დროს, მცველი თუ მსახური ღვთაებანი ხურიტული ტაროსის ღვთაება თეშუბისა, რომელიც მოგვიანებით ხეთებმაც გაიღმერთეს თავისი წყვილი ღვთაებითურთ. მსახურის თუ მცველის როლში გამოდის აგრეთვე მთის ღვთაებათა წყვილი, მამაკაცი ღვთაებანი ხ ა ც ი (!) და ნ ა მ ნ ი, რომელთაც თავდაპირველად ჩრდილოეთ სირიაში მდებარე მთების სახელწოდებები ჰქონდათ. ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ხეთებმა და ხურიტებმა ისინი გააღმერთეს და თავიანთი ტაროსის ღვთაების მცველებად გამოაცხადეს. მათ ზოგჯერ ხეთები მოუხმობდნენ კიდეც მეზობელ ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებში „ხათის ათას ღვთაებასთან“ ერთად. იაზილიქაიას რელიეფურ გამოსახულებებში ტაროსის ღვთაებისა სწორედ ამ წყვილ მთა-ღვთაებასა დგას. ამგვარად, მთავარ ღვთაებასთან ერთად, აღნიშნული წყვილი ღვთაებანი ქმნიდნენ ღვთაებათა ე. წ. „ტრიადას“ (შდრ. იშთარი — ნინათა — ქულითა; თეშუბი — შერი — ხური; ტაროსის ღვთაება — ხაცი — ნამნი და სხვ.), რომელიც ფუნქციონალურად ერთ დიდ კულტს განასახიერებდა. ძირითად და წყვილ მცველ თუ მსახურ ღვთაებათა ასეთი „ტრიადები“,

როგორც ჩანს, დამახასიათებელი იყო მხოლოდ ხეთურ-ხურიტული სამყაროსთვის.

„აღწერილობებში“ საკმაოდ ხშირადაა მითითებული ღვთაების კუთვნილი ინვენტარი: სხვადასხვა ფორმისა და მასალის ე. წ. ბიბრ უ-ჭურჭელი, ხელადები, სასმისები (მათ შორის, თასები), მოვერცხლილი სასმელი რქები („ყანწები“), საღვთო კვერთხები, მზის დისკოები, საყურეები, სამაჯურები, რაღაც „რგოლები“ და სხვა მრავალი საგანი, რომლებიც ღვთაებას „ესაჭიროებოდა“ სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

ღვთაება იდგა საყრდენზე, რომელსაც ზოგჯერ სხვადასხვა წმინდა ცხოველის გამოსახულება ჰქონდა. ღვთაებებს უხდიდნენ დღესასწაულებს, მოსავლელად უნიშნავდნენ ქურუმებს და ა. შ.

უფრო დაწვრილებით „ხეთურ ღვთაებათა აღწერილობაზე“, მათ სტრუქტურაზე, რომელიც საკმაოდ გამოკვეთილადაა ასახული ტექსტებში, აღარ შევჩერდებით. მათთან დაკავშირებით მოვიყვანთ კიდევ ერთი ღვთაების აღწერილობას, ოღონდ უკვე არა ხეთურ წყაროებში დადასტურებულს. ეს გახლავთ მხოლოდ ძველ ქართულ საისტორიო ტექსტებში შემორჩენილი აღწერილობა არმაზის კერპისა, წლების მანძილზე რომ მრავალი მკვლევრის ძიების ობიექტია.

არმაზის კერპის აღწერილობა: აღწერილობის სტრუქტურა

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულება „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“, როგორც ცნობილია, არმაზის კერპს შემდეგნაირად აღწერს: „და იხილა წმინდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა. უკეთუ ვინმე შეეხებიან, თავი თავისი სიკუდილად განწირის...

და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“.

არმაზის კერპის გარეგნული სახის აღწერილობა დაცულია „წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც“. თვითონ ნინო ამბობს: „ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ: და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ: ოქროჲსა: და ჩაფხუტი ოქროჲსა: და სამხარნი ესხნეს: ფრცხილი და ბივრიტი და

ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული: რომელი ბრწყინვიდა და იქ-ცევოდა ხელსა შინა რეცა თუ: რომელი შეეხებიან თავი თავისი სი-კვდიდ განიწიროს... და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროჲსა, და სახე-ლი მისი გაცი: და მარცხლ მისა კერპი ვერცხლისაჲ: და სახელი მისი: გა: რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეთ მამათა თქუენთა არიან ქართ-ლით".

არმაზის კერპის აღწერილობასთან პირდაპირ კავშირშია ლეონტი მროველის აღნიშნული ნაწარმოების შემდეგი ცნობილი ადგილი: „რა-მეთუ აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომ-ფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშრომთა გამომზრ-დელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარუ-ლისა გამომეძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ..."

აქვე უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ლეონტი მროველის იმავე ნაწარმოებიდან: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სა-ხელსა ზედა თვისისა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსუ-ლად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლი-სასა, და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის".

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ სიძნელეს არ წარ-მოადგენს გამოვყოთ არმაზის კერპის აღწერილობის ძირითადი კომ-პონენტები: კერპის ანთროპომორფულობა და სქესი, მისი პოზა, მა-სალა, რომლითაც იგი დამზადდა, ღვთაების ატრიბუტები, ღვთაების ბუნება, მისი ჩაცმულობა, კერპის თანმხლები წყვილი ღვთაების არ-სებობა; ამასთან ერთად, ისმება საკითხი კერპისა და მისი ადგილ-სამყოფელის სახელწოდებათა იგივეობის შესახებ. როგორც ვხედავთ, არმაზის კერპის აღწერილობა მთავარ დეტალებში იმეორებს ხეთურ ღვთაებათა აღწერილობას (რასაკვირველია, ზოგიერთი გამონაკლი-სით).

მოკლედ განვიხილოთ თითოეული კომპონენტი ცალ-ცალკე.

ისევე როგორც მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) ღვთაებათა დი-დი ნაწილი, არმაზის კერპიც ანთროპომორფულია. კერპი წარმოდგენი-ლია მამაკაცის სახით. ღვთაების გამოსახულების ნიშანდობლივი თვი-სებები — ჩაცმა-დახურვა და იარაღის ტარება, ისევე როგორც მამ-რობითი სქესის წყვილი თანმხლები ღვთაებების (გაცისა და გას) ყო-ლა — მამაკაცურია.

ხეთურ კერპთა „აღწერილობების" მსგავსად, არმაზის „აღწერი-ლობაშიც" ეს მამაკაცი ღვთაება მდგომარე პოზაშია. ასეთსავე მდგო-მარეობაში არიან მისი თანმხლები (მცველი თუ მსახური) წყვილი ღვთაებანიც.

ხეთურ კერპთა „აღწერილობებში“ დადასტურებული მრავალი მითითების მსგავსად, ზემომოყვანილ ქართულ ტექსტებშიც ხაზგასმულია, რომ არმაზის კერპი დამზადებული იყო ლითონისგან, კერძოდ, სპილენძისაგან (როგორც ზემოთ დავინახეთ, ხეთური კერპებიც მზადდებოდა სპილენძისაგან). მითითებულია, რომ მას თვალები ძვირფასი ქვების — ზურმუხტისა და ბივრილის, იმავე ბივრიტის (ე. ი. ლურჯი და ცისფერი პატიოსანი თვლების) ჰქონდა (ვარიანტი: ვერცხლისა და ბივრიტისა). ხეთურ კერპთა „აღწერილობებშიც“ ხაზგასმით მიუთითებდნენ, ამა თუ იმ ლითონისგან დამზადებულ ღვთაებას რომ განსხვავებული ლითონის, ანდა ძვირფასი ქვის თვალები, ისევე როგორც სხეულის სხვადასხვა ნაწილი, გააჩნდა (ქანდაკებების დამზადების ასეთი წესი გავრცელებული იყო ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხშიც). სხვადასხვა ლითონისგან — ოქროსა და ვერცხლისგან (ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ვერცხლისაგან) იყო დამზადებული არმაზის თანმხლები ორი ღვთაების ქანდაკებებიც. ოქრო გამოყენებულია აგრეთვე მთავარი კერპის ჯაჭვის პერანგისა და ჩაფხუტისათვის. საგულისხმოა ფაქტი, რომლის მიხედვით ძირითადი ღვთაების (არმაზის) კერპი სპილენძისაგან, ხოლო მისი თანმხლები ღვთაებანი (გაცი, გა) ოქრო-ვერცხლისგან იყვნენ დამზადებული (მათი ზომები მითითებული არ არის). ზემოგანხილულ ქართულ წყაროებში ამის მიზეზი აუხსნელია (ანალოგიური ფაქტი არ დასტურდება ხეთურ-ხურიტულ სინამდვილეში).

ზემოგანხილული ქართული ტექსტების მონაცემთა მიხედვით, არმაზის კერპის მთავარ ატრიბუტად უნდა მივიჩნიოთ „ხრმალი ლესული“, რომელიც „ბრწყინავდა ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა“ (ე. ი. წყარო მას მაგიურ ძალასაც მიაწერდა). ხმალთანაა დაკავშირებული ღვთაების ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი და სამხარანი, ე. ი. „საბეჭური; ლევიტონი“. ყოველივე ეს გარკვეულად უნდა განსაზღვრავდეს ჩვენთვის საინტერესო ახლადშექმნილი კერპის ბუნებას— არმაზი აშკარად მეომარი ღვთაებაა.

არმაზის ღვთაების ბუნებისათვის გასათვალისწინებელია არმაზისა და ზადენის ღვთაებათა მიმართ შემდეგი ზემოაღნიშნული გამონათქვამი, რომლის მიხედვით ისინი იყვნენ „სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი“. ეჭვმიუტანელია, რომ აღნიშნულ თვისებათაგან გარკვეული ნაწილი არმაზის ღვთაებასაც ეხებოდა, სახელდობრ, „სოფლის მპყრობელნი“ (ე. ი. ხაზი ესმება არმაზის ღვთაების მეომარ ხასიათს), შესაძლოა, „წვიმის მომცემელნიც“, რაშიც ტაროსის ღვთაების ერთ-ერთი ნიშანი უნდა იგულისხმებოდეს.

ამგვარად, არმაზის კერპის „აღწერილობაში“ ეს კერპი წარმოდ-

გენილია როგორც მეომარი ღვთაება, რომელსაც, წყაროების სხვა მონაცემთა გათვალისწინებით, უნდა ჰქონოდა აგრეთვე ამინდის ღვთაების ფუნქციაც.

ამდენად, არმაზი უახლოვდება მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) ომისა და ტაროსის (თეშუბის) ღვთაებებს. მასში თითქოს თავმოყრილია ამ ორი ანატოლიური ღვთაების თვისებები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არმაზს ვერ განვიხილავთ როგორც მთავარის ღვთაებას (ტოპონიმი „არმაზიც" რომ ეტიმოლოგიურად „მთავარედ" გაიაზრებოდეს, იხ. ქვემოთ), რომლისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები მას აშკარად არ გააჩნია. მაგრამ იგი არც ირანული რელიგიური სამყაროდან აღებული კერპია. მართალია, ფარნავაზ I ახლადშექმნილ ქართლის სამეფოში მართვა-გამგეობის მოწყობას შედგომია ირანის სამეფოსთან მიმსგავსებით, მაგრამ მას „საკულტო რეფორმის" გატარებისას — არმაზის კერპის „შექმნისას" — აშკარად არ მიუმართავს ირანული რელიგიური სამყაროსთვის. ამას თვალნათლივ ამტკიცებს თვით ფანავაზის მიერ „შექმნილი" კერპი, მისი სახე და ბუნება, რომლის შესახებ წყაროებში არსად არ დასტურდება მითითება, რომ ფარნავაზმა ისიც თითქოსდა ირანული სამეფოს მიმსგავსებით შექმნა. სპარსულ სამყაროს კერპი უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ მისი სახელწოდებით. მაგრამ ესეც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დაარქვა რა უსახელო კერპს თავისი სახელი, „ფარნავაზის" მაგივრად მას „არმაზ" ეწოდა, რადგან „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა". სხვა მხრივ, არმაზის კერპს ირანულ რელიგიურ სამყაროსთან არაფერი აქვს საერთო.

არმაზის კერპის „აღწერილობიდან" გამომდინარე, ეს ღვთაება ჩაცმულ-დახურულია: ახურავს ჩაფხუტი (ვარიანტი: „ჩაბალახი მყარი"), აცვია ჯაჭვის პერანგი და ატარებს „სამხართ" — საბეჭურებს. როგორც დავინახეთ, ხეთურ კერპთა „აღწერილობანიც" ითვალისწინებდა ღვთაებათა ჩაცმას.

ხეთურ კერპთა „აღწერილობების" ანალოგიურად, არმაზის კერპის „აღწერილობაც" ადასტურებს ძირითადი კერპის (ე. ი. არმაზის) მცველი თუ მსახური ორი ღვთაების (გაცისა და გას) არსებობას, თანაც აქაც დაცულია პრინციპი „მარჯვნივ-მარცხნივ" მათი განლაგებისა. ამგვარად, ამ „აღწერილობაშიც" წარმოდგენილია ღვთაებათა „ტრიადა", რომელსაც შეიძლება ეწოდოს „არმაზული". „არმაზული ტრიადის" გამოჩენა ქართლში მეტად საგულისხმო ფაქტია ხეთურ-ხურიტულ „ტრიადებთან" ანალოგიისათვის.

წყვილ ღვთაებათაგან მარჯვნივ მდგომარე კერპი — გ ა ც ი უფრო დაფასებულია, იგი ოქროსგანაა დამზადებული, მარცხნივ მდგომარე გ ა (გაიმ) კი — ვერცხლისაგან (ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით,

ორივე კერპი ვერცხლისაა). როგორც ზემოთ აღინიშნა, ხეთური ტაროსის ღვთაებასაც ჰყავდა დაწყვილებული ღვთაებანი, რომელთაგან ერთს, შესაძლოა, ძირითადი ღვთაებისგან მარჯვნივ მდგომს, ერქვა ხ ა ც ი, რაც თითქოს მოგვაგონებს არმაზის ღვთაების მარჯვნივ მდგომარე მცველი (თუ მსახური) ღვთაება გ ა ც ი ს სახელწოდებას. ამ უკანასკნელის დაკავშირება მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) სამყაროსთან სხვა მონაცემებითაც ივარაუდება: ზუსტად ამ ფონეტიკური შემადგენლობის სიტყვა ხეთურ ლექსიკაშიც დასტურდება. ხეთურად (შესაძლოა, ხურიტულადაც) „გაცი" რაღაც ჭურჭელს აღნიშნავდა, „გაცისაგან" ნაწარმოებია ტოპონიმი „გაციურა" (მდებარეობდა ხათის ჩრდილო-აღმოსავლეთში), მამაკაცის სახელი „გაციმარია", ღვთაების სახელი „გაცითაიეთი" (= „ქაცითაიეთი"). შესაძლოა, იგივე სიტყვა იყოს დადასტურებული მდინარისა და დასახლების ისეთ სახელწოდებებში, როგორიცაა „გაცარუნაილი", „გაცანა" და სხვანი.

დღეისათვის ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა არმაზის დაწყვილებულ ღვთაებათაგან მარცხნივ მდგომ გ ა ს ეტიმოლოგიის შესახებ, რასაც მნიშვნელოვნად ართულებს სხვადასხვა წყაროში ამ სახელწოდების სხვადასხვა ფორმის არსებობა: გა — გაი — გაიმ — გაიამ — გაიამა — გიმ. მაგრამ გა(გაი) რომ უფრო მეტად ისევ მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) სამყაროსთანაა დასაკავშირებელი, ასეთი შეხედულება უფრო რეალურად უნდა გამოიყურებოდეს.

თვით სახელწოდება „არმაზისათვის" დღემდე შემოთავაზებულ ეტიმოლოგიათაგან ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, თითქოს მეტ დამაჯერებლობას უნდა იძენდეს ვარაუდი. რომლის მიხედვით სიტყვა „არმაზ" შეიძლება დაუკავშირდეს ხეთურ-ლუვიურ სიტყვას „არმა(ს)" — „მთვარე", რომლის საფუძველზე უნდა შექმნილიყო მთის აღმნიშვნელი ტოპონიმიც (როგორც ვარაუდობენ, ადრეულ ხანებში იგივე მთა „ქართლად" იწოდებოდა). მაგრამ არ არის გამორიცხული აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ სახელწოდება „არმაზი" მიმდინარეობს „აჰურამაზდა" სახელწოდებისგან. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა ამ სახელწოდებათა მხოლოდ ამგვარ ურთიერთობას.

ზემომოყვანილი ძველი ქართული ტექსტებიდან გამომდინარე, უურადსაღებია ფაქტი არმაზის მთისა და არმაზის ღვთაების სახელწოდებათა იგივეობის შესახებ. როგორც მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) სამყაროში ხდებოდა, აქაც კარგად ჩანს მთისა და ღვთაების ურთიერთობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ახლად შექმნილი „დიდი ღვთაების" სახელი დაერქვა მთას, რომელზედაც იგი „დააბინავეს".

ამით ვამთავრებთ ხეთურ კერპთა „აღწერილობებთან" არმაზის კერპის „აღწერილობის" შედარებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს

ორივე „აღწერილობა“ სტრუქტურულად თითქმის ერთნაირადაა აგებული. ზოგადად დაცულია რა აღწერილობის მცირეაზიული (ანატოლიური) მოდელი, არმაზის „აღწერილობა“ შეიცავს თითქმის ყველა ძირითად კომპონენტს, რომლებიც ახასიათებს ხეთურ ღვთაებათა „აღწერილობებს“.

ხეთურ-არმაზულ „აღწერილობათა“ მსგავსების სავარაუდო მიზეზები

რასაკვირველია, შორსა ვართ ვარაუდისაგან, რომ ზემომოხსენიებული ძველი ქართული ისტორიული ტექსტების შემდგენლებს ესარგებლათ ხეთურ კერპთა „აღწერილობებით“. როგორც ახლა ვიცით, მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ხეთებზე. რომლებიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდნენ (მათთვის კარგად იყო ცნობილი მხოლოდ ბიბლიაში მოხსენიებული „ხეთები“ — ბიბლიის ქართული თარგმანების „ქეტელნი“, „ძენი ქეტისნი“). მაგრამ ძველი ქართული ისტორიული წყაროების შემდგენლებს (დაახლოებით IX—X სს-ში) „არმაზის კერპის აღწერილობისას ხელთ უნდა ჰქონოდათ უფრო ადრეული ხანის რომელიღაც წყარო. რომელშიც დაცული იქნებოდა „არმაზული ტრიადის“ აღწერილობა და ეს უკანასკნელი მწიგნობრული გზით უნდა შესულიყო ზემოაღნიშნულ თხზულებებში (არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ არმაზის კერპის აღწერილობა შემორჩენილიყო ზეპირ ტრადიციაშიც. რომლის საფუძველზე მოგვიანებით მოხდებოდა მისი წერილობითი გაფორმება). თვით „აღწერილობა“ კი შედგენილი უნდა იყოს უშუალოდ არმაზის „კერპთა მსხვრევის“ წინ აღნიშნული „ტრიადის“ თვითმხილველის მიერ. არმაზის კერპის „აღწერილობის“ დამსგავსება ხეთურ „აღწერილობებთან“ შეეძლო გამოეწვია მხოლოდ იმას, რომ თვითმხილველმა თავიდან ბოლომდე ზუსტად აღწერა (IX ს-ში) მის წინაშე მდგომი ღვთაებათა სამეული, რომელიც ტიპურ მცირეაზიულ ღვთაებებს განასახიერებდა.

როგორც ძველი ქართული ისტორიული ტექსტებიდან ვერწმუნდებით. არმაზის კერპი მისი განადგურებიდან 600-ზე მეტი წლის წინ (დაახლოებით ძვ. წ. III ს-ის პირველ მეოთხედში) „შექმნა“ ახლად წარმოქმნილი ქართლის სახელმწიფოს პირველმა მეფემ — ფარნავაზმა. „საკულტო რეფორმის“ გატარების მიზნით, რაც გულისხმობდა ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნას, ფარნავაზმა დააარსა სრულიად ახალი კულტი — ღვთაებათა სამეული არმაზის უზენაესობით. ახალი სინკრეტული კულტი, რომელიც დაუპირისპირდა ადგილობ-

რივ სატომო ღვთაებებს, უნდა შექმნილიყო, როგორც ზემოთ დავინახეთ, ღვთაებათა აღწერილობის ძველ მცირეაზიულ მოდელთან მიმსგავსებით. ჩანს, ასეთი „მოდელი“ არსებობდა ანატოლიაში არამარტო ხეთურ-ხურიტულ ხანაში, არამედ მომდევნო პერიოდშიც (ძვ. წ. I ათასწლეულში), როდესაც ხეთურ-ხურიტული კულტურისა და რელიგიის ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი აღმოსავლეთ მცირე აზიაში. ამის დადასტურებაა მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლები (მათ შორის, კლდეში ნაკვეთი რელიეფური გამოსახულებანი ტაროსისა და ომის ღვთაებებისა) და წერილობითი წყაროების მონაცემები აღნიშნული რეგიონიდან (მათი განხილვა ამჟამად ძალიან შორს წაგვიყვანდა).

ახალი სახელმწიფო რელიგიის შექმნისას ძველი მცირეაზიული რელიგიური ტრადიციების გამოყენება სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. როგორც ჩანს, „საკულტო რეფორმის“ გამტარებლები, რომლებმაც წარმოადგინეს „ტრიადის“ ძირითადი და მასვე დაქვემდებარებული ღვთაებათა კერპები, კარგად იცნობდნენ ამ ტრადიციებს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ისტორიული ქართლის ტერიტორიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიას შორის უძველესი დროიდანვე უნდა არსებულიყო სათანადო კონტაქტები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია გამოთქმულია ვარაუდი ძველი ქართლის ზოგიერთი ტოპონიმ-ღვთაების (არმაზის, ზადენისა და სხვათა) კავშირის შესახებ მცირეაზიულ სამყაროსთან, დაშვებულია რა შესაძლებლობა ანატოლიიდან ინდოევროპელ ტომთა გარკვეული ნაკადის, ანდა უფრო სამხრეთიდან ქართველურ ტომთა გადმოსახლების შესახებ. ამ უკანასკნელ შესაძლებლობას მხარს უნდა უჭერდეს ძველი ქართული ისტორიული ტექსტების, როგორც ჩანს, სარწმუნო მონაცემები, კერძოდ, მითითება „არიან ქართლიდან“, ყოველ ეჭვს გარეშე, ისტორიული ქართლის უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიიდან, გაცი და გა ღვთაებათა გადმოტანის შესახებ. ქართველურ ტომთა უძველესი კერის არსებობა მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში, სადაც მდებარეობდნენ ძვ. წ. XII ს-ის ასურული წყაროების მუშქაიას (ბერძნ. „მოსხოის“, ქართ. მესხების), დაიაენის (ურარტული წყაროების „დიაუხის“, ე. ი. ტაოს) ქვეყნები, უძველესი ხანებიდანვე განაპირობებდა ქართველურ ტომთა კავშირს მცირეაზიულ სამყაროსთან. სწორედ აღნიშნულ ადგილებში ხორციელდებოდა კონტაქტები კულტურულ თუ რელიგიურ სფეროებში. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ მცირე აზიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან ერთად სამხრეთ ამიერკავკასია ქმნიდა ერთ დიდ რეგიონს, სადაც ვითარდებოდა სხვადასხვა სახის ურთიერთობანი ადრე ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული უფრო მოგვიანო ხანებამდე.

ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ, როდესაც უნდა მომხდარიყო მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის ტერიტორიიდან ქართველურ ტომთა (მუშქების) პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება უფრო ჩრდილოეთისაკენ (ხოლო ნაწილისა — სამხრეთისაკენ), ისტორიულ ქართლში გადმოსახლებულებს თან უნდა გადმოეტანათ თავიანთი ძველი, ანატოლიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, კულტურულ-რელიგიური ტრადიციებიც, რომლებიც ახალ ადგილებში სათანადოდ მოიკიდებდნენ ფეხს და იარსებებდნენ ძვ. წ. III ს-ის პირველ მეოთხედამდე, როდესაც ფარნავაზმა გაატარა ზემოაღნიშნული „საკულტო რეფორმა“.

XIII

ხეთური კულტურა

მატერიალური საფუძველი, საიდანაც აღმოცენდა და განვითარდა ხეთური კულტურა, საკმაოდ ორიგინალური და თვითმყოფი იყო. ამან განაპირობა ხეთური კულტურის ის თავისებურებანი, რომლებითაც იგი არსებითად განსხვავდებოდა ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა კულტურათაგან. თუ ხათური (პროტოხეთური) და ინდოევროპელი ტომების შერევა-შეჯვარედინების შედეგად ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ასევე ძირითადად ამ ორი ეთნიკური ჯგუფის კულტურულ მიღწევათა შერწყმამ საფუძველი ჩაუყარა ხეთურ კულტურას, რომელსაც თავიდანვე ახასიათებდა ადგილობრივი, ხათური ელემენტების სიჭარბე.

ხეთურ კულტურაზე გარკვეული გავლენა მოახდინეს ხურიტულმა და ლუვიურმა, ისევე როგორც ჩრდილოეთ სირიულმა და შუამდინარულმა, კულტურულმა სამყაროებმა. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ ხეთური კულტურა მოიცავს არა მარტო ადგილობრივი ტომების მიერ შექმნილ კულტურას, არამედ ხეთების სამეფოში შემავალი მრავალფეროვანი მოსახლეობისა და მეზობელი ხალხების კულტურულ ნამოღვაწარსაც. საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა რომელიმე ამ სამყაროს კულტურის „ხეთური ვარიანტი", არამედ სრულიად ორიგინალური ხეთური კულტურა მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

ხ ე თ უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ძეგლები დღესაც გვანცვიფრებენ თავიანთი ორიგინალობით, სისადავითა და ოსტატობის მაღალი დონით. სწორედ ხეთური ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, რომლებსაც გასულ საუკუნეში პოულობდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე, გახდა „მიზეზი" მივიწყებული ხეთური ცივილიზაციის აღმოჩენისა.

ცენტრალური მცირე აზიის წინახეთური ხანის ხელოვნების ძეგლები ყურადღებას იპყრობენ ფორმებისა და ტიპების თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. ესენია ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხოველთა პატარა ფიგურები, ოქროს დოქები და თასები, ე. წ. „შტანდარტები" ზოგჯერ ირმის გამოსახულებით. უნიკა-

ლურია ქვისგან დამზადებული პრიმიტიული კერპები ქიულ-თეფე-დან. ამ დროის კერამიკის ნიმუშები გამოირჩევა თავიანთი ფორმებითა და პროპორციებით და ლითონის ჭურჭლების პროტოტიპებს წარმოადგენენ. მაღალ დონეს მიაღწია ანატოლიურმა გლიპტიკამ, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად ცილინდრული საბეჭდავებით მესოპოტამიურ სტილში, ხშირად ანატოლიური მოტივებით.

ხეთური ხელოვნების ცალკეული ნიმუში, განსაკუთრებით, კლდეში ნაკვეთი რელიეფები, აჩვენებს ხეთი მოქანდაკეების მაღალ ოსტატობასა და ტექნიკას. ამის დამამტკიცებელია, მაგალითად, იაზილიქაიას რელიეფები, რომელთა ნაწილი დაკავშირებულია რელიგიურ კულტებთან და მთლიანადაა დამოკიდებული რიტუალურ ტრადიციებზე. ხათის სხვადასხვა ადგილებში ნაპოვნი რელიეფების ნაწილი საერო ხასიათისაა.

ბუნებრივი კლდის გამოშვერილ ზედაპირზე გამოკვეთილი გამოსახულებანი განუყოფელი ელემენტია მთელი არქიტექტურული ანსაბლისა. ასევე დაცულია ერთიანობა ცალკეულ ქანდაკებებსა და შენობის არქიტექტურას შორის. არის შემთხვევები, როდესაც გამოსახულებანი დამუშავებულია ერთი მხრიდან: „ლომთა ჭიშკრის“ ლომები ბოღაზქოიში შესანიშნავადაა დამუშავებული მხოლოდ ფასადის მხრიდან. იგივე ითქმის ალაჯა-ჰუიუქის მფარველ სფინქსებზე. მაგრამ ორივე ძეგლი მთლიანად დამუშავებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ზოგჯერ ფიგურის თავი გამოქანდაკებულია ნაწილობრივ, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი მთლიანია. რელიეფებში ზოგიერთი გამოსახულება თითქმის მთლიანად ბრტყელია და კონტურებით არიან გადმოცემული, ე. ი. ფიგურები გამოსახულია პირობითად, დაუმთავრებლად. არადა იქმნება შთაბეჭდილება დამთავრებული ფიგურისა. ზოგიერთი რელიეფი გაცილებით ღრმა და პლასტიკურია, ყურადღება გადატანილია მუსკულატურაზე, ჩაცმის დეტალებზე, რაც ადგილობრივი ტრადიცია უნდა იყოს.

ხეთური ხელოვნება ნატურალისტურია. ადამიანთა, ცხოველთა და ცალკეულ საგანთა გამოსახვისას მხატვარი გადმოცემდა ყველაზე უფრო მისაწვდომსა და გასაგებს ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციისათვის. მამაკაცის ტრადიციულ ფიგურას თავი ყოველთვის ჰქონდა პროფილში, მხრები და მკერდი — ანფასში, ფეხები — კვლავ პროფილში: ეს იყო დამახასიათებელი ელემენტი „ეაქკაცურობისა, სიმამაცისა“.

ფიგურათა პირობითი და მარჯვე განლაგება მთელ გამოსახულებას აძლევდა მხატვრულ ღირსებას: ფიგურა მიმართულია წინ, რაც მოძრაობისა და ძალის შთაბეჭდილებას ქმნის. ფიგურები არასდროს არ კვეთენ ერთმანეთს. ხეთურ რელიეფებში ცდაც არაა იმისა, რომ გადმოიცეს სამგანზომილებიანი გამოსახულება.

საერო ცხოვრების გამომსახველი რელიეფებიდან აღსანიშნავია ალაჯა-ჰუიუქში შემორჩენილი რელიეფები მუსიკოსებისა, „აკრობატებისა“, ნადირობის სცენებისა და სხვა.

საინტერესოა მცირე ფორმიანი ნაწარმოებებიც: მოხდენილი მოყვანილობა აქვთ ცხოველებისა თუ ფრინველების ფორმიან კერამიკულ ჭურჭლებს. ღვთაებათა ფიგურები პირობითია და იმეორებენ კლდეზე გამოხატულ რელიეფთა გამოსახულებებს. თავისებურია ლითონისგან დამზადებული ადამიანების მინიატურული ფიგურები. თავიანთი ფორმებითა და სახეებით ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს სხვადასხვა ჭურჭელი. დახვეწილია ხეთური გლიპტიკა. „ახალი სამეფოს“ ხანაში ნაკლებად იხმარებოდა ცილინდრული საბეჭდავები, სამაგიეროდ მომრავლდა ტიპური ხეთური საბეჭდავები, რომელთაც ზემოდან კონუსის ფორმა აქვთ, ხოლო ძირი — მრგვალი.

ხეთური არქიტექტურის ნიმუშები ასევე ადგილობრივ ტრადიციას მისდევენ, თუმცა მაინც შეიმჩნევა მეზობელი კულტურული რეგიონების ერთგვარი გავლენაც. ხეთური სასახლეები და ტაძრები, რომელთაგან ძირითადად ნანგრევები შემორჩა, მართალია, თავიანთი გრანდიოზულობითა და სიმდიდრით არ უნდა ჰგვანებოდნენ ცნობილ სამეფო რეზიდენციებსა და ტაძრებს კრეტადან, ეგვიპტიდან, მარიდან, შუამდინარეთიდან, მაგრამ როგორც მათმა რეკონსტრუქციებმა აჩვენა, ისინი იმდროინდელი არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები უნდა ყოფილიყვნენ. ყურადღებას იქცევდნენ რა თავიანთი მონუმენტურობითა და სისადავით.

სანიმუშოდ მარტო ხათუსას არქიტექტურული კომპლექსიც კმარა. ბუიუქ-კალეს დიდ კლდოვან ბორცვზე განლაგებული ციხე-სიმაგრე ტაძრებითურთ ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიდა: აქ იყო მეფისა და დედოფლის რეზიდენციები ფართო გალავნითა და მძლავრი ალაყაფის კარითურთ, ხუთი დიდი ტაძარი, სამეფო და სატაძრო არქივები. სამეფო კარის მომსახურეთა შენობები თუ სამეურნეო საწყობები. ქალაქს გარს ერტყა გალავანი რამდენიმე მძლავრი ჭიშკრით, რომელთაგან არქიტექტურული თვალსაზრისით აღსანიშნავია ე. წ. „სამეფო ჭიშკარი“, „ლომთა ჭიშკარი“, „სფინქსთა ჭიშკარი“.

ხეთური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი თვისებაა სრული სიმეტრიულობა როგორც ცალკეულ ნაგებობათა გეგმაში, ასევე ქალაქის დაგეგმარებაში საერთოდ. მაგალითად, ტაძრის შენობათა განლაგებისას თვალშია საცემი მათი ცალკეული ნაწილის ან ფასადის ერთმანეთთან სრული შეუთავსებლობა (გამონაკლისია გალავნის ჭიშკრები, რომელნიც სიმეტრიულადაა განლაგებული).

სპეციფიკური ხეთური მანერაა კედლების მშენებლობისას დიაგონალური ხაზებისათვის უპირატესობის მიცემა. ტაძრებისა და სასახლეებისათვის დამახასიათებელია ვიწრო სათავსოთა სიმრავლე (ამ მხრივადაც სიახლოვე ჩანს კრეტას სასახლეებთან). ტაძრის შენობები, ჭუჩა, სათავსოები ტაძრის ეზოს ირგვლივაა განლაგებული. მასიური ქვების პლიტების გამოყენება სამშენებლო მასალად ჩვეულებრივი იყო ხეთებისათვის (ისევე როგორც მიკენში, ტროაში, კრეტაში). ხეთები არ იცნობდნენ მრგვალ სვეტებს (კოლონებს) და მშენებლობაში იყენებდნენ ოთხკუთხა საყრდენებს. შენობის ფანჯრები დაბალი პარაპეტით კეთდებოდა არა ეზოს, არამედ მოპირდაპირე კედლის მხარეს.

მართალია, ცენტრალური მცირეაზიული საზოგადოება განეკუთვნებოდა მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს პერიფერიას, მაგრამ იგი ადრევე ეზიარა კაცობრიობის ისეთ კულტურულ მონაპოვარს, როგორიცაა დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა. ჯერ კიდევ „კაპადოკიური“ ფირფიტების ხანაში (ძვ. წ. XIX—XVIII სს.) ცენტრალურ ანატოლიაში ფართოდ იყო გავრცელებული ლურსმული დამწერლობის ის სახეობა, რომელსაც შუამდინარელი ვაჭრები ხმარობდნენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. შემოინახა ცალკეული ტექსტები და წარწერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ზუსტად იმავე დამწერლობას იყენებდნენ ადგილობრივ ქალაქ-სახელმწიფოებში (ტექსტებს ადგენდნენ არა ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე, არამედ აქადური ენის ძველ ასურულ დიალექტზე, რომელზედაც ლაპარაკობდნენ შუამდინარელი ვაჭრები). ამას ადასტურებს ლურსმული ფირფიტები, შედგენილი ადგილობრივ წვრილ სამთავროთა მმართველების (ვარშამას, ფოთბანას, ანითას და სხვ.), ცალკეულ დიდ მოხელეთა („კიბის მოძღვრის“) სახელით. დამწერლობის სხვა სახეობა აღნიშნული ხანის ანატოლიაში არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის არ არის გამოვლენილი სხვა დამწერლობით შედგენილი ტექსტები).

მომდევნო ხანებში დამწერლობის ზემოაღნიშნული სახეობა სავსებით ქრება ცენტრალურ მცირე აზიაში, სადაც ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა. „ძველი სამეფოს“ დროიდან ხეთებმა შეითვისეს ლურსმული დამწერლობის სხვა სახეობა, რომელიც მათ მიუსადაგეს თავიანთ ენას. ეს იყო ძველი აქადური ლურსმული დამწერლობის ის ვარიანტი, ჩრდილოეთ სირიაში რომ იხმარებოდა (ამ დამწერლობით შედგენილია ალალახის ლურსმული არქივის ფირფიტები). ლურსმული დამწერლობის ახალი სახეობის შემოტანას მცირე აზიაში უკავშირებენ ხეთების „ძველი სამეფოს“ მმართველთა, განსაკუთრებით, ხათუსილი I-ის მეფობის პერიოდს (თანადროულია ალალახ VII ფენისა). როდესაც ხეთები ლაშქრობდნენ ჩრდილოეთ სირიასა და

ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (ხურიტების წინააღმდეგ). სწორედ ამ ხანებში უნდა გაცნობოდნენ ისინი ჩრდილოეთ სირიაში გავრცელებულ ლურსმულ დამწერლობას, მიესადაგებინათ იგი ხეთური ენისათვის და დაეწყოთ ხეთურ ენაზე ტექსტების შედგენაც (როგორც ზემოთაც აღინიშნა, „ძველი სამეფოს" დროს ტექსტები დგებოდა აქადურ ენაზეც იმავე ლურსმული დამწერლობის გამოყენებით).

ლურსმული დამწერლობის გარდა, ხეთები იცნობდნენ აგრეთვე ე. წ. ლუვიურ (ხეთურ) იეროგლიფურ დამწერლობას. მაგრამ მას ხეთები არ იყენებდნენ თიხის ფირფიტებზე ტექსტების დასაწერად. ამ დამწერლობის ნიმუშები შემონახულია ხეთურ საბეჭდავებზე, რომლებიც მეფეს და დედოფალს განეკუთვნებოდნენ (ასეთი საბეჭდავები ჩვეულებრივ ორენოვანი იყო: მეფის სახელი ტიტულატურითურთ დაწერილი იყო იეროგლიფურად და ლურსმულად), ალდეებზე, მეფისა და ღვთაებათა სახელების წერისას და ა. შ. როგორც ვარაუდობენ, იეროგლიფური დამწერლობა იხმარებოდა ხეთების დროინდელ მცირე აზიაში ძირითადად ხის მასალაზე წერისას, რის გამოც ასეთმა წარწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ასეთ ვარაუდს უნდა ამტკიცებდეს ხეთურ ლურსმულ ტექსტებში დამოწმებული ტერმინები: „ხის ფირფიტის (=ფირფიტაზე) მწერალი", „ხის ფირფიტის (ფირფიტაზე) მწერალთა სახლი" (იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული შედარებით ვრცელი წარწერები განეკუთვნება მოგვიანო პერიოდს, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს, როდესაც არსებობდნენ ე. წ. გვიანხეთური სამეფოები).

ხეთურ ლურსმულ დამწერლობაზე შეიქმნა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი წერილობითი ძეგლები სხვადასხვა ჟანრისა.

ბოღაზქოის (ხათუსას) ლურსმულ არქივში შემოინახა ხეთების მ ე ფ ე თ ა ა ნ ა ლ ე ბ ი — მეფობის წლების თანმიმდევრობით შედგენილი ისტორიული ჩანაწერები (მატიანეები).

სამეფო ანალების სტილშია შედგენილი 1957 წ. ბოღაზქოიში აღმოჩენილი, ხეთურ და აქადურ ენებზე შედგენილი, ლურსმული ტექსტი ხეთების „ძველი სამეფოს" ერთ-ერთი თვალსაჩინო მმართველისა — ხათუსილი I-სა. ამ „ანალებში" პირველ პირშია მოთხრობილი ხათუსილის ლაშქრობათა შესახებ, რომლებიც მან მოაწყო მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში თავისი მეფობის პირველ ნახევარში. გარდა ამისა, ამ მნიშვნელოვან წერილობით წყაროში სხვა ხასიათის ცნობებიცაა დაცული, კერძოდ, სამეფო ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით: დიდი მეფე, თაბარნა ხათუსილი I, რომელიც უკვე მეფობდა ხათუსაში და არა ქუსარაში, ყოფილა თავანანას (ამ შემთხვევაში, წინა მეფის მეუღლის) ძმისწული.

.ხეთების მეფეთა ანალებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა „ანალები“ მურსილი II-სა, რომლის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში ანალისტიკამ მცირე აზიაში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. მურსილი II-ის სახელით ანალების სტილში შედგენილი იყო აგრეთვე „საქმენი“ სუფილულიუმა I-სა, მურსილის მამისა.

მურსილი II-ის „ანალებმა“ ჩვენამდე მოაღწია ორივე ვერსიით (ორივე ხეთურ ენაზე). ერთ-ერთ მათგანს, მოცულობით უფრო მცირეს, მკვლევრებმა უწოდეს „ათწლიანი ანალები“ (იმის გამო, რომ იქ მოთხრობილია მურსილის სამხედრო ოპერაციებზე, რომლებიც მან ჩაატარა მეფობის ათი წლის განმავლობაში). მურსილის „ანალების“ მეორე ვერსიას კი მეცნიერებმა შეარქვეს „ვრცელი ანალები“: ტექსტში დაწვრილებითაა აღწერილი ძირითადად სალაშქრო საქმენი, რომლებიც აღნიშნულ მეფეს გადახდა მბრძანებლობის თითქმის 30 წლის მანძილზე.

მურსილი II-სა და სუფილულიუმა I-ის „ანალები“, რომელთა შემდგენლები წარმოგვიდგებიან როგორც ჩინებული ისტორიკოსები, ძველაღმოსავლური სამყაროს ისტორიულ თხზულებათა, კერძოდ, ანალისტიკის, ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.

ბოღაზქოის არქივში შემოინახა აგრეთვე ხეთების სხვა მეფეთა ანალები, მაგალითად, „თუთხალიას ანალები“, „არნუვანდას ანალები“, ისევე როგორც ფრაგმენტები რომელიღაც სხვა ანალებისა, რომელთა ავტორები ჩვენთვის უცნობია.

მეფეთა ანალების ჟანრს ხეთები იყენებდნენ მათი არსებობის თითქმის მთელს მანძილზე, მით უმეტეს, რომ ისტორიულ ნაწარმოებთა შექმნის ხელოვნება ხეთებს მაღალ დონეზე ჰქონდათ აყვანილი. როგორც ვარაუდობენ, ისტორიული თხრობის ჩვენთვის საინტერესო ჟანრმა — ანალისტიკამ — გარკვეული გავლენა იქონია მოგვიანო ხანის ასურეთისა და ურარტუს მეფეთა „ანალების“ განვითარებაზე.

მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირების მიზნით ხეთები ადგენდნენ ე. წ. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ებ ს.

სახელმწიფო ხელშეკრულებებს ხეთების მეფეები სდებდნენ მეზობელი და ახლო აღმოსავლეთის არამეზობელი ქვეყნების მბრძანებლებთან (მეზობლებთან, როგორც წესი, ხეთურ ენაზე, არამეზობლებთან — აქადურ ენაზე).

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელშეკრულება შედგენილია ხეთების „ძველი სამეფოს“ ხანაში, სახელდობრ, თელიფინუს მმართველობის პერიოდში. ეს იყო ხეთების ამ მეფისა და ქიცუ-

ვათნას მეფე ისფუთახსუსთან დადებული ხელშეკრულება (აქადურ და ხეთურ ენებზე). არსებობდა აგრეთვე ხელშეკრულება ხეთების მეფე ციდანთასა და ქიცუვათნას მმართველ ფილიას შორის. ადრინდელი ხელშეკრულებები ფორმდებოდა პარტიტეტის საწყისებზე, რაც გულისხმობდა მხარეთა უფლებების სრულ თანასწორობას.

ხეთების დაპყრობითი პოლიტიკის გაფართოებამ სუფილულიუმა I-ის დროიდან გამოიწვია, როგორც დავინახეთ, ხეთების საგრძნობი აქტივიზაცია ანატოლიის სამხრეთსა და აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ყოველივე ეს იწვევდა აღნიშნულ მხარეებში მდებარე ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირებას სპეციალური წერილობითი დოკუმენტის შექმნის სახით.

სუფილულიუმა I-ის დროიდან უნდა შექმნილიყო გარკვეული სქემა ამ ხასიათის დოკუმენტების გაფორმებისა, რაც მოგვიანებით სრულყვეს. ხელშეკრულებათა ნაწილი შედგენილი იყო პარიტეტის, ნაწილი კი — „ვასალიტეტის" პრინციპით.

„ვასალურ" ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულება იწყებოდა ხელშეკრულების დამდები ხეთების მეფის პრეამბულით, რომელშიც აღინიშნებოდა ხელშეკრულების დამდები ორი ქვეყნის ურთიერთობათა წინაისტორია. შემდეგ კი გადმოიცემოდა ძირითადი დანიშნულება ხელშეკრულებისა: დაპყრობილი ქვეყნის მეფე ვალდებულებას იღებდა რეგულარულად მიეწოდებინა ხეთებისათვის დამხმარე მეომარი რაზმები (საბრძოლო ეტლებთან ერთად), სისტემატურად უხადა ხარკი, დროულად ეცნობებინა ხეთების მეფისათვის მტრის მოულოდნელი გამოჩენა, ანდა შეთქმულება, უყოყმანოდ დაებრუნებინა ხეთებისათვის ლტოლვილნი და ა. შ. თავისი მხრიდან ხეთების მეფე ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა „ვასალს" მტრის გამოჩენისას. ხელშეკრულებაში ხშირად მოხსმობილი იყვნენ ღვთაებანი, მოჰყავდათ წყევლის ფორმულა და ა. შ.

პარიტეტის საწყისებზე შედგენილი ხელშეკრულების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ხათუსილი III-სა და ფარაონ რამსეს II-ს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთი ადრეული სამშვიდობო ხელშეკრულებაა.

ზემოთ არაერთხელ ციტირებული ისტორიული თხზულებანი — „ხათუსილი I-ის ანდერძი", „თელიფინუს ტექსტი" და „ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია" წარმოადგენენ ისტორიული ჟანრის უძველეს ბრწყინვალე ნიმუშებს. ამავე დროს, ისინი სცილდებიან ისტორიულ თხზულებათა სახეობას და თავიანთი ფორმით, სტილისტური ნიშნებით უახლოვდებიან ლიტერატურულ ჟანრს. ამ მხრივ გამოირჩევა „ხათუსილის ანდერძი" და „ხათუსილი III-ის ავტობიო-

გრაფია". ისტორიული ფაქტების გადმოცემისას „ხათუსილის ანდერძი" გაოცებას იწვევს ენის სილამაზითა და სისადავით, დიალოგთა მოხერხებული ჩართვით, დარიგებისა და ჩივილის შერწყმით, შედარებების ოსტატური გამოყენებით (შდრ. მაგალითად, „... ის აღარ არის ჩემი შვილი! მაგრამ დედამისმა ძროხისებრ დაიბღავლა: „მე, ცოცხალს, ძლიერ ძროხას, მუცელი გამომგლიჯეს...", „დედამისი — გველია" და სხვ.). როგორც ირკვევა, უკვე ხათუსილი I-ის მეფობის დროისათვის ხეთური ლიტერატურა აყვავებას იწყებს, რასაც ამტკიცებს „ძველ სამეფოში" შექმნილი სხვა ნაწარმოებიც: ე. წ. „სასახლის ქრონიკა" ანუ „დამრიგებლობითი მოთხრობების კრებული", სხარტი, დახვეწილი ენით ნაწერი, წარწერები სამხედრო ლაშქრობათა შესახებ და სხვა მრავალი. „ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია", რომელიც ამ ჟანრის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია, ზოგჯერ ადარებენ „ძველ აღთქმაში" აღწერილ ამბავს იოსებთან დაკავშირებით. ნაწარმოებში მთელი ყურადღება გადატანილია თვით ავტორზე, გამოყენებულია ტექსტის შინაარსის ინდივიდუალური ხასიათი და ფორმა. „ავტობიოგრაფიის" მიზანი თითქოს ნათელია: განდიდება ახალშემოღებული ხურიტული ღვთაების — შაუშქა-იშთარის კულტისა, რომელიც ხათუსილის მფარველობდა მთელ მის პოლიტიკურ საქმიანობაში, ამართლებდა რა ხათუსილის ყოველ მოქმედებას, უკანონოსაც კი. მაგრამ ეს ნაწარმოები უფრო მეტად „თავის მართლების" ნიმუშია, ვიდრე „ავტობიოგრაფიისა". ამიტომაცაა, რომ მკვლევართა ნაწილი ახლა მას „აპოლოგიასაც" (ე. ი. „პატიებას, მიტევებას, შეწყნარებას") უწოდებენ. ხათუსილი მშვენივრად გრძნობდა, რომ მისგან ტახტის მოპოვება — უზურპაციის ტოლი იყო, მისი მოქმედება — საეჭვო, როგორც ზნეობრივი, ასევე მართლშეგნების თვალსაზრისით. ამიტომაც იწყებს იგი თავის მართლებას — ყველა მისი მოქმედება ღვთაება იშთარით იყო ნაკარნახევი და მოწონებული.

შინაარსითა და ლიტერატურული დამუშავების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ პატარ-პატარა მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი და ზ ღ ა პ რ ე ბ ი ანატოლიური სიუჟეტით. ერთ-ერთი უძველესი სიუჟეტი უნდა იყოს დაცული „ქანესის დედოფლის შვილების ამბავში": ქანესის (=ნესას) დედოფალმა ერთხელ ერთბაშად 30 ვაჟი შვა. ეს რა დავბადეო, თქვა დედოფალმა და ვაჟიშვილები ყოველგვარ უწმინდურობასთან ერთად სხვადასხვა ჭურჭელში მოათავსა, ჭურჭლები კი გაატანა მდინარეს (ე. ი. მარასანთას), რომელმაც ისინი ცალფას ზღვაში (ე. ი. შავ ზღვაში) ჩაიტანა. ღვთაებებმა ბიჭები ზღვიდან ამოიყვანეს და გაზარდეს. გამოხდა ხანი და დედოფალმა კვლავ შვა ერთბაშად 30, ამჯერად, ქალიშვილი, რომლებიც მან თვითონ გამოზარდა. ამასობაში ვაჟები დაიზარდნენ და ნესასკენ გამოემართნენ. გზაში

ისინი იგებენ, რომ ერთხელ ქანესის დედოფალს ერთბაშად 30 ქალიშვილი გაუჩენია, ხოლო მისი ადრე დაბადებული ვაჟები სადღაც გადაკარგულან. გახარებული ვაჟები მიემართებიან ნესას საკუთარი დედის სანახავად. მაგრამ ღვთაებებმა მათ შიგნეული შეუცვალეს და დედამ ვეღარ იცნო თავისი ვაჟები, რომლებსაც მან მიათხოვა თავისივე ქალიშვილები. ვერცერთმა ძმამ ვერ იცნო თავისი და, გარდა ნაბოლარისა, რომელმაც თქვა: ჩვენი დები არ ვითხოვოთ, ასეთ საქციელს ნუ ჩავიდენთ, ეს ჩვენ არ გვჩვევიაო. მაგრამ ყველაფერი გვიან იყო: მის ძმებს უკვე ღამე გაეთიათ თავიანთ დებთან...

ძველი ანატოლიური სიუჟეტია შენარჩუნებული ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა მოთხრობა ქ. ცალფას ალყის შესახებ, მოთხრობა მინდვრის ვაჟის დაბადების შესახებ და სხვა მრავალი.

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მურსილი II-ის მოთხრობა იმის თაობაზე, თუ მან როგორ დაკარგა და შემდეგ აღიდგინა მეტყველების უნარი. როგორც ვარაუდობენ, ეს არის კაცობრიობის კულტურის ისტორიაში უძველესი შემთხვევა აფაზიისა (მეტყველების მოშლილობისა). რომელსაც თვით მურსილი, ვითარცა ღრმა მისტიკოსი, რელიგიურ ინტერპრეტაციას აძლევს. არადა მოთხრობა შეიცავს აღნიშნული მოვლენის მიზეზსაც: ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ძლიერ განრისხებულა ჰექა-ქუხილის ღვთაება, მას ისე მძლავრად დაუქუხნია, რომ მურსილის... შეშინებია, „მისი პირიდან გამომავალი სიტყვები შემცირებულა", იგი ენას პირში ძლივსღა აბრუნებდა. ასეთ მდგომარეობაში ყოფილა მურსილი წლების მანძილზე, სანამ ძილში არ უნახავს სიზმარი. თუ როგორ უნდა განკურნებულიყო... ქუმანის (=ქიცუვათნას) ქვეყანაში, ჰექა-ქუხილის ღვთაების ტაძრისთვის უნდა შეეწირა ხარი და ფრინველები, რომლებსაც ცეცხლში დაწვავდნენ...

ხათუსას არქივმა ხეთური რელიგიური ლიტერატურის მრავალი ნაწარმოები შემოგვინახა. მათ რიცხვს განეკუთვნებათ „ლ ო ც ვ ა ნ ი", რომელთაგან მურსილი II-ის „ლოცვა" შავი ჭირის წინააღმდეგ ერთ-ერთი უძველესია ამ ჟანრის მსოფლიო ლიტერატურაში. მურსილის „ლოცვებს" საერთო აქვთ ძველი აღთქმის „გამოსლვათა" წიგნთან. მათ აერთიანებთ იდეა, რომ ამქვეყნიური მეფენი მორჩილი უნდა იყვნენ ღმერთისა. მსგავსებას ამყღავნებს ორივე ნაწარმოებში გატარებული აზრი: მამის ცოდვაზე შეიძლება პასუხი აგოს შვილმაც, ადრე თუ გვიან შურისგების დღე დადგება.

ლოცვის მიზეზი გამხდარა შავი ჭირის (ჟამის) გავრცელება ხათის სამეფოში: ოცი წლის განმავლობაში სენი თურმე მუსრს ავლებდა ქვეყანას. ავადმყოფობა ეგვიპტიდან შემოუტანიათ დეპორტირებუ-

ლებს. მურსილის სიტყვებით კი, ყველაფერი ორაკულს დაუდგენია: ღვთაებებმა შავი ჭირი მოუვლინეს ხათის მცხოვრებთ მურსილის მამის — სუფილულიუმას მიერ ჩადენილი ცოდვისთვის — „თუთხალია უმცროსის“ (როგორც ჩანს, თუთხალია III-ის შვილის) მოკვლისთვის, რომლის შემდეგ, მართალია, მურსილის მამას ჩაუტარებია სათანადო მსხვერპლშეწირვა, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით მსხვერპლი არ შეუწირავთ ამ ცოდვის მოსანანიებლად. თითქოს ამას გაუბოროტებია ღვთაებები, რომლებმაც ხათის ქვეყანას შავი ჭირი მოუვლინეს. ახლა მურსილი აღიარებს მამის ცოდვას, პატიებას სთხოვს ღვთაებებს დაღვრილი სისხლისათვის და ევედრება მათ, ისმინონ მისი ლოცვანი, მიიღონ ქვეყნის მსხვერპლშეწირვები და ხათიდან განდევნონ საშინელი სენი, თვითონ მურსილი კი სიკვდილს გადაარჩინონ: „ჭირის გამო გევედრები შენ, ტაროსის ღვთაებავ, უფალო ჩემო! მისმინე, ხათის ღვთაებავ ტაროსისა, უფალო ჩემო, და გადამარჩინე! მე შენ ამას შეგახსენებ: ჩიტი გალიას უბრუნდება, გალია კი მას სიცოცხლეს უნარჩუნებს. ანდა, თუკი მონას რაიმე უქირს, იგი თავის ბატონს მიმართავს ვედრებით. ბატონი მას მოუსმენს და მისი მოწყალე იქნება: რაც მას ამძიმებდა, შეუმსუბუქებს. ანდა, უკეთუ მონა რაიმეს შესცოდებს, ამას კი იგი ბატონის წინაშე აღიარებს, მაშინ ბატონს როგორც სურს, ისე მოიქცევა. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი ბატონის წინაშე თავის ცოდვას აღიარებს, ბატონი მისი დაცხრება, ბატონი მას აღარ დასჯის. მეც ხომ მამაჩემის ცოდვა ვაღიარე: ეს ჰეშმარიტად ასეა, ეს მე ვქმენ. თუკი ანაზღაურებაა საჭირო, ანაზღაურება უკვე მოხდა: თვით შავი ჭირი გახდა სამაგიერო შურისგება... ხათის ღვთაებავ ტაროსისა, უფალო ჩემო, გადამარჩინე! ჭირი ხათის ქვეყნიდან განდევნილ იქნეს!“.

„ლოცვათაგან“ აღსანიშნავია აგრეთვე დედოფალ „ფუდუხეფას ლოცვა“, რომელიც გამოირჩევა დიდი ლირიზმითა და მეტაფორებით. იგი მიმართულია ქ. არინას მზის ქალღვთაებისადმი (ხურიტული ტერმინოლოგიით, ხეფათისადმი), რომელსაც დედოფალი ევედრება, სიცოცხლე აჩუქოს მის მეუღლეს — ხათუსილის (III-ს). ღვთაებას იგი პირდება ყველა დღესასწაულის — ყოველთვიურის თუ ყოველწლიურის — გადახდას, ყველა რიტუალზე დასწრებას, ყოველნაირი მსხვერპლის შეწირვას: „მე, ფუდუხეფა, ძველთაგან შენი მსახური ვარ, — მიმართავს იგი ქალღვთაებას —, მე შენი საფურე ხბო ვარ შენი საფურედან, მე ქვა ვარ შენი ტაძრის საფუძვლისა... ქ. არინას ქალღვთაებავ მზისა, უფალო ჩემო, შემიწყალე, მისმინე! ხალხი ამბობს, ღვთაება თხოვნას უსრულებს ქალს, როდესაც იგი მშობიარობისას იტანჯებაო. მე, ფუდუხეფა, ქალი, ასევე ვიტანჯები მშობიარობისას...

შემისრულე, რასაც გევედრები: ხათუსილის, შენს მსახურს, სიცოცხლე შეუნარჩუნე...".

ხეთური საგალობლები (ჰიმნები) ძირითადად მზისადმი — მზის ღვთაებისადმია მიძღვნილი. როგორც ცნობილია, ხეთებს ჰყავდათ რამდენიმე მზის ღვთაება, სხვადასხვა ფუნქციითა და სქესით ერთმანეთისგან განსხვავებული. მზის ღვთაებისადმი მიძღვნილ საგალობლებიდან გამოსჩვივის ამ ღვთაებათა დიდი ძალა და ცხოველმყოფელობა. მზე გვევლინება ვითარცა ყოვლისმხედველი და ყოვლისშემძლე, მართლმსაჯულების ქომაგი, ადამიანთა მოწყალე, მათი დამცველი და ბოროტებისგან განმწმენდი, ქვეყნის მომწესრიგებელი, ღვთაებათა შორის მბრწყინავი, მთელი ცისა და დედამიწის მანათობელი, ქვეყნის მაცისკროვნებელი, ცისა და დედამიწის სიმრგვალიდან გამომავალი და ა. შ. მზეს ემონებიან ცის მეუფენი და დედამიწის ღმერთნი...

მზის ღვთაების საგალობელში აღწერილია ამ ღვთაების გამგზავრება ცხენებიანი საბრძოლო ეტლით. მსგავსი მოტივები შეინიშნება სხვა ხალხების (ძველი ეგვიპტელების, დასავლელი სემიტების) საგალობლებში მზის ღვთაებისადმი.

საკმაოდ მდიდარია ხეთური მითოლოგიური ლიტერატურა, საიდანაც გამოირჩევიან ხათური, ხურიტული, ლუვიური, შუამდინარული წარმოშობის მითები. ადგილობრივი, ხათური წარმოშობისაა მითი ციდან ჩამოვარდნილი მთვარის, ანუ მთვარის ღვთაების შესახებ, რომლის ინტერპრეტაცია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მითის თანახმად, ციდან დედამიწაზე მთვარის ჩამოვარდნა დაინახა მხოლოდ რამდენიმე ღვთაებამ, მათ შორის, ჰექა-ქუხილის ღვთაებამ, რომელმაც თავისი მდევრები (წვიმა, თქეში, ქარი) დაადევნა მას, თვითონ კი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. ქალღვთაება ქამრუსეფას კითხვაზე, ამას რას შვრებიო, ტაროსის ღვთაებამ უპასუხა, რომ მან მთებიდან და კლდე-ღრეებიდან ქარიშხალი და წვიმა გამოუშვა. ქამრუსეფა ურჩევს მას განთავისუფლდეს შიშისგან და ძრწოლისაგან. მიუხედავად შიშისა, ჰექა-ქუხილის ღვთაება ცაზე აბრუნებს მთვარეს, ხელმეორედ ქმნის რა მას. დედამიწა კვლავ ნათდება... შესაძლოა, ტაროსის ღვთაების შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ ზეცის წარმოშადგენელი — მთვარის ღვთაება აღმოჩნდა დედამიწაზე, სადაც არ იყო მისი ადგილი. ეს ეწინააღმდეგებოდა ბუნებას, მით უმეტეს, რომ დედამიწა სიბნელემ მოიცვა. მითიდან ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ზეცის მკვიდრი ზეცაში უნდა იყოს, დედამიწას კი სინათლე უნდა დაუბრუნდეს. მთვარის დაბრუნება ზეცაზე ამშვიდებს ცის მეუფეთ, დედამიწა კვლავ განათებულია. სამყაროში ასეთი მარადიული კანონია...

ხათის ქვეყანაში დიდად იყო პოპულარული მითი ღვთაების შესახებ, რომელიც ქრება და შემდეგ კვლავ მოევლინება ქვეყანას. ამ მითის რამდენიმე ვერსია შემოინახა. მოქმედების ადგილი და მოქმედი პირები ადასტურებენ მის ხათურ სუბსტრატს. ღვთაების გაქრობა (არა გარდაცვალება!) იწვევს გვალვას, ბუნების ჭკნობას. დანარჩენ ღვთაებათა ცდები — იპოვონ და დააბრუნონ გამქრალი ღვთაება, წარმატებით მთავრდება, რასაც მოჰყვება აღორძინება. გამქრალი ღვთაების როლში სხვადასხვა ღმერთი გამოდის: ხათური თელიფინუ ან ტაროსის ღვთაება.

...რაღაცაზე განრისხებული თელიფინუ, ტაროსის ღვთაების ვაჟი, სადღაც გადაკარგულა და ყოველი სიკეთე თან წაუღია... ამის გამო დედამიწაზე სუნთქვა აღარ შეიძლება, საქონელი ნადგურდება და აღარ მრავლდება, ადამიანებსაც იგივე ბედი სწვევიათ. მცენარეული სამყარო გამხმარა, დედამიწაზე შიმშილი დამკვიდრებულა. დიდი და მცირე ღვთაებები საგონებელში ჩავარდნილან, თელიფინუ თუ ვერ იპოვეს, შიმშილით სული ამოხდებათ. დაიწყეს მისი ძებნა. მაგრამ დიდმა და მცირე ღვთაებებმა თელიფინუს კვალს ვერ მიაგნეს. ვერც ფრთამალმა არწივმა, ვერც ტაროსის ღვთაებამ თელიფინუ ვერ აღმოაჩინა. მაშინ ღვთაებათა ქალბატონი ნინთუ იხმობს ფუტკარს და არიგებს მას, თუ როგორ მოძებნოს თელიფინუ. თუკი იპოვის, ფეხები და ხელები ნესტრით დაუჩხვლიტოს, წამოაყენოს და ღვთაებას მიჰგვაროს. ფუტკარი გადალახავს მთებს, ხეობებს, მდინარეებს, წყაროებს და ქ. ლიხცინაში მიაგნებს მძინარე თელიფინუს, ნესტრით დაჩხვლეტს მას და გამოაღვიძებს. ახლა კვლავ განრისხდება ღვთაება — ნაკადულებს აჩერებს, მდინარეებს მიმართულებას უცვლის, ხალხს ღუპავს, საქონელს წყვეტს...

ამის შემდეგ მითში დაწვრილებითაა აღწერილი რიტუალი, თუ თელიფინუს სხეულისაგან როგორ უნდა განარიდონ გულისწყრომა, მძვინვარება, რისხვა. რიტუალის შემდეგ თელიფინუ კვლავ ბრუნდება და იწყებს ზრუნვას ქვეყნიერებაზე. მის წინ აღიმართება მარადმწვანე ხე ეია- (როგორც ახლა ვარაუდობენ, ურთხელი), რომელზედაც ჰკიდია საწმისი — სიმრავლის, სიუხვის, გამრავლების, დღეგრძელობის, სიცოცხლის სიმბოლო. თელიფინუს მითის მოტივის ტიპოლოგიურ პარალელს ხედავენ სვანურ რიტუალში „მელია-ტელეფიას" შესახებ. ინტერესს იწვევს აგრეთვე თელიფინუს კულტის ერთ-ერთი ატრიბუტი — კავშირი მარადმწვანე ხესთან, რომლის გამოყენებას რიტუალში ადარებენ ნაძვის ხის როლს საშობაო დღესასწაულების დროს.

ხათური საახალწლო რიტუალის — ფურულის მითოლოგიურ მოთხრობაში გველეშაპზე (ილუიანქაზე) ასახულია ამ უკანასკნელთან

ტაროსის ღვთაების ბრძოლა, რომლის სცენები შემონახულია მცირეაზიული ხელოვნების ძეგლებზე (მაგალითად, ბარელიეფზე მალატიადან). მითის მიხედვით, ტაროსის ღვთაებისა და გველეშაპის შერკინება ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება. დამარცხებულმა ტაროსის ღვთაებამ დახმარებისთვის ღმერთებს მიმართა, ქალღვთაება ინარას კი სთხოვა, სადღესასწაულოდ მომზადებულიყო. ქალღვთაებამ დიდებული სუფრა გააწყო და შინ მოიპატიჟა ილუიანქა, რომელიც სტუმრად თავის შვილებთან ერთად მოვიდა. გამომთვრალი ილუიანქა თოკით შებოჭეს (ამაში ინარას დაეხმარა მოკვდავი ხუფანია, რომელთანაც ქალღვთაებამ ღამე გაათია), ტაროსის ღვთაებამ კი ილუიანქა შვილებიანად განგმირა. შურისგებით დაკმაყოფილებულმა ტაროსის ღვთაებამ ქვეყანას წვიმა მოუვლინა... შეტაკებას ღვთაებასა და მის მოწინააღმდეგე გველეშაპს შორის, რაც ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ხდებოდა, ადარებენ იმ რიტუალურ ბრძოლებს, საახალწლო დღესასწაულების დროს რომ იმართებოდა მოგვიანო ხანის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში.

ზემოაღნიშნულ ორ მითოსს ზოგიერთი მკვლევარი ყურადღებას აქცევს მათში მოხსენიებული ცხვრის (ვერძის) ტყავის, ე. ი. „საწმისის" მიმართების გამო ანტიკური ხანის „ოქროს საწმისის" მითოსთან. ხეთურ მითოსთა მონაცემების დახმარებით ცდილობენ აღადგინონ უძველესი ფენა ანტიკური ლეგენდებისა იასონისა და მედეას კოლხეთში ყოფნის შესახებ (პინდაროსისა და აპოლონიუს როდოსელის ნაწარმოებთა მიხედვით).

ცენტრალური და ჩრდილოანატოლიური (ხათური) რაიონების მცხოვრებთა რელიგიურ წარმოდგენებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცხვრის ან თხის ტყავი როგორც სიმბოლო სამეფოს კეთილდღეობისა. ამასთანავე, საქმე ეხებოდა განსაკუთრებულად შერჩეული ცხოველის ტყავს.

გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებულ სამეფო დღესასწაულებისას გარკვეული ქალაქების საკულტო შემოვლის დროს საწმისს თან დაატარებდნენ, როგორც ჩანს, ტყავის სამკურნალო მაგიური ძალის გამო (შდრ. ერთი ხეთური ტექსტის სიტყვები: „...შემდეგ დღეს საწმისი ქ. არინადან მიაღწევს... (რომელიღაც ქალაქს), შემდგომ დღეს საწმისი მიემგზავრება ქ. თავინიას..., შემდგომ დღეს საწმისი თავინიადან უკან ბრუნდება" და ა. შ.).

„თელიფინუს მითოსის" მიხედვით, „ღვთაება თელიფინუ ზრუნავს მეფეზე. თელიფინუს წინ აღმართულია (მარადმწვანე) ხე ე ი ა, რომელზედაც ჰკიდია ცხვრის ტყავი (საწმისი). მასში მოთავსებულია ქონი, ქერი, ხორბალი და ღვინო, ხარი და ცხვარი, ხანგრძლივი სი-

ცოცხლე და შთამომავლობა...". ამავე მითოსის სხვა ადგილას ნახსენებია საკურთხევლის წინ ჩამოკიდებული ბატკნის ტყავი (საწმისი). კიდევ ერთი ადგილის თანახმად, საწმისი არის ის, რასაც ღვთაება ხანახანას მიერ გაგზავნილი ფუტკარი იპოვის: „ფუტკარმა იპოვა და თან წაიღო საწმისი. როგორც კი მას ფუტკარი მიუახლოვდება, ხანახანა სამ წყაროს გააჩენს. ერთ მათგანთან (რომელიღაც) ხე დგას, მეორესთან თასია დადებული, უკანასკნელთან კი ცეცხლი ანთია. ხანახანა იქ ზის და შეჰყურებს ფუტკარს, რომელიც მოდის და საწმისს თასზე დებს...".

ამ მაგიურ-მითიური ექსკურსების მიხედვით, ვერძის ტყავი, ერთი მხრივ, ფუნქციონალურად გაგებულია როგორც განაყოფიერების ღვთაება, მეორე მხრივ კი იგი სახეობაა ძალისმქონე ფეტიშისა, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის კეთილდღეობა.

ბერძნული წყაროების მიხედვით, საწმისი არის კეთილი ძალის მქონე, ბედნიერებისა და სიუხვის განმასახიერებელი ფეტიში, რომელიც ბატონობას, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების მიღებას უწყობს ხელს. თელიფინუს თქმულების თანახმად კი ცხვრის ტყავი სიკეთის მომგვრელი ღვთაებრივი საგანია.

ბერძნული ლეგენდის თანახმად, საწმისი ოქროსია. ამ ვითარებას ხეთურ წყაროებში ხაზი ესმება იმით, რომ საწმისი შეიძლება შემკული იყოს მზის დისკოთი. თუ ბერძნული ტრადიციით იგი არის მეფე აიეტის მფლობელობაში, ანდა კლდეზე დგას ან მუხაზეა ჩამოკიდებული არესის მინდორზე, ხეთური წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით, საწმისი ეიას ხეზე (ურთხელზე) ჰკიდია. ან ხანახანას მინდორში დადებულ თასზე დევს. სამეფო ხელისუფლებასთან კავშირში ინტერესს იწვევს ქალაქ ნერიქის საკულტო ტრადიციები. საწმისი და მასთან დაკავშირებული ეიას ხე ნერიქის კულტში იმსახურებენ განსაკუთრებულ პატივისცემას. ხეთების სამეფოში ვერძის ტყავის მნიშვნელობას თუ გადავიტანთ აიაში არსებულ ოქროს საწმისზე, მაშინ გასაგები გახდება აიეტის წინააღმდეგობა. ეინმეს გადასცეს საწმისი, რადგან ეს ტოლი იქნებოდა ვინმესათვის მისი სამეფო ხელისუფლების გადაცემისა, ე. ი. ოქროს საწმისის ფლობა სამეფო ხელისუფლების ფლობას ნიშნავდა.

იასონ-მედეასა და საწმისის მოდარაჯე ურჩხულის ლეგენდის გაგებისათვის მკვლევარნი მიმართავენ მეორე ხეთურ მითოსს. რომელიც ურჩხულთან (გველეშაპთან) არის დაკავშირებული. ბერძნული და ხეთური თქმულებების მიხედვით, წყვილებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, იასონი და მედეა, ხოლო მეორე მხრივ. ხუთასია და ინარა. მედეა და ინარა აძინებენ ურჩხულს, ინარა — მათრობელა სასმისით, მედეა კი — მაგიური მოქმედებით. ორივეს შეუძლია უშიშრად მიუ-

ახლოვდეს ურჩხულს. ორივე მოსიყვარულე წყვილის საბოლოო მიზანია ურჩხულის დათრგუნვა. როგორც იასონი, ასევე ხუფასია მოკვდავი არიან. ზოგიერთი ბერძნული გადმოცემის მიხედვით, მედეა უკვდავია ვითარცა ღვთაება, ინარას მსგავსად. როგორც ხუფასია, იასონიც წარმოდგენილია ვეგეტაციური რიტუალის ერთ-ერთ მოქმედ პირად.

თუკი თელიფინუს მითისა და ურჩხულის შესახებ მითოლოგიურ თქმულებაში საქმე გვაქვს ორ ჩრდილოანატოლიურ ვეგეტაციურ მითოსთან (ძვ. წ. II ათასწლეულში), იასონ-მედეას თქმულებაში (ძვ. წ. I ათასწლეული) ორივე მითოსი ერთ მოტივად არის გაერთიანებული. მაგრამ თელიფინუს მითში საწმისის მოტივი განსახილველია როგორც რიტუალში ჩართული ნაწილი იმისათვის, რათა განმტკიცდეს სამეფოს სიკეთე. იასონ-მედეას სიუჟეტში კი საეჭვოა, რომ ოქროს საწმისის მოდარაჯე ურჩხულის მოტივი მითურია. მას მოგვიანო ხანის ჩანამატ ზღაპრულ მოტივად მიიჩნევენ.

წმინდა საწმისის იდეის წარმოშობის ადგილად მიიჩნევენ ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებს, სადაც ინდოევროპელი ტომების ვამოჩენამდე ხათები ბინადრობდნენ. ანატოლიის ამ რაიონებიდან ეს იდეა მიკენურ-ბერძნულ სამყაროში უნდა შეღწეულიყო. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, თქმულება ოქროს საწმისზე ბერძენ კოლონისტებს უნდა გადაეტანათ კოლხეთში მხოლოდ ამ სამყაროდან (ძვ. წ. VIII ს-ში), რითაც გამოირიცხება აღნიშნული იდეის წარმოქმნა თვით კოლხეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ არის დამაჯერებელი, რადგან ვერძის ტყავის მაგიურობის იდეა შეიძლებოდა კოლხეთში გავრცელებულიყო სწორედ უშუალოდ ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონიდან, რომელიც უძველესი ხანებიდანვე ესაზღვრებოდა ქართველურ ტომთა განსახლების არეალს. ამასთანავე, საკვლევია დასაშვებია წმინდა საწმისის იდეის, ანდა მისი ანალოგიური თქმულების წარმოშობა საკუთრივ კოლხეთში (ცხვრის კულტის არსებობა ქართველურ ტომებში ეჭვს არ იწვევს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).

ხეთურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თარგმნილ ნაწარმოებებს. ხეთურ ენაზე იყო თარგმნილი ძველი შუამდინარეთის ხალხური ეპოსი „გილგამეში", ქანაანელთა ერთი მითოლოგიური შინაარსის ტექსტი ღვთაება ელკუნირშაზე („ღვთაება, შემქმნელი დედამიწისა") და სხვა ნაწარმოები.

ხეთურად ითარგმნა აგრეთვე ხურიტული ლიტერატურის რამდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები. მათგან აღსანიშნავია მითოლოგიური მოთხრობა ზეცაში მეფობის არსებობის შესახებ, სადაც აღწერილია ხელისუფლების გადასვლა ღვთაებათა ერთი დინასტიიდან მეორეზე, და მითოლოგიური მოთხრობა ღვთაება ქუმარბიზე. ორივე ეს ნაწარ-

მოები ერთმანეთს ავსებს და ქმნის მოთხრობათა ციკლს ქუმარბის შესახებ.

... ოდესღაც ცაში მეფობდა ღვთაება ალალუ. მას მსახურად ჰყავდა ღვთაებათა შორის უპირველესი ანუ. რვა წელს მეფობდა ალალუ ზეცაში, მეცხრე წელს კი მას ანუმ ომი გამოუცხადა. ალალუ გაიქცა შორეულ ქვესკნელში. გამეფებულ ანუს ქუმარბი, ალალუს შთამომავალი, ემსახურებოდა რვა წლის განმავლობაში. მეცხრე წელს ქუმარბი შეებრძოლა ანუს, რომელმაც ცას მიაშურა. მაგრამ ქუმარბი დაეწია ანუს და ციდან ჩამოიყვანა. ამ დროს ანუ ახერხებს თავისი მამაკაცური ძალა დათესოს ქუმარბის სხეულში. ქუმარბი ფეხმძიმე ხდება და გადაწყვეტს, სირცხვილისათვის შური იძიოს ანუზე. იგი რჩევისთვის მიმართავს ენლილს, შემდეგ კი ეას ევედრება დახმარების აღმოჩენას, მაგრამ ამაოდ... ქუმარბი პირიდან შობს დიდ ლოდს (ქუნქუნუცის), მას ტაძარში ათავსებენ და განადიდებენ. უამრავ მსხვერპლს სწირავენ ქუმარბის, რომლის კეფიდან შემდეგ ჩნდება ტაროსის ღვთაება, შემდეგ — არანცახ (მდ. ტიგრისი) ღვთაება, ბოლოს — თასმისუ ღვთაება. ახალშობილი ღვთაებანი ქანცურას მთას მიაშურებენ. მითი მთავრდება თხრობით, თუ როგორ გააჩინა დედამიწამ ტყუპი, რომელსაც ეამ სამოსი, ვერცხლი და ჯადოსნური თითისტარი უბოძა...

ეპიკურ პოემას ღვთაება ქუმარბიზე „ულიქუმის სიმღერასაც" უწოდებენ. ღვთაებათა მამა ქუმარბი მტრობს ტაროსის ღვთაებას, რომლის მიმართ მან ბოროტება ჩაიფიქრა — დაუახლოვდა კლდეს, რომელმაც მას გაუჩინა შვილი — ლოდი, სახელად — ულიქუმი. ამან უნდა დაამარცხოს ტაროსის ღვთაება, დააშინოს სხვა ღვთაებანი ცაში. ლოდი გასაზრდელად გაგზავნეს დედამიწაზე, სადაც იგი ზღვაში დღითი დღე იზრდება. მეთხუთმეტე დღეს ზღვაში იდგა გიგანტური ლოდი. ამან დაარღვია ცაში ღვთაებათა მყუდროება. მზის ღვთაება გაოგნებულია შექმნილი არსებით. ტაროსის ღვთაება შიშმა შეიპყრო და ბრძოლისთვის მზადება იწყო. ჯერ სამოცდაათი ღვთაება შეებრძოლა ულიქუმის, მაგრამ მან ყველა მათგანი დაამხო ზღვაში. ახლა მან ხმელეთზე გადმოინაცვლა და აღიმართა ცაში ვითარცა ხმალი: სიმაღლეში ცხრა ათასი ვერსი, სიგანეში — ცხრა ათასი ვერსი. ღვთაებები ფიქრს მიეცნენ, არ იციან როგორ დაამარცხონ ულიქუმი. ბოლოს ისინი მოუწოდებენ „ძველ ღვთაებებს", გახსნან მათ მამა-პაპათა დაბეჭდილი საწყობები: იქ ინახება გარდასულ დღეთა საჭრისი — ნამგალი, რომლითაც მათმა წინაპრებმა ერთ დროს ცა დააშორეს დედამიწას. ახლა კი სწორედ იმ საჭრისით ძირში უნდა გადაჭრან ულიქუმი — ღვთაებათა მეტოქე. ღვთაება უფელურის მეთა-

ვეობით ღმერთები საბოლოოდ შეებრძოლნენ ულიქუმის და დაამარცხეს იგი. ღვთაება ეა გადაჭრის ულიქუმის. ტაროსის ღვთაება ზეიშობს...

ორი უკანასკნელი ნაწარმოები მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათ მიიჩნევენ ძველაღმოსავლური ლიტერატურისა და ძველი ბერძნული მითოლოგიური და პოეტური ტრადიციების დამაკავშირებელ რგოლად. მაგალითად, სიუჟეტი მოთხრობისა ღვთაებათა ოთხი თაობის ცვლაზე ანალოგიურია ჰესიოდეს მოთხრობისა ურანოსიდან კრონოსზე, ხოლო კრონოსიდან ზევსზე ხელისუფლების გადასვლის შესახებ. ასევე, სიუჟეტი მითისა ღვთაება ქუმარბიზე ძალიან წააგავს ჰესიოდისეულ მითს ტიფონის შესახებ.

მკვლევართა აზრით, საქმე გვაქვს ერთსა და იმავე მითის ორ ვერსიასთან — ხეთურ-ხურიტულთან და ბერძნულთან. ძველი ბერძნული ტრადიციით, ტიფონთან შებრძოლება მოხდა ჩრდილოეთ სირიაში ნდებარე მთაზე—ციფონზე, რომელიც „ულიქუმის სიმღერაში" ტაროსის ღვთაების სამყოფელია. ურანოსის დასაჭურისება კრონოსის მიერ განიხილება როგორც ანალოგიური ეპიზოდი ხეთურ-ხურიტული ვერსიისა იმ განსხვავებით, რომ გამარჯვებული ქუმარბი ფეხმძიმედ ხდება მისივე მოწინააღმდეგე ანუსაგან (ზოგიერთი მკვლევარი ამას განიხილავს როგორც ზუსტ პარალელს ეგვიპტური მითისა ჰორის და სეთის შესახებ: ღვთაებათა დაბადება სეთის თავისაგან, ანდა ქუმარბის მიერ, ანალოგიურია ბერძნული მითისა ზევსის თავისგან ათენას დაბადების შესახებ). მითის ბერძნულ და ხურიტულ ვარიანტებს აერთიანებს მოტივი საჭრისის გამოყენებისა (ორივე ვარიანტში — ნამგლისა, „თეოგონიაში" იგი რკინის, ხოლო ქუმარბის ციკლში — სპილენძისაა). აღნიშნული საჭრისით ადრე ცა გამოჰყვეს დედამიწისაგან, ხოლო კრონოსმა დაასაჭურისა ურანოსი. „ულიქუმის სიმღერაში" საჭრისი დაკავშირებულია ღვთაება უფელურისთან, რომელსაც, ბერძნული ვარიანტის ატლასის მსგავსად, ცა და დედამიწა მხრებით უკავია. გადაჭრა რა ულიქუმი, ღვთაება ეამ ამით მას ძალღონე დაუკარგვინა, რაც მსგავსია მოტივისა ბერძნულ მითში ანტეოსის შესახებ.

ხათუსას არქივის ძირითადი ნაწილი რელიგიური ლიტერატურის არაერთ სახეობას შეიცავს. აქ შემოინახა მრავალი რიტუალი, ღვთაებათა სიები, დარიგებანი ტაძრის მსახურთათვის, ორაკულთა ტექსტები და სხვა. აქვეა სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ასტროლოგიური, სამედიცინო და მათემატიკური ხასიათის ნაშრომები. მაგრამ ამ ხასიათის ტექსტები ხეთებმა მხოლოდ თარგმნეს ასურულ-ბაბილონურიდან (აქადურიდან) ისე, რომ საკუ-

თარი თითქმის არაფერი მიუმატებიათ. შუამდინარულ სამყაროსთან კულტურულ ურთიერთობებს უკავშირებენ ხეთების მიერ ისეთი ტექსტების შექმნას, რომლებიც ეძღვნებათ ღვიძლით მკითხაობას და, საერთოდ, ღვიძლის მოდელებზე ლურსმულად წერას (წერის ასეთი პრაქტიკა დასტურდება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებშიც). ბაბილონური გავლენით ხსნიან ხეთებში ლინგვისტიკის საწყისების განვითარებას: ხეთი მწერლები ადგენდნენ სიტყვათა სამენოვან (შუმერულ — აქადურ — ხეთურ) სიებს — ლექსიკონებს, რაც მოითხოვდა სიტყვების მორფოლოგიურ ანალიზს. „ახალი სამეფოს" პერიოდში შუამდინარეთის გავლენით განვითარებას მიაღწია ისეთმა საქმიანობამ, რომელიც ძალზედ წააგავს თანამედროვე დოკუმენტალისტიკას: ხათუსას არქივში შემოინახა დოკუმენტების კატალოგთა ლურსმული ტექსტები, ისევე როგორც ეტიკეტები ცალკეულ ტექსტზე.

ხათუსას არქივში დაცული სპეციალური ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს ტექსტები ხეთურ მეცხენეობაზე. ეს არის პირველი თხზულება მსოფლიო ლიტერატურაში, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენების გაწვრთნა — გახედნა, რაც 184 დღეს გრძელდებოდა. იგი ერთგვარი ტრაქტატია, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ „კიკულის ტექსტს", რადგან მისი შემდგენელი იყო ვინმე მეცხენე კიკული, წარმოშობით ხურიტი (მითანელი). ტექსტი შეიცავს უძველეს ტერმინოლოგიას მეცხენეობის შესახებ.

ამ მოკლე მიმოხილვით ვამთავრებთ ხეთურ კულტურაზე საუბარს.

ხეთური კულტურის ტრადიციები არ გამქრალა ხეთების სამეფო დაცემის შემდეგაც. ბევრი მათგანი გაგრძელდა მოგვიანო ხანებშ ჩრდილოეთ სირიისა და ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა რამდენიმ ე. წ. „გვიანხეთური" სამთავრო.

ბოლოთქმა

აი, ასე წარმოგვიდგება ხეთური საზოგადოების სურათი ხეთოლოგიის თანამედროვე მიღწევათა შუქზე, თუმცა ჩვენც ვგრძნობთ, რომ ამ სურათის ყოველი დეტალი თანაბრად დამაჯერებელი როდია. მიუხედავად ამისა, ნარკვევში ხეთები წარმოჩენილია როგორც არამარტო ერთ-ერთი უძველესი ხალხი მსოფლიოში, არამედ როგორც რეალური ადამიანები განუმეორებელი ინდივიდუალობით.

ხეთური ცივილიზაცია წარმოგვიდგება როგორც მესამე დიდი ძველაღმოსავლური ცივილიზაცია შუამდინარულისა და ეგვიპტურის შემდეგ. იგი მოწინავე იყო სხვადასხვა ასპექტით: სამხედრო საქმის მაღალი ორგანიზებით ხეთებმა შეძლეს საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ შეენარჩუნებინათ გაბატონებული მდგომარეობა მთელს ძველ ახლოაღმოსავლურ სამყაროში; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ რელიგიური ორგანიზაციის თვალსაზრისით ისინი მუდამ ინარჩუნებდნენ თავიანთ ინდივიდუალობას; ხეთური კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების შესრულება უდავოდ გამოირჩეოდა ორიგინალობით; მეტალურგიის განვითარების, განსაკუთრებით, რკინის წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ცენტრალური მცირე აზია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; ხეთური კულტურის ცალკეული მონაპოვარი (ხელოვნების, ლიტერატურის დარგებში) მოწინავე ადგილს იჭერს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ხეთოლოგია ძალზედ „მობილური" მეცნიერული დისციპლინაა ძველაღმოსავლური მეცნიერების სხვა დარგებს შორის, რაც სავსებით გასაგებია: ჯერ არ დამთავრებულა ხათუსას არქივის გამოქვეყნება, ხეთური ტექსტების ყოველ ახალ გამოცემას სიახლე, ზოგჯერ, რადიკალური ცვლილება შეაქვს ჩვენს წარმოდგენებში ხეთების ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე ხეთოლოგები კი განუწყვეტლივ ძიებაში არიან: ზოგიერთი გუშინდელი დასკვნა დღეისთვის მიუღებელია, ჩნდება სრულიად ახალი ვარაუდები, მოსაზრებანი, დებულებები...

მცირე აზიის არქეოლოგიას ხომ ყოველ წელს დიდი სიახლეები მოაქვს. ანატოლიის მიწა ხეთური ხანის ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს. წინ გველოდება კიდევ არაერთი საინტერესო აღმოჩენა, მათ

შორის, ლურსმული არქივებისაც კი, შესაძლოა, არა ხათუსას არქივის ტოლი, არამედ მაშათ-ჰუიუქის არქივის მსგავსი, რომელმაც ხეთების ისტორიის არაერთი მანამდე უცნობი ფურცელი გადაშალა...

მომავლის პერსპექტივას ძალზედ სასიკეთო პირი უჩანს. ღრმად გვჯერა ისიც, რომ მომავალი ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ბევრ სიახლეს გამოავლენს ჩვენთვის უაღრესად საინტერესო სფეროში — ხეთურ-ქართველურ ურთიერთობათა სფეროშიც.

ილუსტრაციების სია

I. ქალღვთაებათა გამოსახულებანი (თიხა). ჰაჩილარი. ძვ. წ. VI—V ათასწლეულები.
II. თიხის ჭურჭლები. ჰაჩილარი.
III. 1. „ზზის დისკო“ (საკულტო შტანდარტი). ბრინჯაო. ალაჯა-ჰუიუქი. 2. ოქროს დიადემა. ალაჯა-ჰუიუქი.
IV. 1. ირმის გამოსახულება (საკულტო შტანდარტი), ბრინჯაო ვერცხლით. ალაჯა-ჰუიუქი.
2. ორთავიანი არწივი (ებრძვის ორ კურდღელს), ალაჯა-ჰუიუქი.
V. ოქროს ჭურჭლები ალაჯა-ჰუიუქიდან.
VI. 1. „კაპადოკიური“ ფირფიტა ქიულთეფედან.
2. ბრინჯაოს სატეერის ნაწილი წარწერით: „სასახლე ანითასი, მეფისა“. ქიულთეფე.
VII. 1. რიტონი ლომის გამოსახულებით. თიხა. ქიულთეფე.
2. „ბისკარტფორმიანი“ ჭურჭელი. თიხა. ქიულთეფე.
VIII. რომელიღაც ღვთაება, ცხოველზე მდგარი. ქვა. ქიულთეფე.
IX. 1. აკადემიკოსი ბედრიხ ჰროზნი.
2. ბ. ჰროზნის მემორიალი მის მშობლიურ ქალაქში (ლაბეს ლისაში).
X. 1—2. ხეთური ღვთაებები.
3. კადეშის ბრძოლაში მონაწილე ხეთები. ეგვიპტური გამოსახულება.
XI. 1. ხეთების დამბმარენი კადეშის ბრძოლაში. ეგვიპტური გამოსახულება.
2. მეფე მუვათალი საბრძოლო ეტლით კადეშში. ეგვიპტური გამოსახულება.
XII. ხათუსას I ტაძრის რეკონსტრუქცია და გეგმა.
XIII. 1. ხათუსას ერთ-ერთი რეკონსტრუირებული ნაგებობა.
2. ხათუსას ციხე-სიმაგრის გეგმა.
XIV. 1. მამაკაცის გამოსახულება (ჩრდილოეთ სირია). ბრინჯაო.
2. რომელიღაც ხეთური ღვთაება. ბრინჯაო. ბოღაზქოი.
3. შიშველი ბიჭის გამოსახულება. ბრინჯაო და რკინა.
XV. 1. თუთხალია IV. იაზილიქაია.
2. თუთხალია IV-ის სახელის კარტუში ლუვიურ (ხეთურ) იეროგლიფურად. იაზილიქაია.
XVI. 1. „სფინქსთა ჭიშკარი“ ალაჯა-ჰუიუქში.
2. „ლომთა ჭიშკარი“ ბოღაზქოიში.
XVII. თორმეტი ღვთაების გამოსახულებანი იაზილიქაიაში.
XVIII. 1. მეომარი ღვთაების გამოსახულება. ბოღაზქოი.
2. ტაროსის ღვთაება კლავს ურჩხულს (ილუიანქას). მალატია.
XIX. 1. ხეთურ საბეჭდავთა ანაბეჭდები.
2. ორი ზოომორფული ჭურჭელი ხარების გამოსახულებით (ხეთური ტექსტების „შერი და ხური“). ბოღაზქოი.
XX. ხეთური ლურსმული ფირფიტა (ხეთური კანონები).
XXI. 1. ხეთური ლურსმული ფირფიტა ორი ადამიანის თავის გამოსახულებით.
2. ბოძების დოკუმენტი, საბეჭდავით დამოწმებული.
XXII. ლუვიური (ხეთური) იეროგლიფური წარწერა.
XXIII—XXIV. გვიანხეთური რელიეფები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან.

რა შეიძლება წავიკითხოთ ხეთებთან დაკავშირებით

ქართულ ენაზე

„არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები". თბილისი, 1982 (მოცემულია ნ. ბ ე ნ დ უ ქ ი ძ ი ს ქართული თარგმანები ხეთური ლიტერატურის ზოგიერთი ნაწარმოებისა).

მ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", XXXVI—B, თბილისი, 1982.

გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ხათი — ათასი ღვთაების ქვეყანა. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1985, 19 და 26 იანვარი, 2 და 9 თებერვალი.

გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ხეთურ-არმაზული „ტრიადები". „მნათობი", 1985, № 7.

კ. კ ე რ ა მ ი, ხეთების საიდუმლოება. თბილისი, 1966.

ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, კერის დადგმის ხეთური რიტუალი. „არქეოლოგიური ძიებანი", თბილისი, 1985.

„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია" (სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა), თბილისი, 1988.

„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია" (ქართული თარგმანები ისტორიულ-პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური და მითოლოგიური შინაარსის ხეთური ტექსტებისა), თბილისი, 1989.

მ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი, 1924.

ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები. „მნათობი", 2, 1988.

„ხეთების სამეფო", „ხეთური ენა", „ხეთური ლიტერატურა". „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. XI, 1987.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისათვის. „ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები", ტ. III, თბილისი, 1959.

რუსულ ენაზე

В. Г. Ардзинба, Ритуалы и мифы древней Анатолии, Москва, 1982.

Н. А. Бендукидзе, Хеттский миф о Телепину и его сванские параллели. «Вопросы древней истории», Тбилиси, 1973.

Т. В. Гамкрелидзе, В. В Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.

О. Р. Герни, Хетты, Москва, 1987.

Г. Г. Гиоргадзе, Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тбилиси, 1973.

Б. Грозный, Хеттские народы и языки, «Вестник древней истории», 1938, № 2.

В. Замаровский, Тайны хеттов, Москва, 1968.

В. В. Иванов, Хеттский язык, Москва, 1963; Луна, упавшая с неба, Москва, 1977.

«История древнего мира», т. I, Москва, 1982.

Дж. Г. Маккуин, Хетты и их современники в Малой Азии, Москва, 1983.

Г. А. Меликишвили, Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии. «Вестник древней истории», 1965, № 1.

Дж. Мелларт, Древнейшие цивилизации Ближнего Востока, Москва, 1982.

Э. А. Менабде, Хеттское общество, Тбилиси, 1965.

П. Р. Рамишвили, «Каппадокийские» юридические документы о купле-продаже рабов и рабынь. «Археологические изыскания», Тбилиси, 1985.

И. М. Татишвили, Храмовый строительный ритуал у хеттов, «Археологические изыскания», Тбилиси, 1986.

Н. Б. Янковская, Клинописные тексты из Кюль-тепе, Москва, 1968.

1

2



1





1

2



1

2

1



2

1

2

1



2

1

2



3

1

2



1



2



1



2

1

2

3

1

2



1

2



1



2

1

2

1

2



1

2

შინაარსი

წინათქმა	3
I. ხიდი აზიასა და ევროპას შორის. მაღალი კულტურის პირველი შუქურები	5
II. ცენტრალური ანატოლია ისტორიის გარიჟრაჟზე	11
III. ცენტრალური ანატოლიის უძველესი მინადარნი	19
IV. ხეთების აღმოჩენა და ხეთური პრობლემის გადაჭრა	29
V. ხეთური ეთნოსი და ხათის ქვეყანა	41
VI. ხათის გამოჩენა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე. ხეთების „ძველი სამეფო“	50
VII. ხეთების „შუა სამეფო“. ხათი — კელე განსაცდელში	62
VIII. „ახალი სამეფო“. ხეთების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მომენტები	66
IX. ხეთების სამეურნეო საქმიანობა და საზოგადოებრივი ურთიერთობანი	85
X. ხათის სახელმწიფოებრივი და სოციალური სტრუქტურა	106
XI. ხეთური სამართალი	117
XII. ხეთური რელიგია	132
XIII. ხეთური კულტურა	154
ბოლოთქმა	172
ილუსტრაციების სია	174
რა შეიძლება წაიკითხოთ ხეთებთან დაკავშირებით	175

Григорий Григорьевич Гиоргадзе

СТРАНА ТЫСЯЧИ БОЖЕСТВ

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3988

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ნ. მ ა ჩ ა ი ძ ე
გამომშვები ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 30.5.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.9.1988;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 12,50;
პირ. საღ. გატ. 13,12; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,50;
უე 02485; ტირაჟი 40000; შეკვეთა № 838;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19